


სტადინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გრამატიკა

Т Р У ДЫ

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
имени СТАЛИНА

46



ջանձեքք Տիգոնիս Լաշերօնիս տօնդուսուս և աթերմենոցո
շնուրերն ու գործունությունը և անձուն լազարու ջաջանձուն

Վասկեսում մշակելու հետայրություն Տիգոն. Ե. Կառավարություն
Սայ. Թերեն. Օյագլումուս նամակացուն Վազրու

46. ტოშის

შინაარსი

| | |
|--|-----|
| 1. ა. ჯანელიძე, ოროგენეტური ფაზისების თეორია დღეს | 1 |
| 2. ქეთევან ყავრი შვილი, აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარის რელიეფისა და ლანდშაფტური ტიპების დადგენისათვის | 25 |
| 3. გ. პაპალაშვილი, აბრეშუმის ჭიის ბიკოლტინური ჯიშის ბუნების გარღავმნის შესახებ აღზრდის საშუალებით | 29 |
| 4. ქს. გიკა შვილი, აბრეშუმის ჭიის (<i>Bombyx mori</i>) სას.-სამ. მნიშვნელობის მქონე ნიშანთვისებათა შორის კავშირის ხასიათი აღზრდის სხვადასხვა პირობებში | 41 |
| 5. ქ. სამსონია, მარილიანობის სიდიდის ზეგავლენა შავი ზღვის ხა- მანწყების (<i>Ostrea taurica</i> Kr.) გამძლეობაზე | 47 |
| 6. ლ. კუტუბიძე, ბაზალეთის ტბის ჰლანქტონური ორგანიზმების ეკო- ლოგიურ-სისტემატიკური მიმოხილვა | 55 |
| 7. გრ. ჯაველიძე, შინაურ ცხოველთა ჰელმინთების შორისული მას- პინძლების შესწავლის შედეგები | 75 |
| 8. ლ. კალანდაძე და ზ. ჯაში, მასალები აღმოსავლეთ საქართვე- ლოს მცირე ზომის წყალსატევების ენტომოფაუნის შესწავლი- სათვის | 85 |
| 9. თ. მხეიძე, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ტკიბების ფაუნის შესწავლისათვის | 101 |
| 10. ზ. შენგელია, ჯავახეთის ველური სამკურნალო მცენარეები | 113 |
| 11. ე. მირიანა შვილი, ორლებნიანი მცენარის ფესურის ანატომიური აგებულება | 117 |
| 12. ქ. ქომეთიანი, საფუარის უჯრედში ელექტროლიტების განაწილე- ბის დამოკიდებულება უანგვა-აღდგენითი პოტენციალისაგან . | 133 |
| 13. [ბ. ყავრი შვილი,] სამხრეთ-ოსეპის მაღალმთიანი ზონის ლანდ- შაფტის თავისებურება | 145 |

СОДЕРЖАНИЕ

46. тома

| | |
|---|-----|
| 1. А. Джанелидзе, Теория орогенетических фаз сегодня | 1 |
| 2. Кетевана Кавришвили, К установлению типов рельефа и ландшафтов в северо-восточной части Абхазии | 25 |
| 3. Г. М. Папалашвили, О переделке природы бивольтинной породы тутового шелкопряда воспитанием | 29 |
| 4. Е. Н. Гикашвили, Характер взаимосвязи между разными хозяйственно-полезными признаками у тутового шелкопряда в разных условиях воспитания | 41 |
| 5. Е. И. Самсония, Влияние величины солености на выживание черноморских устриц (<i>Ostrea taurica</i> Kr.) | 47 |
| 6. Л. Кутубидзе, Эколого-систематический обзор планктонных организмов Базалетского озера | 55 |
| 7. Гр. Джавелидзе, Итоги изучения промежуточных хозяев гельминтов у домашних животных | 75 |
| 8. Л. И. Каландадзе и З. И. Джапши, Материалы к изучению энтомофауны мелких водоемов Восточной Грузии | 85 |
| 9. Т. Мхеидзе, Материалы к изучению фауны клещей мелких водоемов Восточной Грузии | 101 |
| 10. З. Шенгелия, Дикие целебные растения Джавахети | 113 |
| 11. Е. И. Мирианашвили, Анатомическое строение корневища двудольных растений | 117 |
| 12. Н. А. Кометиани, Влияние окислительно-восстановительного потенциала на распределение электролитов в дрожжевой клетке | 1 |
| 13. [Б. Кавришвили,] Особенности ландшафта высокогорной зоны Юго-Осетии | 145 |

კ. ჯავახიშვილი

რეოლოგიური ფაზისების თეორია დღეს

გეოლოგიის მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში დღით-დღე იზრდება-იზრდება თვით სახალხო მეურნეობის ამოცანების მოცულობასა და სირთულესთან ერთად. ამჟამად ჩვენში მრავალი ასეული გეოლოგი მუშაობს სამთო მრეწველობის, ენერგეტიკული, სამელიორაციო და კომუნალური მშენებლობის თუ ჰიდროგეოლოგიის დარგში. პასუხსავები საკითხების შესწავლა-გადატრით მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მეორე მხრით გეოლოგიას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მატერიალისტური მეცნიერების და მსოფლმხედველობის დაფუძნებაშიც.

თითოეული გეოლოგი თავის ყოველდღიურ მუშაობაში შეძლების კვალად ემსახურება ერთს ან მეორე ამოცანას, ან ორივეს ერთად. ამ მუშაობაში ის ემყარება მთელ რიგ პრინციპულ დებულებას და წარმოდგენას, რომელნიც ერთგანი ჩამოყალიბდეთ დღეს ჩვენი მეცნიერების ძირითად საყრდენად და სამუშაო იარაღად არიან მიჩნეული. მეტ წილად ეს არის ჯეროვნად და-საბუთებული და ხანგრძლივი გამოცდილებით დამოწმებული წარმოდგენები და დებულებები, მაგრამ მაინც ჰიპოთეზური ხსიათის წარმოდგენები მხოლოდ. ისინი კვლევის აუცილებელი იარაღი არიან, მართალია, მაგრამ კლევამ თავის მხრით მათი შემოწმების, დაზუსტების და, სადაც საჭიროა, უკუგდების საშუალებაც უნდა მოგვცეს. სამუშაოროდ, მუშაობით გატაცებულ მკლევარს უკანასკნელი გარემოება ხშირად ავიწდება და ის უნებლიერ ქეშმარიტების საძიებელ იარაღს თვით ქეშმარიტებად მიიჩნევს, საკვლევს გამოკვლეულად, და ამით თავისი მუშაობის ნაყოფიერებას ზღუდავს ან, ზოგ შემთხვევაში, საეჭვოსაც კი ხდის. გასაგებია ამიტომ, რამდენად სასატრენი უნდა იყოს დროგამოშვებით ამ წარმოდგენების გადასინჯვა და მათი კრიტიკულად შეფასება.

ერთი ასეთთაგანი არის წარმოდგენა ოროგენეტური ფაზისების შესახებ. 28 წლის წინათ ოროგენეტური ფაზისის ცნებას ჰ. შტილემ დახვეწილი სახე მისცა და ამ საფუძველზე მთელი თეორია ააგო [11]. როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში შტილეს შეხედულებები გეოლოგების საკმაოდ ფართო წრეებმა გაიზიარეს და მუშაობის იარაღად გაიხადეს. იშვიათია ჩვენში ისეთი შრომა,

¹ მოხსენდა საქართველოს გეოლოგიურ საზოგადოებას 1952 წ. იანვრის 10-ს.

რომ სტრატიგრაფიის ან, განსაკუთრებით, ტექტონიკისის საქიზნეულობების მოდეს და ოროგენეტური ფაზისების ანუ, როგორც შემოქლებით ამბობენ, ოროფაზისების თეორიას ასე თუ ისე ანგარიშს არ უწევდეს. ამ ცნების ნაყოფიერება პრაქტიკაში თითქო საქმით გაამართლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა სრულიადაც არ არის ისეთი, რომ თეორია კველასაფის მისაღები ან თუნდაც ერთაშორისობა გარკვეული ჩანდეს. ბევრი მას დიდი ეჭვით უყურებს, ხოლო ზოგი, როგორც, მაგალითად, ამერიკელი გეოლოგი Gilluly, ხელი მოდებით უარყოფს. უკანასკნელის წერილმა, ამერიკის გეოლოგიური საზოგადოების ბიულეტენში გამოქვეყნებულმა [9], საქმაოდ ცხარე დისკუსია გამოიწვია, რომელსაც უურნალმა „Geologische Rundschau“ სპეციალური ნაკვეთი დაუთმო. გარდა შტილესა და Gilluly-სა კამათში მონაწილეობა მიიღეს სხვებმაც. ზოგი ერთს ეთანახმება, ზოგი მეორეს და ნაწილს საშუალო პოზიცია უჭირავს. ყოველ შემთხვევაში არ ითქმის, რომ დისკუსიას საკითხში სასურველი გარკვეულობა შეეტანოს. ამიტომ საკითხის აწინდელი მდგომარეობის გასაცნობად უმჯობესი იქნება უშუალოდ თეორიის ანალიზს შევუდგეთ საბჭოური გეოლოგიის მიღწევების საფუძველზე და უცხოელი გეოლოგების შეხედულებებს და შეცდომებს გზადაგზა შევეხოთ.

სხვადასხვა დებულების განხილვისას მე არ შევუდგები მრავალრიცხვანი ავტორების შეხედულებათა აღნუსხვას და საბუთად მათ გამოყენებასაც მოვერიდები. ყველა საკითხზე, რომელსაც იქ შევეხები, ლიტერატურაში ადვილად ვიპოვთ ერთიმეორის დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრებს და საშუალო შეხედულებათა სრულ გრადაციას. თითოეული შეხედულება ავტორიტეტიანი მეცნიერის მიერ არის გამოთქმული და „უდავოდ დადგენილი ფაქტებით“ დამოშებული. ასეთ პირობებში უმჯობესია მცირერიცხვან და მეტნაკლებად ტრივიალურ დაკვირვებებს დავეყრდნოთ და მთავარი უურადლება მათ ზუსტ ანალიზს მივაქციოთ.

ოროფაზისების თეორია გულისხმობს, რომ ჯერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ნალექების დაგროვება წარმოებს და შემდეგ, შეტაც თუ ნაკლებად სწრაფად, დანაოჭება ხდება, რასაც ისევ დალექვა და დანაოჭების ახალი პაროქსიზმი მოსდევს. თეორიის მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებენ, რომ ნალექების დაგროვება და დანაოჭება ზოგადად ერთდროულად მიმდინარეობს და თითოეული შრის დანაოჭება მის დალექვასთან ერთად იწყება. ასე რომ დისკუსიის ძირითადი საგანი არის კითხვა: მიმდინარეობს ოროგენეტური მოძრაობა უწყვეტელად, თუ წყვეტილად, ეპიზოდურად.

შვეიცარიის გეოლოგი ვეგმანი ოროგენეტური ფაზისების შესახებ დავაში იმ დიდი და ძველი წინააღმდეგობის კერძო შემთხვევას ხედავს, რომელიც მისი აზრით ადამიანის აზროვნების ორ ტიპს შორის უნდა არსებობდეს [10]: ერთს ბუნების ყველა პროცესში უწყვეტელობა (Kontinuität) სურს დაინახოს, ხოლო მეორე ყველგან წყვეტილობას (Diskontinuität) ამზნებს. საბოთა მკველეარისთვის ასეთი თვალსაზრისი უბრალო გაუგებრობაზე არის აგებული. ბუნების პროცესებში შედარებით ნელი განვითარება და ნახტომები ანუ აჩ-



ქარებული განვითარება, ევოლუცია და რევოლუცია, ორივე ერთგული მიღებული საძლებელი და კანონიერი რამ არის. ამიტომ ოროგენეტური ფაზისების რეალობის საკითხი სათანადო საბუთების განხილვამ უნდა გადაწყვიტოს და შეუძლია გადაწყვიტოს. წინასწარ უარყოფითი ან დადებითი მისღამი დამოკიდებულება აშკარა შეცდომა იქნებოდა, რომელსაც ვერივითარი მოსახრები ვერ გაამართლებს.

თანაც მე მოვერიდები თეორიის მომხრეთ ან მათ მოწინააღმდეგვა კატასტროფისტები და უნიფორმიტარიანისტები ვუწოდო. ეს ეტიკეტები შეფასების ელემენტსაც შეიცავენ საქმაოდ დიდი დოზით და, ვფიქრობ, სასარგებლო არ იქნება დასკვნა მსჯელობას წინ წარვუმძღვანო. მეორე მხრით, ორგორც სამართლიანად აღნიშნავს 6. შატსკი, „вряд ли кто-либо из наших геологов в настоящее время может отрицать прерывистость течения тектонических процессов, как эпейрогенических, так и складкообразовательных“ [7], და ამ ნიშნით გეოლოგების დანაწილება მართებულიც არ იქნება.

დავიწყოთ ყველასათვის უდავო ფაქტებით და დებულებებით. ორგორც ვიცით, რუსეთის ბაქანზე კამბრიული და ყველა მაზედ ახალგაზრდა ფორმაციები დღემდე პრაქტიკულად დაუნაოჭებელი დარჩენილა. ამავე დროს დასავლურ და სამხრულ ევროპაში იმავ ასაკის ნალექები ინტენსიურად დანაოჭებული და დაწყვეტილი არიან. აქ, ბაქანზე, ამ ხნის განმავლობაში მთების წარმოშობა უცნობია, იქ კი რამოდენიმე გზის მოხდა. მაშასადამე, მოების წარმოშობა სივრცეში წყვეტილ მოლენას წარმოადგენს. ამას უწოდებს შტილე ოროგენეზისის ლოგალიზაციას სივრცეში.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ცნობილია, რომ რუსეთის ბაქნის ჰორიზონტულ საფარს ქვეშ მოთავსებულია ინტენსიურად დანაოჭებული სუბსტრატი. მაშასადამე, კამბრიულის წინ აქაც მთების წარმოშობა მიმდინარეობდა და მხოლოდ შემდეგ შეწყდა. ოროგენეზისი არც დროში არის მუდმივი. იგი საზღვარდებული მოვლენა არის, რომელსაც გარევეული დასაწყისი და დასასრული აქვს.

საზღვარდებულობა, რა თქმა უნდა, კიდევ არ ნიშნავს მთების წარმოშობის პროცესის წყვეტილობას. შესაძლებელია სრულ დამთავრებამდე ეს მოვლენა შეუჩერებელი ყოფილიყო, მაგრამ, თუ ისევ ცენტრულ, დასავლურ და სამხრულ ევროპას დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ კამბრიულის შემდეგ იქ ინტენსიური ოროგენეზისი გვაქვს; მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მთების სამი სისტემა წარმოიშვა—კალედონიური, ჰერცინული, და ალპური—და მათი წარმოშობა ერთიმეორისაგან გაყოფილია ხანგრძლივი დროით, რომლის განმავლობაში მთების წარმოშობა არ მომხდარა. აქ გვაქვს სამი ოროგენეტური პროცესი და მათ შუა და წინ სამი ანოროგენეტური ინტერვალი, ე. ი. ოროგენეზისი აშკარად წყვეტილია.

მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხედულება საყოველთაოდ მიღებულად ითვლება და ყველა სახელმძღვანელოში მეორდება, უდავოდ მას მაინც ვერ ჩავსოვლით: მთების წარმოშობა, ორგორც ოროგრაფიული სხეულისა, ბევრს ეპიროგენეტურ მოვლენად მიაჩნია, ე. ი. კალედონიური, ჰერცინული და ალპური სის-



ტემის მთებს ეპიროგენეტური აზევების შედეგად სკოლიან, ხოლო აზევების შედებარე ინტერგალებში, მაგალითად ტრიასულ ან დევონურ პერიოდში, დანაოჭება არ მიმდინარეობდა, ეს კრიტიკული მიღომით არავის დაუმტკიცებია. ამიტომ ზედმეტი არ იქნება სენებული, საქმიანდ დასაბუთებული არგუმენტით არ დავგმაყოფილდეთ და ყურადღება სხვა მხრივაც მიიღაპყროთ.

ოროგენეზისათვის დანაოჭება არსებითი მოვლენაა, მაგრამ ეს მაინც ყველაფერი არ არის. ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ შშირად უზარმაზარი სისქის ნალექების დაგროვებას, რომელიც გეოსინკლინში მიმდინარეობს. ასეთი დაგროვების გარეშე მთების პირველადი წარმოშობა უცნობია. თუმცა, ოროგენეზის რომ იტყვიან, ჩვეულებრივ მარტო დანაოჭებას ჰგულისხმობენ და ასევე იქცევა შტილეც, მაგრამ ეს მხოლოდ გამოთქმის საქმეა და არავისათვის საეჭვო არ არის, რომ მთების წარმოშობა ორ აუცილებელ პირობას მოითხოვს: გეოსინკლინურ სედიმენტაციას და დანაოჭებას. მეორე მხრით ასევე უდავოდ არის მიჩნეული, რომ გეოსინკლინური სედიმენტაცია შეუძლებელი არის აუზის ფსკერის დაძირვის გარეშე. ამ სედიმენტაციას აუზის გარდიგარდონ ნალექების გაწელვა და დაგრძელება ახლავს. დანაოჭება, პირიქით, იმავე მიმართულებით შეკუმშვას ჰგულისხმობს. ამიტომ შეუძლებელია ეს ორი მოვლენა, გეოსინკლინური სედიმენტაცია და დანაოჭება, ერთსადაიმავე ადგილს ერთდოულად მიმდინარეობდეს. მაშასადამე, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დანაოჭება წყვეტილად, ეპიზოდურად უნდა ხდებოდეს სედიმენტაციასთან მორიგეობით.

მართალია, ოროგენეზისის გრავიტაციული თეორიების მიმდევრები ფიქრობენ, რომ დანაოჭება გეოსინკლინური დაძირვის დროსაც ხდება მეშვიტული მოვლენების ანალოგიურად, მაგრამ ადვილი დასანახვია, რომ ამ ზომამდე გაზოგადებული ეს შეხედულება სერიოზულ საფუძველს მოკლებული არის.

ოროგენეტური ცაკლების ეპიზოდური ხასიათი შეიძლება დაღასტურებულად მივიჩნიოთ, მაგრამ შესაძლებელი არის ამაზე შეგვნიშნონ, რომ თუმცა დასავლურ ეკროპაში კალედონიურ, ჰერცინულ და ალპურ ციკლებს შორის ანოროგენეტური ინტერგალები გვაქვს, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ სხვაგან ამ დროს ოროგენეზისი შიმდინარეობდეს. ასეთი შენიშვნები გაუგებობაზე არის აგებული. ისინი შეეხებიან არა ოროგენეზისის ეპიზოდურობას, არამედ მის უნივერსალობას ანუ სინქრონულობას მთელ მიწაზე. ამ სინქრონულობაზე შემდეგში გვექნება ბასი, ხოლო ახლა იგი საექვოდაც რომ გავხადოთ, პროცესის წყვეტილობა მაინც ძალაში დარჩება: თუმცა მთელ მიწაზე ერთდროულად არასოდეს არ წვიმს და არც კარგი დარია ყველგან ერთად, მაგრამ წვიმა და დარი მაინც უდავოდ ეპიზოდური მოვლენაა.

ფიქრობ, ეს საკითხი ჩვენთვის ქვემოთ უფრო ნათელი გახდება, ახლა კი დროული იქნება გადავიდეთ უშუალოდ თვით ოროფაზისების საკითხე: სენებული ოროგენეტური ცაკლები—კალედონიური, ჰერცინული, ალპური—თავის მხრივ ერთიან, უწყვეტ პროცესს წარმოადგენენ, თუ ისინიც ცალკეული ბიძებისაგან შედგებიან?

რაც ზემოთ გეოსინკლინური სედიმენტაციის და დანაოჭების მორიგეობის აუცილებლობის შესახებ ვსთქვი, რასაკვირველია, აქაც ძალაში რჩება და, რაკი ოროგენეტური ციკლის განმავლობაში შინშენელოვანი სედიმენტაციაც გრძელდებოდა, ბუნებრივია დავასკვნათ, რომ ამ ფარგლებშიც მოძრაობას ბიძგობრივი ხასიათი ექნება, მაგრამ სჯობს უფრო სპეციფიური საბუთებიც მოვძებნო.

შტილე საკითხის გადასაწყვეტად უთანხმოებათა მეთოდს მიმართავს. მისი აზრით უთანხმოება¹, თუ იგი ტექტონიკური, ე. ი. მეორადი არ არის, ყოველთვის დანაოჭების მაჩვენებელია: უთანხმო კონტაქტს ქვეშ მდებარე წყება დანაოჭებულა და შემდეგ ზევით მდებარე შრეები დალექილან. რადგან ქვედა შრენარი თანაბრად, ერთზომად დანაოჭებული არის, დანაოჭება ერთად უნდა მომხდარიყო, პრინციპულად შრენარის დალექვის შემდეგ. დალექვის დროს კი დანაოჭებას ადგილი არა ჰქონია, თორებ ერთიმეორის მოყვითალობა დანაოჭების ინტენსივობა სხვადასხვა იქნებოდა. დალექვის დრო ანოროგენეტური დრო არის, რომელსაც შემდეგ ოროგენეზის მოყვება. უკანასკნელი, მაშასადამე, ეპიზოდური არის.

დღეს უკვე საკამათო არ არის, რომ ეს მეთოდი აშკარად მცდარია და დასკვნა დაუსაბუთებელი. არაერთხელ თქმულა, რომ უთანხმოებას დანაოჭებასთან არაეთმორი პირდაპირი კავშირი არა იქვე. იგი მხოლოდ გვეუბნება, რომ, როდესაც ტრანსგრესიული შრეების დალექვა დაიწყო, დანაოჭება უკვე მომხდარი იყო, მაგრამ როდის მოხდა იგი და როგორ, ეს საკითხი ლია რჩება. უთანხმოება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ დანაოჭებული შრენარი დალექვის შემდეგ ან თუნდაც დალექვის ბოლოში დანაოჭდა. ეს შტილეს პისტულატი არის და არა დასაბუთებული დასკვნა. მოწინააღმდეგ ფიქრობენ, რომ დანაოჭება შრენარის დალექვასთან ერთად არის დაწყებული და იმდენსავე ხანს გრძელდებოდა, რამდენსაც დალექვა. მართალია, ამ შემთხვევაში შრენარის ქვედა ნაწილი უფრო ინტენსიურად უნდა იყოს დანაოჭებული, ვიდრე ზედა, რაც არავის დაუმოწმებია, მაგრამ ის აზრიც, თითქმ ყველა შრე ერთზომად იყოს დანაოჭებული, უბრალო დაშვება არის და არა დაკირვების შედეგი. თანაც, სამწუხაოდ, დაკირვება ამ საკითხის დამაჯერებელი გადაწყვეტის საშუალებას თითქმ ვერც მოგვცემს, რადგან განსხვავება სრულიად თანდათანი უნდა იყოს.

საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა სხვა რამ მეთოდი და, ჩემი აზრით, ასეთი იქნება ოროგენეზის სინგენეტური ნალექების შესწავლის მეთოდი. გეოლოგიური წარსულის მოვლენების კვლევას ჩვენ საზოგადოდ სათანადო ნალექების შესწავლის მეშვეობით ვაწარმოებთ ყოველთვის და იქაც ამავე ხერხს უნდა

¹ ჩვეულებრივ ამბაბენ და მეც ვაშბობდი „კუთხური უთანხმოება“, მაგრამ ეს ტერმინოლოგიურად გაუმართლებელი არის. უთანხმოება მხოლოდ კუთხური შეიძლება იყოს, ხოლო იმ შეთხვევაში, როდესაც შრეება თანხმობით არიან ერთიმეორებული განლაგებული, მაგრამ მათ შორის სტრატიგრაფიული ხარვეზი გვაქსს, უნდა ვთქვათ „უთანხმდეგრობა“ ანუ მოკლედ „უთანახმობა“. და არა უთანხმოება.

მიემართოთ. უნდა არსებობდეს რაიმე საშუალება, რომ ნალექები, რომელთა
დალექვა დანაოჭებასთან ერთად მიმდინარეობდა, გვარჩიოთ ნალექებისგან,
რომელთა დალექვას დანაოჭება არ ახლდა.

სამწუხაოოდ, აქ ჩვენ მოგვიხდება რამოდენადმე მაინც თეორიულ მოსაზ-
რებებს დაგვყრდნოთ და არა უშუალო დაკვირვებას. დავუშვათ, რომ დალექვა
და დანაოჭება ერთდროულად მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, გეოსინკლინში,
რაღაც ფარებზე, როგორც წესი, დანაოჭება არა გვაქვს. ცხადია, რომ ასეთ
შემთხვევაში ყოველი ახალი შრის დალექვა უკვე ჩასახულ და მოზარდ ანტი-
კლინებსა და სინკლინებზე ხდება. დავუშვათ შემდეგ, რომ ეს პროცესი საკ-
მაოდ რომა აუზში ვითარდება. დალექვა იქ გრავიტაციულად იწარმოებს,
ვერტიკალურად. ადგილი დასანახვია, რომ ასეთ პირობებში ანტიკლინების
თაღზე და სინკლინების ფსკერზე შრების მაქსიმალური სისქე გვიწევბა, ხო-
ლო ნაოჭების ფრთხებზე მით უფრო ნაკლები, რაც უფრო დიდი იქნება მათი
დაქანება. შრების ნორმული სისქე ფრთხებზე სათანადო დაქანების კუთხის
კოსინუსს უნდა უდრიდეს და გერტიკალური დაქანების შემთხვევაში ნულს
გაუტოლდება. ცხადია, რომ სისქეთა განაწილება მკაფიოდ ზოლური იქნება
და ნაოჭებს დაემთხვევა, თანაც ფრთხებზე და ნაოჭების ლერძულ ზოლში შრე-
ების სისქეთა განსხვავება მით უფრო დიდი იქნება, რაც უფრო მაღლა ავი-
წევით შრენარში.

ასეთი რამ დანაოჭებული წყებების მთელი კომპლექსის შესახებ
არასოდეს აღნიშნულა, თუმცა ანტიკლინების თაღებში შრების გასქელება,
როგორც თვით დანაოჭების მექანიზმის შედეგი, კარგად არის ცნობილი.

მეორე მხრით, ანტიკლინების მეტ-ნაკლებად დაქანებულ ფრთხებზე ახ-
ლად დალექილი მასალა მუდმივ უნდა იმეშვრებოდეს და ამიტომ ფრთხებზე
სათანადო ნალექები შეიძლება სრულიადც აღარ დარჩეს, ხოლო სინკლი-
ნებში ქანებს მეწყრული ნაშენობა (ტექსტურა) ექნება.

მსგავს ვითარებას ვხვდებით მარჩხ აუზშიც, გეოსინკლინური როფის კი-
დეზე, სადაც სედიმენტაცია ჰორიზონტული ტრანსპორტის პირობებში წარ-
მოებს. ანტიკლინებზე ღელვითი მოძრაობის და დინებათა გავლენა უფრო
ძლიერი იქნება, ფაციესი უფრო მსხვილმარცვლოვანი და სისქე მცირე,
სინკლინებში — პირიქით. უკიდურეს შემთხვევაში ანტიკლინზე დალექვა სულ
არ მოხდება ან გადარჩევაც კი იწარმოებს. შეწყრული ძოვლენები აქაც ანა-
ლოგიურ როლს ითამაშებს. საერთო სურათი კი უფრო რთული იქნება, რად-
გან მასალის ტრანსპორტი შეიძლება ნაოჭების გარდიგარდმო წარმოებდეს,
მათ გასწერივ ან ირიბულია.

თითქო საკითხი მარტივად და მკაფიოდ არის მოხაზული, მაგრამ დას-
მულ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად მნიშვნელია, რადგან სათანადო მოვლენები,
რომელნიც დეტალურ და მიზნობრივ დაკვირვებას მოითხოვენ, ჯერ კიდევ
საკმაოდ შესწავლილი არ არიან. რაც ვიცით ამ მხრივ, ძირითადად საბორუ
გეოლოგიას უნდა გუმადლოდეთ [5—8]. განსაკუთრებით აღსანიშნება 6. შატრსკის
უგანასკნელი გამოკვლევა, რომელიც ძლიერ საგულისხმო მასალას და მის
ზუსტ ანალიზს შეიცავს.

დასკვნები მაინც სხვადასხვა არის. ვ. ბელოუსოვის აზრით ფაციესების და სისქების ზემოხსენებული თავისებურება არსად შეიმჩნევა და, თუ სადმე მას ჰყულისხმობლენენ, უფრო ზუსტმა დაკვირვებამ ეს წარმოდგენა არ გაამართლა. 6. შატსკი საწინააღმდეგო აზრს ავითარებს და სათანადო დაკვირვებებით ასაბუთებს. მოსახერხებელია, თუ არა, ამ წინააღმდეგობის დაძლევა?

ეფიქტობ, ცდა მეტი არ იქნება, და მაგალითისათვის გამოვიყენებ სელიმენტაციის აუზს, რომელიც ეოცენის ბოლოს თბილისის ჩრდილოებით წარმოიშვა და რომელსაც პ. გამყრელიძე დიღმის ქვეზონის უწოდებს. ამ აუზის ჩრდილო, ანტიკლინურ ზოლში და ფრთაზე ოლიგოცენი წარმოდგენილია მსხვილ და ტლანქმარცვლოვანი კვარცის ქვიშაქვებით; შუა ნაწილი ბევრად უფრო წვრილმარცვლოვანი და უზარმაზარი სისქის ნალექებით (ძირითად მაიკობური ფაციესი) არის ამოვსილი; სამხრეთით მამალავითის ანტიკლინის აღმოსავლურ გარემონტაზე ნალექების სისქე ისევ შეუდარებლად უფრო მცირეა, მასიალ წვრილმარცვლოვანია, მაგრამ ეს აისხება იმით, რომ ტრანსბორტი ჩრდილოეთიდან არის, სინკლინური დეპრესიის გავლით. უნდა ვითიქროთ, რომ სამხრეთისაკენ მდებარე დეპრესიიში მარცვლის სიმსხო კიდევ უფრო ნაკლები იქნება, სანამ სხვა გზით მოტანილი მასალა არ შეერევა.

ოლიგოცენი თითონაც დანაოჭებული არის და პემნის სინკლინს, რომლის ღერძი ქვემო იყვალაზე გაივლის. ეს არის ქვემო იყვალის ანუ ორმოანის სინკლინი. მისი ღერძი დიღმის სელიმენტაციური როფის ჩრდილო ფრთაზე არის მოთავსებული და ოლიგოცენური ფაციესების და სისქების განაწილებაში მას არავითარი გამოხატულება არა აქვს: ნალექების სისქების და ფაციესების განაწილება მორგებულია ნაოჭზე, რომელიც დალექვისას უკვე არსებობდა, და სრულიად დამოუკიდებელი ნაოჭისაგან, რომელიც ამ ნალექებში განვითარდა.

დიღმის სელიმენტაციის როფმა მიოცენში, ოლიგოცენის მომყოლი ოროფაზისის შემდეგ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადაიწია და მიო-პლიცენში კიდევ მეტად გადაინაცვლა იმავე მიმართულებით. ორივე შემთხვევაში ნაოჭების დამოკიდებულება ნალექებთან ისეთივეა.

კიდევ უფრო მკაფიო სურათი გვაქვს რაჭის სინკლინში ს. ჭრებალოს მერიდიანზე. ჩიკრაგულის და საერთოდ მიოცენის სისქე-ფაციესი მორგებული არის რაჭის სინკლინზე, რომელიც აქ დიდი ხნით ადრე არის გამოსახული. მაგრამ თვით მიოცენურ ნალექებში ჩვენ გვაქვს ორი ანტიკლინი, ქვედა შავრის და ოაღიშის, რომელთაც ფაციესებსა და სისქეებში არავითარი გამოხატულობა არ უპოვიათ. აქაც სისქესა და ფაციესს დალექვისას უკვე არსებული როფის კონფიგურაცია უწევს კონტროლს და არა თვით ნალექებში განვითარებული ნაოჭები.

ამიტომ არის, რომ ისეთ ტრანსგრესიულ წყებებში, რომელიც აბრაზიულ უფეხებზე არიან დალექილი, როგორც დასავლეთ საქართველოს ქვიდა ცარცია, ფაციესებსა და ნაოჭებს შორის კავშირს ამაოდ დავუწყებდით ქებნას.



ეს მაგალითები საუკეთესოდ შეჩრეული არ არის. მე ავიღე ის, რაც შემთხვევაში ხელთ მქონდა, მაგრამ ვფიქრობ, დაკვირვებული კვლევა ასეთ მაგალითებს ადგილად გაამრავლებდა. ნალექების დაგროვებას დანაოჭება არ ას ლავს, ეს მეტყობინებული, ანუ უკეთ, გვიანი მოვლენაა.

აქ ერთი არსებითი შენიშვნა არის აუცილებელი. დილმის აუზში ოლი-გოცენური ნალექების დაგროვებას თუ დავუკავირდებით, ადგილად დავინახავთ, რომ ამ სინკლინური დეპრესიის პირველადი ფსკერი თანდათან იძირება, სინკლინის ფრთხების დაქანება (აგრეთვე პირველადი) სათანადოდ მატულობს და თითქმის ყველაფერი ისე მიდის, თითქო ნაოჭის განვითარებასთან გვეკნდეს საქმე. თუ ამ მოვლენას დანაოჭებად მიერჩნევდით, მაშინ საკითხი გადაწყვეტილი იქნება: გეოსინკლინური სედიმენტაცია და დანაოჭება ყოველის ერთდროულად მიმდინარეობს.

მაგრამ ავიღოთ უფრო დიდი სედიმენტაციის აუზი, მაგალითად კავკა-სიონის სამხრული ფერდის გეოსინკლინი. იქაც ხომ ნალექების დაგროვებას ფსკერის ჩანარებები ახლდა თან, მხოლოდ არავინ ამ მოვლენას დანაოჭებად არ სთვლის და მართებულადაც: გეოსინკლინის ფსკერის დაძირვა ვერტიკალური მოძრაობაა, დანაოჭება—ჰიორზონტული; პირველი მოძრაობა გაწელვას ჰეულისხმობს, მეორე—შეკუმშვას. გაუგებრობა შესაძლებელია მხოლოდ გეოსინკლინის განვითარების ბოლო სტადიაში, როდესაც პატარა როფები-ლ დარჩენილან, სიღილით მოზღდილი ნაოჭებს შესადარი. აქ ერთი მოვლენა შეიძლება კიდევ დაემთხვეს მეორეს მეტ-ნაკლებად სივრცეში (და არა დროში) და ფრთხილი ანალიზი მით უფრო საჭიროა.

საინტერესოა ამავე თვალსაზრისით წყვეტითი დისლოკაციაც განვიხილოთ: ესეც ხომ ოროგენეზისის ნაწილია. იქ მრავალი შემთხვევა შეიძლება გავითვალისწინოთ. ავიღოთ მაგალითისთვის ძლიერ დაქანებული ნასხლეტი, ვთქვათ, ორასმეტრიანი ვერტიკალური აბპლიტულით. თუ ნასხლეტის განვითარება და ნალექების დაგროვება ერთდროულად მიმდინარეობს, სედიმენტაცია თანდათან უფრო მაღალი ტექტონიკური ბეჭის პირობებში უნდა მიმდინარეობდეს. ქვედა (მაღალი) ბაგის კიდიდან ახალგაზრდა ნალექების ჩამოქცევა და ჩამორეცხვა (თუ აუზი მარჩხია ან ფსკერის დინებები არის) იწარმოებს; ბეჭის ძირში, ზედა ბაგეზე, პირიქით, ჭარბი მასალა დაგროვდება. იმ მომეტიდან, რაც ნასხლეტის განვითარება დაიწყება, ნასხლეტის სიბრტყის ორ მხარეზე სედიმენტაციის ხასიათი სხვადასხვა უნდა იქნეს. იმავე დროს დისლოკაცია უფრო ცველი იქნება, ვიღრე ეს მის მიერ გავვეთილი შრეები, და ასაკობრივი ინტერვალი მით უფრო დიდი, რაც უფრო ახალგაზრდაა შერე. ეს კია, რომ ასეთი დასკენა ჰეულისხმობს ნასხლეტის განვითარების დასაწყისს და არა ბოლოს. მეორე მხრით, ნასხლეტის ზრდის დამთავრების შემდეგაც, თუ ორივე ბაგ წყალქვეშ დარჩა, ნალექები, ამ შემთხვევაში ნასხლეტზე აბსოლუტურად უფრო ახალგაზრდა, გაწევეტილი იქნებიან.

ასეთი სურათი უეპველად იშვიათი უნდა იყოს ალბათ მიმტომ, რომ ნასხლეტის განვითარების პროცესში დალექილი შრეების სისქე მცირეა და ისინი ადგილად გადაირეცხებიან ხოლმე. ეს კი იმის მაჩვენებელი არის, რომ



ნასხლეტის განვითარებაც სწრაფად ხდება სედიმენტაციასთან შეჯდულებულება
ამის აღნიშვნა საჭირო იყო, თუმცა დანაოჭებასა და სედიმენტაციას შორის
დამკიდებულების შესახებ ზემოთ თქმულს ახალს არაფერს მატებს, რადგან
ოროფაზისების თეორიის მოწინააღმდეგებაც შეუძლია დაუშეს, რომ წყვე-
ტითი დისლოკაციები დანაოჭების უფრო ნელ პროცესთან დაკავშირებულ
ხანმოკლე ბიძგებს წარმოადგენენ. ალბათ ეს ისეც არის.

ყველ შემთხვევაში ზემოთ თქმულის მიხედვით შეგვიძლია დაგასევნათ,
რომ დანაოჭება დალექვის მომყოლი, გვიანი აჩქარებული მოვლენა არის და
ამ ცნების ჯეროვანად დაზუსტებამდეც შეიძლება მას ახლავე ოროგენეტური
ფაზისი ვუწოდოთ.

თუ ოროგენეზისის წყვეტილობას და ოროგენეტური ფაზისების არსე-
ბობას პრინციპულად დადასტურებულად მივიჩნევთ, საჭირო იქნება ახლა
ცალებული ფაზისების დადგენის და დათარილების ხერხი ვეძიოთ.

შტილე ამისათვისაც სწორედ უთანხმოების მეთოდს იყენებს. მისთვის
უთანხმოება ოროფაზისს ნიშნავს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოროფაზისების
არსებობის დასამტკიცებლად უთანხმოებები არ კმარა, მაგრამ თუ ვიგულის-
ხმებთ, რომ ეს საკითხი სხვა გზით უკვე გადაწყვეტილი არის დადებითად,
მაშინ კონკრეტული ოროფაზისის დასადგენად უთანხმოება მართლაც კმარა.
როდესაც დანაოჭებულ წყებაზე დაუნაოჭებელი ან უფრო სუსტად
დანაოჭებული წყება არის განლაგებული, ეს იმას ნიშნავს, რომ უკანასკენელის
დალექვის წინ დანაოჭება და, მაშასადამე, ოროფაზისი ჩატარებულა. თუ იმ
შეზღუდვებს მივიღებთ მხედველობაში, რომელზედაც ლაპარაკი შემდეგში
გვექნება, ფაზისი დადგენილია.

რაც შეეხება ფაზისის ასაკს, შტილე ფიქრობს, რომ დანაოჭება უნდა
მოხდარიყო ქვედა შრენარის უახალგაზრდესი შრის დალექვის შემდეგ და
ზედა შრენარის უკველესი შრის წინ. ის, რასაცვირველია, ანგარიშს უწევს
იმასაც, რომ დანაოჭებული შრენარის ბოლო შრები, შეიძლება, გადარეცხი-
ლი იყოს. კრეიჩი-გრაფი ამას დასძენს, რომ ემერსისი შემთხვევაში დანაო-
ჭება შესაძლებელია უკანასკნელი დალექვილი შრის შემდეგაც გრძელდებოდეს.

ყველ შემთხვევაში შტილეს მეთოდით განისაზღვრება არა თვით ორო-
გენეტური მოძრაობის მომენტი, არაშედ ინტერვალი, რომელშიც ოროფა-
ზისი არის მოთავსებული (terminus ab quo და terminus ad quem). ინტერ-
ვალი კი შეიძლება დიდი იყოს, რადგან ქვედა წყების შეტაც თუ ნაკლებად
დიდი ნაწილი ჩვეულებრივ გადარეცხილი არის, ხოლო ზედა წყების ტრანს-
გრესია შეიძლება დანაოჭების შემდეგ მეტად თუ ნაკლებად დიდი დაგვიანე-
ბით იყოს მომხდარი. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ხშირია, რომ
გალანეინური უთანხმოდ ადევს დანაოჭებულ ბაიოსურ პორფირიტულ წყე-
ბას. რომ აქ ოროგენეტური ფაზისი ვაკეს, ეს ცხადია, მაგრამ სახელდობრ
რა დროს, ეს უშუალოდ ვერ გვითქვამს, და ისიც კი არა ჩანს, ამ ვეებერ-
თელა ინტერვალში ერთი ოროფაზისი არის, თუ მეტი.

რაც უფრო მცირეა უთანხმოებაში მოცემული ინტერვალი, მით უფრო
მიახლოებულია ფაზისის დათარილება, მაგრამ მაინც ოროფაზისის ასაკის



საბოლოო დაზუსტება უშეუალო დაკვირვებით იშვიათად თუ ხერხდება. ამიტომ შტილე ამისათვის შედარებითს მეთოდს ჩიმართავს.

ვთქვათ, რამდენიმე ჭრილი გვაქვს, რომელმშიც უთანხმოების ინტერვალი მეტად თუ ნაკლებად დიდია, მაგრამ ქვედა და ზედა შრენარის შედგენილობა სხვადასხვაგვარი, მაგალითად:

| ჰატრივული | ბარემული | ვალანეინური | |
|-------------|------------|-------------|------------|
| გალანეინური | ჰატრივული | ტიტონური | ტიტონური |
| თესფორდული | კიმერიკული | ლუზიტანური | კიმერიკული |
| კალვიური | ლუზიტანური | ოქსფორდული | |

ყველა ამ ჭრილში ხარვეზი საქმაოდ დიდია, მაგრამ, თუ ვიცით, რომ ამ ინტერვალში მხოლოდ ერთი ოროფაზისი არის, ე. ი. თუ არ-სად არ არის, მაგალითად, ჭრილი: კიმერიკული—უთანხმოება—კალვიური, ან ჰოტრივული—უთანხმოება—ტიტონური ან სხვა ამათი მსგავსი, ჩვენ შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ დანაოჭებულ შრენარში უახალგაზრდესი ნაჯექები კიმერიკულს ეკუთვნის; ხოლო ტრანსგრესიულ წყებაში უძველესი ნაწილი ტიტონური არის—ორეგენეტური ფაზისი იქნება: ტიტონურზე უფრო ძველი და კიმერიკულზე უფრო ახალგაზრდა. ფაზისი თარიღდება როგორც ტიტონურისწინა ანუ კიმერიკულისშემდეგი მიხედვად იმისა, რომ ტიტონურის უთანხმო განლაგება კიმერიკულზე არსად არა გვაქვს, ხოლო ტრანსგრესია ზოგან ტიტონურში იწყება, ზოგან ვალანეინურში და ზოგან უფრო გვიან.

დათარიღების ეს წესი შტილეს თეორიის საფუძველს წარმოადგენს. მით უფრო საკვირველია ტლანქი შეცდომა Gilluly-სა, რომელსაც პერიოდია, რომ ფაზისების დათარიღება ცალკეულ ჭრილში მოცემული ტრანსგრესიის მიხედვით ხდება. ბარემულის ტრანსგრესიას ძირულის მასივის სამხრეთ პერიფერიაზე ის ბარემულის წინა ოროფაზისის მაჩვენებლად ჩასთვლილა. მსგავს შეცდომას ზოგი სხვაც ვერ ასცდება.

დათარიღების შტილეს მეთოდი უტველად გონებამახვილი არის და საკმაოდ კანონიერიც, მაგრამ საჭირო იქნება ახლა მოვსინჯოთ, თუ სადამდე აღწევს მისი მართებულობა. ამის კარგი საშუალება იქნება, იმავე მეთოდით ოროფაზისის ხანგრძლივობის განსაზღვრა ვსცადოთ.

დათარიღების ზემოთ განხილული მაგალითი ანდურ ფაზის შეეხებოდა. გამოყენებული წესის მიხედვით ფაზისი დათარიღდა როგორც კიმერიკულის-შემდეგი და ტიტონურისწინა. აქედან გამომდინარეობს აუკილებელი დასკვნა, რომ მოვლენა უეცარი უნდა იყოს, რომ მას კატასტროფის ხასიათი უნდა ჰქონდეს, რამაც თავიდანვე შესაფერი კრიტიკა გამოიწვია [7] და ოროფაზისების თეორია კატასტროფების თეორიას დაუნათესავა.

რომ ოროგენეტური ფაზისი ხანიერი და საქმაოდ ხანგრძლივი პროცესი უნდა იყოს, ეს საკამათო არ არის. მტკიცე ქანების პლასტიკური დეფორმაცია

სათანადო ძალების უაღრესად ნელი მოქმედების პირობებში არის მხოლოდ შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ქანები უნდა დამსხვრეულიყვნენ. მეორე მხრით, წყვეტილი დისლოკაციების, კერძოდ ნასხლეტების განვითარება ჩემის თვალშინაც ხდება (მაგ. კალიფორნიაში, როგორსაც. Gilliss-ს და შტილეს კამათი ეხება) მიწისძვრების გამომწვევე ბიძგების სახით და ასეთ შემთხვევში გადაადგილების მაქსიმალური ამპლიტუდი რამდენიმე მეტრს არ აღემატება: მაშასადამე, ესეც კი ხანგრძლივი პროცესი არის.

შტილების დიდი ხანია იღიარა თავისი პირვანდელი შეცდომა და ოროფაზისს დღეს ხანიერ მოვლენად სთვლის, მაგრამ მისი მეთოდი ძველი და ჩემის და უკანასკნელის საშუალებით მიღებული შედეგები ამ შეხედულების ეჭინა-აღმდეგება. ზემოთ უკვე ვნახეთ, როგორ თარიღდება ანდური ფაზისი როგორც კიმერიკულის შემდეგი და ტიტონურის შინა, ე. ი. თითქო გეოლოგიური დროის გარეშე. შეიძლება მეტიც: ზედაიურული ფერადი წყების ზედა ნაწილს დასავლეთ საქართველოში ზოგნი ტიტონურად ათარიღდებენ და მოსალოდნელია, ეს კიდეც გამართლდეს. რაკი მეორე მხრით ფერად წყების უთანხმოება და ქვედა ცარცული ტრანსგრესია მოსდევს, ძეგლი უნდა დავასკვნათ, რომ დანაოცებას ტიტონურის შემდეგ ჰქონია ადგილი, რასაც სრული არე-დარება შეაქვს ანდური ფაზისის შესახებ არსებულ დაკვირვებებსა და შეხედულებებში. რაშია მიზეზი?

საყველთაოდ ცნობილია და ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ტრანსგრესიას დანაოცებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს; ის შეიძლება დიდი დაგვიანებითაც მოხდეს. რაც შეეხება უთანხმოების ქვეშ მდებარე კომპლექსს, ის შესაძლებელია დანაოცების შემდეგ დალექილ შრეებსაც შეიცავდეს, თუ ეს რეგრესიული ნალექები არის.

მართლაც, ოროფაზისს გამოჰქმდა არა ტრანსგრესია, არამედ რეგრესია, დანაოცებასთან სწორედ აზევება და რეგრესია არის დაკავშირებული [4]. რეგრესია სინოროგენერული მოვლენა არის, სინოროგენერული ნალექების დავროვება შეიძლება გაგრძელდეს მას შემდეგაც, რაც დანაოცება დასრულებულია, და, თუ ეს ნალექები ეროზიას და შემდეგი ტრანსგრესიის თანაბრძოვა აბრაზიას გადაუჩნენ, მივიღებთ ისეთ სურათს, როგორიც ფერადი წყების შემთხვევაში გვაქვს.

ადგილი დასანახავია, რომ სინოროგენტური სედიმენტაციის თავისებურება მარტო რეგრესიული ფაციესით არ ამოიწურება. რაკი ამ დროს დანაოცება უქვე დაწყებულია, ჩვენ მივიღებთ ნაოცებზე დამთხვეულ ზოლურ სედიმენტაციას: მარტი აუზის პირობებში ანტიკლინებზე უფრო მსხვილმარცვლოვან ნალექებს და ნაკლებ სისქეს, სინკლინებში უფრო წვრილმარცვლოვან ფაციეს და მეტ სისქეს, ნაოცების ფრთებზე დამეტწყრებას და ა. შ.; ღრმა აუზის შემთხვევაში—მცირე სისქეს და წყალქვეშა მეწყრებს ნაოცების ფრთებზე...

ერთი სიტყვით, გვექნება იმ კატეგორიის მოვლენები, რომელთაც ნ. შატსკი აგვიწერს, როგორც გვოსინკლინური სედიმენტაციისათვის ჩვეულებრივ მოვლენებს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დაკვირვება ამ შეხედულებას არ ადასტურებს. ახლა შეიძლება ეს დასკვნა დავაზუსტოთ და ვსტკვათ, რომ



აღნიშნული მოვლენები დანაოჭებული კომპლექსის მხოლოდ ზედა, უფრო მიმეკავშირებულ ბის სინერონულ ნაწილს ახასიათებს.

მართალია, მხოლოდ ზოგადი დაკვირვებების საფუძველზე, მაგრამ მე ეს მოვლენა კარგი ხანია აღვნიშნე ოკრიბაში. ბაიოს-ბათის საზღვარზე მომხდარმა ოროგნეტურმა მოძრაობამ სქელი პორფირიტული წყება დაანაოჭა და რამდენიმე ანტიკლინი მოვგცა, მათ შორის ბზიაურის ანტიკლინი. ამ პროცესთან დაკავშირებულია მკაფიო რეგრესია (ფურცელა ფიქლების და ნახშირიანი წყება), ხოლო ტყიბულის და გელათის აუზები, რომელთაც ბზიაურის ანტიკლინი ჰყოფს ერთმანეთისაგან, სხვადასხვა პირობებში ვითარდებიან. ჩემ მიერ აღნიშნული ეს გარემოება შემდეგში ი. კახაძის გეოლოგიურმა და განსაკუთრებით გ. ძოშენიძის ლითოლოგიურმა კვლევამ საესებით დაადასტურა. უკვე საეჭვო აღარ არის, რომ ბათურის დასაწყისილან ინტენსიური დანაოჭება ხდება და ბზიაურის ანტიკლინიც ამ დროს არის წარმოშობილი; საეჭვო არ არის, რომ ბაიოსურ-ბათურის საზღვარზე დაწყებული რეგრესია ამ დანაოჭებასთან არის დაკავშირებული, მაგრამ ზემოხსენებული თვალსაზრისით სტრუქტურული და ფაციესური კვლევა აქ არავის ჩაუტარებია, არც მე, რადგან ოროფაზისების შესახებ აწინდელი წარმოდგენები მხოლოდ ოკრიბაში მუშაობის დამთავრების შემდეგ დამებადა, სინოროგენეტური სედიმენტაციის დეტალურ კლევას კი გადამწვეტი, მნიშვნელობა აქვს დანაოჭების პროცესის სწორი გაგებისათვის და კერძოდ ოროგენეტური ფაზისების თეორიის დაფუძნებისათვის.

შტილეს სინოროგენეტური რეგრესიის მნიშვნელობა არ შეუმჩნევია და ვერც შეამჩნევდა. მისი აზრით, ისევე როგორც კრეიჩი-გრაფის აზრითაც, დანაოჭებას არავითარი აზევება არ ახლავს. მთების აზევება ეპიროგენეტური მოვლენა არის და ყოველთვის დანაოჭების შემდეგ ხდება¹.

აღვილი დასანახავია ამ შეხედულების სრული მცდარობა და აშერა შტინაალმდეგობა, რომელიც მასა და თვით შტილეს თეორიას შორის არის. დანაოჭებას რომ აზევება არ ახლდეს, ეს თეორია ყოველსავე აზრს დაპარგავდა. თეორიის საფუძველი ხომ უთანხმოება არის, მაგრამ უთანხმოება შეუძლებელია უტრანსგრესიონ, ხოლო ტრანსგრესია თავის მხრით შეუძლებელი არის წინასწარი რეგრესიის გარეშე. მაშასადამე, სადაც კი ოროფაზისური უთანხმოება არის (ე. ი. თუ უთანხმოება ტექტურიკური არ არის), აუცილებელია, რეგრესია და მისი გამომწვევი აზევება მომხდარიყო.

მეორე მხრივ კარგად არის ცნობილი კანონზომიერი აღვილი, რომელიც გეოსინერებაში განვითარებაში ფლიშურს და შემდეგ მოლასურ ნალექებს

¹ ამ საკითხის მდგომარეობის დამახასიათებელია, რომ სხვები, პირიქით, ოროგენეზის პირველად და მიზითად ნაწილს სწორედ აზევებაში ჰქედავენ და დანაოჭება მეორად, აზევებით გამოწვეულ მოვლენად მიაჩნიათ (გრავიტაციული დანაოჭება).

კიდევ სხვები, მაგ. მ. შატსკი, ა. ბიზნავენ, რომ „нельзя разрывать единый процесс деформации на два будто бы различных и различно протекающих процесса „поднятия“ и „течения“, как это делает В. Е. Хайн [8].

უჭირავს. დანაოჭებას რომ აზევება არ ახლდეს თან, ეს კანონზომიერებული გებარი იქნებოდა.

მაგრამ ეგებ ვინმე იტყოდა, რომ აზევება დანაოჭებასთან უშეუალოდ დაგვაშირებული არ არის, მაგრამ თითოეული ოროგებისის შემდეგ ხდება აზევება, როგორც მისი „ეპიროგენტური“ გაგრძელებათ. ასეთი წარმოდგენის უკიდურესი ხელოვნურობა საქმაოდ ცხადი არის ისევე, როგორც გაუგებარი არის, რატომ უნდა ვუწოდოთ ასეთ აზევებას ეპიროგენტური. მიუხედავად ამისა აღვინიშვნოთ, რომ ბზიაურის ანტიკლინის ასებობას და მის გავლენას ფაციების განაწილებაზე ჩვენ ვამჩნევთ ბათურ რეგრესიასთან ერთად, ე. ი. დანაოჭება და აზევება ერთდროულად ხდება. დანაოჭების შემდეგ კი ისევ დაძირვა და გეოსინკლინური სედიმენტაცია გრძელდება.

რაც შეეხება აკროოროგენტურ აზევებას, რომლის ჩაობა, სამწუხაროდ, კარგად გარკვეულად ვერ ჩაითვლება, ის ოროგენეზისის ბოლო სტადიას წარმოადგენს და დიდ რადიუსიან დანაოჭებაში გამოიხატება. თვით შტოლეს დამსახურება არის, რომ დღეს ალბინოტიპურ, გერმანოტიპურ და ბელტურ (იაქ-სარტულ) სტრუქტურებს ვარჩევთ, როგორც გეოსინკლინის დანაოჭების ერთომეორის მომდევნო სტადიებს. ჩვეულებრივი მცირე და მცირდო ნაოჭების ბოლომდე შეკეცვის შემდგრ, როდესაც ოროგენის ლაბილობა ძლიერ შემცირებულია და დანაოჭებული კომპლექსის სისქე ვაზრდილი, ბუნებრივია, რომ ფართოდ გაშლილი ნაოჭები წარმოიშვას. ბუნებრივია აგრეთვე, რომ მთების საბოლოო აზევებას უნდაკიის ხასიათი მიეცეს. ეს კარგად ეთანხმება არგანის წარმოდგენებსაც ძირული ნაოჭების შესახებ.

მერე განა ეს ეპიროგენეზისი იქნება? აქ ბუნებრივად ისმის საკითხი ოროგენეზისის და ეპიროგენეზისის გარჩევის და, განსაკუთრებით, დაპირისპირების შესაძლებლობის შესახებ. ეს საკითხი ზემოთხსენებულ დისკუსიაშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

როგორც ვიცით, ეპიროგენეზისის ცნება და ტერმინი (ეპიროს—ტელეთი, გენეზის—წარმოშობა) ჯილდერტს ეკუთვნის. დღეს ყველა სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ ტერმინი უვარვისია, რომ ამ მოძრაობას არა მარტო ხმელეთის, არამედ ასევე ზღვის წარმოშობაც შეუძლია. ამიტომ ხშირად მის ნაცვლად ხმარობენ ტერმინს „რხევითი (კოლებატება) მოძრაობა“. სამწუხაროდ, ეს გამოთქმაც არა ნაკლებ შეუფერებელი არის, რადგან არავათორი პერიოდულობა ამ მოვლენაში შემჩნეული არ არის. მართალია, ეპიროგენტური მოძრაობა წარმოებს აღმაც და დაღმაც, მაგრამ ეს ცელა ერთსაღა-იმავე ფარგლებში არ ხდება და არც კანონზომიერი რხევის სხვა რამ ნიშანს ატარებს. ამიტომ უკეთესის გამოძებნამდე სჯობს პირობითად ისევ ძველ ტერმინი ვიხმაროთ.

ეპიროგენეზისის ოროგენეზისისგან განსასხვავებლად ჩვეულებრივ პირველის ხანგრძლივობას და ნელ მიმდინარეობას იღნიშნავენ, ეს არის ეგრეთწოდებული საუკუნეებრივი მოძრაობა. როდესაც შტოლე მთების აზევებას ეპიროგენეზის მიაწერს, ის აშკარა წინააღმდეგობაში ექცევა, მაგრამ მისი შეცდომა აღვილი გასაგები არის: მისთვის ხომ ოროგენეზისი უცარი ბიძგებისაგან



შედგებოდა. დღეს კი ვიცით და შტილეც ალიარებს, რომ ოროფაზულს ჩატანი ნიერი მოვლენა არის. მეორე მხრივ ეპიროგენეტური მოძრაობაც, მართალია, ნელია, მაგრამ აგრეთვე საზღვარდებული. მასაც გარკვეული ხანგრძლივობა აქვს. საჭიროა გაერკვით იმავე რიგის არის ეს ხანგრძლივობა, როგორც ეპიროგენეზისა, თუ არა.

რას ემყარება ეპიროგენეზისას ნელი მიმღინარეობის შესახებ ტრადიციული წარმოდგენა? არსებითად ეპიროგენეტურად მიჩნეულ თანამედროვე მოძრაობათა ნელ ხასიათს. მაგრამ ეს მოძრაობანი ნელი არიან აღმამანური თვალსაზრისით და არა გეოლოგიურად. სკანდინავია აპექსში საუკუნეში 1 მეტრით იწევს ზევით. ასეთი მოძრაობა რომ ნახევარ მილიონ წელიწადს გაგრძელდეს, 5 კილომეტრის აზევებას მივიღებდით და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ნახევარ მილიონი წელიწადი შტილეს აზრით სწორედ ოროფაზისის ხანგრძლივობის კატეგორიის ინტერვალი არის: არ ჩანს, რომ ეპიროგენეზისი ოროგენეზისზე არსებითად ნელა მიმღინარეობდეს.

თუ მეორე მხრივ დიდ ტრანსგრესიებს დავაკვირდებით (ზედა სტლურულის, სენიმანურის და სხვა), არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მათ სწრაფ გავრცელებას, და ესეც ხომ ტიბიური ეპიროგენეტური მოძრაობა არის. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც ტრანსგრესიითი განლაგებით გამოხატული დაინტერვა და ტრანსგრესიის წინსვლა ერთი გეოლოგიური საუკუნიდან მეორეში გადადის, მაგრამ, თუმცა საუკუნე არც თუ ისე დიდი დროა, ესეც ადგილობრივი ხასიათის გამოჩავლისი არის. ამგვარად, დიდი ხანგრძლივობა არ შეიძლება ეპიროგენეზისის განმასხვავებელ ნიშნად ჩაითვალოს.

როგორც ვ: ხაინი სწერდა 12-ოდე წლის წინათ, „продолжительность тектонических движений обеих категорий является вполне соизмеримой, определяется величинами одного порядка и разделение, основанное на якобы различной их длительности, является несущественным“ [5].

მეორე ნიშნად ითვლება დეფორმაციის რადიუსი. ოროგენეზისი ჩვეულებრივ ნაოჭებს უნდა იძლეოდეს, ეპიროგენეზისი — დიდრადიუსიან უნდა-ციებს. მაგრამ ზემოთ უკვე ალგნიშნეთ, რომ მთების დანაოჭება დიდრადიუსიანი აზევებით თავდება. მეორე მხრით ოროგენის განვითარებაც დიდრადიუსიანი ზურგობით და ჩაზნექებით იწყება, როგორც ამას წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლურ პერიფერიაზე ვხედავთ [1], ასე რომ უნდაციები ოროგენეზისისთვის უცხო მოვლენა არ არის და არც იშვიათი. რაც შეეხება ბელტების უდეფორმაციონ გერტიკალურ გადააღვილებას, ასეთი რამ სწორედ ოროგენებში არის ხშირი მოვლენა. ასე რომ კოლორადოს პლატოს აწევა, რომელსაც ხშირად იმოწმებენ, როგორც ეპიროგენეზისის კლასიკურ მაგლითს, მხოლოდ ფარის არეში მდებარეობით განსხვავდება ამ მხრივ.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ მეორე შეხედულება, რომლის თანახმად ოროგენეტურ მოძრაობას ახასიათებს შეუქცევადი (ჰეირატიმი) ბუნება, ხოლო ეპიროგენეზისი უკუქცევადი (ინრატიმი) არის. ეს უკვევლად საუკუნადღებო შენიშვნაა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოროგენეზისისა და ეპიროგენეზისის

გასარჩევად არ გამოდგება. ჯერ არის და შეუქცევადობა ახასიათებს არა მოვალეობის მოძრაობას, არამედ დეფორმაციის გარკვეულ სახეს უმოწვევების მეორე მხრივ ერთიდაიგივე ძალა ლაბილურ ზოლში, გეოსინკლინში, მოგვცემს ნაჟებს, ხოლო სტაბილურში, ფარებზე,—უნდაციებს.

ამით აისნება წინადადება; რომ ოროგენეზისი და ეპიროგენეზისი მდგრადისი მიხედვით იქნეს გარჩეული: ოროგენეზისი იქნება, ფარებზე—ეპიროგენეზისი. ეს წინადადება თითქო ერთგვარ პრაქტიკულ საფუძველს მოკლებული არ არის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გეოსინკლინური დაძირება ოროგენეტურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ფარებზე განვითარებული ზემოქმედი ნაჟები—ეპიროგენეტურად. მრავალ შემთხვევაში კი ძნელი გადასაწყვეტი იქნება მიწის ქერქის ესა თუ ის უბანი ჯერ კიდევ ოროგენს ეკუთვნის, თუ უკვე ფარის ნაწილს წარმოადგენს.

მთავარი მაინც ის არის, რომ ქერქის მოძრაობათა ასეთი დანაწილება თვით მოძრაობის ბუნების უყურადღებოდ სტრონგის და მის ნიადაგზე ოროგენეზისის და ეპიროგენეზისის დაპირისპირებისათვის არავითარი საფუძველი არ გვექნებოდა.

დასასრულ, არის ცდა ოროგენეზისი და ეპიროგენეზისი მოძრაობის (ძალების) მიმართულებით განვასხვაოთ: პორიზონტული მოძრაობა (ძალა), როგორც პირველადი, ოროგენეზისის ნიშანი იქნება, ვერტიკალური—ეპიროგენეზისის.

თუმცა მოძრაობათა ეს მიმართულებები წარმოადგენს არა დაკვირვების უშუალო შედეგს, არამედ დაკვირვებათა ინტერპრეტაციას, რომელიც შეიძლება მეტად თუ ნაკლებად სუბიქტური იყოს, ხოლო მოვლენათა კლასიფიკაცია თვით მოვლენათა ბუნებას უნდა ემყარებოდეს და არა ჩენს წარმოდგენებს, ძაინც ეს მიღვომა შეიძლება სხვაზე უკეთესი იყოს, როგორც გენეტური კლასიფიკაციის ცდა. სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში არა ნაკლებ ძნელია შეთანხმება იმ მოძრაობათა მიმართულების შესახებ, რომელთაც დისლოკაცია გამოუწვევიათ, ვიდრე თვით დისლოკაციის ოროგენეზისისა თუ ეპიროგენეზისისადმი მიკუთვნება.

აყილოთ, მაგალითად, ის უნდაციები, რომელიც რუსეთის ბაქანზე შუაცარცმე ურალის პარალელურ ტრანსგრესიებს იწვევდნენ, ხოლო შემდეგ კავკასიონ-ყირიმის მთების პარალელურს. განა ბუნებრივი არ იქნება ეს მოძრაობა არა მარტო სინოროგენეტურად, არამედ ოროგენეტურად ჩავთვალოთ და პორიზონტული ძალების მოქმედებას მივაწეროთ გასაგებია ამტორმ, რომ არგანი პირდაპირ აყენებდა კითხვას, არის კი ოროგენეტურის გარდა მიწის ქერქის სხვა რამ მოძრაობა, იზოსტატიურ მოძრაობებს თუ არ მივიღებთ მხედველობაშიონ?

მართლაც, თუ თითქო აშკარა, მაგრამ ზერელე განსხვავებით თავს არ მოვიტუებთ და უფრო ზუსტ ანალიზს მივმართოთ, მალე ვრწმუნდებით, რომ, არა თუ ოროგენეტურ და ეპიროგენეტურ მოძრაობათა დაპირისპირება არ ხერხდება, თვით ეპიროგენეტურად წოდებული მოძრაობები ერთგვაროვან ჯგუფს არ წარმოადგენს. ევსტატიური ხასიათის მოძრაობები რომ გამო-

ვრიცხოთ (მაგალითად ოქეანის დონის უარყოფითი და დადებითი გაფრთხევას და მეოთხეულის გამყინვარებასთან დაკავშირებით), დაგვრჩება უძლეს უძლეს ზისური ხასიათის მოძრაობები, რომელნიც ერთგვარად მნიშვნელოვანი არიან როვორც ოროგენებში, ისე ფარებზე, და ფარების სინოროგენეტური დეფორმაციები, რომელნიც, გამომწევი ძალების მიხედვით, სრული უფლებით შეგვიძლია ოროგენეტურ მოძრაობათა ერთ-ერთ სახედ მივიჩნიოთ.

არსებობს თუ არა ამის გარეშე კიდევ სპეციფიურად „ეპიროგენეტური“ რამ მოძრაობა, მაგალითად, ფარების ნელი ასევება მათი სისქის ქვევილან მატების გამო,—ეს საკითხი ღიად უნდა დაფსტოვოთ. მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ გეოლოგიური დროის განმავლობაში ოქეანების სიღრმე თანდათან უნდა გაზრდილოყო, მაგრამ ეს დასკვნა ჰიპოთეზურ წარმოდგენათა რიგს ეკუთვნის.

ევე უნდა აღინიშნოს დაძირვის მოვლენათა ძლიერ მნიშვნელოვანი კატეგორია. მათ შორის უფრო ცნობილია გეოსინკლინური დაძირვა. ერთი მხრით ეს არის იზოსტატიური მოძრაობა, ნალექების სიმძიმით გამოწვეული. მაგრამ ამგვარად მთელი დაძირვის ახსნა შეუძლებელი არის. სხვა რამ ფაქტორი რომ არ მოქმედებდეს, გეოსინკლინის ისტორია მისი თანადათანი, მაგრამ შეუნელებელი ამოქსება იქნებოდა, რადგან ნალექების სიმკვრივე ნაკლებია, ვიდრე ქერქისქვეშა ნივთიერებისა.

დაძირვის მეორე მიზეზი არის ვულკანური აქტივობა. იგი ქერქის ქვეშილან ზედაპირზე მასალის უზარმაზარი რაოდენობის გადატანას იწვევს და მისი შედევი ქერქისქვეშ ადგილის განთავისუფლება და გეოსინკლინის ფსკრის დაძირვა უნდა იქნეს.

სადაც ეს მეორე მიზეზი არ არის ან არ კმარა, იქ ის-ლა დაგვრჩნია, ნივთიერების ქერქსქვეშ გადაადგილება წარმოვიდგინოთ გეოსინკლინიდან განწევე.

დასასრულ, მხოლოდ ნივთიერების ქერქსქვეშა გადაადგილება რჩება, როგორც ბელტურ დაძირვათა ახსნა. უკანასკნელნიც ძირითადად სწორედ ოროგენებთან არიან დაკავშირებული.

ამრიგად, თუ რამ შეიძლება დაგუპირისპიროთ დანაოჭების მოძრაობას, ეს იქნება სწორედ დაძირვის მოძრაობა (იზოსტატიურის გამოკლებით), მაგრამ არა როგორც ეპიროგენეტური, არამედ როგორც ისევ „ოროგენეტური“, მხოლოდ სხვა ნიშნიანი. ცხადია, როგოგენეტური აქ იგულისხმება ფართო გაებით და არა როგორც დანაოჭების სინონიმი.

დაგუპირულდეთ ახლა ისევ საკუთრივ ოროფაზისების საკითხს. ოროფაზისების თეორიის აუკილებელ და მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ამ ფაზისების „უნივერსალობის“ ცნება. იგულისხმება, რომ ოროფაზისები ადგილობრივი მოვლენა არ არის და მათი პერიოდიზაცია მოულ მიწაზე ვრცელდება.

ზოგჯერ აქედან დაასკვნიან თითქმ თეორიის მიხედვით ოროფაზისი უველგან, უველა მოქმედ გეოსინკლინში უნდა გვხდებოდეს. ნამდვილად შტილეს აზრი ასეთი არ ირის. ის ფიქრობს, რომ, თუ ერთ ადგილას ოროფაზისი



გვაქეს, იგი შთელ მიწაზე კი არ შეგვხედება, არამედ მრავალ ადგილზე მცხოვრილი ყველგან იმავე დროს [10].

თანაც, ოროგენეტური ფაზისის ხანგრძლივობის ფარგლებში, შესაძლებელია ფაზისი მეზობელ ადგილებში ზუსტად ერთდროული არ იყოს, ე. ი. ზუსტიდ იმავე დროს' არ იწყებოდეს და თავდებოდეს, და ტალღებრივად ვრცელდებოდეს, როგორც ამას კრეიჩი-გრაფი ამტკიცებს კარპატებისათვის. ესვე თეორია როგორაზე ინტენსივობის შესახებაც.

ოროგენეტური იმპულსის ტალღებრივი გავრცელება თვით ფაზისებისათვის ჯერ კიდევ დასამტკიცებელი არის, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით ის დიდი ხანია ცნობილი არის, როგორც ოროგენეზისის მიგრაცია დროში და სივრცეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შორიშორს გავრცელება („უნივერსალობა“) არის ოროფაზისის არა მარტო არსებითი ნიშანი, არამედ მისი გამოცნობისადა და დადგენის აუცილებელი პირობაც კი. უთანხმოება მართებულად ითვლება ოროფაზისის მოწამედ, მაგრამ ეს ყველა უთანხმოებაზე როდი ითქმის. უემველად შესაძლებელია აქ თუ იქ მცირე მოძრაობა და სათანადო უთანხმოება ანოროგენეტურ დროშიც წარმოიშვას. ეს იქნება ადგილობრივი მოვლენა, ადგილობრივი პირობებით გამოწვეული, მაგ. დაქანებული შრეების წყალშევა გადარეცხვა და შემდეგი დალექვა, აზევება ან დაძირვა ვლევანური აქტივობის შედეგად და მისი ბიძული გადარეცხვა-დალექვა, წყალშევა მეჭყრები და სხვა. ამათ იქნებოდა შორეულ ადგილებში მისი სინქრონული ანალოგების ძებნა. ოროფაზისების დადგენის დროს სწორად გაგებულმა თეორიამ ამას უსათუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს და თავისი დასკვნები დაკვირებათა სათანადო კრიტიკულ ანალიზზე იაგოს.

ფაზისების ერთდროულობა შორეულ ადგილებში, ისე გაგებული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკმაოდ ჟარგად დასტურდება ვრცელი გეოლოგიური მასალით. ამ მხრივ შტრილს გამოკვლევებს მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ხოლო Gilluly-ს კრიტიკა ზოგადი ხასიათის სკეპტიკიზმს არ სცილდება: გეოლოგიური წყებების დათარიღება ისე ზუსტი არ არის, რომ სინქრონიზმი დამტკიცებულად მივიჩნიოთ. ცხადია, თუ გეოლოგიურ დათარიღებას სიზუსტე აკლია, არა ნაკლებ ძნელი იქნება საწინააღმდეგო დებულების, ე. ი. სინქრონულობის არარსებობის დამტკიცებაც და ამას არც არავინ ცდილა.

იმავე დროს თითქო ცხადი უნდა იყოს, რომ, თუ ოროფაზისების „უნივერსალობის“ ქმაგნი ვალდებული არიან სათანადო საბუთები დაბაგროვნა და წარმოადგინონ, მათ მოწინააღმდეგეთაც ეკისრებათ ქონკრეტულ მაგალილითებშე სინქრონიზმის არარსებობა დაამკიცონ. ამისათვის, რა თქმა უნდა, არ ქმარა ისეთი ადგილობრივი ხასიათის უთანხმოების დასახელება, რომელიც ცნობილი ოროგენეტური ფაზისების ფარგლებში არ თავსდებიან. საკიროა თვით ამ ფაზისების ერთდროულობის საბუთების გაბათილება,—არა ემსეს ქვეშ დაყენება, არამედ სწორედ გაბათილება. უამისოდ მათ შეუძლიათ სოჭვან, რომ ოროფაზისების „უნივერსალობა“ დამაჯერებლად დამტკიცებული არ არის, მაგრამ ვერ იტყვიან, „უნივერსალობა“ არ არსებობსო.



ოროგენტური ფაზისები რომ წამიერ მოვლენას წარმოადგენად ასეთ გორც ეს შტილეს მეთოდიდან გამომდინარეობს, მართლაც შეუძლებელი იქნებოდა მათი ერთდროულობის დასაბუთება. მაგრამ ოროფაზისის ხანგრძლივობა იმდენად დიდია, რომ აშეარაც აღემატება გეოლოგიური დათარილების შესაძლებელი სიზუსტის ცდომილების სიღილეს და ამიტომ სინქრონიზმის დადგენა მრავალ შემთხვევაში უდავოდ დამაჯერებელი არის. ხოლო რაკი პრინციპი ამრიგად დადასტურებულია, ბუნებრივია ისეთ შემთხვევებში, სადაც პალეონტოლოგიური დოკუმენტაცია გვდალატობს, დათარილების მიზნით თვით ოროფაზის გამოვიყენოთ. ამ არაპირდაპირ მეთოდს, რა თქმა უნდა, პალეონტოლოგიური მეთოდის ღირებულება არ ექნება, მაგრამ მაინც დიდი სამსახური შეუძლია გაუშიოს გეოლოგს, თუ კი სათანადო სიფრთხილით იქნება გამოყენებული.

ისიც უნდა ითქვას, რომ Gilluly-ს სკეპსისი გეოლოგიური დათარილების მიმართ საკმაოდ უცნაურ საბუთებზე არის აგებული. ეს აგტორი გვარწმუნებს, რომ ზონის ნამარხები სხვადასხვა ადგილის სხვადასხვა დროს გვხვდებიან და ამიტომ ერთდროულობის საბუთად არ გამოდგებიან. ამ საკითხში ის ინგლისელი გეოლოგის და პალეონტოლოგის არქელის აზრს იმოწმებს.

სამწუხაროდ, თვით არქელის სათანადო შრომა მე ხელთ არა მაქვს, მაგრამ გრაფიკული სქემა, რომელსაც Gilluly იძლევა, უკეთესად მცდარია.

არქელი ერთიმეორისაგან არჩევს ფაუნურ ზონას და ბიოზონას. რადგან სქემიდან არ ჩანს, თუ რას უწოდებს აგტორი ფაუნურ ზონას, მე აქ გამოვიყენებ ტოპოზონის ცნებას. ჩემი გაგებით ეს იქნება ის შრეები ან იმ შრეების ხანგრძლივობა, რომელიც ამა თუ იმ კერძო ადგილას ზონის ნამარხი გვხვდება, ხოლო ბიოზონა—ხსენებული ნამარხის ცხოვრების ხანგრძლივობა მისი მოპოვების ყველა ადგილის მიხედვით.

რომ ტოპოზონა და ბიოზონა მრავალ შემთხვევაში ერთიმეორებს არ დაემთხვევა, ეს სადაც არ არის. განსხვავება, რომელიც, შეიძლება, მასალის ნაკლულობიდან გამომდინარეობდეს, მხედველობაში არ მიიღება, მაგრამ ამის დამოუკიდებლადც შეიძლება ამა თუ იმ სახეს ერთ ადგილას მეტ ხანს ეცოხლოს ან ეცოვროს და მეორე ადგილას ნაკლებს. ასე მოხდება, მაგალითად, თუ სახე პირველ ადგილას არის წარმოშობილი და მეორე ადგილას დაგვიანებით მივიდა. გარდა ამისა გადაშენებაც ერთდროულად არ მოხდება და გამონაკლის შემთხვევაში რომელიმე კუთხეში რელიქტური ფორმა შეიძლება საკმაოდ დიდ ხანსაც დარჩეს. მაგრამ ეს ყველაფერი მეთოდში გათვალისწინებული არის და მის მიზენელობას ვერ გააბათილებს. კარგი ნამარხების შემთხვევაში ცომილების სიღილე საქმაოდ მცირება.

სულ სხვას ვხედავთ არქელის სქემაზე. ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ სრულიად არამართებულად არის წარმოდგენილი ერთი სახის შეცვლა მეორით. ისე გამოდის, თითქო სახე მიგრაციის პროცესში დაკნინებას განიცდიდეს, გადაშენებას უახლოვდებოდეს და ამ დროს ახალ ფორმას წარმოშობ-

დეს. ნამდვილად ახალი სახეების წარმოშობა დედა-სახის ქეთილდღეულში მცხვდა როგორიცაც არ მიღები ხდება და სქემა სულ სხვაგვარად უნდა აიგოს.

მეორე მხრით, სქემას თუ დავუკერებთ, ახლად წარმოშობილი სახე ახალ ადგილებში გავრცელების გზით კი არ მიღის, არამედ გადასახლებით. როდესაც სახე ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე მიაღწევს, პირველ ადგილზე ის უკვე აღარ არის. ეს არის ნამდვილი მიგრაცია ამ სიტყვის ზუსტი გაგებით და, ცხადია, ასეთი სახე სინქრონიზმის დასაღენად ვერ გამოდგებოდა: ტოპოზონები ერთმეორის თანადროული არ იქნებიან.

სინამდვილეში ასეთი გადასახლება ფაციესის ნამარხებს ახასიათებს და არა ზონის ნამარხებს. უკანასკნელნი წარმოშობის ადგილიდან მეორეში რომ მივლენ, პირველშიც განაგრძობენ ცხოვრებას. ეს არის გავრცელება და არა მიგრაცია და გრაფიკულადც ეს მოვლენა სხვაგვარად უნდა გამოისახოს. სინქრონიზმი აბსოლუტური არ არის, მაგრამ საკმაოდ კარგი და მით უფრო კარგი, რაც უფრო სწრაფია ცხოვლის გავრცელება.

დათარილების და სინქრონიზაციის ეს მეთოდი ისევე, როგორც სხვა მეთოდები, მიახლოვებითი მეთოდი არის და მისი გამოყენება ფრთხილად უნდა ხდებოდეს, თანადათანობით უფრო შორს. თანაც არა ერთის, არამედ რამდენიმე სახის მიხედვით, ერთმეორის საკონტროლოდ.

უმთავრესი კი ის არის, რომ სინქრონიზაცია, როგორც წესი, ცალკეული ზონის მიხედვით კი არ ხდება, არამედ ზონათა რიგის თანამიმდევრობის საფუძველზე. საქართველოს ქვედა და ზედა ცარცუში გამოყოფილია ზონათა რამდენიმე ათევული და ის გარემოება, რომ მათი თანამიმდევრობა ისეთივეა, როგორიც დასავლეთ ევროპაში, ზონათა თანადროულობის საფუძვით დამაჯერებელი საბუთი არის.

ყოველ შემთხვევაში გეოლოგიურ ფორმაციათა დათარილების სირთულე ოროფაზისების სინქრონიზაციის სიძნელეს იდასტურებს და არა მის შეუძლებლობას.

აქაც და წინათაც ჩვენ არაერთხელ გამოვიყენეთ ოროფაზისების ხანგრძლივობის წარმოდგენა. რაკი ამ პროცესის ხანიერობა საკამათო არ არის, ახლა დროული იქნება ვიკითხოთ, თუ რა კატეგორიის იქნება მისი ხანგრძლივობა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძლიერ ძნელია და ზუსტი პასუხი ამჟამად შეუძლებელიც არის. არ შევიძლია სინოროგენეტური სედიმენტაციის დასაწყისი ზუსტად დავადგინოთ და ვერც სინოროგენეტური და პოსტოროგენეტური რეგრესიული ფაციესის გამიჯვნას ვიკისრებთ ზუსტად. ეს კიდეც რომ მოხერხდეს, სინოროგენეტური ნალექების დაგროვების აბსოლუტური ხანგრძლივობის განსაზღვრის სიძნელე ისევ ძალაში დარჩებოდა. ამიტომ მხოლოდ ოროფაზისის ხანგრძლივობის სიდიდის კატეგორიაზე შეიძლება ვილაპარაკოთ.

თვითონ შტილე ემყარება შუა მეოთხეულში მის მიერ გამოყოფილ პასადენურ ფაზისს, გულისხმობს, რომ ეს ფაზისა დღემდე გრძელდება, და დაასკვნის, რომ მისი აქამდელი ხანგრძლივობა მეოთხეული დროის ხახვარი უნდა იყოს. იმის მიხედვით, თუ მეოთხეულის ხანგრძლივობის რომელ ციფრს მივიღებთ



ეს იქნება 300,000 ან 500,000 წელიწადი [10]. ასეთსაც ციფრებს ვართულობა გვაძლევა ზენტრალური ბენ ვ. ბელოუსოვი და ვ. ხაინი. ყოველ შემთხვევაში ეს ციფრი გადაჭარბებულად თითქო ვერ ჩაითვლება, რადგან გამორიცხული არ არის, რომ ვალახური და პასადენური „ფაზისები“ მხოლოდ ქვეფაზისები იყვნენ და ოროფაზისის ხანგრძლივობა მთელ მეოთხეულს უდრიდეს.

რა თქმა უნდა, ასეთ დასკვნას საგრძნობი ცვლილება შეაქვს შტილეს პირველდელ წარმოდგენებში. ამას ისიც გრძნობს და შენიშნავს, რომ ოროგენეტური ფაზისების მთელი ხანგრძლივობა შეიძლება მთლიანი გეოლოგიური დროის საგრძნობ ნაწილს წარმოადგენდეს, მაგრამ ეს მაინც ნაწილი არის და უკვეველად ინოროგენეტურზე ბევრად უფრო მცირე ნაწილით. ინოროგენეტური დროის ხანგრძლივობა შტილეს გარიუდით ორმოციოლევერ აღმატება ოროგენეტურისას. რაიმე დამარტინებელი საბუთი ამ ვარაუდის დასადასტურებლად არა ჩანს.

თუ კი ოროფაზისის ხანგრძლივობა ამდენად დიდია, არ შეიძლება არ ვიკითხოთ, თვით ამ დროის გამავლობაში დანაკვების პროცესი თანაბრად მიმდინარეობს, თუ ბიძგებით, ხან აჩვარებული, ხან უფრო ნელი. ძნელია თვით ძირითად ძაბვებზე რამე ითქვას—საამისო საბუთები არა არის რა, მაგრამ ამ მხრივ პროცესი კიდეც რომ თანაბრარი იყოს, პირობები—ნალექების სისქე და ლაბილობა, სელიმენტაციის აუზის კიდეთა მოხაზულობა და სხვა—სხვადასხვა იქნება და ერთიდაიგივე საერთო დაბაზულობა ზოგან უფრო ნააღრევ რეაქციას გამოიწვევს, ზოგან უფრო გვიანს, ზოგან უფრო ძლიერ მოძრაობას, ზოგან სუსტს. მარჩხი ზღვის პირობებში, სადაც მცირე გადაადგილება საქმარა, რომ შესამჩნევი ცვლილებები მოვცეს, ამ მოძრაობებს შეიძლება უთანხმოებათა წარმოშობაც მოჰყევს. მაგრამ ეს იქნება აღვილობრივი ხასიათის უთანხმოებები, თანაც ნაწილუთანხმოებები, რომელთა ერთობლივობა ოროფაზისს უნდა წარმოადგენდეს. თუ დავუშვებთ, რომ მეოთხეული დრო ოროგენეტური დრო არის, ამ ხასიათის უნდა იყოს ის ათიოდე უთანხმოება, რომელთაც Gilluly კალიფორნიის მეოთხეულში აღნიშნავს. შტილე ამ უთანხმოებათა არსებობას ვერ უარყოფს, მაგრამ შხოლოდ ერთ მათგანს წარმოიდგენს, როგორც პასადენური ოროფაზისის გამომხატველს. დანარჩენების მნიშვნელობა მისთვის აუქსნელი რჩება და ის მხოლოდ ცდილობს Gilluly ს შენიშვნებს როგორმე გვერდი აუაროს. სულ სხვა იქნება, თუ ყველა ამ უთანხმოებას, შესაძლებელია, მეოთხეულისწინა გალაციურ უთანხმოებასთან ერთად, ერთი ოროფაზისის გამოხატულებად მიიჩნევთ. ვალახური „ფაზისი“, პასადენური „ფაზისი“ და სხვა უთანხმოებები ერთ ფაზისში მოიყრან თავს და მთელი მეოთხეული დრო ოროგენეტური დრო იქნება. ამგვარად მოიხსნება წინააღმდეგობა, რომელშიც ვარდება შტილე, როდესაც ერთი მხრით ზედა მეოთხეულისწინა პასადენურ ოროფაზისზე ლაბარაკობს და მეორე მხრით მთელ ზედა მეოთხეულს ერთ ოროფაზისად მიიჩნევს. რაკი აქ ვათვალისწინებული ცალკეული უთანხმოებები ნაწილუთანხმოებათა ხასიათის არიან, მათ შორეული ანალოგები არ ექნებათ და შორეული სინქრონიზაცია მათვის არ მოხერხდება, მაგრამ მთელი ოროფაზისი შორიდან-შორამდე დაახლოებით

ერთდროული იქნება, რაც იმას არ ნიშნავს, რომ ფაზისი ყველაზე უძველესი ერთდროულად იწყებოდეს ან ზუსტად ერთდროულად თავდებოდეს. სინქრონულობა აქ გოლოგიური ქრონოლოგიის შესაბამისი მიახლოვებით უნდა წარმოედგინოთ.

მაგრამ, თუ მეოთხეულის ოროფაზისი რამდენიმე უთანხმოებას იძლევა, რატომ იგივე არ გვაქვს ყველა ოროფაზისის შემთხვევაში, მაგ. იურულში ან ცარცულში. ამის პასუხს თვით Gilluly იძლევა, როდესაც აღნიშნავს, რომ მეოთხეულის უთანხმოებები, რომელიც ყველანი უაღრესად მარჩხი ან კონტინენტური სედიმენტაციის პირობებში არიან წარმოშობილი, სულ მცირე აზევების შემთხვევაში გამოიჩინებოდნენ და დაიკარგებოდნენ. ადგილი დასანახავა, რომ უფრო ძლიერი დენუდაცია ყველა მათ ნაცვლად ერთ დიდ უთანხმოებას მოგვცემდა. სწორედ ასეთი რამ უნდა ვიგულისხმოთ ძველი ოროფაზისების შემთხვევაში.

ამიტომ აშკარად მცდარ გზას ადგანან Gilluly და კრეიჩი-გრაფი, როდესაც მეოთხეულის უთანხმოებებს ცარცული, იურული და უფრო ძველი ოროფაზისების ანალოგებად სთვლიან. აქ ისინი სხვადასხვა რიგის სიღილეებს უტოლებენ ერთმანეთს—შეცდომა, რომელსაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიავად გხედებით მეცნიერებაში.

მთელი წინა მსჯელობა ორ წინაღებულზედ არის აგებული: ერთი მხრით ნაგულისხმებია, რომ ოროფაზისი რამოდენიმე ნაწილუთანხმოებას წარმოშობს, და მეორე მხრით მეოთხეული დრო მინეულია შტილეს თანახმად ოროფაზისად. პირველი დებულება, უფიქრობ, საქმაოდ დასაბუთებული უნდა იყოს. რაც შეეხება მეორეს,—ესვი ბუნებრივი არის. მართლაც, მეოთხეული რომ ოროგენეტურ დროდ ჩავთვალოთ, არ კმარა უთანხმოებათა არსებობა. ოროგენეზისის პროცესში ნაწილუთანხმოებათა წარმოშობა შესაძლებელია, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ მეოთხეულში შემჩნეული უთანხმოები სწორედ ოროგენეტური ბუნების უთანხმოები არიან. ზემოთ, როდესაც ოროფაზისების უნივერსალობის საკითხს ვიხილავდით, უკვე აღნიშნეთ, რომ უთანხმოება ოროგენეტური მოძრაობის გარეშეც შეიძლება წარმოშვას. მეორე მხრით თითქო არსად მეოთხეულის მანძილზე დანაოცების მოვლენა დამაჯერებლად არავის აუწერია. არ ვიცნობთ მეოთხეულში წარმოშობილ მთებს ან კორდილიერებს. შტილეს ავტორიტეტი არ კმარა იმისათვის, რომ მეოთხეული მთლიანად ან მისი ზედა ნახევარი ოროგენეტურ ჯროდ მივიჩნიოთ.

მაგრამ მეოთხეული ასაკის დასლოკაციები, კერძოდ ნასხლეტები და შესხლეტებიც ხომ უდავო ფაქტია? ასეთი ფაქტები თვით თბილისის მიღამებშიც კარგად არის ცნობილი. ცნობილია მუხრანის ველის სინკლინური ჩანჩერება მეოთხეულში, ცნობილია N0 საფრანგეთში რონის სინკლინური აუზის ჩანჩერება, თანამედროვე პირობებში ზუსტი აგეგმვით დადასტურებული; თანამედროვე მიწისძვრებიც ხომ ტექტონიკური ხასიათის მოვლენა არის.

აი აქ დროული იქნება დაგაყენოთ კითხვა: რას წარმოადგენს დიასტროფიზმის თვალსაზრისით ანოროგენეტური დრო; გვაქვს თუ არა საფუძველი მის განმავლობაში სრული სიმშვიდე ვიგულისხმოთ?



ასეთი კითხვის დასმა უკვე პასუხსაც განსაზღვრავს. ანოროგენტური დრო ხომ ინტენსიური სედიმენტაციის და გეოსინკლინური დაძირვის დრო-არის და ამას არ შეიძლება დასლოეაციები არ მოჰყენეს: უთანაბრივი სედიმენტაციაში შეიძლება შრეების დახრა და გაწყვეტაც გამოიწვიოს; სხვა გზით მსგავსივე შედეგები შეიძლება იზოსტაზისურმა მოძრაობამაც მოვცეს ზოგ შემთხვევებში; გრავიტაციული ტექტონიკური მოვლებული არის, მაგრამ გეოსიკლინური სედიმენტაციის პროცესში მეწყრული მოძრაობის შედეგად აღვილობრივი დანაოჭება მაინც შესაძლებელია; გარდა ამისა თვით ოროგენტური დაბაზულობა შეიძლება მთელ ამ დროში ყველან ნულს არ უდრიდეს და ხელსაყრელ პირობებში აღვილობრივი ეფექტი მოვცეს. თუ ყველაფერს ამას მხედველობაში მივიღებთ და იმასაც მოვიგონებთ, რომ უთანმოება ოროგენტისის გარეშეც შეიძლება წარმოიშვას, აღვილად დავინახავთ, თუ რამდენად ნააღმრევია მეოთხეული დროის ოროგენტურად გამოცხადება. დავინახავთ იმასაც, თუ რამდენად რთული საკითხია ოროგენტური ფაზისის დადგენა ახალგაზრდა, კარგად დაცულ და კარგად შესწავლილ ნალექებში.

დასასრულ, ოროფაზისების თეორიის კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც დისკუსიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი აღვილი უჭირავს. ეს არის ოროგენტური ფაზისების რიცხვის ზრდა ოროგენტურ ციკლებში: პირვანდელი სქემის მიხედვით შტილე კალედონიურ ციკლში 2 ფაზის არჩევდა, ჰერცინულში 5-ს და ალპურში 10-ს. ამ მოვლენას ზოგნი თანდათან უფრო სწრაფი სედიმენტაციით ხსნიან; შტილე — გეოსინკლინების შევიწროებით და მათი აგებულების გართულებით; Gilluly იმით, რომ ახალი დროის ნალექები უკეთ დაცული და უკეთ შესწავლილი არიან.

პირველი მოსაზრება არსებითად ჰიპოთეზური და დაუსაბუთებელი არის. იგივე ითქვეს შტილეს შეხედულებაზე, რომელიც გარდა ამისა აშენდა ეწნააღმდეგება ამ ავტორის წარმოდგენას ოროფაზისების უნივერსალობის შესახებ: თუ ოროფაზისების განვითარების ტემპი გეოსინკლინების აგებულებაზე დამოკიდებული, მაშინ ეს მოვლენა მთელ მიწაზე ერთდროული ვერ იქნება, რადგან ძნელი დასაშვებია, რომ გეოსინკლინების აგებულება ყველგან ერთგვარი იყოს. რაც შეეხება მესამე მოსაზრებას, იგი უთულ რეალურ საფუძველს ემყარება, მაგრამ ძნელი სათქმელია, კმარა, თუ არა, იგი მთელი მოვლენის ასახსნელად. ასე რომ საკითხი მილიც უნდა დავსტოვოთ.

ამრიგად, ჩენ თვალი გადავლეთ დანაოჭების ფაზისების თეორიასთან დაკავშირებულ მთავარ საკითხებს, მართალია, მხოლოდ გაკვრით, მაგრამ ესეც საკმაო იყო, რათა დაგვენახა, რომ გეოსინკლინის განვითარება ერთი მხრით დაძირებისა და ინტენსიური სედიმენტაციის, მეორე მხრით დანაოჭებისა და აზევების პროცესების მორიგეობით მიმღინარეობს. უკანასკნელი პროცესები და მათი შესატყვიისი დრო შეიძლება გამოვყოთ დანაოჭების ფაზისების სახელშოდებით.

იმავე დროს გამოირკვა, რომ შტილეს შეხედულებები ძირითად შესწორებებს საჭიროებენ.

თუმცა უთანხმოება თავისთვის დანაოჭების ოროფაზისების უნდოებული დღინარეობის საბუთო დერენი გამოდგება, იგი მაინც ფაზისის მნიშვნელოვანი ნიშანი არის. მაგრამ ეს არ ითქმის ყველა უთანხმოებაზე. ისე კი არ უნდა გავიკოთ, რომ, რაკი უთანხმოებას შევაძებით, ოროფაზისი დადგენილია. პირიქით, მკვლევარის მოვალეობაა დაამტკიცოს, რომ შემჩნეული უთანხმოება ოროფაზისური ბუნების არის. ასეთ უთანხმოებას ფართო გავრცელება უნდა ჰქონდეს და მასთან ნაოჭების წარმოშობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რასაც რეგიონული ტექტონიკური და ფაციესური პლეიგა გამოარკვევს. რა თქმა უნდა, თუ სათანალო ფაზისი საღმე უკვე დადგენილია, საკითხი დიდ მარტივდება.

დანაოჭების უშუალო თანამგზავრი და მისი პირდაპირი მოწამე სინოროგენეტური სეღიმენტაცია არის. უკანასკნელს ახასიათებს რეგრესია, სულ ერთია, მიაღწევს იგი ემერსიამდე, თუ არა. მაგრამ ამ რეგრესიას უნდა ახლდეს ნალექების სისქეების და ფაციესების ზოლური განაწილება, ნალექებთან დაკავშირებული.

სინოროგენეტური ნალექები ანტიკლინების თაღზე, სინკლინების ფსკერზე, თუ ნალექების ფრთხებზე სხვადასხვა ნიშნებით ხასიათდებიან, მაგრამ ისე-თივე ხასიათი შეიძლება ექნეს ანოროგენეტური დროის ნალექებსაც. განსხვავება ის არის, რომ უკანასნელნი ემორჩილებიან ნათი დალექებისას უკვე არ-სებული ნალექების თუ დეპრესიების კონტურებს, ხოლო პარკელნი ნალექებს, რომელნიც ახლად ვითარდებიან. ამიტომ არ კმარა ხსენებული ნიშნების შემჩნევა, საჭირო გამოირჩევს, თუ რომელ კატეგორიას ეკუთვნიან ისინი.

დანაოჭების ფაზისი ხანიერი პროცესი არის, რომლის ხანგრძლივობა უთანხმოების ინტერვალით ვერ გაიზომება. ფაზისის დათარილებაც და მისი ხანგრძლივობის გამორჩევაც სინოროგენეტური ნალექების მიხედვით უნდა ხდებოდეს.

ასეთი არის დანაოჭების პროცესის კვლევის მეთოდი, ხოლო ამ წესით წარმოებული კვლევა გეოლოგის წინაშე მთელ რიგ რთულ საკითხებს იყენებს: როგორია დანაოჭების ფაზისების ხანგრძლივობა; როგორ მიმდინარეობს დიასტროფიზმი ამ დროის ფარგლებში; რა ფარგლებში და რა სახით დასტურდება დანაოჭების ფაზისების „უნივერსალობა“; კერძოდ, რამდენად სწორია დანაოჭების ტალღებრივი გავრცელების წარმოდგენა; როგორ ხდება დანაოჭების ფაზისების დაჯგუფება ოროგენეტურ ციკლებად; რა სახის წარმოებული გვხვდება ანოროგენეტურ (ფაზისთაშორისს) პერიოდში და სხვა, და სხვა.

დანაოჭების თანამგზავრი ნალექების როლი ოროგენეზისში და მათი შესწავლის საჭიროება კვლევის ახალ და ნაყოფიერ სარბერეს ხსნის გეოლოგის წინაშე. დანაოჭების ფაზისების თეორიის საფუძველზე გეოლოგი ახალი თვალით უმშერს დანაოჭებასთან დაკავშირებულ სეღიმენტაციას და ახლებურად აწარმოებს ტექტონგენეზისის შესწავლას. კვლევის ამ მიმართულებამ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკიროს ნახშირის და ნაგოთის გეოლოგიაში, რომელიც ტექტონიკურ სტრუქტურათა და მათი განვითარების დეტალურ შესწავლის მოითხოვს და შესაძლებელს ხდის.

მოხსენებული ლიტერატურა

1. ჯანელიძე ა., ოროგენის დაბადება: სტალინის სახ. თბილისის სას. უნ-ტის შრომები, ტ. XXXVI, 1949.
2. ჯანელიძე ა., გახტის ქედის და ალაზნის ჰელის გეოლოგიური აგებულების შესახებ: საქართველოს მეცნ. აკად. მოამბები, ტ. XI, № 8, 1950.
3. ბელიუს ვ. ვ., Общая геотектоника. Госгеолиздат, 1948.
4. ჯანელიძე ა. ი., К вопросу об орогенетических фазах: Советская геология, № 5, 1940.
5. Халин В. Е., Взаимоотношения орогенеза и эпейрогенеза в свете данных седиментации: Междун. Геол. Конгр., Тр. XVII сессии, т. II, 1939.
6. Халин В. Е., О непрерывно-прерывистом течении тектонических процессов: Изв. АН СССР, сер. геол., № 6, 1950.
7. Шатский Н. С., Орогенические фазы и складчатость: Междун. Геол. Конгр., Труды XVII сессии, т. II, Москва (1937) 1939.
8. Шатский Н. С., О длительности складкообразования и о фазах складчатости: Изв. АН СССР, серия геол., № 1, 1951.
9. Gilluly J., Distribution of mountain building in geologic time: Bull. Geol. Soc. Amer. v. 60, 1950.
10. Geologische Rundschau, Bd. 38. Hft. 2. 1950.
11. Stille H., Grundfragen der vergleichenden Tektonik, Berlin, 1924.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გეოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952, I, 17)

კომისან ყავაშვილი

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ჩ რ დ ი ლ ი ა ლ მ მ ს ა ვ ლ ე თ ი მ ხ ა რ ი ს რ ე ლ ი ე ფ ი ს დ ა ლ ა დ გ ა ფ ი ს ა რ ე ბ ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ჩ რ დ ი ლ ი ა ლ მ მ ს ა ვ ლ ე თ ი მ ხ ა რ ი ს კ ა ვ კ ა ა ნ ი ს ს ა მ ხ რ ე თ კ ა ლ თ ა ზ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ი ს დ ა მ ი ს ი ც ა ვ ს მ დ კ ო დ ი რ ი ს ზ ე მ თ წ ე ლ ი ს ა უ ზ ს.

მ ი ს ჩ რ დ ი ლ ი ე თ ი თ ა ლ მ ა რ თ უ ლ ი კ ა ვ კ ა ს ი მ ი ს ი გ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ა ვ ს მ ი ს ი ბ უ ნ ე ბ ი ს ს ი რ თ უ ლ ე ს ა დ ა ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ი ვ ნ ე ბ ა ს.

ს ა კ ვ ლ ე ვ ი მ ხ ა რ ი ს რ ე ლ ი ე ფ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ი ს ტ რ ი რ ი ა ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ი ზ ო ნ ე ბ ი ს ჩ ა მ ი ყ ა ლ ი ბ ე ბ ა დ ა მ ა თ ი შ ე მ დ გ ი მ ი ე ვ ი ლ უ რ ი ა მ კ ი დ რ ი დ უ კ ა ვ შ ი რ ლ ე ბ ა მ თ ე ლ ი დ ა ს ა ვ ლ ე თ ი კ ა ვ კ ა ს ი მ ი ს ი ს ა მ ხ რ ე თ ი კ ა ლ თ ი ს რ ე ლ ი ე ფ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ი ს ტ რ ი რ ი ა ს ა დ ა ბ ი ს დ ა მ ი ს ი ბ უ ნ ე ბ ი ს ფ ი რ მ ი რ ე ბ ი ს ე ტ ა ბ ე ბ ს.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ე ს მ ა ლ ა ლ მ თ ი ა ნ ი მ ხ ა რ ი გ ე რ გ რ ა ფ ი უ ლ ი მ თ ლ ი ა ნ ი ბ ი თ ა დ ა ფ ი ზ ი კ უ რ ი გ ე რ კ უ რ ა ფ ი უ ლ ი ს პ ე ც ი ფ ი კ უ რ ი მ ი ბ ი ს ხ ა ს ი ა თ დ ე ბ ა ს ა ზ ლ ვ რ ი ფ ი ზ ი კ უ რ ი გ ე რ გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ხ ა რ ე ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ა რ ა ც ი დ ა მ ი ს ი ბ უ ნ ე ბ ი ს ს ა ს ა ზ ლ ვ რ ი ნ ა წ ი ლ ე ბ შ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ს დ ი დ ა მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ი ვ ნ ე ბ ა ს ა ს ე ბ ი ს მ ი ს ი ბ უ ნ ე ბ ი ს ს ა კ ვ ლ ე ვ ი მ ხ ა რ ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი გ რ ა ნ ი ტ რ ი ვ ა ნ ი მ ა ლ ა ლ მ თ ი ა ნ ი მ ა ს ი ვ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ა ლ ი ბ ე ჭ დ ა რ ა ც ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი ნ ა წ ი ლ ე ბ ი ც ე ვ ე ლ ა ზ ე თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ი ნ ბ უ ნ ე ბ ი რ ი ც ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ს წ ა რ მ ი ა ღ გ ე ნ ს ა ლ მ ი ს ა ვ ლ ე თ ი დ ა ბ უ მ ბ ე რ ა ზ ი ს ვ ა ნ ე თ ი ს კ ა ვ კ ა ს ი მ ი ს ი ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ ს ა კ ვ ლ ე ვ ი მ ხ ა რ ი ს ჩ რ დ ი ლ ი ა ლ მ ი ს ა ვ ლ ე თ ი ს ა ს ა ზ ლ ვ რ ი ზ ო ნ ა შ ი კ ა რ უ ლ ი დ ა დ ა კ ი დ უ ლ ი ყ ი ნ ვ ა რ ე ბ ი ვ რ ც ე ლ დ ა ფ ა რ თ ი ზ ო ნ ა ს ა შ ე მ ნ ი ა ნ დ ა მ ა თ ი მ მ მ ყ უ ლ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ზ ო ნ ე ბ ი ც ე ს უ ბ ი ვ ა ლ უ რ ი ა ლ პ უ რ ი დ ა ს უ ბ ა ლ პ უ რ ი ა ქ ე მ კ ა ტ ი ი დ ა გ ა მ ი ი ც ე უ რ ე ბ ი ა ნ ა ბ ი დ ა ბ ი ს ა ბ ი ლ ი ს ა მ ხ რ ე თ ი თ კ ა რ ს ტ უ ლ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ს ზ ე გ ა ვ ლ ე ნ ი თ ს ა ს ა ზ ლ ვ რ ი ზ ო ნ ა შ ი ზ ე დ ა პ ი რ უ ლ ი კ ა რ ს ტ უ ლ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ა ს ვ ხ ვ დ ე ბ ი თ რ ა მ ე ლ თ ა დ ა ს უ რ ა თ ე ბ ა ს ა მ ხ რ ე თ ი ს ა კ ე ნ თ ა ნ დ ა თ ი ნ ს უ ლ უ რ ი დ ა უ ფ რ ი მ კ ა ფ ი ი ნ ი შ ნ ე ბ ი ა ტ ა რ ე ბ ი დ ა უ კ ე ვ ე ჩ ვ ე ნ ი ტ ე რ ი ტ რ ი რ ი ი ს ს ა ზ ლ ვ რ ე ბ ი ს გ ა რ ე თ ტ ი ბ ი უ რ ა დ გ ა მ ი ხ ა ტ უ ლ ი კ ა რ ს ტ უ ლ ი ლ ა ნ დ შ ა ფ ტ უ რ ი ი შ ლ ე ბ ა რ ა გ მ ი რ ც ე ლ ა პ ი რ უ ლ ი კ ა რ ს ტ უ ლ ი ს ი ს ე მ ი წ ი ს ე ვ ე შ ა კ ა რ ს ტ რ ი ს ს რ უ ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი თ



საზღვრებიდან საკულევი მხარის შიგნით ეს გავლენა თანდათმნ ჩატარდა და ჩვენს წინაშე წარსდგება აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ შინაგაურ ლება და ჩვენს წინაშე წარსდგება აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ შინაგაურ მისთვის დამახასიათებელი მოქლი რიგი გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური სპეციფიკურობით.

აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მაღალმთიანი მხარის გეომორფოლოგიური თავისებურება შეძლევნაირად გვეხიტება. აյ შესაძლებელია რელიეფის ხუთი ტიპის გამოყოფა, კავკასიონის გასწვრივი ზონალური გავრცელებით.

1. აფხაზეთის კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ მაღალმთიანი კლდოვანი, პირეუში რელიეფის ტიპის ზონა ვრცელდება განვითარებული პალეოზოური კრისტალური ქანების სუბსტრატზე. დამახასიათებელია ქედის თხემური ნაწილის კარული დაკბილვა, ცალკეული ბუმბერაზი მწვერვალებისა და მასივების გამოყოფა.

ზონის მაღალი პიოსომეტრიული განვითარება ძირითადად ლოდა-აღმავალ ტექტონიკურ მოძრაობებს უკავშირდება.

რელიეფში მკეთრადაა იღბეჭდილი ვიურმული გაყინვარების კვალი-თანამედროვე ყინვარები და ყიდული და კარული ტიპისა. ინტენსიური გამოფიტების შედეგია ქვაყრილობის, გამოზიდვის შლეიფებისა და მიუდგომელი — პირეუში გრანიტოვანი და სხვა კრისტალური ქანებით ბჟებული ესკარბების ჩამოყალიბება.

2. კავკასიონის მაღალმთიანი სამხრეთი კალთის გასწვრივ განკვეთ ხეობათა რელიეფის ტიპი ვრცელდება (მდ. მდ. ლვანდრას, კლიჩის, გენწვიშის, ხეცვერასა და ფრთიშის ხეობების). ხეობები განვითარებულია ტექტონიკურ სტრუქტურათა და ლითოლოგიურ ზონათა გარღიგარდმო. ხეობის ტროგული მონაკვეთები, კარული საფაროლების საფეხურებრივი განლაგება, მორენული მწყრივები, რიგელები ხეობის ფსკერზე, მაღალი საფეხურები ხეობის შესართავებთან და „გერძის შებლების“ ფართო გავრცელება მეოთხეული ყინვარების ინტენსიურ ეგზარიციულ და აკუმულაციურ მოქმედებაზე მივითოთებს.

შეოთხეული ყინვარებით გამომუშავებული გარდიგარდმო ხეობები ყინვართა უკანდახევის შედეგად ეროზიულ ხეობებად გადაკეთდა, სადაც დღემდე მკაფიოდ შერჩა ტროგული მონაკვეთები.

ზონის სამხრეთ საზღვრაოთან ფლუვიო-გლაციური ტერასებია განვითარებული.

3. მდინარე ჩხალთის გასწვრივი, ტექტონიკური, ლრმა, ვიწრო და ასიმეტრიული ხეობა გამომუშავებული ინტენსიურად დისლოცირებულ ლეასურ ასპილურ ფიქლებში, დიდი ამპლიტუდის შეცოცების გასწვრივ. ხეობის ზემო წელი ჯერ კიდევ ტიპიური ტროგია, შუა და ქვემო წელი კი გლაციურ ფორმებს მოკლებულია და უმეტესად კანიონისებრივი ტიპისაა, ტერასული ზედაპირების განუვითარებლობით.

4. რელიეფის მეოთხე ტიპს შოუდიდის, ახსირხეასა და ურგიას-შალალ-მთიანი გვერდითი ქედები ჰქმნის. ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ქედების-თხემის მოვაკება მეოთხეულ ყინვართა სიბრტყითს დესტრუქციასთან დაკავშირებით, გლაციურ ფორმათა კომპლექსის მეაფიო ნიშნები და მოვაკებულ თხემზე იურული ინტრუზიული (გრანიტოვანი) მასივების გამოყოფა კლდოვანი ესკარპებით.

რელიეფის აღნიშნული ტიპი განვითარებულია ტუფოპორტფირიტულ ბაიოსურ სუბსტრატზე, ფართო სინკლინის გასწვრივ. რელიეფის ინვერსია დიდი ამპლიტუდის ლოდა-აღმავალ ტექტონიკურ მოძრაობებს უკავშირდება.

5. მდ. კოდორის ზემო წელისა და მდ. საკენის ქვემო წელის ასამეტრიულ და ანტიკლინურ ხეობათა ზონა (სოფ. საკენისა და სოფ. ჩხალთას ზორის).

განვითარებულია ინტენსიურად დანაოჭებული იურული ფიქლებისა და ტუფოპორტფირიტული წყების სუბსტრატზე.

ხეობის ჩასახვა დიდი ამპლიტუდის გასწვრივი შეცოცებით განისაზღვრება, რომლის შემდგომი ფორმირება ფლუვიალური და მდინარეული ეროზიულ-აკუმულაციური პროცესებით წარიმართა.

რელიეფის ტიპისათვის დამახასიათებელია ოთხი ციკლური ტერასული ფრაგმენტის განვითარება: სოფ. ღვანღრას, ომარიშარისა და გენწვიშის მიდამოებში. მეაფიოდ გამოვლინებულია ტერასული საფეხურები მდინარის დონიდან 3 მეტრის, 7 მ., 9 მ. და 20 მ. სიმაღლეებზე.

აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსაველეთი მაღალმთიანი მხარე ლანდშაფტურად მეტად რთული და მრავალფეროვანია.

ამ მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული კანონზომიერება ლანდშაფტტურ რაონებსა და ვერტიკალურ ლანდშაფტურ ზონებში ვლინდება.

საკვლევი მხარის ფარგლებში შესაძლებელია ოთხი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონის გამოყოფა, მათგვის დამახასიათებელი ლანდშაფტტური ვერტიკალური ზონალობით:

1. მაღალმთიან მთა-ხეობათა ლანდშაფტი მდ. მდ. ღვანღრას, კლიის, ხეცკარასა და ფტიშის გამკვეთი ხეობებით, თანამედროვე ყინვარებით, ცივი და ნოტიო კლიმატით, ხანმოკლე ეფექტური ზაფხულითა და მძლავრი თოვლის საბურგლიანი ხანგრძლივი ზამთრით, მეოთხეული და თანამედროვე ყინვარების გლიაციურ ფორმათა კომპლექსის განვითარებით და ვერტიკალური ლანდშაფტური ზონების მეაფიო გამოვლინებით, ხეობებში ფართოფერთლოვანი წიფლნარი ტყეების გაბატონებით, მარადმწვანე ქვეტყით და წყალგამყოფებზე სუბალპური მდელოებისა და დეკანების დომინირებით.

2. მდინარე ჩხალთის ასიმეტრიულ-ტექტონიკური ხეობის ლანდშაფტი, ტექტონიკური გენეზისის მინერალური წყლების გამსვლებით, ზომიერად თბილი და ნოტიო კლიმატით, გრილი ზაფხულითა და ნალექების ორი მაქსიმუმით წელიწადში, ხეობის მარჯვენა ვერტიკალური ლანდშაფ-



ტური ზონალობის ქანონშომიერი ცელითა და ლანდშაფტური ზონალობების ინვერსიით ხეობის მარცხნა ფერდობზე, წიფლნარ-სოჭნარი მაღალი ტყეების ფართო გავრცელებით, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყით.

3. კავკასიონის გვერდითი ქედების — შოუდიდის, ახსირხვის და უურგიას მაღალმთიანი — ტბიური ლანდშაფტი, სუბალპური მდელოებისა და ალპური ლანდშაფტის ფრაგმენტებით და გლაციურ ფორმათა მკაფიო გამოვლინებით; ქარბალ ნოტიო, გრილზაფხულიანი კლიმატით, გაბატონებული ზღვიური ქარებით თბილ პერიოდში; ჰიდროგრაფიული ქსელის ჩასახვისა და შემდგომი განვითარების სტადიების გამოვლინებით, გლაციური გენეზისის ტბიური ქვაბურებით, მოვაკებულ თხემებზე გრანიტოგანი მონუმენტური მასივების მაღალი ესკარპებით და მათ ძირში ქვაყრილების გრანდიოზული ნაზვავებით.

4. მდ. კოდორისა და ოდ. საკენის ასიმეტრიულ და გასწვრივ ხეობათა ლანდშაფტი, ფართოფორმოვან ტყეებში მდიდარი ქვეტყით და ციკლური ტერასების ფრაგმენტების განვითარებით; ზომიერად თბილი ზაფხულ-ცხელი და ზომიერად ნოტიო კლიმატით ¹.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქვეყანათმცოდნეობის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. VII. 5.).

¹ აფხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მაღალმთიანი მჩარის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) რაიონებისა და ზონების დადგენისას ავტორი ბუნებრივი ლანდშაფტის მთლიან კომპლექსს ეყრდნობოდა.

გ. პავალევიძი

აგრეგაციის ფილ გივრლინერი ჯიშის გენერის გარდაქმნის გასახებ აღზრდის სამუშავით

გასახლი

აკად. ლისენკო ალნიშნავს, რომ მემკვიდრეობითობას ახასიათებს კონსერვატიზმი, რომლის დაძლევაც აუცილებელია ახალი ფორმის გამოსაყვანად.

კონსერვატიზმი, ამბობს აკად. ლისენკო, ეს არის ფიზიოლოგიური წყობა ორგანიზმისა, რომლის დროსაც ერთი ორგანოები განსაკუთრებით უფრო მნიშვნელოვანი, უფრო აუცილებელი — გამრავლების ორგანოები იცავენ სხვებს გარემოს არასაჭრო და არასათანადო გავლენისაგან და ეს განპირობებულია იმით, რომ ყოველი ორგანიზმი, ყოველი მემკვიდრეობითობა ისწრავის გაიმეოროს ის ნიშანთვისებები, რაც იყო დამახასიათებელი წინა თაობებისათვის, მაგრამ ადგილი აქვს არა აბსოლუტურ ზუსტ განმეორებას, არამედ დაახლოებითს, პრაქტიკულად ერთნაირი თვისებების განმეორებას. სწორედ ეს არის მემკვიდრეობის კონსერვატიზმი.

ნივთიერებათა ცვლის არსებული ტიპის შეცვლა, მემკვიდრეობის კონსერვატიულობის ლიკვიდაცია შეიძლება მიღებულ იქნეს:

1. მყნობის საშუალებით, სხვადასხვა ჯიშის მცენარეთა ქსოვილის ურთიერთ შეზრდის გზით.

2. ცოცხალ ორგანიზმები გარემო პირობების ზემოქმედების გზით მისი განვითარების განსაზღვრულ მომენტში.

3. შეჯერების გზით; განსაკუთრებით ისეთი ფორმებისა, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან თავიანთი ცხოვრების ადგილისა თუ წარმოშობის მხრივ.

მემკვიდრეობის კონსერვატიულობის ლიკვიდაციის შემდეგ გლებულობრივობებს შერყეული მემკვიდრეობით.

შერყეული მემკვიდრეობის მქონე ფორმები ძვირფას მასალის წარმოადგენენ სათანადო აღზრდის გზით სასურველ ნიშანთვისებების მქონე ახალ ფორმათა და ჯიშთა გამოსაყვანად, რაღაც ისინი უფრო მეტ ამთვისებლობით უნარს იჩენენ, დიდი დამყოლობით ხასიათდებიან ახალი ნიშანთვისებების შეძენის თვალსაზრისით. ამ გზით აწარმოებდნენ მიჩურინი და ლისენკო მცენარის ბუნების, მისი მემკვიდრეობის გეზ-მიმართულ გარდაქმნას.

ნივთიერებათა ცვლის ტიპის შეცვლის, თაობის მემკვიდრეობის კონსერვატიულობის ლიკვიდაციისა და შერყეული მემკვიდრეობის მიღების მძლავრ



საშუალებას წარმოადგენს ორგანიზმზე გარემოს პირობების ზემოქმედების ამასთან გარემო პირობები არღვევენ ნივთიერებათა ცვლის ძველ ტიპს ცოცხალი ორგანიზმის განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე ზემოქმედებით.

აკად. ლისენკოს მიერ დადგენილ იქნა, რომ შეიძლება საშემოდგომო ხორბლის თვისების მემკვიდრეობის შეჩერება იაროვიზაციის პროცეს-დაუმთავრებელ ოქსლზე შედარებით მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების საშუალებით; იაროვიზაციის პროცესის ბოლომდე მიუყვანელ მცენარეების თაობის გაზაფხულის ჩვეულებრივ მაღალტემპერატურულ პირობებში აღზრდის გზით კი შეიძლება მათი მემკვიდრეული ბუნების გადაკეთება. ამ გზით იქნა მიღებული აკად. ლისენკოს მიერ ხორბლის საშემოდგომო ფორმებიდან საგაზაფხულო ფორმები.

აკად. ლისენკოს მიერ მთელი რიგი საგაზაფხულო ფორმებიდან მიღებულ იქნა აგრეთვე საშემოდგომო ფორმებიც. ამის საუკეთესო მაგალითია ციმბირის პირობებში საგაზაფხულო ხორბლის გადაჭცევა საშემოდგომოდ, რომელიც ყველაზე უფრო ყინვაგამძლე აღმოჩნდა.

საგაზაფხულო ხორბალი ითესება ციმბირის პირობებში გვიან შემოდგომაზე, იაროვიზაციის გავლის პირობები მას არა აქვს. მცენარე თითქოს უცდის ამ პირობებს, მაგრამ მას ვერ დებულობს პარილ-გაისის თვემდე, იგი იძულებული ხდება იაროვიზაციის სტადია გაიაროს მისთვის სრულიად უჩვეულო პირობებში, ასიმილირებას. ახდენს ახალი პირობებისას და ამიტომ აიგება ახალი ორგანიზმი შეცვლილი მემკვიდრეობით.

საგაზაფხულო ფორმის უაღრესად ყინვაგამძლე ფორმად გადაჭცევის ფაქტი ციმბირის პირობებში უდიდეს პერსპექტივას გვიშლის მცენარის ბუნების დაუფლების საქმეში.

მიჩურინმა და ლისენკომ დაამუშავეს ცოცხალი ბუნების გეგმიანი გარდაქმნის ზოგადი ბიოლოგიური თეორია.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცხოველის ბუნების მემკვიდრეობის შერყევას დღემდე უპირატესად სქესობრივი ჰიბრიდიზაციის — შეჯვარების საშუალებით ახდენდნენ. მცენარეთა ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის ანალოგიური მუშაობა ჩატარდა ცხოველ ობიექტებზედაც. ნაჩვენები იქნა, რომ შინაური კურდლის ერთი ჯიშის წარმომადგენლის განაყოფიერებული კვერცხის გადანერგვა მეორე ჯიშის წარმომადგენელში იწვევს ბაჭის ზრდის ინტენსიონის გაძლიერებას ემბრიონალური და პოსტემბრიონალური პერიოდის განმავლობაში (კვლ. სწიც კვი, 1949).

ქათმის კვერცხის ცილის $\frac{1}{2}$ -ის შეცვლა იხვის კვერცხის ცილით, ან სხვა ჯიშის ქათმის ცილით იწვევს აგრეთვე ემბრიონის ზრდის ინტენსიურობის გაძლიერებას (ბოგოლი იუბკი, 1949), მაგრამ გარემოპირობების ზემოქმედებით ცხოველი ბუნების, მისი მემკვიდრეობის შერყევის პირდაპირი ცდა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დღემდე არავის დაუყენებია. ამიტომ ნათელია იმ გამოყვლევების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რომლებიც ამ მიმართულებით ჩატარდება. ჩვენ ცდები აბრეშუმის ჭიაზე ვაწარმოვეთ და ზემოქმედ ფაქტორად ტემპერატურა ავირჩიეთ.



გარემოს ფაქტორთა კომპლექსში ტემპერატურა ერთ-ერთ ჭრის სისტემას მნიშვნელოვან როლს თამაშობს მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლეში, ამიტომა რომ მათი შეგუება ამ ფაქტორის მიმართ მეტად მრავალნაირ ფორმაში ვლინდება (მწერებში თერმორეგულაცია შესწავლილია კუზნეცოვის 1948, უგოლსუროსის 1937 და სხვათა მიერ). მთელ რიგ ცხოველებში და კერძოდ მწერებში წლის სეზონთა მევეთრი სხვადასხვაობის გამო, უმთავრესად ტემპერატურის მხრივ, გამომუშავდა შესაბამი ბიოლოგიური რიტმები რაც უზრუნველყოფს სახეობის არსებობას და განვითარებას.

ტემპერატურული პირობების შეცვლისთან დაკავშირებით ხშირად ადგილი აქვს მცენარისა და ცხოველის მთელი ორგანიზაციის გარდაქმნას.

მასალა ღა მუხაობის მეთოდი

ი. ვ. მიჩურინმა აღმოაჩინა, რომ მცენარის ორგანიზმი გარემოპირობების გარდაქმნილ მიქმედებას უფრო მეტად ექვემდებარება მისი განვითარების აღრეულ სტადიებზე. გარემოპირობების უფრო მეტი ამთვისებლობით ხასიათდება ცოცხალი სხეული მისი ემბრიონული განვითარების პერიოდში.

ამიტომ აბრეშუმის ჭიის ბუნების შესაცვლელად ზემოქმედება პირველ ყოვლისა მის განვითარებად ემბრიონზე ვაწარმოეთ.

სხვა აფტორებისა და ჩვენი ცდებითაც დადგენილია, რომ ტემპერატურა დიდ გავლენას ახდენს აბრეშუმის ჭიის ინდივიდური განვითარების პროცესების მიმდინარეობის სისწრაფეზე და მის ციკლიურობაზე — ვოლტინიზმზე (ჯიშის უნარი გარემოს მოცუმულ კონკრეტულ პირობებში მოგვცეს ამა თუ იმ რაოდენობის თაობა წლის მანძილზე).

ცნობილია, რომ დაბალი ტემპერატურა (15° — 16° C), სრული სიბნელე და ჰერის 70 % შედარებითი ტენიანობა ბიოლტინურ ჯიშებში განსაზღვრავს ბიგოლტინიზმს (წლის განმავლობაში ორი თაობის მიღება), ხოლო მაღალი ტემპერატურა (27° C) და სრული სინათლე — მონოკოლტინიზმს (წლის განმავლობაში ერთი თაობის მიღება). ტემპერატურის საშუალებით აწარმოებენ ვოლტინიზმის რეგულაციას ბიოლტინურ ჯიშებში.

ამრიგად, დაბალი ტემპერატურა ჩაერთობა რა ბიოლტინური ჯიშის ჭიის ემბრიონული განვითარების პროცესში, სხვა ფაქტორებთან კომპლექსში აპირობებს განვითარებას ერთი მიმართულებით, ხოლო მაღალი ტემპერატურა — მეორე მიმართულებით. აქედან ჩვენთვის ცხადია, რომ ინკუბაციის დასახელებულ ტემპერატურას შორის ერთგვარმა შორისულმა ტემპერატურამ უნდა გამოიწვიოს ნაწილობრივი ბიგოლტინიზმი. ვაგრამ როგორი იქნება ასეთი ტემპერატურის პირობებში ინკუბარებული ოქსლიდან გამოსული ჭიების ფიზიოლოგიური მდგომარეობა? ჩვენი წარმოდგენით ის უნდა განსხვავდებოდეს იმ ჭიებისაგან, რომლებმაც თავისი ემბრიონული პერიოდი განვლეს ან დაბალი ტემპერატურის პირობებში და ბიოლტინიზმის პროცესის დამთავრებისათვის სრული შესაძლებლობა ჰქონდათ და ან მაღალი ტემპერატურის პირობებში, სადაც ჭიის ბიოლტინიზმის განვითარების პირობები სრულიად არ გააჩნდა. ამ გარემოებამ გარდა სხვა მოვლენებისა უნდა



გამოიწვიოს ე. წ. შერუული ნადების (ნაფები, რომელშიც ნაწყლებ-ტერიტორია გამოდის იმავე წელს, მეორე ნაწილი იზამთრებს) რიცხვის გადილება.

ემბრიონული განვითარების შორისულმა ტემპერატურამ, ჩვენი წარმოდგენით, უნდა დაარღვიოს ჭის ჩვეული ბუნება, ამიტომ ჭიებმა გარემოს ზემოქმედების მიმართ უფრო მეტი მგრძნობიერება, უფრო მეტი ამთვისებლობა უნდა გამოიჩინონ, მაგრამ როგორ შეიძლება ამის განსაზღვრა?

ამის დადგენი შეიძლება ჭიების სხვადასხვანაირი კვების რეჟიმის პირობების მიმართ მათი პასუხით, მათი ამთვისებლობის ხასიათით, მაგრამ სამწუხაროდ საზოგადოდ სხვადასხვა კვების რეჟიმის საკითხიც მეაბრეშუმეობაში ძალიან სუსტად არის შესწავლილი და დამუშავებული.

ცნობილია მხოლოდ, რომ ხშირი კვება სხვა სათანადო კომპლექს-გარემო პირობებში აჩქარებს ჭის ზრდა-განვითარებას. ხოლო ფოთლის მდგრადიობისა და მისი შემთხვევანლობის გავლენის საკითხი აბრეშუმის ჭის პარკის მოსავლიანობაზე და მის ხარისხზე სათანადო ექსპერიმენტებით ჯერ კიდევ ნაკლებადა გაშუქებული.

ამიტომ ჩვენ ცდებში კვების სხვადასხვა რეჟიმის გამოყენება ამავე დროს ამ უკანასკნელის შესწავლაც იქნებოდა, რაც თემის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ზრდიდა.

დასახელებული საკითხების გამოსარკვევად ჩვენ მიერ აღებულ იქნა ის ბიგოლტინური ჯიში № 110, რომელსაც წარმოებაში ჰქვებავენ პირობების მისაღებად განმეორებითი გამოკვებისათვის.

ის შესწავლილ იქნა ინკუბაციის მაღალი, დაბალი, შორისული ტემპერატურისა და ჩვეულებრივი კვების პირობებში, მხოლოდ ვოლტინიზმის ცვლილებების გამოსარკვევად.

შეორე სერიისათვის აღებულ იქნა იგივე ბიგოლტინური ჯიში № 110, ამ ჯიშის გრენის ერთი ნაწილის ინკუბაცია გაზიფხულზე ჩატარდა დაბალი ტემპერატურის პირობებში ($15-16^{\circ}\text{C}$), მეორისა — შორისული ტემპერატურის პირობებში ($20-22^{\circ}\text{C}$). ორივე ცდაში დაცული იყო სიბნელე და 75% ტენიანობა.

გრენის ინკუბაციის დასახელებულ პირობებში ჭიები შესწავლილ იქნენ კვების ერთისა და იძევე რეჟიმის გამოყენებით; სახელდობრ, აღებულ იქნა შემდეგი ვარიანტები:

- 1) კვება ორ საათში ერთხელ (საკონტროლო);
 - 2) სამ საათში ერთხელ კვება (შემცირებული კვება);
 - 3) საათში ერთხელ (ღამის გამოშვებით) კვება (გაძლიერებული კვება);
 - 4) ნორჩი ფოთლით კვება (ნორჩი ფოთლად მიგიჩნიეთ ორი-სამი ფოთოლი თუთის ტოტების კენჭეროში ახლად გამოსულ ფოთლამდე);
 - 5) დამჭენარი ფოთლით კვება (გაძოიყვნებოდა ხოლმე წინა დღით მოკრეფილი ფოთლები).
- ცდები დაყენებულ იქნა თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის პლანტაციაში.

მიღებელი გედეგი

ცარიცალი
გიგანტი

გრენის ინკუბაციის დაბალი ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიების კონკრეტული გამოვლენის შედეგები წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

ცხრილი № 1.

გრენის ინკუბაციის დაბალი ტემპერატურის 15°C პირობებში გამოსული ჭიების კონკრეტული გამოვლენის შედეგები

| განმეო- რება | სულ ნადებთა რაოდე- ნობა | მ ა თ შ ი რ ი ს | | | გამოსულ ნადებთა პრო- ცენტი | შერეულ ნადებთა პრო- ცენტი |
|-----------------|----------------------------------|-----------------|---------|----------------|-------------------------------------|------------------------------------|
| | | ჭია გამოვიდა | შერეული | დაინამ- თრა | | |
| 1 | 206 | 206 | — | — | 100,0 | — |
| 2 | 230 | 229 | — | 1 | 99,6 | — |
| 3 | 161 | 157 | — | 4 | 97,5 | — |
| 4 | 203 | 183 | 2 | 18 | 90,1 | 1,0 |
| 5 | 188 | 186 | — | 2 | 98,9 | — |
| 6 | 241 | 222 | 3 | 16 | 92,1 | 1,2 |
| ს უ ლ | 1229 | 1183 | 5 | 41 | 96,3 | 0,4 |

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ დაბალი ტემპერატურის პირობებში ინკუბირებულ გრენიდან გამოსული ჭიების ისეთი ინდივიდების რაოდენობა, რომლებიც იმავე წელს მომდევნო თაობას იძლევიან, განმეორების მიხედვით 90-დან 100 პროცენტამდე აღწევს, მათი საშუალო რაოდენობა კი 96 პროცენტს უდრის.

ამავე დროს მაღალი ტემპერატურა იმდენად ძლიერ გავლენას ახდენს, რომ მომდევნო თაობის წარმოქმნის ონარს ჭიების ძლიერ მცირე რაოდენობა ინარჩუნებს. დანარჩენი კი ამ თვეისებას ჰყარგავს (იხ. ცხრილი № 2).

ცხრილი № 2.

ინკუბაციის მაღალი $26-27^{\circ} \text{C}$ პირობებში გამოსული ჭიების კონკრეტული გამოვლენის შედეგები

| განმეო- რება | სულ ნადებთა რაოდე- ნობა | მ ა თ შ ი რ ი ს | | | გამოსულ ნადებთა პრო- ცენტი | შერეულ ნადებთა პრო- ცენტი |
|-----------------|----------------------------------|-----------------|---------|----------------|-------------------------------------|------------------------------------|
| | | ჭია გამოვიდა | შერეული | დაინამ- თრა | | |
| 1 | 325 | 9 | — | 316 | 2,8 | — |
| 2 | 227 | 3 | — | 224 | 1,3 | — |
| 3 | 211 | 2 | — | 209 | 0,9 | — |
| 4 | 317 | 5 | — | 312 | 1,6 | — |
| 5 | 202 | 2 | 1 | 199 | 9,9 | 0,5 |
| 6 | 137 | — | — | 137 | — | — |
| ს უ ლ | 1419 | 21 | 1 | 1397 | 1,5 | 0,1 |



უნდა აღინიშნოს, რომ ისე როგორც დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შერეულ ნადებთა პროცენტი აქ ძლიერ იშვიათად გვხვდება. სულ სხვა სურათს გვაძლევს შორისული ტემპერატურის პირობებში ინკუბირებული ვრენიდან გამოსული ჭიები.

ცხრილი № 3.

ინკუბაციის შორისული ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიების კოლოფინბის
გამოკვლევის შედეგები

| განმეო- რება | სულ ნადებთა რაოდე- ნობა | მ ა თ შორის | | | გამოსულ ნადებთა პრო- ცენტი | შერეულ ნადებთა პრო- ცენტი |
|-----------------|----------------------------------|----------------------|---------|----------------|-------------------------------------|------------------------------------|
| | | ჭიების გამოგებიდა | შერეული | დაიზამ- თრა | | |
| 1 | 230 | 89 | 23 | 118 | 38,7 | 10,0 |
| 2 | 187 | 91 | 3 | 93 | 48,7 | 1,6 |
| 3 | 149 | 24 | 5 | 120 | 16,1 | 3,4 |
| 4 | 214 | 40 | 7 | 167 | 18,7 | 3,3 |
| 5 | 233 | 65 | 12 | 156 | 27,9 | 5,2 |
| 6 | 225 | 60 | 13 | 152 | 26,7 | 5,8 |
| სულ | 1238 | 369 | 63 | 806 | 29,8 | 5,1 |

აქ ჭიის მიერ მომდევნო (მეორე) თაობის წარმოქმნის უნარი თუმცა ბევრად შემცირდა, მაგრამ ჭიების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მაინც განავითარა ბივოლტინობის თვისება. ამასთან ერთად გაიზარდა შერეულ ნადებთა პროცენტი, განსხვავებით იმ ჭიებისაგან, რომლებმაც თავისი ემბრიონალური პერიოდი განვლეს დაბალი ან მაღალი ტემპერატურის პირობებში.

ამრიგად, შორისული ტემპერატურის პირობებში ჭიების ერთმა ნაწილმა მოგვცა მომდევნო თაობა, მეორე ნაწილმა—მოზამთრე გრენა, ხოლო მესამე ნაწილმა გამოიჩინა როგორც ერთის, ისე მეორის თვისება.

ინ მიზნით, რომ გამოგვერკვით ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიების ფიზიოლოგიური მდგომარეობა, მათი ბუნება, ჩვენ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ეს ჭიები შევისწავლეთ კვების სხვადასხვა პირობებში.

№ 4 ცხრილში წარმოდგენილია ინკუბაციის დაწეული (15°) და აწეული (21°) ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიების ზრდის მაჩვენებლები (პარკის წონა).

ნაჩვენებია სამი განმეორების გამოწონილი საშუალო ყოველ ვარიანტზე (თითოეულ განმეორებაში 250 ჭია იყო).

გრენას თექუბაციის სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიების
ზრდის მაჩვენებლები განხხავებული კვებისას

| კვების გარიანტი | ინკუბაციის ტემპერატურა | |
|----------------------------------|--------------------------|--------------------------|
| | 15° | 21° |
| | პარკის წონა $M \pm m$ | პარკის წონა $M \pm m$ |
| საკონტროლო | 1230 \pm 14 | 1431 \pm 15 |
| დამჭერარი ფოთლით კვება | 1173 \pm 14 | 1203 \pm 17 |
| შემცირებული კვება | 1208 \pm 14 | 1309 \pm 16 |
| გაძლიერებული კვება | 1318 \pm 16 | 1558 \pm 22 |
| ნორჩი ფოთლით კვება | 1413 \pm 20 | 1590 \pm 17 |

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, დამჭერარი ფოთლით კვება და შემცირებული კვება ძლიერ აფერხებს ჭიის ზრდის პროცესებს ინკუბაციის ტემპერატურის ორივე გარიანტში. პარკის წონა ძლიერ ეცემა, ამით ცხადია ძლიერ მცირდება აბსოლუტური აბრეშუმიანობაც. პირიქით, ჭიის ზრდის ინტენსივობას ძლიერ უწყობს ხელს გაძლიერებული კვება და ნორჩი ფოთლით კვება.

მთავარი აქ ისაა, რომ ინკუბაციის ტემპერატურული პირობები ძლიერ დიდ გავლენას ახდენს ზრდის ინტენსივობაზე. ინკუბაციის 21°-ის პირობებში გამოსული ჭიები ზრდის უფრო მეტი ინტენსიურობით ხასიათდებიან, ვიდრე 15°-ის პირობებში გამოსული ჭიები. უწინარეს ყოვლისა დიდია საკონტროლო გარიანტის პარკის საშუალო წონა.

ამასთან ინკუბაციის 21°-ის პირობებში გამოსული ჭიები კვების სხვადასხვა რეზიმისას უფრო დიდ განსხვავებას გვიჩვენებენ, ვიდრე 15°-ის პირობებში გამოსული ჭიები.

21°-ის პირობებში გამოსული ჭიები ცუდი კვებისა და კარგი კვების პირობებისაღმი მცველო რეაგირებას ახდენენ. ასე, მაგალითად, გაძლიერებული კვების პირობებში პარკის წონა აქ თითქმის ორჯერ უფრო მეტად იზრდება, ვიდრე პირველ შემთხვევაში. მაღალია აგრეთვე პარკის წონა ნორჩი ფოთლით კვების შემთხვევაში.

ამრიგად, ზრდის დიდი ცვალებადობა კვების სხვადასხვა რეზიმის პირობებში უნდა აიხსნას იმით, რომ შორისული ტემპერატურა იწვევს ჭიების ბუნების მემკვიდრეობითობის შერყევას, რაც აპირობებს მათ მეტ რეაგირებას გარემო პირობების მიმართ.

ინკუბაციის შორისული ტემპერატურის ზემოქმედებით შერყეული მენცვიდრეობითობის მქონე ჭიები შესაძლებლობას გვაძლევენ, ბიგოლტინური ჯიშის ჭიების მიმართულებითი აღზრდის საშუალებით, დიფერენცირებული კვების

გზით, შედარებით უფრო აღვილად შეცვალოთ ორგანოთა შეცვალით ზრდა, იმგარად, რომ პარკის საერთო წონის ზრდასთან ერთად უფრო მეტად გავზარდოთ აბრეშუმ-გამომყოფი ჯირკვალი და თავიდან ავიცინოთ კიების ცხიმივანი ნაწილის ზედმეტი ზრდა, რასაც აღვილი აქვს არადიფერენციებული კვების რეაქტივას.

მიღებული შედეგებით შეიძლება ავსნათ მთელი რიგი მოვლენები, რომელთაც აღვილი ჰქონდა აბრეშუმის ჭიის ევოლუციური განვითარების პროცესში. უნდა ვივარიულოთ, რომ დიდი იყო ტემპერატურის გარდამქნელი როლი აბრეშუმის ჭიის პოლივოლტინური კიების ბივოლტინურ ჯიშებად, ხოლო ამ უკანასკნელთა მონოვოლტინურ ჯიშებად გარდაქნის პროცესში, რომელიც ბუნებაში შედარებით აღვილად ხდებოდა კლიმატური პირობების შეცვლისას. ცხადია, ტემპერატურა ყოველთვის მოქმედებდა სხვა ფაქტორებთან პირველ რიგში კი კვებასთან კომპლექსში.

მიღებული მონაცემების საფუძველზე ისახება ბივოლტინური ჯიშების მემკვიდრეობითობის გარდაქმნის მეთოდი გარემოს ზემოქმედების საშუალებით.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ წარმოების პირობებში ბივოლტინური ჯიშების ხალასად მოშენებისას გრენის დამზადებას მხოლოდ გაზაფხულის გამოკვებიდან აწარმოებენ. ამასთან, იმისათვის, რომ გაზაფხულზე გამოკვებულმა კიებმა მეორე (შვილეული) თაობა არ მოგვცენ, გაზაფხულობით გრენის ინკუბაციას მაღალი ტემპერატურის პირობებში ახდენენ. ამ გარემოებას დროთა განმავლობაში არ შეეძლო არ გამოეწვია ბივოლტინობის დონის დაცემა და მონოვოლტინობის გაძლიერება. სინამდვილეში ასეც მოხდა.

ჩვენ შევეხისწავლეთ იმ ჯიშების ბივოლტინობა, რომლებსაც ქუთაისის ზონა-ლურ საფურაში საკოლექციო მიზნით ხალასად აშენებდნენ და მთელი რიგი წლების მანძილზე თესლს ყოველთვის საგაზაფხულო გამოკვებებიდან ამზადებდნენ. შედეგები წარმოდენილია № 5 ცხრილში.

ბივოლტინობის დონე სხვადასხვა ბივოლტინურ ჯიშებში ცხრილი № 5.

| ჯ ი შ ი | ლ ე ბ ი ნ ი ნ უ რ ი ს ა ც ე ბ ი ნ ი ნ უ რ ი | მათ შორის | | ბივოლტინობის პროცენტი | შეცვალ ნადებ- თა პოცენტი |
|-----------------------|---|------------------|---------|--------------------------|-----------------------------|
| | | ბივოლ- ტინური | შერეული | | |
| საგამი | 847 | 579 | 6 | $68,4 \pm 1,6$ | $0,7 \pm 0,3$ |
| ბივოლტინური 106 . . . | 301 | 238 | 8 | $79,1 \pm 2,3$ | $2,7 \pm 0,9$ |
| ბივოლტინური 110 . . . | 1235 | 1099 | 2 | $89,0 \pm 0,9$ | $0,2 \pm 0,1$ |
| ბივოლტინური 109 . . . | 51 | 46 | 2 | $90,2 \pm 2,0$ | $3,9 \pm 2,7$ |
| ბივოლტინური 107 . . . | 361 | 329 | 10 | $91,1 \pm 1,5$ | $0,3 \pm 0,3$ |
| ქუთაისური ბივოლტინური | 338 | 327 | 2 | $97,8 \pm 1,0$ | $0,6 \pm 0,4$ |
| ბივოლტინური 101 . . . | 657 | 649 | 5 | $98,8 \pm 0,4$ | $0,8 \pm 0,3$ |
| ბივოლტინური 105 . . . | 571 | 561 | 5 | $98,3 \pm 0,6$ | $0,9 \pm 0,4$ |
| აღზრუშ | 500 | 500 | — | 100 | — |

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ბივოლტინობის მაღალ დონეს მხოლოდ ოთხი ჯიში იჩენს (აოშიკუ, ბივოლტინური 101, 105 და ქუთაისური ბივოლტინური).

ყველა დანარჩენ ჯიშებში კი ბივოლტინური ჯიშებისათვის დამახასიათებელი ბივოლტინობის დონე დარღვეულია, შემცირებულია. პირველ ყოვლისა ბივოლტინობის დონე ძლიერ არის. დაცემული საგამში, რომლის ბივოლტინობა მხოლოდ 68%-ს უდრის, ბივოლტინობა დაბალია აგრეთვე სხვა ჯიშებშიც, როგორიცაა ბივოლტინური 106, 110 და 109.

ამრიგად, იმის გამო, რომ ბივოლტინური ჯიშების აღზრდა ამ ხდებოდა ჯიშის ბუნების შესაბამისად გაზაფხულზე ინკუბაციის დაბალი ტემპერატურის პირობებში, ე. ი. იმის გამო, რომ თესლს აღზადებდნენ გაზაფხულის გამოკვებიდან და არა ზაფხულის გამოკვებიდან, დაეცა მათში ბივოლტინობის დონე. უდავოა, რომ ბივოლტინობის დონის დაცემასთან ერთად მათში მოხდა სხვა ცვლილებებიც — პირველ რიგში კი ზრდაში და ცხოველმყოფელობის მხრივ.

გამოკვების ამ წესის შემდგომში გამოყენება კიდევ უფრო გააუარესებს ბივოლტინურ ჯიშებს, როგორც კომპონენტებს ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოსაყვანად განმეორებითი გამოკვებისათვის.

ამიტომ ჩვენი გამოკვლევების საფუძველზე ვურჩევთ წარმოებასა და ყველა იმ დაწესებულებებს, რომლებიც ბივოლტინურ ჯიშებს ხალასად აშენებენ, რათა გრენა მომდევნო წლისათვის დაამზადონ ზაფხულის გამოკვებიდან, ე. ი. დააგენერიფილონ ბივოლტინური ჯიშების მოთხოვნები გარემოს პირობების მიმართ.

საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამ ჯიშებში ბივოლტინობის თვისების მევეთრიად გაძლიერება, თუ პირველი თაობის გრენის ინკუბაციის დაბალი ტემპერატურის პირობებში მოვახდენ და ზაფხულში მხოლოდ იმ ნალებებს გამოკვებავთ, რომლებიც მეორე შეილეულ თაობას მოგეცემენ, მოზამთრენადებებს კი გამოვრიცხავთ.

დასკვნა

1. შრომაში მოტანილია აბრეშუმის ჭიის ბივოლტინური ჯიშის (ბივოლტინური 110) აღზრდის საშუალებით გარდაქმნის შესახებ წინასწარი გამოკვლევის შედეგები.

2. შრომაში დადგენილია, რომ გრენის ინკუბაციის შორისული ტემპერატურა ($20-21^{\circ}$), გ. ნსხვავებით მაღალი ტემპერატურისა ($26-27^{\circ}$) და დაბალი ტემპერატურისაგან (15°), ზრდის მეორე თაობის შერეულ ნალებთა პროცენტს, ე. ი. ისეთი ნალებებისას, სადაც ერთსა და იმავე ნალებში ნაწილი გრენისა ვითარდება იმავე წელს, ნაწილი კი მეორე წელს.

3. დადგენილია, რომ ინკუბაციის შორისული ტემპერატურის პირობებში განვითარებული გრენიდან გამოსული ჭიები უფრო დიდ დამყოლობას გვიჩვენებენ კვების სხვადასხვა რეჟიმის მიმართ ჭიის ზრდის ცვალებადობის მხრივ (პარესი წონა), ვიდრე ინკუბაციის დაბალი ტემპერატურის პირობებში გამოსული ჭიები.



4. მიღებული შედეგები ჩვენი აზრით იმას მიგვითითებენ, რომ შორის სული ტემპერატურა იწვევს ბივოლტინური ჯიშის ჭირის მემკვიდრეობის შეზრყვას.

5. მიღებული მონაცემების საფუძველზე ისახება ბივოლტინური ჯიშების მემკვიდრეობის გარდა ქმნის მეთოდი, გარემოს საშუალებით ჩვენთვის სასურველი მიმართულებით.

6. შრომაში მოტანილი მონაცემები ნათელჲყოფენ, რომ გრენის ინკუბაცია მაღალი ტემპერატურის პირობებში იწვევს ბივოლტინური ჯიშების ბივოლტინობის შესუსტებას და თანდათანობით მიახლოვებას მონოვოლტინურ ჯიშებთან. ამიტომ ბივოლტინური ჯიშების გრენის დამზადება შემდგომი წლისათვის მხოლოდ ზაფხულის გამოკვებიდან უნდა ხდებოდეს.

ლიტერატურა

1. С. И. Боголюбский, Развитие цыплят, выведенных из яиц с замененным белком: Труды Пушкинской Научно-Исследовательской Лаборатории с.-х. животных, № 3. 1949.
2. Н. Я. Кузнецов, Основы физиологии насекомых, том I. 1948.
3. Т. Д. Лысенко, Агробиология. 1949.
4. И. В. Мичурина, Сочинения, том I. 1939.
5. В. Б. Уигглсуорс, Физиология насекомых. 1937.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გენეტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. I. 17).

Г. М. Папалашвили

О переделке природы бивольтинной породы тутового шелкопряда воспитанием

Резюме

Передовое материалистическое учение Мичурина-Лысенко доказало, что при создании новых форм животных и растений необходимо преодолеть консерватизм наследственности, получив особы с расщепленной наследственностью и затем путем воспитания в соответствующих условиях внешней среды выработать новый желательный тип наследственности.

Расщепление наследственности у животных до сих пор производилось преимущественно половой гибридизацией.

В настоящей предварительной работе мы изучили вопрос о расщатывании наследственности у японской бивольтинной породы тутового шелкопряда № 110 воздействием условиями внешней среды.

Известно, что низкая температура инкубации 15°C у бивольтинных пород в комплексе с другими факторами внешней среды обусловливает бивольтинность (грена второго поколения оживляется в том же году), а высокая $26-27^{\circ}$ — моновольтинность (грена второго поколения зимует до следующего года), т. е. при низкой температуре инкубации процесс развития идет в одном направлении, а при высокой — в другом.

В работе устанавливается, что при промежуточной температуре инкубации грены $20-21^{\circ}\text{C}$ наряду с тем, что часть особей дает зимующую, а другая часть оживающую грену, растет процент таких особей, которые дают смешанные кладки, т. е. в одной и той же кладке часть грены оживает, а другая зимует. Но что важно, гусеницы, полученные из грены, проинкубированной при 21° и в условиях разного кормового режима: при кормлении молодым листом, подвяленым листом, при повышенном или при пониженном кормлении, показывают значительно более сильную реакцию, выражющуюся в ускорении или замедлении роста, чем гусеницы, вышедшие из грены, проинкубированной при 15°C .

На основании этих фактов в работе дается вывод, что при температуре инкубации $20-21^{\circ}\text{C}$ расщатывается наследственность бивольтинной породы тутового шелкопряда, вследствие чего и растет ее пластичность, податливость к внешним условиям.

Нам кажется, что при диференцированном кормлении может быть успешно достигнут сдвиг по получению более значительного относительного роста органов и тканей и тем самым продуктивности тутового шелкопряда в нужном нам направлении. Этот вопрос нами разрабатывается последующими экспериментами.

В работе приводятся материалы, доказывающие, что существующая практика инкубации грены бивольтинных пород при высокой температуре, применяемая с целью устранения бивольтинности, и заготовка грены для следующего года из весенних выкормок, приводят к ослаблению бивольтинности.

При этом, очевидно, изменяются и другие признаки характерные для бивольтинных пород. Это обстоятельство может играть отрицательную роль при создании новых пород для летне-осенних выкормок, когда в качестве одного из родительской пары используется бивольтинная порода.

Поэтому воспитание гусениц бивольтинных пород в летнем сезоне и заготовка грены для следующего года из летней выкормки являются необходимыми.

ქ. გივაზვიდი

ა გ რ ა გ ა ნ ი ს ფ ი ს (BOMBYX MORI) ს ა ს . ს ა მ . მ ი ნ ი ვ ა ლ რ ბ ი ს
მ ე რ ნ ი ნ ი შ ა ნ ი ვ ი ს ე ა თ ა მ რ ი ს კ ა ვ ი რ ი ს ს ა ს ი ა თ ი
ა ღ ზ ა რ ი ს ს ხ ვ ა ს ხ ვ ა პ ი რ ბ ე ბ ი ს

მიჩურინული ა გ რ ა გ ა ნ ი ს ფ ი ს გ ა ნ ი ხ ი ლ ა ვ ს გ ა ნ უ-
ყ უ რ ე ლ უ რ თ ი ე რ თ კ ა ვ შ ი რ ი ს ა დ უ რ თ ი ე რ მ ი მ ე დ ე ბ ა შ ი , რ ა ც ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ნ ი ვ-
თ ი ე რ ე ბ ა თ ა ც ვ ლ ი ს გ ზ ი თ . ა მ დ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ზ ე ი . ვ . მ ი ჩ უ რ ი ნ ი ძ ა დ
დ ა ტ . დ . ლ ი ს ე ნ კ ო დ ა მ ა თ ი მ ი მ დ ე ვ რ ე ბ ი წ ა რ მ ა ტ ე ბ ი თ ა ხ დ ე ნ ე ნ ა გ რ ა გ ა ნ ი ს ფ ი ს
გ ა რ დ ა ვ მ ნ ა ს მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ა ღ ზ რ დ ი ს გ ზ ი თ .

ც ო ც ხ ა ლ ი ს ხ ე უ ლ ი ს ს ა ს უ რ ვ ე ლ ი ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს ს ა ქ მ ე შ ი ა კ ა დ-
ლ ი ს ე ნ კ ო დ ი დ მ ნ ი შ ე ნ ე ლ ო ბ ა ს ა ნ ი ქ ე ბ ს ი მ უ რ თ ი ე რ თ ი მ ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს გ ა მ ო რ-
კ ვ ე ვ ა ს , რ მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ი მ ბ ა ს ა რ გ ა ნ ი ს ფ ი ს ნ ი შ ა ნ თ ვ ი ს ე ბ ა თ ა შ ო რ ი ს , ე რ თ ი მ ხ რ ი თ ,
დ ა ნ ი შ ა ნ თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი ს ა დ გ ა რ ე მ ო ს შ ო რ ი ს , მ ე რ რ ე მ ხ რ ი თ . ი ს წ ე რ ს : „ ბ ი მ ლ ი-
გ ე ბ ი ძ ა ლ ი ა ნ ნ ა კ ლ ე ბ ა დ მ უ შ ა მ ბ დ ე ნ ე ნ ი მ ი მ უ რ თ ი ე რ თ ი მ ბ ი ს , ბ უ ნ ე ბ რ ი ვ - ი ს ტ ი რ ი-
უ ლ ი კ ა ნ ი ნ ხ ო მ ი ე რ ი კ ა ვ შ ი რ ი ს შ ე ს ა ს წ ა ე ლ ა დ , რ მ ე ლ ი ც ა რ ს ე ბ ი მ ბ ა ს ც ა ლ კ ე უ ლ
ს ხ ე უ ლ ე ბ ს , ც ა ლ კ ე უ ლ მ ო ვ ლ ე ნ ე ბ ს შ ო რ ი ს , ც ა ლ კ ე უ ლ ს ხ ე უ ლ თ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ს ა დ
ც ა ლ კ ე უ ლ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა რ გ ლ ე ბ ს შ ო რ ი ს . ა მ ა ვ ე დ რ ი ს კ ი ს წ მ რ ე დ ე ს კ ა ვ შ ი რ ი ,
უ რ თ ი ე რ თ ი მ ი ე რ ი უ რ თ ი ე რ თ მ ი მ უ დ ე ბ ა დ ი ღ ლ ე ვ ა ი მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს ,
რ მ შ ე ვ ი ც ნ ი თ გ ა ნ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ი ც ე ს , ბ ი მ ლ ი გ ი უ რ მ ო ვ ლ ე ნ ა თ ა რ ს ი ” .

გ ა რ ე მ ო ს ა ქ ტ ი უ რ ი რ ო ლ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ჯ ი შ ე ბ ი ს ფ ი რ მ ი-
რ ე ბ ა შ ი , მ ი ს ი ი ს ტ ი რ ი უ ლ ი გ ა ნ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ი ც ე ს შ ი , მ ე ტ ა დ დ ი დ ი ი ყ ო . ს ხ ვ ა-
დ ა ს ხ ვ ა პ ი რ ი მ ე ბ შ ი ა ღ ზ რ დ ა მ დ ა გ ა რ დ ა რ ე ვ ა - შ ე რ ჩ ე ვ ა მ , რ მ ე ლ ს ა ც ა დ ა მ ი ა ნ ი
მ რ ა ვ ა ლ ი ს ა უ კ უ ნ ი ს მ ა ნ დ ი ლ ზ ე ა წ ა რ მ ი ე ბ დ ა , გ ა მ ი წ ვ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი შ ი მ ი ს ი
ს ხ ე უ ლ ი ს ლ რ მ ა გ ა რ დ ა ვ მ ნ ა . მ ა ს თ ა ნ გ ე რ ე რ ა ფ ი უ ლ მ ა გ ა რ ე მ ო მ დ ი დ ი რ ი რ ი
შ ე ა ს რ უ ლ ა ჯ ი შ თ ა წ ა რ მ ი შ მ ნ ი ს პ რ ი ც ე ს შ ი .

ა მ ა ს ნ ა თ ლ ა დ გ ვ ი ჩ ვ ე ნ ე ბ ს Bombyx mori - ს ჯ ი შ თ ა მ ე ტ ა დ დ ი დ ი ს ს ხ ვ ა დ-
ს ხ ვ ა მ ბ ა ბ ი მ ლ ი გ ი უ რ ი დ ა მ ო რ ა ფ ი ლ ი გ ი უ რ ი ნ ი შ ა ნ თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი ს მ ხ რ ი ვ . ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა
ე კ ი ლ ი გ ი უ რ ი ბ ი რ ი მ ე ბ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ა დ ლ რ მ ა დ შ ე ი ც ვ ა ლ ა წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ-
ლ ი გ ი უ რ ი ა ბ რ ე შ უ მ ი ს ჭ ი ს მ ი ე რ ა მ ა თ ა თ უ ი მ რ ა მ დ ე ნ მ ი ბ ი ს თ ა მ ბ ი ს წ ა რ მ ი შ მ ნ ი ს
უ ნ ა რ ი — გ რ ლ ტ ი ნ ი შ მ ი ს (ა ნ ც ი კ ლ ი უ რ ი ბ ი) . წ ა რ მ ი შ ე ნ ე ნ ბ ი ლ ი გ ი უ რ ი ნ ი შ ე ნ ე ნ ი ს
ბ ი ვ ი ლ ტ ი ნ უ რ ი დ ა მ ო ნ ვ ი ლ ტ ი ნ უ რ ი ჯ ი შ ე ბ ი . ს ა ა რ ს ე ბ ი ს პ ი ნ ი მ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ
შ ე ი ც ვ ა ლ ა ნ ე დ ლ ი პ ა რ კ ი ს წ ო ნ ა , რ მ ე ლ ი ც ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ჯ ი შ ე ბ შ ი მ ე რ უ კ ე ბ ი ს
1 გ რ ა მ ი დ ა ნ 3,5 გ რ ა მ ა მ დ ე დ ა ზ ო გ ჯ ე რ 4 გ რ ა მ ა მ დ ე ც კ ი ; ა ბ რ ე შ უ მ ი ა ნ მ ბ ა 11% - დ ა ნ



25%-მდე და კიდევ უფრო მეტი. ჯიშთა შორის სხვაობას კიდევ უფრო მდებარებული ზრდიდა აგრეთვე ადამიანის მიერ გამოყენებულ ჯიშთა შორის შეჯერება, შერეცული მეტვიდრეობითობის მიღება და შემდგომი აღზრდა.

ყოველივე ამის შემდეგ ნათელია აქტუალურობა საკითხისა აღზრდის როლის შესახებ სხვადასხვა ნიშანთვისებათა შორის კონკრეტული ურთიერთობის დამყარების საქმეში. სწორედ ამ მიზანს ისახავს თემა, რომელზედაც ჩატარებულ იქნა მუშაობა 1949 წლის განმავლობაში.

მასალა და მუშაობის გათოლიკა

ექსპერიმენტული მუშაობის მასალად აღებული იყო წარმოებაში გავრცელებული ჯიში იაპონური ბივოლტინური № 110. მუშაობა ჩატარებულ იქნა თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის პლანტაციაში გაზაფხულის თვეებში.

ჩვენი მეთოდიკა ეყრდნობა მინიჭინული ბიოლოგის დებულებას, — რომ ორგანიზმის კონკრეტული ცვლილებების ხასიათი შეპირობებულია ცოცხალი სხეულის ისტორიულად ჩამოყალიბებული ორგანიზმაციით, გარემოს ზემოქმედი პირობებით ტა თოვანიზმის იშ სტადიით, რომელზედაც გარემოს პირობები მოქმედებენ.

მიჩურინის მიერ აღმოჩენილი კანონის თანახმად გარემოს გარდამჯნელ ზემოქმედებას ყველაზე უფრო მეტიდ ეჭვემდებარება ცოცხალი სხეული ჯერ ემბრიონალური პერიოდის და შემდეგ ახალგაზრდობის პერიოდის მანძილზე, რაღაც ამ პერიოდებში წარმოებს ორგანიზმის ჩამოყალიბება, მისი სათანადო გაფორმება. ამიტომ ჩვენ აღზრდის სხვადასხვა პირობებს, სხვადასხვა ტემპერატურის ზემოქმედებას დავუძევებდებარეთ ჭირის ემბრიონალური განვითარების პერიოდი; გრენის ინკუბაცია მოვახდინეთ 15°C და 25°C ტემპერატურის პირობებში. ცოცხალი სხეულის გარდაქმნის აქტიური ზემოქმედების საშუალებას წარმოადგენს კვების რეჟიმი, რაღაც თოვანიზმი სასიმილაციო მასალით ავებს თავის თავს და სცელის კიდეც თავის თავს.

ჭირის გამოკვებას ვაწარმოებდით:

1. ჩვეულებრივი. შერეცული ფოთლით ორ საათში ერთხელ (საკონტროლო).

2. ახალგაზრდა (ნორჩი) ფოთლით. ახალგაზრდად მივიჩნიეთ ტოტის კენწეროს ორი ახლად გამოტანილი ფოთლის ქვემოთ გაწყობილი ორი-სამი ფოთლი, რომელთაც ცალკე ვაგროვებდით საცდელი ჭიების სათანადო ვარიანტებისათვის.

3. უხეში ფოთლით, რომელსაც ვაგროვებდით ტოტის ძირთან გაწყობილი უკანასკნელი ორი-სამი ფოთლიდან.

4. ხშირი გამოკვება, — ასეთ შემთხვევაში გამოკვება ხდებოდა ჩვეულებრივი ფოთლით, მხოლოდ საათში ერთხელ — მოელი გამოკვების პერიოდის განმავლობაში. თითოეულ ვარიანტში აღებული იყო 300 ჭია, მეორე ასაკიდან სამ განმეორებად.

ჭიის ცხოველმყოფელობის განსაზღვრა ხდებოდა შემდეგნაირად:

მიღებული ცოცხალი პარკის რაოდენობა $\times 100$

ჭიის რაოდენობაზე მეორე ასკვში.

პარკის ჩამოხსნა ხდებოდა პარკის ახვევის დაწყებიდან მეშვიდე დღეს, ხოლო აწონა მერვე დღეს.

ჭიის კვება წარმოებდა დიღის 7 საათიდან საღამოს 10 საათამდე. გამოკვების შედეგად მიღებული მასალა ბიომეტრიულად დამუშავდა და დადგენილ იქნა ძირითადი მაჩვენებლები.

მოლუსკი გაღებები

ინკუბაციის სხეადასხეა ტემპერატურის პირობებში მიღებული კოების გამოკვების შედეგები წარმოდგენილია № 1 ტაბულაში.

გამოკვების შედეგები განსხვავებულ ტემპერატურაზე ინკუბაციისას

ტაბულა № 1

| ინკუბაციის ტემპერატურა °C | ნაცვენე № | გრძელების დრო სანაცვენე წლები | ცხოველ- მყოფელობა | პარკის წონა მიღებულობით $M \pm m$ | პარკის წონა მიღებულობით ბიომეტრიული $M \pm m$ | აბრეშუმიანო- ბის % | კორელაცია პარკის წონასა და აბრეშუმია- ნობას შორის |
|---------------------------------|--------------|--|----------------------|---|--|-----------------------|--|
| 21°C | № 25 | 34 დღე | 95,67 % | 1433,70 \pm 25,44 | 14,22 \pm 0,19 | - 0,41 \pm 0,08 | |
| | № 24 | 34 " | 81,67 % | 1444,10 \pm 29,40 | 14,05 \pm 0,19 | - 0,33 \pm 0,09 | |
| | № 39 | 34 " | 69,33 % | 1417,50 \pm 24,97 | 14,84 \pm 0,22 | - 0,38 \pm 0,09 | |
| 15°C | № 23 | 34 დღე | 70,67 % | 1184,70 \pm 21,54 | 12,74 \pm 0,22 | - 0,16 \pm 0,10 | |
| | № 19 | 34 " | 76,00 % | 1230,30 \pm 23,92 | 13,38 \pm 0,39 | - 0,23 \pm 0,10 | |
| | № 20 | 34 " | 72,33 % | 1300,50 \pm 23,88 | 12,67 \pm 0,24 | - 0,15 \pm 0,10 | |

წარმოდგენილი მონაცემები სავსებით ადასტურებენ გ. პაპალაშვილის (1949) გამოკვლევის შედეგებს, რომ გრენის ინკუბაციის 21°-ის პირობებში მიღებული ჭიები უფრო ინტენსიურ ზრდას იჩენენ, ვიდრე 15°-ის პირობებში. ამასთან გაზრდილია როგორც პარკის წონა, ისე აბრეშუმიანობის პროცენტი ნედლ პარკში; მაგრამ ეს ორი ნიშანთვისება, როგორც კორელაციის კოეფიციენტები გვიჩვენებენ, არათანაბარ ზრდას ავითარებს.

ემბრიონალური განვითარების პროცესში 21°-იანი ტემპერატურის ასიმილაციის შედეგად უფრო მეტად იზრდება ჭიის სხეული და მას ჩამორჩება აბრეშუმგამოყოფი ჯირკვლის ზრდა.

ამ კანონზომიერებას ადგილი აქვს ყველა განმეორებებში მეტი თუ ნაკლები ცვალებადობით. ამ გარემოებას, გარდა ზოგადიოლოგიური შნიშვნელობისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს მეაბრეშუმების საქმეში და იგი გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიოლოგიურ ჯიშთა ინკუბაციის ტემპერატურული პირობების დაზუსტების დროს.

ინკუბაციის ერთსა და იმავე ტემპერატურულ პირობებში წარმოდგენილი კვების სხვადასხვა რეჟიმისას მიღებული შედეგები წარმოდგენილია № 2 ტაბულაზე.

კვების რეჟიმის განვითარებულები 21°-იანი ინკუბაციისას

ტაბულა № 2

| გ ა რ ი ა ნ ტ ი | ნედლი პარკის წონა მგ $M \pm m$ | აბრეშუმიანო- ბის % $M \pm m$ | პორელაციის ხასი- ათი პარკის წონასა და გარსის %/ შორის $r \pm mr$ |
|------------------------------|--------------------------------------|------------------------------------|---|
| კონტროლი | 1373,5 \pm 23,6 | 14,71 \pm 0,22 | - 0,49 \pm 0,08 |
| საათში ერთხელ ნაკვები . . . | 1479,9 \pm 28,04 | 14,03 \pm 0,21 | - 0,36 \pm 0,09 |
| ანალგაზრდა ფოთლით ნაკვები . | 1524,7 \pm 22,11 | 14,66 \pm 0,23 | - 0,38 \pm 0,07 |
| უხეში ფოთლით ნაკვები | 1355,5 \pm 25,26 | 14,51 \pm 0,24 | - 0,44 \pm 0,08 |

როგორც ტაბულაში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ხშირი კვებია, თუნდაც ღამის გამოშვებით, მნიშვნელოვნად ზრდის პარკის წონას. პარკის წონის გაზრდა ერთსა და იმავე დროს აბრეშუმიანობის აბსოლუტური რაოდენობის ზრდას ნიშნავს, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მაინც აბრეშუმიანობის პროცენტი ნედლ პარკში, ე. ი. აბრეშუმიანობის შედარებითი რაოდენობა არ იზრდება. ამიტომ უნდა დამუშავდეს უხვი კვების ისეთი რეჟიმი, რომელიც გაზრდის აბრეშუმიანობის შედარებით რაოდენობასაც.

ახალგაზრდა ფოთლით გამოკვება კიდევ უფრო მეტად ზრდის პარკის წონას და აბრეშუმიანობის აბსოლუტურ რაოდენობას, მაგრამ აქაც ზრდა ჭუპრის წონასა და შეფარდებითს აბრეშუმიანობას შორის არათანაბარია, ამ შემთხვევაშიც ჭუპრის წონა იზრდება. აღსანიშნავია აგრეთვე ჩვენს ცდაში, რომ ახალგაზრდა ფოთლით გამოკვების შემთხვევაში ჭუპრის ცხოველმყოფელობის პროცენტი ერთგვარად დაბალია.

უხეში ფოთლით კვების ვარანტი მაჩვენებლების მხრივ თითქმის საკონტროლოს დონეზეა; ჩვენის აზრით ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ახალგაზრდასა და უხეშ ფოთოლს შორის გაზაფხულზე არსებული სხვაობა არც თუ ისე დიდია, მაშინ როდესაც ზაფხულსა და შემოდგომაზე ეს სხვაობა მცვეთრად იზრდება.

დასკვნა

1. წინამდებარე შრომაში მოყვანილია სას. სამ. მნიშვნელობის მქონე ნიშანთვისებათა შორის ურთიერთობის კანონზომიერების შესწავლის შედეგები აღზრდის სხვადასხვა პირობებში.

2. დადგენილ იქნა, რომ 21°-იანი ინკუბაციის ტემპერატურა ზრდის პარკის წონას, ინკუბაციის 15° ტემპერატურასთან შედარებით, მაგრამ შეფარდება აბრეშუმიანობასა და ჭუპრის წონას შორის არათანაბარია. აბსოლუტური

აბრეშუმიანობის ზრდას თან ახლავს შეფარდებითი აბრეშუმიანობის უცუკნობელობის ზრდა.

3. ჩვენს ცდებში ინკუბაციის ერთსა და იმავე ტემპერატურულ პირობებში გამოსული კიების ხშირი კვება და ახალგაზრდა ფოთლით კვება ზრდის პარკის წონას, და ამით აბრეშუმიანობის საერთო რაოდენობასაც, მაგრამ შეფარდებითი აბრეშუმიანობა არ იზრდება, ამიტომ საჭიროა ღიფერენცირებული კვების საკითხის დამუშავება.

ლიტერატურა

- 1. И. В. Мичурин, Сочинения, т. I, 1948 г.
- 2. Т. Д. Лысенко, Агробиология, 1949 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გერეტის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1950. XII. 27).

К. Н. Гикашвили

Характер взаимосвязи между разными хозяйственными полезными признаками у тутового шелкопряда в разных условиях воспитания

Резюме

В 1948 г. акад. Т. Д. Лысенко в своем докладе на августовской сессии Академии С.-Х. Наук им. Ленина указал, что: „Биологи очень мало занимались изучением соотношений природно-исторических закономерных связей, которые существуют между отдельными телами, отдельными явлениями, между частями отдельных тел и звенями отдельных явлений. Между тем только эти связи, соотношения, закономерные взаимодействия и позволяют познать процесс развития, сущность биологических явлений“.

Это руководящее указание акад. Т. Д. Лысенко и было положено в основу нашей работы.

В настоящей, экспериментальной работе устанавливается, что в разных условиях воспитания греци и гусениц (японской бивольтийной породы № 110 тутового шелкопряда) различным образом меняются разные признаки, а именно:



ГАРАНТИЯ

Черви, вышедшие из грены, проинкубированной при температуре 21° С, дают значительно большие по весу коконы, чем при 15° С. При этом, повышается абсолютная и относительная шелконосность.

Однако, при разном режиме кормления червей соотношение между весом кокона и относительной шелконосностью получается другое: при повышенном кормлении и кормлении молодым листом по сравнению с контролем повышается вес кокона и тем самым и абсолютная шелконосность, а рой относительной шелконосности не наблюдается.

ქ. ს ა მ ს რ ი ნ ი

მ ა რ ი ლ ი ა ნ ი ნ ბ ი ს ს ი დ ი დ ი ს ს ი დ ი დ ი ს ზ ღ ვ ი ს ხ ა მ ა ნ წ კ ი ს გ ა მ ძ ლ ე რ ბ ა ზ ე , (O ს T R E A T A U R I C A K R.) გ ა მ ძ ლ ე რ ბ ა ზ ე

მ ა ს ა ლ ა

მარილიანობის სიდიდის ზეგავლენა შავი ზღვის ხამანწკის გამძლეობაზე, რაც დაკავშირებულია ხამანწკების სარეწაოსა და კულტურის პრაქტიკულ საკითხებთან. თითქმის შესწავლელია, თუმცა ხამანწკის ეკოლოგიისა და სარეწაოს შესახებ ზოგიერთ მონაცემს გვთულობთ მთელ რიგ აკტორთა — Havinga [3], Lambert [4], Petersen [5] და სხვ. შრომებში.

საბჭოთა კავშირში აღსანიშნავია ამ მხრივ ნიკიტინის [2] შრომა, რომელშიც მოცემულია ზუსტი ცნობები გუდაუთან სახამანწკე თავთხელის შესახებ.

ამრიგად, აღნიშნული შრომები ექსპერიმენტული მონაცემების გარეშე არ ვაძლევს მსჯელობის საშუალებას, როგორც ევროპულ, ისე შავი ზღვის ხამანწკების კუშმარიტ ევროპალინურ ზღვარზე.

ჩვენი შრომის მიზანია აღნიშნული ხარვეზის რამდენადმე შევსება.

ჩვენ დავაყენეთ რამდენიმე ცდა შავი ზღვის ხამანწკაზე (*O. taurica Kr.*) მარილიანობის ამტანობის ზედა და ქვედა ზღვარის გამოსარკვევად.

მ ა ს ა ლ ა დ ა მ ა მ რ ი დ ი

საკავშირო მეცნიერებათა ეკადემიის სევასტოპოლის ბიოლოგიურ სადგურში ჩვენ მიერ ცდები ტარდებოდა შემდეგი მეთოდით.

შავი ზღვის ნორმალურ წყალს ($17,7\%_{\text{oo}}$ — $18\%_{\text{oo}}$) ვაზავებდით გამოხილით $15\%_{\text{oo}}$, $10\%_{\text{oo}}$ და $7\%_{\text{oo}}$ მარილიანობის მიღებამდე.

მაღალი მარილიანობის წყალს ვლებულობდით შავი ზღვის ნორმალური წყლის მშენებ აორთქლებით და ამგვარად იგი აგვაყდა $25\%_{\text{oo}}$ და $35\%_{\text{oo}}$ -მდე.

ამგვარად, ექსპერიმენტის ჩასატარებლად ჩვენ გვქრნდა ექვსი სხვადასხვა მარილიანობის წყალი 7 — $35\%_{\text{oo}}$ -მდე, რაც თავსდებოდა ცალცალკე აკვარიუმში.

სევასტოპოლის მწვრიფზე ახლად დაპერილ ხამანწკებს ვათავსებდით 5—6 ლიტრიან ტევადობის ბრტყელ აკვარიუმებში აღნიშნული მარილიანობით. ცდების დროს აკვარიუმში განუწყვეტლივ ვატარებდით აირს, ჟანგბადის შეტანის მიზნით, რაც აუცილებელი იყო ხამანწკების სუნთქვისათვის და ამასთან ერთად ამ გზით ხდებოდა ნივთიერებათა ცვლის პროცესების დაქანვა, რომლის მნიშვნელოვან დაგროვებას შეეძლო ტოქსიკური გავლენა ჰქონდა.



ხამანწერებზე, გარდა ამისა აღნიშნული გავლენის თავიდან ასაცილებელად ასეთი სიფრ-დელ აკვარიუმში წყალს ნაწილობრივ ვცვლილით. მიუხედავად ასეთი სიფრ-თხილისა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნივთიერებათა ცვლის პროცესში მაინც შეეძლო მოქმედინა ნაწილობრივი გავლენა საცდელი ხამანწერების გამდლეობის ხანგრძლივობაზე. საცდელი აკვარიუმები თავლია იყო და უმნიშვნელო აორთქლებას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან საექსპერიმენტო ლაბორატორიაში აირის სინოტივე ყოველთვის მაღალი იყო. საცდელ აკვარიუმებში წყლის დონეს ყოველთვის ვიცავდით ერთსა და იმავეს.

ცდების დაყენების წინ მარილიანობას ვადგენდით ქლორის დატიტვრით. ლაბორატორიაში ცდების დროს ტემპერატურა მეტყეობდა $20-24^{\circ}$ -მდე. ცდების დროს მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენდა: ერთი მხრივ, საცდელი ხამაძღვების კვება. მეორე მხრივ კი, მათი კვლომის დადგენის მომენტი, პირველ შემოხვევაში ჩვენ ვსარგებლობდით შემდეგი ხერხით:

ზღვის ზედა ფენებიდან ვლებულობდით წყალს, რომელშიც ხვდებოდა უფრო მეტად ფიტოპლანქტონური ორგანიზმები და მათ შორის რა თქმა უნდა ნანოპლანქტონიც და მცირე რაოდენობით მსხვილი Copepoda და Cladocera. წყალი ჩვენ მიერ იფილტრებოდა და ფილტრზე დარჩენილი პლანქტონი წინას-შეარ გამოხდილი წყლით ირეცხებოდა და შემდეგ გადაგვეკონდა ხამანწკებიან აკვარიუმში; ამრიგად, ასეთ ოპერაციას ცდების განმავლობაში ვაწარმოებდით 1—2-ჯერ.

რაც შეეხება საცდელი ხამანწყის კვდომის დალგენის მომენტს, დაკირ-
ვებებმა გვიჩვენეს, რომ იმ ხამანწყას, რომელიც იმყოფება დეპრესიულ მდგო-
მარეობაში, ნიუარების გაღებისა და დაკეტვის რითმი ერლვევა; მისი ნიუა-
რები ან დილი ხნის განმავლობაში რჩება ღიად ან პირიქით დაკეტილია. მაშინ
მისი ლაყუჩების ან მანტიის მექანიკური გალიზიანება არავითარ რეაქციას არ
იწვევს და იგი რჩება ღია ნიუარებით — ასეთ მდგომარეობას მისი სიკვდილის
ნიშნად ეთვლით.

სულ ჩემ მიერ დაყენებული იყო 6 ცდა შავი ზღვის ნორმალური წყლის ნაკლები და მეტი მარილიანობით და საკონტროლო ცდა — ნორმალური მარილიანობით (17—18 %₀₀), რაც გამეორებულ იქნა ხუთჯერ. ცდების საშუალო მონაცემები დაჯაიტებულია თანამარტვულ ცხრილში (ცხრ. № 1).

ଓରୋଡ଼ିଆ ନଂ ୧

შავი ზღვის ხამანუკის გამზღვობის ხაგრძლივობა სხვადასხვა მართვის ნობრივი გარემოში (ციფრები ავტომატურად დახვრცილ ხამანუკის რაოდენობას):

ჩატარებული ცდების შედეგი

1. შავი ზღვის ნორმალური წყალი ($5^{\circ}/_{\text{o}}$ 17—18)

საკონტროლო ცდისათვის შავი ზღვის ნორმალურ წყალში მოთავსებული იყო ხამანწყას 32 ეგზემპლარი. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან (ნახ. 1) ჩნდება, ცხრა დღის განმავლობაში ხამანწყების სიკვლილანობას აღვილი არ ჰქონია, ხოლო მე-17 დღეს დახოცილ ხამანწყების რაოდენობა 50% შეადგენდა. 22 დღის განმავლობაში ჩატარებული ცდების შემდეგ ცოცხალი დარჩა 7 ხამანწყა.

2. მარილიანობა $15^{\circ}/_{\text{o}}$

ცდებისათვის აღებული იყო 32 ხამანწყა. ისე როგორც საკონტროლო ცდებში, 9 დღის განმავლობაში ყველა ხამანწყა ცოცხლობდა. მეთე დღეს მოკვდა პირველი ხამანწყა, მე-15 დღეს დახოცილთა რაოდენობამ 56% მიაღწია, მე-17 დღეს — $87,5\%$, ხოლო მე-18 დღეს მოკვდა უკანასკნელი 4 ხამანწყა.

3. მარილიანობა $10^{\circ}/_{\text{o}}$

ცდებისათვის აღებულია 32 ხამანწყა. სამი დღის განმავლობაში ცოცხლობდა ყველა ხამანწყა, მე-7 დღეს დახოცილთა რაოდენობამ მიაღწია $28\%/-\text{ს}$, მე-9 დღეს $93,75\%/-\text{ს}$, ხოლო მე-10 დღეს მოკვდა უკანასკნელი ორი ხამანწყა.

4. მარილიანობა $7^{\circ}/_{\text{o}}$


ცდებისათვის აღებული იყო 32 ხამანწყა. მე-4 დღეს მოკვდა პირველი ოთხი ხამანწყა, მე-5 დღეს დახოცილი ხამანწყების რაოდენობამ მიაღწია $65,62\%/-\text{ს}$, ხოლო მე-6 დღეს მოკვდა უკანასკნელი 11 ხამანწყა. ამგვარად, აღებული მარილიანობის გარემოში მეექვსე დღეს დახოცილი ხამანწყების რაოდენობა 100% შეადგენდა.

5. მარილიანობა $25^{\circ}/_{\text{o}}$

ცდებისათვის აღებული იყო 80 ხამანწყა. შეთხე დღეს მოკვდა პირველი ორი ხამანწყა, მე-5 დღეს დახოცილი ხამანწყების რაოდენობა 16% , შეადგენდა, მე-7 დღეს — 79% , მე-10 დღეს — 94% , ხოლო მე-12 დღეს მოკვდა უკანასკნელი ორი ხამანწყა.

6. მარილიანობა $35^{\circ}/_{\text{o}}$

ცდებისათვის აღებული იყო 88 ხამანწყა. ცდის დაყენების უკვე მე-2 დღეს დახოცილი ხამანწყების რაოდენობა შეადგენდა $5,68\%$, მე-4 დღეს — 57% , მე-5 დღეს — 82% , ხოლო მე-7 დღეს მოკვდა უკანასკნელი 4 ხამანწყა.



შავი ზღვის ხამანწყას გამძლეობა მარილიანობის სხვადასხვა პირობებში ($7-35\%_{\text{--}}\text{მდე}$). ცერტიფილურ ხაზე დღეებია აღნიშნული.

მიღებული შეღებების მიმოხილვა

მიღებული შეღებები გაიჩინებს, რომ შავი ზღვის ხამანწყას შეუძლია აიტანოს მარილიანობის უმნიშვნელო მერყეობა, რომელიც გადახრილია მისი ნორმალური გარემოდან.

მარილიანობის $35\%_{\text{--}}\text{მდე}$ გადიდებით და $7\%_{\text{--}}\text{მდე}$ შემცირებით ხამანწყა კვდება $4-5$ დღის შემდეგ. მარილიანობის $25\%_{\text{--}}$ შემთხვევაში ხამანწყა კვდება მე-11 დღეს, ხოლო მარილიანობის $10\%_{\text{--}}$ შემადგენლობის შემთხვევაში კვდება 9 დღის შემდეგ.

მხოლოდ მარილიანობის უმნიშვნელოდ შემცირებისას, სახელდობრ $3\%_{\text{--}}\text{ით}$ — შედარებით ნორმალურ წყალთან, ე. ი. $15\%_{\text{--}}$ დროს ხამანწყა უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს (18 დღემდე).

ამგვარად, შავი ზღვის *O. taurica* Kr., რომელიც წარმოადგენს *Ostrea edulis* ან *Ostrea adriatica*-ს უახლოეს მონათესავეს (როგორც ამას ფიქრობს მიღა შევიჩი [1]), რომლებიც ცხოვრობენ მათთვის ნორმალურ მარილიანობის 30—35 %₀₀ ზღვის წყალში, რაც პერიოდულად მერყეობს 19—15 %₀₀-მდე, მოებოვება მარილიანობის ნაკლები ეკოლოგიური ვალენტოვნება, ვიღრე მის უშუალო წინაპრებს: *O. edulis* ან მისგან გამოყოფილ *O. adriatica*-ს. ეს უკანასკნელი კი გადმოსახლებულია შავ ზღვაში, რაც შესაძლებელი იყო მისთვის, ვინაიდან ის წარმოადგენს ევროპალინურ ფორმას და შეგუებულია შავი ზღვის ნაკლებ მარილიანობის პირობებთან და ამასთან დაკავშირებით *O. adriatica* შემცირდა ზომით და შეიცვალა მორტოლოგიურად, რის გამოც იგი გამოყოფილია როგორც შავი ზღვის ენდემური სახეობა. გარდა იმისა, რომ ის შეგუებულია ნაკლებ მარილიანობასთან, ამ ახლად წარმოქმნილ სახეობას ე.წ. *O. taurica*-ს აქვს ნაკლები ეკოლოგიური ვალენტოვნება მარილიანობის მიმართ, ვიღრე მის უახლოეს წინაპრებს, და მან დაკარგი უნარი არა მარტო ცხოვრებისა, არამედ ცოტა ხნით მაინც აიტანოს ისეთი მარილიანობა, როგორც 30—35 %₀₀, რომელიც წარმოადგენს ნორმალურ გარემოს მისი გამო სავალი ფორმებისათვის, როგორიც არიან *O. edulis* და *O. adriatica*.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდები, გარდა ზემოთ აღნიშნული ოეორიული მოსაზრებებისა, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგიერთი პრაქტიკული დასკვნა, რომელსაც შეეძლია არსებითი დამარტება გაუწიოს საბჭოთა კავშირში შავი ზღვის სანაპიროებზე სახამანწერ მეურნეობის განვითარებას.

სახელდობრ, ხელოვნური სახამანწერ მწკრივები (ე. ი. ხამანწერების მოშენება) შეიძლება შეიქმნას იმ პირობებში, სადაც მუდმივი მარილიანობა არ აღემატება 17 %₀₀ და პერიოდული გამტკნარება, რომლის დროსაც მარილიანობამ შეიძლება დაიკლოს 15—13 %₀₀-მდე, არ უნდა იქნეს ხანგრძლივი.

დასკვნები

1. ლიტერატურული მონაცემებით *O. edulis* და *O. adriatica*, რომლებიც წარმოადგენენ გამოსავალ ფორმებს შავი ზღვის *O. taurica*-სი, ცხოვრობენ 38 %₀₀—22 %₀₀-მდე მარილიანობის პირობებში და შეუძლიათ აიტანონ მარილიანობის პერიოდული შემცირება 19 %₀₀—15 %₀₀-მდე (*O. adriatica*).

2. შავი ზღვის ხამანწერ ცხოვრობს 17,5 %₀₀—19 %₀₀ მარილიანობის დროს და შეუძლია აიტანოს მარილიანობის პერიოდული შემცირება 13 %₀₀—12 %₀₀-მდე.

შავი ზღვის იმ რაიონებში, სადაც მარილიანობა ხანგრძლივი დროის განმავლებაში მცირდება 10 %₀₀-მდე და ქვემოთ, ხამანწერ ბიოცენოზის მუდმივი კომპონენტის სახით აღარ გვხვდება.

3. შავი ზღვის ხამანწერის ევროპალინობის ზღვარის საკითხის გამოსარჩევად ჩვენ დავაყენეთ სულ 30 ცდა, რის შედეგად გამოირკვა, რომ:

ა) შავი ზღვის მარილიანობის 35 %₀₀-მდე გადიდებისას ხამანწერის გამდეობა 7 დღემდე აღწევს, ხოლო მარილიანობის 25 %₀₀-მდე გადიდებით ხამანწერ კვდება მე-12 დღეს.



ბ) მარილიანობის $7\%_{\text{oo}}$ -მდე შემცირებისას ხამანწკა კვდება შეზღუდულის
 $10\%_{\text{oo}}$ დროს — მე-10 დღეს და მხოლოდ მარილიანობის $15\%_{\text{oo}}$ დროს კი
 ძლებს 18 დღემდე.

4. ცდების შედეგად დადგენილია, რომ შავი ზღვის ხამანწკამ დაკარგა
 არამც თუ $35\%_{\text{oo}}$ -ის, არამც და $25\%_{\text{oo}}$ მარილიანობის პირობების ამტანობის
 უნარი, ე. ი. იმ სიდიდის მარილიანობისა, რომელიც წარმოადგენს ნორმალურ
 გარეშეს შავი ზღვის ხამანწკის უახლოეს გამოსავალ ფორმებისათვის, სახელ-
 დობრ: *O. edulis* და *O. adriatica*-სი.

შავი ზღვის ხამანწკის ევრიპალინური ზღვარი გახდა ნაკლები, ვიდრე
 მისი გამოსავალი ფორმებისათვის.

აღნიშნული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ხამანწ-
 კის ხელოვნურად მოშენება შეიძლება წარმატებით ჩატარდეს მხოლოდ შავი
 ზღვის სანაპიროების ისეთ რაიონებში, სადაც მარილიანობა არ აღემატება
 $17\%_{\text{oo}}—16\%_{\text{oo}}$ -ს და პერიოდული გამტკნარება ხანგრძლივად არ შეამცირებს
 მარილიანობას $13\%_{\text{oo}}—12\%_{\text{oo}}$ -მდე.

ლიტერატურა

1. К. О. Михаевиц, Моллюски русских морей: Фауна России и сопредельных стран, том I. 1916.
2. В. Н. Никитин, Гудаутская устричница банка: Тр. Н. Рыб. хоз. и биол. станции Грузии, т. I, вып. 1. 1934.
3. B. Havinga, Austern- und Muschelkultur: Handbuch der Seefischerei Nordeuropas. Bd. VII. H. 5. 1932.
4. L. Lambert et F. Faideau, Ostreiculture et mytiliculture sur le littoral centre-Ouest. — La Rochelle. 1929.
5. I. Petersen, Investigations on the size of the Stock of oysters in the Lim Fjord 1924: Rep. Danisch Biol. Stat. v. 31. 1925.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 შერხებლინთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. III. 9)

К. П. Самсония

Влияние величины солености на выживание черноморских устриц (*Ostrea taurica* Kr.)

Резюме

1. По литературным данным *O. edulis* и *O. adriatica*, которые являются исходными формами для черноморского вида *O. taurica*, живут при соленостях от $38\%_{\text{oo}}$ до $22\%_{\text{oo}}$ и могут выносить периодическое понижение солености до $19\%_{\text{oo}}$ и даже до $15\%_{\text{oo}}$ (для *O. adriatica*).

2. Черноморские устрицы живут при соленостях $17,5^{\circ}/\text{oo}$ — $19^{\circ}/\text{oo}$ и могут выносить периодическое понижение солености до $13^{\circ}/\text{oo}$ и $12^{\circ}/\text{oo}$.

В районах Черного моря, где соленость на длительные промежутки времени понижается до $10^{\circ}/\text{oo}$ и ниже, устрицы не встречаются как постоянный компонент биоценозов.

3. Для выяснения вопроса о пределах эвригалинности черноморских устриц нами было поставлено 30 опытов с содержанием устриц при различных соленостях от $7^{\circ}/\text{oo}$ до $35^{\circ}/\text{oo}$. Эти опыты показали, что:

а) При повышенной против нормальной солености воды Черного моря до $35^{\circ}/\text{oo}$ устрицы не выживают более 7 суток и даже при повышенной солености до $25^{\circ}/\text{oo}$ — они все погибают на 12-ый день.

б) При пониженной солености до $7^{\circ}/\text{oo}$ устрицы погибают на 6-ой день, при $10^{\circ}/\text{oo}$ на 10-й день и только при относительно небольшом понижении солености до $15^{\circ}/\text{oo}$ устрицы выживают даже в условиях опыта довольно длительное время до 18 суток.

4. Результаты опытов устанавливают, что черноморские устрицы утратили способность переносить соленость $35^{\circ}/\text{oo}$ и даже $25^{\circ}/\text{oo}$, т. е. величины солености, которые являются нормальной средой для ближайших исходных для черноморского вида устриц, именно: *O. edulis* и *O. adriatica*.

Пределы эвригалинности черноморских устриц стали меньше, чем исходных форм и сдвинулись в сторону пониженной солености.

Эти данные позволяют считать, что искусственное разведение и культура устриц могут быть успешными только в таких районах Черноморского побережья, где соленость не ниже $17^{\circ}/\text{oo}$ — $16^{\circ}/\text{oo}$ и периодические опреснения не понижают соленость на длительное время ниже $13^{\circ}/\text{oo}$ — $12^{\circ}/\text{oo}$.

ღ. კულტივი

გაზარების გბის კლანებონერი ორგანიზაციის ექოლოგიკ- სისტემაზე მიმოხილვა

შესავალი

ცოცხალ არსებათა ერთ-ერთ დად ეკოლოგიურ ჯგუფს წყლის გარემონტი პლანქტონური ორგანიზმები წარმოადგენენ. პლანქტონური ორგანიზმები დიდ როლს თამაშობენ იდამიანის ცხოვრებაში. ჯერ ერთი მცენარეული პლანქტონი-ფიტოპლანქტონი განსაზღვრავს სიცოცხლის არსებობას წყალსატევში საერთოდ, განაპირობებს ორგანული ნივთიერების სინთეზს არაორგანული ნივთიერებიდან, რომელზედაც მთლიანად არის დამოკიდებული ცხოველური ორგანიზმების და მათ შორის სარეწაო თევზების სიცოცხლე.

ცნობილია, რომ ყველა ძვირფასი სარეწაო თევზის ლიფსიტა პლანქტონით იყვებება, ხოლო ზოგი მათგანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ლებულობს პლანქტონურ საკვებს.

გარდა ამისა პლანქტონური ორგანიზმები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს საკვებ ბაზას მრავალი ბენტოსური ცხოველისათვის ან უშუალოდ, ან კიდევ იმ ორგანული დეტრიტების სახით, რომლებიც წყალსატევების ფსკერზე წარმოიშობიან გახრწნილი მცენარეული თუ ცხოველური პლანქტონური ორგანიზმების ხარჯზე.

პლანქტონის დიდი როლი განისაზღვრება მისი საკვები ლირებულებითაც. ქვემოთ ჩვენ წოგვყავს ცხრილი ზოგიერთი პლანქტონური კიბონაირების და მტკნარი წყლის პლანქტონის (საერთოდ) ქიმიური ანალიზისა, რაც ნმასვე ადასტურებს (იხ. ცხრილი № 1).

ცხრილი № 1

| მასალა | ქრმ. შემადგ. | ცილა % | ცხიმი % | წყლის და ჭავის დოზი | | ექსტრაქ- ტული უაზოტო ნივთიერ. | ავტორები |
|--|--------------|-----------|------------|---------------------------|--------|--|----------------------|
| | | | | წ | დ | | |
| Copepoda | 59,07 | 7 | 20 | 14 | | | Brandt [33] |
| Bosmina | 72,4 | 8,2 | | 17 | | | Steuer [40] |
| Diaptomus და Cyclops . . . | 61,69 | 17,68 | 5,58 | 5,59 | | 9,47 | Birge და Judyay [32] |
| Daphnia hiatina და Daphnia pulex | 53,19 | 8,42 | 9,89 | 14,72 | | 15,44 | |
| მთელი პლანქტონის 70 სინჯი (556 ტბიდან) | 37 | 4 | 59 | | უზოლოდ | | იგრევ ავტორები [35] |

ამგვარად, პლანქტონი ძირითადი ფაქტორია, რომელიც განაპყოფს მულტის წყალსა ტევების საერთო პროდუქტიულობას ერთის მხრით, ხოლო შეორე მხრივ წარმოადგენს საკვებ ბაზის სარეწაო თევზებისათვის მათი განვითარების აღრეულ საფეხურზე ან მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ამიტომ პლანქტონის რაოდენობის და თვისების გამოკვლევა, მისი განაწილებისა და ცვალებადობის შესწავლა წლის მანძილზე ერთ-ერთ ძირითად და უმჭველად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს წყალსა ტევების სათევზმეურნეო თვალსაზრისით კვლევისას. ამ მიზანს ემსახურება ბაზალეთის ტბის პლანქტონის ეკოლოგიურ-სისტემატიკური მიმოხილვა.

საელერ და ლაპორაჟორის მარაბის გათოლიქა

პლანქტონის ჭერა წარმოებდა ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად Zwickert-ის ფირმის პლანქტონის ბაზით (ძველი ნუმერაციით გავით № 25) მათი სახეობრივი შემაღენლობის გამოსარკვევად.

პლანქტონის ჭერტიკალური განაწილების შესასწავლად ვერტიკალური შრეობრივი ჭერა წარმოებდა 10 სმ დიმეტრის იმავე Zwickert-ის ფირმის აფშტეინის საეტო ბაზით. შეგროვება წარმოებდა ტბის 0—1,5; 1,5—3; 3—6,5 მეტრის შრეთა ფარგლებში.

პლანქტონის ნიმუშებში პირველად გამოკვლეულ იქნა სახეობრივი შედეგნილობა, შემდეგ კი ჩატარებულ იქნა ფორმების რაოდენობრივი აღრიცხვა ბოგოროვის [4] კამერაში ფიტო-და ზოოპლანქტონის მიმართ ცალ-ცალკე.

ისეთი ფორმების ერთეულად, როგორც არის *Microcystis*, ჩვენ შეიძლება იქნა ცალკეული კოლონია, ხოლო ყველა კოლონიაში უჯრედების მიახლოებითი რაოდენობა გამოანგარიშებულ იქნა კოლონიების გამრავლებით კოლონიებში არსებული უჯრედების საშუალო რაოდენობაშე.

ბაზალეთის გბის პლანქტონის ეკოლოგიურ-სისხეებაში დასასისებება

ისე როგორც ყველა მტენარ წყლიან წყალსა ტევში, ბაზალეთის ტბის პლანქტონის შედეგნილობაში პლანქტონური ორგანიზმების ორი დიდი ჯგუფი მონაწილეობს: 1. ფიტოპლანქტონი და 2. ზოოპლანქტონი.

I. ფიტოპლანქტონი

ბაზალეთის ტბის ფიტოპლანქტონში სხვა დანარჩენ ფორმებთან შედარებით ძირითად და მევეთრად დომინირებულ ფორმებს წარმოადგენენ: *Microcystis aeruginosa* (Kützing) Elenk და *Ceratium hirundinella* Müll. მასობრივ ფორმად შეიძლება ჩავთვალოთ *Woronichinia Nágeliana* (Ung) Elenk. დანარჩენი ფორმები, როგორც მაგალითად, *Chroococcus limneticus* Lemmerm. (= *Gleocapsa limnetica* Lemmerm. (Holerb.), *Botriococcus Braunii* Kützing, *Merismopedia punctata* Meyen) და მთელი რიგი დიდი ფიტომები, როგორც მაგა-

ლითად: *Navicula cuspidata* Kg, *Pinnularia viridis* Sm. და *Pleurosigma attenuatum* Sm, რაოდენობით მხრივ არ თამაშობენ შესამჩნევ როლს; ამიტომ შევქერდებით მხოლოდ პირველ სამ ფორმაზე.

1. *Microcystis aeruginosa* (Kützing)

ბაზალეთის ტბის პლანქტონში *M. aeruginosa* გვხვდებოდა მთელი წლის განმავლობაში იანვრის გარდა. დათვლისას ერთეულად ჩვენ მიერ მიღებულია კოლონია. ამგვარად, № 2 ცხრილში მოყვანილი ციფრები გამოხატავენ კოლონიების რაოდენობას:

ცხრილი № 2

| III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშუალო წლიური |
|------|-------|--------|---------|---------|---------|----------|--------|--------|-------|-------------------|
| 3053 | 24347 | 169002 | 1633588 | 1714171 | 2078864 | 30118304 | 374775 | 228572 | 57956 | 783088 |

1 მ² წყალში თითოეულ კოლონიაში საშუალოდ 8—30—40 უჯრედი გვხვდებოდა, ამიტომ ცხრილში მოყვანილი ციფრები გაზრდილი უნდა იქნეს 20—25-ჯერ მაიც, თუმცა ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვერ მივიღებთ უჯრედების ნამდვილ რაოდენობას, რადგანც, როგორც ზემოთ აღინიშნა, პლანქტონის ჭერა წარმოებდა პლანქტონის ბაზით (გაზი № 25), რომლის თველებში გადიოდა *Microcystis* მცირე ზომის კოლონიები. აქედან ცხადია, რომ ცხრილში ოდა *Microcystis* მოყვანილი ციფრები *Microcystis* მოსახლეობის სიხშირის შესახებ შემცირებოდნენ და ისინი მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევენ მათი ნამდულია და ისინი მხოლოდ მიახლოებით წარმოდგენას გვაძლევენ მათი ნამდულია რაოდენობის შესახებ.

ჩვენ მიერ მიღებული საშუალო წლიური რაოდენობა ტბის მთელი სიღრმისათვის შეადგენს 783088 კოლონიას 1 მ²-ში. მაქსიმუმი რაოდენობა შემჩნეულია სექტემბერში (30118304 კოლონია), ხოლო მინიმუმი თებერვალში, როდესაც *M. aeruginosa* გვხვდებოდა მხოლოდ ერთეული ეგზემბლარებით.

საქართველო, ამ ფორმის რაოდენობითი ცვლილებები მთელი წლის განმავლობაში ხასიათდება ერთ წვეტიანი მრუდით, რაოდენობის თანდათანობით გადიდებით თებერვალის მინიმუმიდან სექტემბრის მაქსიმუმამდე და სწრაფი შემცირებით სექტემბრის შემდეგ.

ვერტიკალური განაწილება საშუალო წლიური მაჩვენებლების მიხედვით ასეთია: ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ზედაპირულ ზონაზე (931882 კოლონია), ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა ფსკერულ ზონაზე (584805 კოლონია). ყველაზე დიდი აბსოლუტური რაოდენობა ჩვენ მიერ შემჩნეულ იქნა სექტემბერში ზედაპირული (3460722 კოლონია) და შეა ზონაში (3216561 კოლონია).

ეს კინის [12] მიხედვით *Microcystis aeruginosa* წარმოადგენს კოსმო-პოლიტურ ფორმას დამდგარ და ნელა მიმდინარე წყალსატევებისათვის, რომელიც ხშირად იწვევს წყალსატევთა ე. წ. „აყვავილებას“.

2. *Ceratium hirundinella* O. F. Müller

ფიტოპლანქტონის მეორე მასობრივ ფორმას ბაზალეთის ტბაში წარმოადგენს — *Ceratium hirundinella* (იხ. ცხრილი № 3).

ცხრილი № 3

| III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშუალო წლიური |
|------|--------|---------|---------|---------|---------|---------|--------|--------|-------|-------------------|
| 2831 | 103705 | 1089330 | 2401643 | 1602753 | 3228592 | 4187475 | 884187 | 265914 | 30604 | 1149753 |

ეს პერიდინეა ჩვენს ნიმუშებში გვხვდებოდა მარტიდან იანვრამდე. საშუალო წლიური რაოდენობა მთელი სიღრმისათვის შეადგენს 1149753 ეგზებლარს 1 მ³-ში. მაქსიმუმი შემჩნეულია სექტემბერში (4187475 ეგზ., 1 მ³-ში), ხოლო მინიმუმი მარტში (2831 ეგზ., 1 მ³).

რაოდენობრივი ცვლილებით იგი ძლიერ ემსგავსება წინათ განხილულ ფორმას.

ვერტიკალური გავრცელება ხასიათდება ყველაზე დიდი რაოდენობით წყლის ზედა უენაში (0—1,5 მ) — 1420558 ეგზ., 1 მ³-ში. ამაზე ნაკლებია ზუა ზონაში (1045329 ეგზ.) და კიდევ უფრო ნაკლებია ქვედა ფსკერულ ზონაში — (917781 ეგზ., 1 მ³).

იმის გამო, რომ *Ceratium hirundinella* ყველაზე დიდ განვითარებას აღწევს სექტემბერში და აგვისტოში 22° — 17° ტემპერატურის პირობებში, უნდა ვიფიქროთ, რომ ტემპერატურის ეს ფარგლები წარმოადგენს ოპტიმალურს ცერაციუმისათვის, ხოლო ტემპერატურის ქვედა საზღვარი 4° ის ქვევთა (იანვარი, თებერვალი), მაშინ გამოვარდება სწორედ *Ceratium hirundinella* ბაზალეთის ტბის პლანქტონის შემაღენლობიდან.

პარშერის [39] მიხედვით *C. hirundinella* კოსმოპოლიტურ ფორმას წარმოადგენს.

3. *Woronichinia Nágeliana* (Ung.) Elenk.

ეს სახეობა ლურჯმწვანე წყალმცენარეებიდან, ისე როგორც *Microcystis aeruginosa*, გეხვდებოდა ბაზალეთის ტბაში მთელი წლის მანძილზე იანვრის გარდა. მაგრამ თებერვალში, მარტში და აპრილში ერთეული ეგზებლარებით იყო წარმოადგენილი. წლის დანარჩენ პერიოდებში მნიშვნელოვნი რაოდენობით გვხვდებოდა პლანქტონის შემაღენლობაში, მაგრამ შესამჩნევად უფრო მცირედ, ვიღრე ორი ამას წინათ განხილული სახეობები ფიტოპლანქტონისა.

საშუალო წლიური რაოდენობა მთელი სიღრმისათვის შეადგენს 45186 ეგზებლარს, 1 მ³-ში (იხ. ცხრილი № 4).

ცხრილი № 4

| V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | საშუალო წლიური |
|-------|-------|-------|-------|-------|--------|-------|-------|-------------------|
| 38697 | 23249 | 31003 | 42604 | 89490 | 232858 | 67086 | 13159 | 45186 |

მაქსიმუმი შემჩნეულია ოქტომბერში 232858 ეგზემპლარი, 1 მ²-ში. ვერტიკალური გავრცელება საშუალო წლიური მონაცემების მიხედვით შემდეგია: 0—1,5 მ = 58032 ეგზ.; 1,5—3 = 48012 ეგზ.; 3—6,5 = 28379, ე. ი. აღვილი აქვს თანადათანობით რაოდენობის შემცირებას ტბის ზედაპირული ზონიდან ფსკერული ზონისაკენ.

W. Nágeliana-ს ყველაზე დიდი რაოდენობა ჩვენ მიერ შემჩნეულ იქნა ოქტომბერში (380042 ეგზ., 1 მ²-ში) ტბის ზედაპირულ შრეში.

ელენკი ნის [12] მიხედვით W. Nágeliana ეკროპაში და ამერიკაში ფართოდ გავრცელებული ფორმაა. საბჭოთა კავშირში 1936 წლამდე აღნიშნულია 70 აღვილისათვის, მაგრამ აქამდე არ იყო იგი აღნიშნული ამიერკავკასიისათვის.

ამგვარად, ბაზალეთის ტბის ფიტოპლანქტონის შემადგენლობაში ძირითად მასას შეადგენს M. aeruginosa და Ceratium hirundinella, რომელთა მასობრივი განვითარება იწვევს ტბის „აყვავილების“ მოვლენას აგვისტოში და განსაკუთრებით კი სექტემბერში. რაოდენობრივად მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე მესამე სახეობა — Woronichinia Nágeliana. ფიტოპლანქტონის დანარჩენი ფორმები წარმოდგენილია Chlorophicea-თა და Diatomaeae-თა რამდენიმე სახეობით, რომლებიც, შეიძლება ითქვას, რაოდენობრივად მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ.

II. ჰოოპლანცონი

1. Copepoda

ნიჩაბფეხიანების ჯგუფი ბაზალეთის ტბაში წარმოდგენილია 4 სახეობით:

Arctodiaptomus mucronatus (Rylov)

სინონიმებით: Diaptomus mucronatus (Rylov)

Diaptomus acutulus Brian.

ამიერკავკასიისათვის ეს სახეობა აღნიშნეს: თბილისის რაიონის ტბებში (ლისის ტბა) 1905 წ. — Van-Douwe-მ [34]¹, ლისისა და ახალდაბის ტბებში — რილოვგმა 1927, 1928 [20, 22, 23], ლისისა და კუს ტბებში — სმირნოვში 1928 წ. [24]. ციკლურობა ამ ცხოვრილისა შესწავლილი არ არის, იგი ცხოვრობს მცირე ზომის ტბებში, როგორც ჩანს, უმთავრესიდან სანაპირო ზოლის პირობებში (რილოვი, 20). ბაზალეთის ტბაში — A. mucronatus წარმოადგენს ერთადერთ წარმომადგენელს Calanoida-ების ჯგუფიდან და ამავე დროს ზოოპლანქტონში გაბატონებულ ფორმას. იგი გვხვდება მთელი წლის მანძილზე, ტბის წყლის ყველა ფენებში, როგორც გაშლილ ნაწილში ასევე სანაპიროზე, სადაც იგი საერთოდ მრავალრიცხოვანია.

¹ Van-Douwe-ს მიერ რილოვის მონაცემების მიხედვით ეს სახეობა შეცდომით იყო აღწერილი როგორც Diaptomus pectinicornis Wier.



რაოდენობრივი ვერტიკალური განაწილება ამ სახეობისა წარმოდგენილია № 5 ცხრილში (ცხრილში მოყვანილი ციფრები გამოხატავს ეგზემპლართა რაოდენობას 1 მ²-ში)¹, საიდანაც ჩანს, რომ:

ცხრილი № 5

| სადგუ- რები | ზოები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|----------------|----------|------|------|------|------|-------|-------|-------|-------|-------|-------|-------|------|
| 1 | 0—1,5 მ. | 2378 | 3142 | 4586 | 5350 | 12739 | 14862 | 11986 | 16986 | 12738 | 12739 | 19109 | 4246 |
| | 1,5—3 მ. | 2463 | 4586 | 4246 | 4246 | 11635 | 8492 | 16986 | 10616 | 14861 | 16985 | 6369 | 4246 |
| 2, 3, 4 | 3—6,5 მ. | 3434 | 4165 | 3670 | 4808 | 10201 | 11735 | 10737 | 10646 | 8963 | 13072 | 8113 | 3473 |
| | 0—6,5 მ. | 2758 | 3964 | 4167 | 4801 | 11532 | 11696 | 14903 | 12750 | 12187 | 14265 | 11197 | 3988 |

ეგზემპლართა რაოდენობა შერყეობს მთელი წლის მანძილზე და იძლევა საკმარის ნათელ კანონზომიერებას: ასე, ზამთრისა და გაზაფხულის უფრო ცივ პერიოდში დეკემბრიდან მაისიმდე საშუალო რაოდენობა შეადგენს 3936-ს, ხოლო უფრო თბილ პერიოდში მაისიდან დეკემბრიმდე საშუალო რაოდენობა შეადგენს 12647 ეგზემპლარს, ე. ი. 3-ჯერ აჭარბებს ცივი პერიოდის საშუალო რაოდენობას. მაქსიმუმი შემჩნეულია ივლისში (14903) და ოქტომბერში (12750), ხოლო ამ რაოდენობას ძლიერ უახლოვდება აგვისტოში (12750) და სექტემბერში (12187).

ეგზემპლართა მინიმალური რაოდენობა შემჩნეულია იანვარში (2759). როგორც ცხრილიდან ჩანს (№ 5), ყველაზე დიდი საშუალო წლიური რაოდენობა შემჩნეულია ზედა შრეში (0—1,5 მ), რაც შეადგენს 10488 ეგზემპლარს. რამდენადმე შემცირებულ რაოდენობას იძლევა შუა ფენა (1,5—3 მ) — 8811 და კიდევ უფრო მცირეს ქვედა (3—6,5 მ) — 7783 ეგზ., მაგრამ ზამთრის თვეებში იანვარში და თებერვალში, როდესაც შედარებით მაღალია ტემპერატურა ($4,1^{\circ}\text{C}$) ფსეუდო ფენაში (6,5 მ), ხოლო დაბალია ($-0,4^{\circ}\text{C}$) ზედაპირულ ფენაში, A. mucronatus რაოდენობა ქვედა ფენებში (3—6,5 მ) უფრო დიდია. (3434 ეგზ.), ვიდრე ზედა (0—1,5 მ) (2378 ეგზ.) და შუა (1,5—3 მ) ზონაში (2463 ეგზ.).

ამგვარად, A. mucronatus-ის განაწილება როგორც საშუალო რაოდენობის მხრივ ტბის მთელ სილრმეზე, ასევე საერთოდ ვერტიკალური განაწილების ზასიათის მიხედვით დაკავშირებულია ტბის ტემპერატურის რეჟიმთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რაოდენობრივი სიჭარბე ამ სახეობისა იმ შემთხვევაშია შემჩნეული, როდესაც ამა თუ იმ პერიოდში და შრეში ტემპერატურა შედარებით მაღალია.

¹ შემდეგში (შემოკლების მიზნით) პლანქტონური ორგანიზმების ინდივიდების რაოდენობრივი რიცხობრივი მაჩვენებელი ნაგულისხმევია წყლის 1 მ³ მიმართ.

2. *Acanthocyclops viridis Jurine*ცარიცალი
გიგანტური მატება

საქართველოს ფარგლებში *A. viridis* აღნიშნულია მთელ ჩიგ როგორც მაღალმთიან, ისე დაბლობის ტბებში. ასე მაგალითად, იყო აღნიშნულია Richard-ის [36] მიერ 1805 წელს ფარავნის ტბისათვის (დაახლოებით 2000 მ. ზღვის დონიდან), Van-Douwe [34] 1901 წ. აღნიშნავს მას ლისის ტბისათვის, ფა დევეგი [28] მადატაბისათვის.

გარდა ამისა Richard-ი [36] 1895 წ. და Paravieini [38] 1915 წ. აღნიშნავენ ამ სახეობას სევანის (გოგჩა) ტბისათვის. საინტერესო მონაცემებს *A. viridis* მარილიანობასთან დამკიდებულების შესახებ ჩვენ ვნახულობთ ბენიგთან [3]. ბენიგისა და მელველევას მიერ აღნიშნული სახეობა ნახული იყო იმ ტბებში, რომლებიც ეკუთვნის ელტონის ტბის სისტემას. ამასთან დაკავშირებით ხსენებული ავტორები აღნიშნავენ, რომ ეს სახეობა ნახული იყო აგრეთვე პატარა ზომის მტკნარ (დიდი სმოროგდა) და მცირე წყალსატევში (პატარა სმოროგდა), სადაც მარილიანობა აღწევდა 10° ბომეთი. ამგვარად, *A. viridis*, როგორც ჩანს, არის ევროპალინური ფორმა, ხოლო რილოვის [21] მიხედვით იგი ფრიად ევროპერმელი ფორმაა.

ბაზალეთის ტბაში *A. viridis* ჩვენ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გვხვდებოდა დიდი რაოდენობით, როგორც სანაპირო ზოლში, აგრეთვე ტბის ცენტრალურ ნაწილში. რაოდენობრივი ვერტიკალური განაწილება ამ ციკლოპისა მოყვანილია ცხრილში (იხ. ცხრილი № 6) 1 მ³ წყლის მიმართ.

ცხრილი № 6

| სადგურები | ზოები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|----------------|---------|------|------|------|------|------|------|-------|-------|------|-------|-------|------|
| I | 0—1,5 მ | 1359 | 2123 | 680 | 4246 | 8493 | 4246 | 12739 | 14862 | + | 12738 | 10616 | 2123 |
| | 1,5—3 მ | 2123 | 1849 | 594 | 2123 | 6369 | 2123 | 2123 | 6369 | 4246 | 10616 | 10616 | + |
| II, III, IV | 3—6,5 მ | 1987 | 2108 | 1492 | 1710 | 9433 | 3397 | 7203 | 3200 | 2426 | 6263 | 4822 | 1213 |
| I, II, III, IV | 0—6,5 მ | 1823 | 1693 | 922 | 2720 | 8098 | 3255 | 7355 | 8143 | 2224 | 9873 | 8685 | 1112 |

საშუალო წლიური რაოდენობა ტბის წყლის მთელი ფენისათვის შეადგინს 4659 ეგზებმცლარს. წლის მანძილზე *A. viridis* რაოდენობა იცვლება, მაქსიმუმი მოდის ოქტომბერზე (9872 ეგზ.), მინიმუმი მარტზე — (922 ეგზ.).

საერთოდ, ეს სახეობა, ისე როგორც *A. mucronatus*, დიდი რაოდენობით გვხვდება მაისიდან დეკემბრამდე.

რაც შეეხება ვერტიკალურ განაწილებას, იგი წლის უმეტეს დროს რაოდენობრივად აჭარბებს ზედაპირულ ზონაში (0—1,5 მ), მაგრამ მარტში და მაისში ეგზებმცლართა მაქსიმუმი ქვედა ზონაში გვხვდება (3—6,5 მ), ხოლო იანვარში შეა ზონაში (1,5—3 მ).

ზედა ზონაში მაქსიმალური რაოდენობა შემჩნეულია აგვისტოში (14862 ეგზ.), მინიმალური — მარტში (680 ეგზ.), ხოლო საზუალო წლიური რაოდენობა



შეაღენს 6185 ეგზემპლარს. შუა ზონაში მაქსიმალური მოდის ოქტომბერში და ნოემბერშე (10616 ეგზ.), მინიმალური—მარტშე (594 ეგზ.), ხოლო საშუალო წლიური რაოდენობა შეაღენს 4190 ეგზემპლარს.

ქვედა ზონაში მაქსიმუმი მოდის მაისშე (9433 ეგზ.), მინიმუმი დეკემბერშე (1213 ეგზ.), ხოლო საშუალო წლიური რაოდენობა შეაღენს 3778 ეგზემპლარს. ტემპერატურის ზეგავლენა გამოხატულებას პოულობს A. viridis რაოდენობრივ ცვლილებებში მთელი წლის განმავლობაში და ვერტიკალურ განაწილებაში. ეგზემპლართა რაოდენობა უფრო მეტია წლის თბილ პერიოდში, ვიდრე ცივში საერთოდ; მაგრამ რაოდენობრივი სიჭარბე, რომელიც შემჩნეულია იანვარში ტბის შუა და ქვედა შრეში ზედა შრესთან შედარებით, სადაც ამ დროს ამ ჟენას სენეულში შემჩნეულია ტემპერატურული მინიმუმი, მიუთითებს იმაზე, რომ მიუხედავად ევრითერმულობისა ყოველ შემთხვევაში ამ ციკლობის ოპტიმუმი ძეგლი მაღალ ტემპერატურულ ფარგლებში. ზედა შრეებში ტემპერატურის შესაბმნევად დაცემისას (+9,4°) იმყოფება უფრო ღრმა ფენებში, უფრო მაღალ ტემპერატურულ პირობებში.

3. *Eucyclops serrulatus* v. *proximus* (Fisch.) Lill.

ამიერკავკასიისათვის E. serrulatus აღნიშნულია Richard-ის [37] მიერ 1896 წ. უსახელო ტბაში, მაგრამ თუ ვიზუალურანელებთ მითითებით, რომ ეს ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან. 2009 მეტრზე, და იმით, რომ სხვა ფორმებისათვის, რომელსაც იგივე იგტორი აღწერს, აღნიშნულია ფარავნის ტბა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ფორმაც აღწერილია მის მიერ ფარავნის ტბაში.

Van-Douwe [34] 1905 წ. აღნიშნავს ლისის ტბისა და ლენქორანის მახლობელ წყალსატევებისათვის; ტარნოგრად სკი [25] გვილეთის მახლობელი ტბისათვის.

რილოვი [21] აღნიშნავს ამ კიბოს ეკრიპალინურობას, რომელსაც შეეძლია იცხოვროს ჭაბის რბილ წყლებში და უძლებს იმ წყლებსაც, რომელთა მინერალიზაცია აღწევს 1,74 %-მდე. არის ფართოდ გავრცელებული კოსმოპოლიტური ფორმა.

ბაზალეთის ტბაში E. serrulatus დეკემბრის გარდა მთელი წლის მანძილზე ჰყებოდა პლანქტონის ნიმუშებს. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რით არის ვამოწვეული დეკემბრის სინჯებში Eucyclops serrulatus არასებობა.

ტბის წყლის მთელი სილრმისათვის E. serrulatus საშუალოდ იძლევა 2065 ეგზემპლარს, მაქსიმუმი მოდის ოქტომბერშე (7583 ეგზემპლარი), ხოლო მინიმუმი—მარტშე (150 ეგზემპლარი).

რაც შეეხება ვერტიკალურ განაწილებას, შემჩნეულია, რომ საშუალოდ ზედა ზონისათვის (0—1,5 მ) მისი სიხშირე შეაღენს 2441 ეგზემპლარს, შუა ზონისათვის (1,5—3 მ)—2491 ეგზემპლარს, ქვედა ზონისათვის (3—6,5 მ)—1447 ეგზემპლარს. წლის განმავლობაში მაქსიმუმი ზოგიერთ თვეებში შემჩნეულია სწორედ ქვედა ზონაში: I, III, V და IX, სხვა თვეებში ეს მაქსიმუმი შემჩნეულია შუა ან ზედა ზონაში, მაგრამ რაიმე კანონზომიერ შემჩნეულია შეაღენებას 6185 ეგზემპლარს.

რეგის დადგენა *E. serrulatus* ვერტიკალურ განაშილებასა და ჰილრეცილაციური პირობებს შორის არ ხერხდება.

საერთოდ, რაოდენობრივად *E. serrulatus* შესამჩნევად ჩამორჩება წინ განხილულ ორივე სახეობას.

4. *Canthocamptus staphylinus* Surine

მტკნარი წყლის *Harpactocoida*-დან ამ სახეობას ახასიათებს ფართო გავრცელება: ბორუცკის [5] მიხედვით იგი ცნობილია ევროპაში, აზიაში, აფრიკაში და კუნძულ ბორნეოზე. ფართოდ არის გავრცელებული სსრ კავშირში, გვხვდება ახალი მიწიდან და ტუნდრებიდან მდ. ამუღარის დელტამდე თურქესტანში და ხერსონის ოლქიდან დასავლეთით ნიკოლსკ-უსოურნოვის მიდამოებამდე შორეულ აღმოსავლეთში. ცნობილია იგი წინა ქავკასიიდან (ტებერდა), მაგრამ ამიერკავკასიისათვის აქამდე აღნიშნული არ ყოფილა. ჩვენ მიერ იგი ნახულია ბაზალეთის ტბაში, ხოლო გამორკვევა შემოწმებული იყო პროფ. რილოვის მიერ.

ბაზალეთის ტბის პლანქტონში *C. staphylinus* გვხვდებოდა ოქტომბრი-დან აპრილამდე ერთეული ეგზემპლარების სახით და მხოლოდ ოქტომბერში ჩვენ კვახეთ იგი შესამჩნევი რაოდენობით ზედა ზონაში — 4246 ეგზ. და შუა ზონაში — 2123 ეგზ.

თბილ პერიოდში — აპრილიდან ოქტომბრამდე ტბაში *C. staphylinus*-ის არარსებობა სავსებით შეესაბამება ბორუცკის [5] და რილოვის [21] ეკოლოგიურ დახასიათებას, როგორც ცივი წყლის სტენოთერმული სახეობა, რომელიც ზაფხულის პერიოდს ატარებს მოსვენების სტადიაში — ცისტების სახით.

ბაზალეთის ტბაში აღნიშნული სახეობის აღმოჩენის ფაქტი არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ ზოოგეოგრაფიულ თავისებურებას, რამდენადაც იგი ცნობილი იყო ერთის მხრივ ირანიდან, ხოლო მეორე მხრივ წინა კავკასიიდან. სრულიად გასაგევია ის ფაქტიც, თუ რატომ ზოგიერთი ავტორები, რომელთაც მასალები ჰქონდათ ამიერკავკასიის ტებერდან და კერძოდ საქართველოდან და თბილისს მიდამოებიდანაც, არ აღნიშნავდნენ აქ *C. staphylinus*. ჩვენ ვფიქრობთ ეს იმით იისხნება, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, *C. staphylinus* გვხვდება მხოლოდ წლის ცივ პერიოდში, ხოლო ზაფხულში ინცისტირებულია. როგორც ჩანს, მასალებს ძველი ავტორები იღებდნენ უმთავრესად წლის თბილ პერიოდებში და სწორედ ამიტომ მათ ვერ შესძლეს პლანქტონის ნიმუშებში ამ სახეობის აღმოჩენა.

NAUPLII COPEPODA

კოპეპოდების ნაუპლიუსები პლანქტონის სინჯებში მთელი წლის განმაფლობაში გვხვდებოდა მნიშვნელოვანი რაოდენობით. საშუალოდ კი 12975 ეგზემპლარი, 1 მ³ წყალში. მაქსიმუმი შემჩნეული იყო მაისში 23805 ეგზემპლარი, მინიმუმი დეკემბერში 3422 ეგზ.. ნაუპლიუსების ყველაზე დიდი რაოდენობა გვხვდებოდა თითქმის მთელი წლის განმავლობაში ზედა შეეში

(0—1,5 մ); չողոյնրա տզբեթի մատո հառլենոնք 42363—առշիրխից մասնաւունը 40340—մասնի, 42463—ագրուստուն, օնցարշի և օնցուսի մայսսունը շրջին շրջանու օյու նշա նհեթի (1,5—3 մ).

CLADOCERA

Տահալլյուտուն բենու էլանդիունուն և օնցարշի սուստիմանուրու գոմութիւնուն առաջած աղմունը, հրու մասնի մոնախունը Cladocera-տա 9 սաხեանք.

1. *Daphnia longispina leidigi* Hettler

Սաხեանք Daphnia longispina O. F. Müller Պարմունագընն է Cladocera-ս ցրտարու մլուր շաշրպելլեթուլ սախեանքաւ մուրու պալեարքի ուրուշուն. ամուրագու-սունի յս սախեանքա, հրուուր ծքուն ցու [2] ամեռուն, շաբեթ պաթեթ վակուլ պամուզլեթուլ բյալսաւը զեթի, թագրամ նպարա առնունուլու գուրմա ամուրագու-սունի ծքուն ցու մուր նահցեցի մեռլուն սպարտաւը լունդան, սախելլունը: Ծորդուլ բենու թայտի ծայտրունուն մաթլունդա (1940 թ.) և ահալլյուտուն բենու (1939 թ.) հցեն մասալլյուն մուեցուու.

Էցենն նմութեթի յս սախեանքա շաբեթ մուրու վալլուն զանմաց լունդան. ոյն Cladocera-տա մուրուն լունդիուր շաբեթ մուրուն պաթեթ ամուրագընն. հցեն բնախյունը գու մաս հրուուր բենու պենտրուալուր նախունի, ույ սանաձուրու նուլթի, սալաւ ուն հրուուն արու շաբեթ պաթեթ ուրուզլուց յանմաց դու պաթեթ ամուրագընն ուն.

Տանիս բենու մուրու սուրմուն մումարու յս գուրմա ունացու 5138 էցեթմենլարս, թագրամ մուրու շաբեթ բար նահցեարնի, սախելլունը, նոյմ-ծինդան մասսամ զա սալլու հրուուն մուրու նու անդան նոյմի բար նոյմի բար մասսամ շաբեթմենլարս. մայսսութի շաբեթմենլարս մասնի 10848 էցի., եռլու մինութմու—օնցարնի 958 էցեթմենլարու.

Հարթոյալուր շանախունը եասուատ սանյուն վալուրու հրուուն մուրու մուեցուու ունացու անդան տուագուն յունուն ունդան մուրու: նուլ (1,5—3 մ) նոնանի—5378 և նշա (1,5—3 մ) նոնանի 5234 էցի., եռլու վագա նոնանի (3—6,5 մ) սանյուն վալուրու հրուուն ուն նոյմի բար (4742 էցեթմենլարու).

2. *Diaphanosoma brachyurum* (Lievin)

Cladocera-տա յս սախեանքա մլուր տպարուն արուն շաբեթ ուրութուլու ամուր- քացաւսունի և կորհու սայարտաւը լունդուն. առնունուն մուրու ու հրուուր մալալլուն ույ ծարուն բենուսատուն, թագալլունուն, բածունուն [3], չապան (կու գու լու 15). ասեց նացու նու սանաձուրու սեցա բենուսատուն, թագալլունուն պալյուն տիմի (կու գու լու 16), ծեթուսուն (կու գու լու 17), օնցունու (նու զու լու լու 30, 31), նուրու շապա կու շապա շապա 8) և սեցա.

Տահալլյուտուն բենու Diaphanosoma brachyurum. հցեն մուր նախյուն ուն մեռլուն մարտին, ամուրուն և մասնի յունու շաբեթմենլարյուն 4,1—28,4° էցեթմենաւը լունի պուրաքը իւնուն.

ლიტერატურული მონაცემებით [2] ცნობილია, რომ *Diaphanosoma brachyurum* გვხვდება მხოლოდ წლის თბილ პერიოდში, წლის ცივი პერიოდი გადააქვთ მისთვის დამახასიათებელი ზამთრის კვერცხებით; ამავე ლიტერატურული მონაცემების მიხედვით *D. brachyurum* კარგად იტანს 3% მარილიანობას, იგი გვხვდება აზოვის, კასპიისა და ბალტიის ზღვების მდინარეთა შესართავებში და არალის ზღვის სანაპირო ზოლში.

3. *Ceriodaphnia reticulata* Kurzii Stingelin

C. reticulata წარმოდგენს ფართოდ გავრცელებულ სახეობას ამიერკავკასიაში. საქართველოში აღნიშნულია მთელი რიგი წყალსატევებისათვის, როგორც მაღალმთლიანი: ტაბიწყური [1], რიცა [16], ბაკურიანის მცირე წყალსატევები [1]; ისე ბარის წყალსატევებისათვის, მაგ., ნური-გელი (ვერეშჩავინი 8), მცირე წყალსატევები ბიჭვინთასთან, ფოთის მახლობლად, ბათუმთან, თბილისის ახლოს (შიკლეევი 30, 31) და საქართველოს სხვა რაიონებისათვის.

აღნიშნულია ეს ფორმა ბაზალეთის ტბისათვის 1911 წ. ვერეშჩავინის [9] მიერ, როგორც *v. kurzii* Stingelin. ჩვენს მასალაში ბაზალეთის ტბიდან *Ceriodaphnia reticulata* წარმოდგენილია, როგორც ტიპობრივი ფორმით ისე *kurzii*-ს ფორმით.

გვხვდება იგი მარტიდან ნოემბრამდე ერთეული ეგზემპლარებით, მაგრამ ივლისში ნახული იყო 2123 ეგზემპლარის რაოდენობით ზედა შერში (0—1,5 მ), ხოლო შუა და ქვედა შრებში ერთეული ეგზემპლარებით. აგვისტოში ზედა შერში მისი რაოდენობა აღწევს 6369 ეგზემპლარს, შუა შერში (1,5—3 მ) — 4264 ეგზემპლარს, ხოლო ქვედა შრეში (3—6,5 მ) ნახული იყო ერთეული ეგზემპლარებით. ოქტომბერში იგი გვხვდებოდა სამივე შრეში საშუალოდ 3777 ეგზემპლარი, მაქსიმუმით ზედა შრეში (0—1,5 მ) — 8483 ეგზ., ხოლო მინიმუმით (3—6,5 მ) — 8493 ეგზ., შუა შრეში.

C. reticulata-ს არასებობა ზამთრის პლანქტონის შემადგენლობაში და ვერტიკალური განაწილების ხასიათი მიუთითებს აღნიშნული სახეობის სტენოთერმულობაზე.

ბენინგის [2] მიხედვით იგი წარმოადგენს აგრეთვე შედარებით ევრიჰალინურ ფორმას. არალის ზღვაში იგი გვხვდება 3,5% პირობებში.

4. *Simocephalus mixtus* Sars.

ამიერკავკასიისათვის *S. mixtus* აღნიშნული იყო ვეისიგის მიერ (1934—39) აზერბაიჯანის წყალსატევებში [6, 7]. საქართველოსათვის არის ფადეევის [28] მითითება ფორმებზე, რომლის შესახებაც ის ლაპარაკობს: „თავის ფორმის გარდა ყველა დეტალებით ჩემ მიერ ნახული ფორმა მსგავსი აღმოჩნდა *S. mixtus* G. O. Sars“. გარდა ამისა ფადეევი აღნიშნავს, რომ მის მიერ ნახული ფორმის ბრძალები მთელ სიგრძეზე დაფარულია უწვრილესი ჯაგრებით.

ბაზალეთის ტბაში ნახული ფორმა ჩვენ მიერ გამორკვეულ იქნა როგორც *S. mixtus* Sars, გარდა ამისა მსგავსება არის იმ ფორმასთან, რომელი



ლიც ფადეევის მიერ არის აღწერილი მაღატაპის ტბიდან. შესპონებული არის სარსის მიერ ამიერკავკასიაში აღწერილი მონგოლური სახეობა *S. mixtus* [41] იძლევა ვარიაციას, რომელიც ფადეევის მიერ არის აღწერილი მაღატაპის ტბაში, ხოლო ჩვენ მიერ ბაზალეთის ტბიდან.

S. mixtus პლანქტონის სინჯებში არის თებერვლიდან სექტემბრამდე ყველა სიღრმებზე. საშუალო წლიური რაოდენობა ყველა შრეებისათვის შეადგენს 268 ეგზებლარს. ყველაზე დიდი საშუალო წლიური რაოდენობა მოდის შუა ზონაზე (1,5—3 მ), სადაც ეს რაოდენობა შეადგენს 734 ეგზ., მაგრამ მაქსიმუმი შემჩნეულია ქვედა ზონაში (3—6,5 მ), მასში — 3124 ეგზ. გვიან შემაღლებომაზე და ზამთარში თებერვლიდე (X, XI, XII, I). პლანქტონის შემაღლებლობაში *S. mixtus* არარსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ფორმა მონოკიკლურია, რომელიც ზამთრის ქვერცხებს აღრე იძლევა.

ვერე შჩაგინის [9] მიერ ბაზალეთის ტბისათვის 1911 წ. აღნიშნული იყო დასახელებულის გარდა *Simocephalus expinosus* v. *Congener* Schödler. ეს სახეობა უფრო გვიან აღნიშნული იყო შიკლეევის მიერ [30, 31] საქართველოს მთელი რიგი წყალსატევებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პლანქტონის ნიმუშების შეკრება ბაზალეთის ტბაში წარმოებდა ყოველთვიურად მთელი წლის მანძილზე, გარდა ამისა იღებოდა როგორც ზედაპირული, ისე ტოტალური შრეებრივი სინჯები, ეს სახეობა ჩვენ ტბის პლანქტონის შემაღლებლობაში არ შეგვხვდრია.

იმდენად, რამდენადაც ძნელია ნახულ იქნეს რაიმე მიზეზი აღნიშნული სახეობის გამოვარდნის შესახებ ტბის პლანქტონის შემაღლებლობიდან, მისი არარსებობა ჩვენს. სინჯებში შესაძლებელია ახსნილ იქნეს ამ სახეობის ძლიერი იშვიათობით ან კიდევ ვერეშჩაგინის მცდარ განსახლვრაში. შეიძლება მან მიიღო *S. mixtus* როგორც *S. expinosus* v. *Congener* Schödler მათ მნიშვნელოვანი მსგავსების გამო.

5. *Chydorus sphaericus* O. F. Müller

Chydorus sphaericus წარმოადგენს ნამდვილ კოსმოპოლიტს, რამდენადაც ის გავრცელებულია ყველა ზოოგეოგრაფიულ ოლქებში. ბენინგის [2] ცნობების მიხედვით იგი ფართოდ არის გავრცელებული ამიერკავკასიაში, დაწყებული ზღვის დონიდან (ტბა ნური-გელი, პალიასტომი, ბებესირი, ჭაობები ახალ ათონთან) 300—3200 შეტრის სიმაღლემდე ზღვის დონიდან (აზერბაიჯანის და საქართველოს რესპუბლიკებში).

საქართველოში მთელი რიგი ავტორების მიერ არის ნახული თითქმის ყველა შესწოლილ წყალსატევებში. პირველად საქართველოსათვის იგი აღნიშნულია მთელ რიგ ტბებში, მათ შორის ბაზალეთის ტბისათვისაც, ვერე შჩაგინის [8, 9] მიერ 1911 წ.

კოსმოპოლიტიზმი და ვერტიკალური განაწილების დიდი ფარგლები *Chydorus sphaericus*-ისა განპირობებულია მისი დიდი შეგუებით ტემპერატურის, მარილიანობის და pH-ის მერყეობასთან. ბაზალეთის ტბაში ჩვენ გნახულობდით ამ ფორმას თითქმის მთელი წლის განმავლობაში სამივე

შრეში, მაგრამ პირველ ორ ქვედა შრეში რაოდენობა ყველთვის—შაბაზის იყო (საშუალო წლიური რაოდენობა 2378—2373 ევგ.), როგორც ეს მოსალოდნელი იყო იმიტომ, რომ *Chydorus sphaericus* ფსკერულ ფორმას წარმოადგენს.

მაქსიმუმი შემჩნეულია ოქტომბერში ზედა შრეში, საღაც მისი რაოდენობა შეადგენს 16985 ეგზემპლარს, მინიმუმი თებერვალში და ნოემბერში, როცა ყველა ზონაში იგი გახვდება ერთეული ეგზემპლარებით. თუმცა ბაზალეთის ტბაში *Chydorus sphaericus* ჩვენ ვხვდებოდით თითქმის ყველგან, მაგრამ უმეტესად იგი სუბლიტორალური და ლიტორალური ზონისათვის არის დამახასიათებელი.

6. Pleuroxus aduncus (Surine)

Pleuroxus aduncus წარმოადგენს კოსმოპოლიტურ სახეობას. იგი გვხვდება ყველა ზოოგეოგრაფიულ ოლქში [2]. ფართოდ არის გავრცელებული ამიერკავკასიაშიც. საქართველოში პირველად ის Richard-ის [36] მიერ არის აღნიშნული 1905 წ. თბილისის მახლობელი ტბისათვის (ალბათ, ლისის ტბა), შემდეგ მთელი რიგი ავტორების მიერ (შიკლევი, ძუღელინა, ბენიგი) სხვადასხვა წყალსატევებისათვის და მათ შორის ბაზალეთის ტბისათვის ვერეშჩაგინის [9] მიერ 1911 წ.

ბაზალეთის ტბაში P. aduncus ნახული იყო გაზაფხულზე (III, IV, V) და შემოდგომაზე (IX, X, XI) უმეტეს შემთხვევაში ერთეული ეგზემპლარებით. ხოლო სექტემბერში ნახული იყო ტბის ზედა შრისათვის 2123 ეგზემპლარი. ოქტომბერში ქვედა შრეში მისი რაოდენობა შეადგენდა 955 ეგზემპლარს, ხოლო ნოემბერში შუა ზონაში 6369 ეგზემპლარს.

ბენიგის [2] მონაცემების მიხედვით, მისი სქესობრივი გამრავლება წარმოებს სექტემბერ-ოქტომბერში და ის თვლის ამ ფორმას მონოციკლურად.

7. Acoperus harpae (Baird)

თითქმის კოსმოპოლიტური სახეობაა და გვხვდება ყველა ზოოგეოგრაფიულ ოლქში, გარდა ავსტრალიისა [2]. ფართოდ არის გავრცელებული ამიერკავკასიაში, სადაც ის აღწევს 2700 მეტრამდე ზღვის დონიდან. საქართველოში პირველად აღნიშნულია კახეთის წყალსატევებისა და ბაზალეთის ტბისათვის ვერეშჩაგინის [9] მიერ 1911 წ. გვხვდება როგორც მაღალი მთის ტბებში (ტაბიშური, 2) ისე ბარის ტბებშიც (ბებესირი, 17).

ჩვენ მიერ ბაზალეთის ტბაში ნახული იყო მხოლოდ გაზაფხულზე (III, IV, V) და ზაფხულის დასაწყისში (VI) ერთეული ეგზემპლარებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ მასში ნახული იყო ტბის შუა ზონაში (1,5—3 მ) 170 ეგზემპლარის რაოდენობით, ხოლო ქვედა ზონაში (3—6,5 მ) 143 ეგზემპლარი. ბენიგის [2] მიხედვით ამ სახეობას შეუძლია აიტანოს 3% მარილიანობა და გვხვდება ფინეთის ყურეში.

8. *Alona rectangula* Sars

ბ ე ნ ი ნ გ ი ს [39] მიხედვით ფართოდ გავრცელებული სახეობაა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

ამიერკავკასიაში და ქერძოდ საქართველოში აღნიშნულია გამოკვლეული წყალსატევების უმეტესობაში. საქართველოსათვის პირველად არის აღნიშნული 1911 წ. ვერეშჩაგინის მიერ კახეთის ტბებისათვის და ამავე ლრობაზალეთის ტბისათვის.

ჩვენი მასალების მიხედვით ბაზალეთის ტბაში *A. rectangula* გვხვდება გაზაფხულზე და ზაფხულზე ტბის ყველა პორიზონტში, მაგრამ მცირე რაოდნობით (303 ეგზ.), იყლისში ქვედა ზონაში (3—6,5 მ). *A. rectangula*-ს ახასიათებს შესამჩნევი ეგრიკალინურობა, ბ ე ნ ი ნ გ ი ს [2] მიხედვით მას შეუძლია აიტანოს მარილიანობა 12,9—13,8% კასპიის ზღვაში. ფადეევი [28] აღნიშნავს მას სილნალის რაიონის მარილიანი წყლებისათვის.

9. *Alona quadrangularis* O. F. Müller

ბ ე ნ ი ნ გ ი ს [2] მიხედვით ფართოდ გავრცელებული სახეობაა მთელ პალეორქტიკაში. ამიერკავკასიაში ცნობილია მთელი რიგი წყალსატევებიდან აზერბაიჯანისა და სომხეთის სსრ-დან. საქართველოში აქამდე აღნიშნული იყო მხოლოდ მაღალმთიანი ტბისათვის (შაუქური 3000 მეტრი), დ ე კ ს-ბ ა ხ ი ს ა [10] და ტარნოგრადსკის [25] მიერ.

ბაზალეთის ტბის პლანქტონის ნიმუშებში *Alona quadrangularis* გვხვდებოდა მარტიდან ნოემბრამდე, ხოლო ამის შემდეგ, გვიან შემოღვიმაზე და ზამთარში 6° C პირობებში სინჯებში იგი აღმოჩენილი არ ყოფილა.

რაოდენობის მხრივ *A. quadrangularis* უმეტეს შემთხვევაში გვხვდებოდა ერთეული ეგზებლარებით ყველა სილრმებში, მაგრამ ინისში ნახული იყო შუა ზონაში 425 ეგზებლარის რაოდენობით, ხოლო ოქტომბერში 4246 ეგზებლარის რაოდენობით ზედაბირულ შრეში.

ROTATORIA

ბაზალეთის ტბის პლანქტონში ციბრუტა ჭიები 6 სახეობით არის წარმოდგენილი.

1. *Asplanchna brightwellii* Gosse

ეს სახეობა საქართველოსათვის აღნიშნული იყო ფადეევის [28] მიერ 1925 წ. მადატაპის ტბაში, კუდელინას [18] მიერ 1934 წ. ყარაიაზის ტბაში, ზაკსის [13] მიერ ტაბიშურის ტბაში.

ბაზალეთის ტბის პლანქტონში *A. brightwellii* გვხვდებოდა მთელი წლის განმავლობაში ტბის ყველა სილრმეზე, მაგრამ დიდი რაოდენობით ზედა შრეში (0—1,5 მ). საშუალო წლიური რაოდენობა მთელი სილრმისათვის შეადგენს 2756 ეგზებლარს. მაქსიმუმი შემჩნეულია სექტემბერში (7077 ეგზებლარი), მინიმუმი—აპრილში, როცა ეს ცხოველი გვხვდებოდა ერთეული ეგზებლარების სახით.

საერთოდ, ყველაზე დიდი რაოდენობა, გარდა სექტემბრის მაქსიმუმის შემჩნეული იყო ივლისში 5009 ეგზ., აგვისტოში და დეკემბერში 5227 ეგზ.

საშუალო წლიური მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის ზედა ზონაზე ($0-1,5$ მ), სადაც იგი შეადგენს 3588 ეგზ., შეა ზონაში ($1,5-3,0$ მ) ეს რაოდენობა ეცემა 2696 ეგზ.-მდე, ხოლო ქვედა-ფსკერულ ზონაში ($3-6,5$ მ) 1899 ეგზებმბლარამდე. ყველაზე დიდი რაოდენობა ჩვენ მიერ აღნიშნულია ზედა ზონაში სექტემბერში 14862 ეგზ. თუმცა საშუალო წლიური რაოდენობის და აღნიშნული მაქსიმუმის მიხედვით A. brightwellii დიდი რაოდენობით აღნიშნულია ზედა ზონაში, მაგრამ წლის განმავლობაში ზოგიერთ თვეებში იგი რაოდენობრივად შეიძლება ჭარბობდეს ან შეა ზონაში (I, VII, VIII, XIII), ან ქვედაში (II, V, XI).

იმის გამო, რომ ამ სახეობის ყველაზე დიდი რაოდენობა გავრცელებულია $18-25^{\circ}\text{C}$ პირობებში, ამიტომ ეს ტემპერატურული ფარგლები ჩვენი აზრით შეიძლება მივიღოთ 1° ოპტიმალურ ფარგლებად ამ ცხოველისათვეს. მაგრამ ჩვენ შეგვხდა ეს ფორმა $4,2^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში დეკემბერშიც, საკმაო დიდი რაოდენობით აგვისტოში ($21,1^{\circ}\text{C}$ პირობებში), რაც მიუთითებს მის ეცრითერმულობაზე.

2. *Sinchaeta pectinata* Ehrbg

საქართველოში ეს სახეობა აღნიშნულია მხოლოდ კუდელინას [16] მიერ რიცის ტბისათვის. გარდა ამისა ფადეევი [28] მადატაპის ტბისათვის აღნიშნავს *Sinchaeta* sp.-ს.

ბაზალეთის ტბაში *S. pectinata* გვხვდებოდა მთელი წლის განმავლობაში — თითქმის ყველა შრეში, ისევე, როგორც ამის წინ განხილული სახეობა. საშუალო წლიური რაოდენობა მთელი სილრმის მიმართ შეადგენს 2401 ეგზებმბლარს, მაქსიმუმი შემჩნეულია აგვისტოში 2023 ეგზებმბლარი, მინიმუმი ივლისში (გვხვდებოდა ერთეული ეგზემბლარებით).

ერტიკალური განაწილების მხრივ *S. pectinata*-ს ყველაზე დიდი საშუალო წლიური რაოდენობა შემჩნეულია ზედა ზონაში ($0-1,5$ მ) — 3758 ეგზ.; ისევე როგორც აბსოლუტური მაქსიმუმი შემჩნეულია ამავე ზონაში აპრილში — 16985 ეგზ., მაგრამ წლის განმავლობაში ჭარბი რაოდენობა 7 თვეში (I, II, III, V, IX, X, XI) შემჩნეული იყო ფსკერულ ზრეში ($3-6,5$ მ).

ჩვენი დაკვირვებისა და მასალების მიხედვით იგი ეცრითერმული სახეობაა.

3. *Polyarthra platiptera* Ehrbg

ფრიად ფართოდ გავრცელებული სახეობაა, ცნობილია არა მარტო მტკნარი, არამედ მომღაშო წყალსატევებიდან, როგორც, მაგ., ჩრდ. კასპიის წყალსატევი ჩუგუნვის [29] მონაცემების მიხედვით, ტურგაის ოლქის მომღაშო წყალსატევები დეკსემბერის [11] მიხედვით, სირ-დარია მეისნე-რის [19] მიხედვით, ბასკუნჩაკის ტბა [3] ბენინგის მიხედვით და სხვ.



რაც შეეხება ვერტიკალურ განაწილებას, საშუალო წლიური მაჩვენებელი ბის მიხედვით ყველაზე დიდი რაოდენობა მოდის შუა ზონაზე ($1,5-3 \text{ m}$) — 9023 ეგზ., ზედა ზონაში თითქმის 2-ჯერ ნაკლებია, 4968 ეგზ., ხოლო ქვედა ზონაში რაოდენობა მცვეთრად მცირდება 1763 ეგზემცლარამდე.

აბსოლუტური მაქსიმუმი შეიჩნეულია შუა ზონაში მაისში — 59448 ეგზ., და ფრიად მნიშვნელოვანი რაოდენობა იმავე ზონაში ივნისში 36093 ეგზ.. ამგვარად, *A. aculeata*-ს რაოდენობრივი განაწილება მთელი წლის განმავლობაში იძლევა ერთ წვეტიან მრუდს, მაქსიმუმით მაისში დაახლოებით 20°C ტემპერატურის პირობებში ($6 \text{ m} - 21,1^{\circ}\text{C}$; $3 \text{ m} - 19,2^{\circ}\text{C}$). იმდენად, რამდენადც ივნისში 23°C ტემპერატურის პირობებში *A. aculeata* კიდევ დიდი რაოდენობით გვხვდება, ეს საფუძველს გვაძლევს ვითიქროთ, რომ ოპტიმუმი ტემპერატურა ამ ფორმისათვის შეიძლება იყოს $19^{\circ}-23^{\circ}$ ფარგლები. ეს მონაცემები კარგად ემთხვევა ტარნოგრადს [26] მითიოებას იმის შესახებ, რომ *A. aculeata* ძალ-ჯიაუს მახლობელ ტბორებში ყველაზე დიდი რაოდენობით იყო შემჩნეული ზაფხულში, ივნის-ივლისში, და ეწინააღმდეგება კალიტას [14] მონაცემებს; რომელიც აღნიშნავს, რომ ძველ ყუბანის ტბაში *A. aculeata* ყველაზე დიდი რაოდენობით შემჩნეული იყო ზამთარში მაქსიმუმით თებერვალში და მარტში.

კუდელინას [16] მონაცემებით რიცის ტბაში *A. aculeata* შემჩნეული იყო ერთეული ეგზემცლარებით, ხოლო პალიასტომის ტბაში, რომლისათვისაც აღნიშნულია არა ტიპიური ფორმა, არამედ სახესხვაობა *tropica*, ის, როგორც კუდელინა [16] მიუთითებს, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას ციბრუტელათა შორის, რომელიც პალიასტომის ტბაში იტანს $11,6\%_{\text{m}}$ მდე მარილიანობას.

5. *Diurella stylata* Eyf

საქართველოსათვის *D. stylata* აღნიშნული არ არის. კუდელინა [16] რიცის და პალიასტომის ტებებისათვის აღნიშნავს *Diurella* sp.

ბაზალეთის ტბაში *D. stylata* გვხვდებოდა აპრილიდან დეკემბრამდე $15^{\circ}-7^{\circ}\text{C}$ ტემპერატურის პირობებში. საშუალო წლიური რაოდენობა მთელი სიღრმისათვის შეაღენს 1874 ეგზ., მაქსიმუმი შემჩნეულია სექტემბერში 17127 ეგზ., მინიმუმი ივნისში და აგვისტოში, როდესაც მას ჩვენ ერთეული ეგზემცლარების სახით გნახულობდით.

ვერტიკალური გავრცელება საშუალო წლიური მაჩვენებლების მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს. ყველაზე დიდი რაოდენობა შემჩნეულია ზედა ($0-1,5 \text{ m}$) ზონაში — 3008 ეგზ., შუა ზონაში ($1,5-3 \text{ m}$) 2300 ეგზ. შეაღვენდა, ხოლო ქვედა ზონაში ($3-7,5 \text{ m}$) რაოდენობა მცვეთრად კლებულობს 108 ეგზებლარამდე.

აბსოლუტური მაქსიმუმი მოდის ზედა ზონაში სექტემბერში — 25478 ეგზ., მაგრამ სექტემბრის გარდა კარგი რაოდენობა გვხვდებოდა აგრეთვე ქვედა (V, VII) და შუა ზონაში (IV, X). ამგვარად, ცივ პერიოდში (XII, III) ამ ფორმის არარსებობა და მაქსიმუმი რაოდენობით არსებობა 18°C ტემპე-



რატურის პირობებში (სექტემბერი) გვაფიქრებინებს, რომ ეს ცხრილები სითბოს მოყვარულ ფორმას წარმოადგენს.

ეს მოსაზრება მტკიცდება კალიტ ი ს [14] მონაცემებითაც, სადაც ძველი ყუბანის ტბაში ოღნიშნული ფორმა პლანქტონის შემადგენლობაში არ გვხვდება ზამთრის პერიოდში.

6. *Pedalion mirum* Huds

საქართველოსათვის *P. mirum* ოღნიშნულია მხოლოდ კუდელინას [16] ზიერ პალიასტომის ტბისათვის.

ბაზალეთის ტბაში ჩვენი მასალების მიხედვით *P. mirum* გვხვდება მაისი-დან იანვრამდე. საშუალო წლიური რაოდენობა ყველა სილრმისათვის შეადგენს 4420 ეგზებლარს, მაქსიმუმით სექტემბერში — 31018 ეგზ., ვერტიკალური გავრცელების მიხედვით ყველაზე დიდი საშუალო წლიური რაოდენობა მოდის შუა ზონაზე (1,5—3 მ) — 5838 ეგზ., შემდეგ ქვედაზე (3—6,5 მ) — 4060 ეგზ., და ყველაზე მცირე რაოდენობა ზედა (0—1,5 მ) ზონაზე — 3362, აბს-ლუტური მაქსიმუმი შემჩნეულია შუა ზონაში სექტემბერში — 42463 ეგზ., 18° C ტემპერატურის პირობებში.

ზამთრის პერიოდში იმ ფორმის არსებობას აღნიშნავს აგრეთვე კალიტ [14] ძველი ყუბანის ტბაში და კუდელინა [15] ჯაბანას ტბორებისათვის. ყველა ეს საფუძველს გვაძლევს ჩავთვალოთ *Pedalion mirum* როგორც სითბოს მოყვარული სახეობა, თუმცა ის გვხვდება მაღალმთლიან რაიონებშიც, როგორც მაგალითად, ტებერდის მახლობელ წყალსატევებში ტარნოგრად-სკის [27] მონაცემების მიხედვით.

ლამონებაული ლიტერატურა

1. А. Л. Бенинг, О некоторых ракообразных окрестностей Бакуриани: Тр. Биологич. ст. Наркомпроса ГССР, т. I. 1940.
2. А. Л. Бенинг. Кладоцера Кавказа. Тбилиси, 1941.
3. А. Л. Бенинг и Н. Б. Медведева, О микрофауне водоемов окрестностей Эльтона и Баскунчака: Извещ. Краевед. инст. изучен. Южно-Волжской области, т. I. 1926.
4. В. Г. Богоров, К методике обработки планктона: Русск. Гидробиол. Журн., т. 6. 1927.
5. Е. В. Боруцкий, Пресноводные и соленоватоводные Nargasticoida СССР: Определит. организ. пресн. вод СССР, вып. 3. 1931.
6. С. Я. Вейсиг, Cladocera Прикаспийской (Закавказской) низменности: Тр. Азерб. отд. Закавк. фил. АН СССР, т. 7. 1934.
7. С. Я. Вейсиг, Материалы по гидробиологии рисовых полей: Тр. Зоол. Инст. Аз. ФАН СССР, т. 10. 1939.
8. Т. Ю. Верещагин, Заметка о Cladocera Карского плоскогорья и Батумского побережья: Тр. Гидроб. ст. на озере Глубоком, т. 5. 1913.
9. Т. Ю. Верещагин, К фауне Cladocera Кавказа: Работы Зоол. лабор. Варшавского универс. 1911.
10. Н. К. Декебах, Cladocera Кавказа и Северной Персии: Раб. Сев.-Кавк. гидроб. ст., т. 3, 1930.

11. N. Decksbach, Seen und Flüsse des Turgaigebietes: Verhand. d. intern. Ver. für theoret. und angew. Limnologie, Bd. 2. 1924.
12. A. Н. Еленкин, Синевеленые водоросли СССР. Изд. Акад. Наук СССР. 1938.
13. И. Г. Заке, Некоторые данные по планктону и бентосу озер Тапараавани и Табицкури (in litteris). 1941.
14. С. Р. Калита, Материалы к познанию зоопланктона водоема „Старая Кубань“, близ гор. Краснодара: Раб. Сев.-Кавк. гидроб. ст., т. 3. 1930.
15. Е. Н. Куделина, Некоторые данные по составу планктона озера Джапана (in litteris). 1938.
16. Е. Н. Куделина, Гидробиологическая характеристика озера Палеастом: Тр. Научн. сводок и биологич. ст. Грузии, т. 3, 1940.
17. Е. Н. Куделина, Гидробиологическая характеристика придаточной системы (акмазов) р. Куры (in litteris).
18. Е. Н. Куделина, Планктон озера Караззы (in litteris). 1934.
19. В. И. Мейснер, Микроскопические представители водной фауны Аральского моря и впадающих в него рек: Научн. результат. Аральской эксп. вып. 8, 1906.
20. В. М. Рылов, К фауне Copepoda Кавказа, Закавказья и Северной Персии: Раб. Сев.-Кавк. гидроб. ст., т. 2. 1928.
21. В. М. Рылов, Свободноживущие беслонгогие ракообразные (Copepoda): Жизнь пресных вод СССР. т. 1. 1920.
22. W. M. Rylow, Ueber zwei neue Diaptomus-Arten aus dem Kaukasus: Zool. Anz., Bd. 73. 1927
23. W. M. Rylow, Zur Synonymik von Diaptomus micronatus Briān, 1926 and Diaptomus micronatus Rylow, 1927: Zool. Anz. Bd. 77. 1928.
24. С. С. Смирнов, Заметка о фауне Copepoda Кавказа: Тр. Ленингр. о-ва естеств., т. 58. 1928.
25. Д. А. Тарноградский и В. К. Пойков, К биологии и распространению передатчика фасциолеза Limnaea truncatula Müll. на Северн. Кавказе: Работы Краев. Гидробиол. ст., т. 1 (4). 1932—1933.
26. Д. А. Тарноградский, Коловратки прудов Трэка: Раб. Сев.-Кавк. гидроб. ст., т. 1. 1925.
27. Д. А. Тарноградский, Водоемы курорта Теберды в малярийном отношении: Раб. Сев. Кавк. гидроб. ст., т. 2. 1928.
28. Н. Н. Фадеев, К сведениям о фауне озер Закавказья: Раб. Сев. Кавк. гидробиол. ст., т. 1. 1925.
29. Н. Л. Чугунов, К изучению планктона северной части Каспийского моря: Раб. Волжск. биол. ст., т. 6. 1921.
30. С. М. Шиклеев, Материалы по фауне Cladocera Гос. Кавказск. запов. и черноморского побережья: Тр. Сев. Кавк. ассоц. н.-иссл. инст. т. 69. 1929.
31. С. М. Шиклеев, Материалы по фауне Cladocera Грузии: Bull. du Musée de Géorgie, v. 7. 1933.
32. E. A. Birge and C. Juday, The Inland Lakes of Wisconsin. The Planctons, its Quantity and chemical Composition: Wisc. Geol. Nat. Hist. Surv. Bull. 69, № 13. 1922.
33. K. Brandt, Beiträge zur Kenntnis der chemischen Zusammensetzung des Planktons: Wissenschaftl. Meeresuntersuchungen. Abt. Kill. Bd. 3. 1898.
34. Van-Douwe, Copepoden von Transcaucasien, Transkaspien und Turkestan: Zool. Jahrbücher. Bd. 22. 1905.
35. C. Juday and E. A. Birge, Particulate and Dissolved Organic Matter in Inland Lakes: Ecological Monographs, v. 4, № 4. 1934.



ՅԱԿԱՐԵՎՈՅՑ

36. J. Richard, Cladoceres et Copepodes recueillis par M-r Kowraisky près de Tiflis et dans le lac Goktsha: Bull. de la Soc. Zool. de France. V. 14. 1895.
37. J. Richard, Sur la Faune de quelques lacs élevés du Caucase d'après les récoltes de M-r Kowraisky: Bull. de la Soc. Zool. de France v. 21. 1896.
38. E. Paravicini, Notizen zur Flora und Fauna des Goktschases in Hocharmenien: Arch. für Hydrob. und Planktonkunde. Bd. 10, 1915.
39. Pascher, Die Süßwasserflora Deutschlands, 1914.
40. A. Steuer, Planktonkunde. Leipzig, 1910.
41. G. O. Sars, On the Crustacean Fauna of Central Asia: Ежегодн. зоол. муз. А. Н., т. 8. 1903.

ՆՐԱԼՈՒՆՈՒ ՏԱՅԵԼՈՒԹԻՒՆ
ԹՃՈՂՈՆՈՒ ՏԱՅԵԼՈՒԹԻՈՒՆ ՍՄԻՋԵՐՆՈՒՐԵՐՈՒ
ԾԵՐԵՑՄԼՈՒՆՏԱ ԽՈԽՈՂՈՆՈՒ ԿԱՄԵԴՐԱ

(ՑԵՄՈՎՈՒԴԱ ՀԵՇԱՋՎՈՒՅՑԻ 1951. I. 12).

გ6. ჯავახიძე

შინუალ ცხოველთა კალმინოების მორისელი მასპინძლების გასწავლის შედეგები¹

სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიცაა მეცხოველეობა, დიდი ყურადღება ექცეოდა და ამჟამადაც ექცევა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 18 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა (1949—1951 წლები)“, რომლითაც დასახულია მეცხოველეობის ყოველმხრივი განვითარება, წარმატებით სრულდება.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ასრულებენ რა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ამოცანას, აწყობენ ახალ ფერმებს პროდუქტიული პირუტყვისათვის.

1949 წელს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გადიდდა 22 %, ომამჯელ 1940 წელთან შედარებით. მსხვილფეხა რქოსანი-პირუტყვის სულადობა კი 27 % მეტი გახდა. 1949 წელს კოლმეურნეობებში მოწყობილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 16 თასზე მეტი ახალი ფერმა.

საქართველოს მშრომელები დიდი წარმატებებით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავს. 30 წლის მანძილზე ყოველ დღიურად იზრდებოდა, ვითარდებოდა პროდუქტიული მეცხოველეობა. დიდ წარმატებებს აღწევენ ამ დარგში მომზადე ამხანაგები. საკმარისია დავასახელოთ ამხანაგი ა. გ. ნატროშვილი, სტალინური პრემიის ლაურეატი, რომელმაც დაუღალვი შრომის შედეგად შესძლო მიეღო „ახალი ქართული ცხვარი“.

საქართველოს კოლმეურნეობები, მეცხოველეობის დარგის მუშაკები მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად წარმატებით ასრულებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოთ დასახელებულ დადგენილებას. ამავე დადგენილებაში მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ აღნიშნულია, რომ საჭიროა არაგადამდებ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის პროფილაქტიკური ზომების შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე რადიკალური ზომების შემუშავება.

¹ მოხსენებულია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე 1951 წლის 4 მარტს.



სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის ინფექციურ დაავადებათა სალიკიფლუოროდაც
არაგადამდებ დაავადებას ეკუთვნის ჰელმინთების მთელი რიგი, რომლითაც
ავადდება შინაური ცხოველები.

ხშირ ჟემთხვევაში ცხოველთა ჰელმინთები განვითარების თავისებურე-
ბათა მიხედვით საჭიროებენ შორისულ მასპინძელს, სადაც ისინი გადაან მატ-
ლურ სტადიებს.

სანამ ამ შორისული მასპინძლების გავრცელების კერძებს აღვწერდეთ,
საჭიროა მოვიყვანოთ მოკლე ცნობები ჰელმინთოლოგიის განვითარების შესახებ.

საქომის მსგრძლებელი

საბჭოთა გამოჩენილი მეცნიერების, ჰელმინთოლოგიის ფუძემდებლების
აკად. კ. სკრიაბინის, აკად. ე. პავლოვსკისა და პროფ. დოგელის
ჰელმინთოლოგიური სკოლა ფართოდაა ცნობილი.

საქართველოში შინაურ ცხოველთა ჰელმინთებისა და ჰელმინთოზების
შესწავლა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ექიმ გ. ტ. ლინდტროპის მიერ
მოწყობილ ექსკურსის 1918 წელს მარტში გუდაუთის მიდამოებში) 1931 წლი-
დან დაიწყო. შეიქმნა ვეტერინალური ჰელმინთოლოგიის ლაბორატორია, ხოლო
1932 წელს მოეწყო აკად. კ. სკრიაბინის და პროფ. პ. ბურჯანაძის ხელ-
მძღვანელობით ჰელმინთოლოგიური ექსპედიცია (იგივე მე-115 საკავშირო ჰელ-
მინთოლოგიური ექსპედიცია). შემდგომ ამ მიმართებით მუშაობა უფრო და
უფრო ღრმავდება და ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ამჟამად საქარ-
თველოში ცნობილია სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მრავალი ჰელმინთური
დაავადება, რომელთა განვითარება ხდება შორისული მასპინძლის მონაწილე-
ობით. ასეთებია: ფასციოლოზი, დიკროცელოზი, პარამფისტომატოზი, ერით-
რეზატოზი, მონეზიოზი და სხვა.

უპელმინთო ცხოველების ყოლა ჩვენი მეცხოველეობის ერთ-ერთი მთა-
ვარი ამოცანაა. ამ მიმართებით ფართოდაა გაშლილი საკვლევო-სამეცნიერო
მუშაობა მთელ საბჭოთა კავშირში. საქართველოში აღსანიშვნებია ამ მხრივ
სამეცნიერო-კვლევითი ვეტერინარული ინსტიტუტის ჰელმინთოლოგიური
ლაბორატორიის (გამგე ი. ჭუბაბრია) და საქ. მეცნიერებათა აკადემიის პარა-
ზიტოლოგიის ლაბორატორიის (გამგე გ. ყურაშვილი) ნაყოფიერი მუშაობა.

საქართველოს გამოკვლევები

შინაური ცხოველების ჰელმინთებიდან შედარებით მეტი ზიანის მომტა-
ნია ღვიძლის ფასციოლა [1]. ამ ჭიას საქართველოს მოსახლეობა დიდი ხანია
იცნობს და მას „ღვიძლის პეპელას“ უწოდებს.

სრულიად საქავშირო ჰელმინთოლოგიური ინსტიტუტის ექსპედიციების
დროს შეგროვილი და დამუშავებული მასალების მიხედვით, საბჭოთა კავშირის
სხვადასხვა ადგილებში ფასციოლოზური ინგაზია $2\% - 100\%$ -ის ფარგლებში
მერყეობს.

პროფ. პ. ბურჯანაძის მონაცემებით [1] საქართველოში გავრცელე-
ბულია ღვიძლის ფასციოლის ორი სახეობა: 1. *Fasciola hepatica* L. 1758 და

2. *Fasciola gigantica* (Cobbold, 1855). აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი კამეჩებშია გავრცელებული.

ჭიის ზრდასრული ფორმით ავადდება შინაური და გარეული ძუძუმწოვარი ცხოველები, უფრო ხშირად კი შინაური რქოსანი პირუტყვი, იშვიათად ლორი, ცხენი, აქლემი, ზოგიერთი ირემი და სხვადასხვა მღრღნელები.

აღნიშნული ცხოველები ამ პარაზიტული ჭიისათვის დეფინიტურ მასპინძლებს წარმოადგენენ. მატლური სტადიების განვითარება შორისულ მასპინძლები მიმდინარეობს. ამ უკანასკნელს მტენარი წყლის მოლუსკი — *Limnaea truncatula* Müller — მცირე ტბორულა წარმოადგენს.

1932 წელს, საკავშირო მე-115 პერმინთოლოგიური ექსპედიციის დროს საქართველოში, შეგროვილი მასალების მიხედვით, 816 სული მსხვილფეხა რქოსანი ცხოველისა და 767 ცხვრის შესწავლისას ფასციოლით დაავადებული აღმოჩნდა 51,1 %, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო ცხვრები — 35,3 %.

პროფ. პ. ბურჯანაძის მონაცემებით [1], კერძოდ კამეჩების შესწავლის დროს, აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მათი დაავადება ფასციოლოზით უდრიდა 80 %, დასავლეთ საქართველოში — 84 %, სამხრეთ ოსეთში — 80 %, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 77 %, და აფარეთის ასს რესპუბლიკაში — 86,6 %.

იმავე ავტორის მიხედვით, ფასციოლოზი ძლიერ გავრცელებულია მსხვილ და წვრილ რქოსან და სხვა შინაურ ცხოველთა შორის შემდეგ რაიონებში: ახალქილაქის, ახალციხის, წალკის, ბოლნისის, გარდაბნის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, ბორჯომის, დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში და მთელ აფხაზეთსა, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში.

ფასციოლოზი გვხვდება ორი სახით: 1. მწვავე, აშკარა კლინიკური ნიშნებით — სიმსივნე, წყალმანკი და მაღალი ტემპერატურა (40°C), რაც ხშირად სიკვდილით მთავრდება. 2. ქრონიკული, როდესაც დაავადება არ იძლევა მკაფიონ გარეგნულ ნიშნებს და მაღალ ტემპერატურას. ეს ფორმა უფრო ხშირია და ძლიერი გამხდრობის შემდეგ ცხოველი იღუპება.

ფასციოლოზით დაავადებული ცხოველები ამცირებენ წველადობას 25—40 %-მდე. ეცემა მათი მუშაობის ენერგია, ცხოველები მჭლევდებიან, წონაში ძლიერ კლებულობენ, ბეწვს ცუდსა და ნაკლებს იძლევიან და, საერთოდ, მოზარდი ცხოველი ამ შემთხვევაში მკვეთრად ჩამორჩება ზრდაში ჯანსაღს (აკად. სკრიაბინი).

ამას გარდა, ჭიის მიგრაციის დროს ადგილი აქვს მთელ რიგ ბაქტერიულ დაავადებას და ფასციოლოზური ინტოქსიკაციით დასუსტებული ცხოველები აღვილად ღებულობენ მთელ რიგ სხვა დაავადებებს. ბოლოს, მხედველობაშია მისალები ისიც, რომ ფასციოლოზით დაავადებული ცხოველების ლვიძლი, ზოგჯერ ფილტვებიც საკვებად უკარგისია და გამოუყინებელი რჩება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათელ სურათს იძლევა ფასციოლოზის უარყოფითი ეკონომიკური მნიშვნელობის შესახებ. როგორც უკვე ზემოთ იყო თქმული, ფასციოლოზი წარმოადგენს დეფინიტური მასპინძლის დაავადებას-ჭიით — ღვიძლის ფასციოლით. ამ ჭიის განვითარებისათვის საჭიროა შორი-



უსული მასპინძელი. ამ უკანასკნელს კი მტკნარი წყლის მუცელფეხიანაბრძოლუსახელ
კების — Limnaea-ს გვარის სხვადასხვა სახეობა წარმოადგენს.

ლოკოკინებში მიმდინარეობს ჭიის პედოგენეზური განვითარება. შემდეგ
ის ცერკარიის სახით გამოდის წყალში, ცერკარია გადადის აღოლესკარიის
სტადიაში, რომელიც, მოხვდება რა დეფინიტურ მასპინძელში წყალთან ან
საკვებთან ერთად, განაკრძობს მასში ზრდა-განვითარებას.

ამგვარად, ლოკოკინების გარეშე ზემოთ დასახელებული ჭიის განვითა-
რება ზეუძლებელია და ასეთი ლოკოკინები ფასციოლოზის გამაგრცელებელ
ცხოველებად ითვლებან. ამიტომ ფასციოლოზის ამ შორისული მასპინძლის
ექსპერიმენტულ შესწავლასა და მისი გავრცელების კირების დადგენას საქარ-
თველოში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

„არა ჰელმინთებით დაავადებული ცხოველების მკურნალობა, არამედ
უჰელმინთო ცხოველების ყოლა — აი კონკრეტული ამოცანა, რომელიც ხალხთა
კულტურის ისტორიაში პირველად საბჭოთა ჰელმინთოლოგიის სკოლამ წამოა-
ყენა“ (სკრიაბინი).

ზემონათქვამიდან ნათელია, რომ შეცხოველეობის პროცესების მომდევნობის
გადიდების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს საბორგების გაუმჯობესებას.
ფასციოლოზის მოსპობისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა ბრძოლა მის გამავრ-
ცელებელთან, ე. ი. საჭიროა შემცირებული ან მოსპობილ იქნეს მცირე
ტბორულა.

დფიძლის ფასციოლის შორისული მასპინძლის მცირე ტბორულას გავრცელების კერები საქართველოში

აღნიშნული მოლუსკის გავრცელების შესახებ საქართველოში მოიპოვება
მხოლოდ ზოგიერთი ცნობა.

ლოც. გ. კოკაჩაშვილს დასავლეთ საქართველოსათვის ეს მოლუსკი
შოუკანილი აქვს სხვადასხვა ადგილისათვის 1946 წ. [8]. აღმოსავლეთ საქარ-
თველოსათვის მის მიერ მხოლოდ სურამი და ობილისია დასახელებული. ასევე
რანიოგრადსკის და პოპოვის მიერ მტკნარი წყლის მოლუსკების შესწავლას-
თან დაკავშირებით, ჩრდილო კავკასიის ზოგ ადგილთან ერთად, მოყვანილია
ცნობები ყაზბეგის რაიონიდანაც.

აღსანიშნავია, რომ 1932 წელს მე-115 საქართველო ჰელმინთოლოგიური
ექსპედიციის დროს აკად. კ. ი. სკრიაბინსა და პროფ. პ. ბურჯანა-
ძესთან ერთად ღვიძლის ფასციოლის შორისულ მასპინძლის ძიებას აწარ-
მოებდა ი. დინიკი საქართველოს შემდგომ რაიონებში: ობილისის, ბორჯო-
მის, ახალციხის, სტალინირის, სამტრედის, ქუთაისის, ფოთის და სხვა
ადგილებში, მაგრამ მას ფასციოლოზის გამაგრცელებელი შორისული მასპინ-
ძლი არც უპოვია.

1940—1950 წლებში დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა
რაიონებში ჩვენ მიერ შეგროვილია მცირე ტბორულას საკმაოდ დიდი რაოდე-
ნობა, რიგ შემთხვევაში კი აღნიშნულია მისი გავრცელების მასობრივობა.

მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობას. 1940 წელს ჩვენ მიერ მცირე ტბორულ ნაპონია ბახმაროს მიდამოებში (დასავლეთ საქართველო) პატარა ღელები, რომელიც მარცხნივ ერთვის მდინარე ბახვის-წყალს (2015 მეტრი ზღვის დონიდან). ლოკოვინები წყლის მცენარეებზე და ქვებზე იყვნენ მიმაგრებული, წყლის სილრე 5—8 სმ არ აღმატებოდა; გავრცელების სიხშირე ერთ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 40 ეგზებლარს აღწევდა. ნახული ლოკოვინები აქტიურ მდგომარეობაში იყვნენ.

ჩვენ მიერ მცირე ტბორულა აღნიშნულია აგრეთვე მდ. ლუგუბასა (ჩოხა-ტაურის რაიონი), გულეფას (მახარაძის რაიონი), აცაურას (ლანჩხუთის რაიონი) და სხვა ადგილებში.

1947—1948 წლებში ჩვენი ექსპედიციის დროს შეგროვილია მცირე ტბორულას საქმაოდ დიდი რაოდენობა ქმბულეთის, ბათუმის, ქედის და ხულოს რაიონებში. აღნიშნულ სახეობას მტკნარ წყლებში ერთ კვადრატულ მეტრზე ვხვდებოდით 20—30 ეგზებლარად.

თითქმის ასეთსავე შედეგებს ჰქონდა ადგილი გავრცელების მხრივ 1946—1949 წლებში ზუგდიდის, ხობის, აბაშის, ჭალენჯიხის, ცხაკაიას რაიონების მტკნარი წყლების შესწავლისას.

ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები აქსებენ დოც. გ. ჯოკოჩაშვილის შრო-მას *Limnaea truncatula*-ს გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოში.

ამოსავლეთ საქართველოში 1948—1950 წლებში ჩვენ მიერ მტკნარი წყლის მოლუსკების შეგროვებისას ყურადღებას ვაჭცევდით მცირე ტბორულას გავრცელების სიხშირეს. ქვემოთ მოგვყაეს ზოგიერთი ცნობები.

1948—49 წლ. მცირე ტბორულა ჩვენ მიერ შეგროვილია აღმოსავლეთ საქართველოში გარდაბნის, ყვარელის, ლაგოდეხის, თელავის, წითელწყაროს, საგარეჯოს, მცხეთის, დუშეთის, გორის, ხაშურის, ბორჯომისა და თანეთის რაიონებიდან.

ამოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში მცირე ტბორულა მასობრივად არის გავრცელებული. პატარა წყაროებში, კუანტობიან ადგილებში, რომლებიც მდიდარია წყლის მცენარეებით, მრავლად მოიპოვება აღნიშნული ლოკოვინია.

აღწერთ ზოგიერთ მათგანს. სოფ. არანისში (დუშეთის რაიონი) პატარა წყაროში, რომლის სიგრძე 40—50 მეტრია, მცირე ტბორულა მასობრივად იყო შემჩნეული (ერთ კვადრატულ მეტრზე 15—28 ეგზებლარი). თითქმის ასეთივე სურათი იყო პატარა ცემში (ბორჯომის რაიონი), გარდაბნის, მანგლისის წყალსატევებში.

სოფ. არანისიდან აღებული მასალიდან ირკვევა, რომ ამ წყაროში შემდეგი მცენარეებია გავრცელებული: *Chara* sp. — ხარა, *Veronica anagallis aquatica* L. — ჩაღანდრი; *Pycreus globosus* (All.) Reh., *Equisetum* — შვიტა და სხვა.

მცხეთის, არანისის, გარდაბნის მიდამოებიდან შეგროვილი მცირე ტბორულა ჩვენ მიერ ლაბორატორიაში მიკროსკოპით ისინჯებოდა და დადგენილ იქნა დავადების პროცენტი. გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ 1225 განჯეოთილი ეგზებლარიდან დავადება აღწევდა 60—70 %-ს.



როგორც ზემოთ იყო თქმული, მცირე ტბორულა აღმოსავალში მცირე ტბორულა აღმოსავალში მასობრივად არის გავრცელებული. ჩვენ მიერ შეგროვილი მასალებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო დუშეთის რაიონმა. ამ რაიონის სოფლებში: ბუკეთი; ბაზალეთი, არანისი, ანანური, ფასანაური და სხვა აღიალებში მცირე ტბორულა მასობრივად გვხვდება ზატარა წყაროებში, რომელთა სიგრძე ზოგჯერ 5—8 მეტრს აღწევს, და ცხველების სასმელ გვჯებში, ნატერფალ ადგილებშიც კი ეს მოლუსკები 15—20 ეგზემპლარის რაოდენობით გვხვდებოდა ერთ კვადრატულ მეტრზე. ამიტომა, რომ ამ რაიონში ფასციოლოზი უფრო მეტადაა გავრცელებული.

1945 წელს ჩვენი ექსპედიციის დროს ფასანაურის მიდამოებში, გუდამყრის ხეობის დასაწყისში (სასაკლაოს მახლობლად) ჩატარებული აღრიცხვის მიხედვით ერთ კვადრატულ მეტრზე ამ ლოკოკინების 20—25 ეგზემპლარი გვხვდებოდა.

1949 წ. იმავე ადგილებში გვალვის გამო წყაროები თითქმის დამშრალი იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ოდნავ სველ ადგილებში მცირე ტბორულას თითო-ოროლა ეგზემპლარს მაინც ვპოვლობდით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს მოლუსკი აღვილად იტანს ცუდ პირობებს და მაინც ინარჩუნებს ცხველმყოფელობას.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მცირე ტბორულას მოსპობის მიზნით ბრძოლის ლონისძიებების ჩატარებისას მნიშვნელობა ექნება დამდგარი წყალსატევების მთლიანად ამოშრობას და საქონლის სასმელი გვჯების გასუფთავებას. მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ საჭიროა ამასთანავე ჩატარებული იქნეს ბრძოლის ქიმიური ლონისძიებები. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ტიპისაა წყალსატევი, საჭირო იქნება ბრძოლის ლონისძიებათა ამა თუ იმ შინაარსის კომპლექსური მეთოდის გამოყენება. ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ფასციოლის შორისული მასპინძელი მასობრივად არის გავრცელებული საქართველოში და საჭიროა ბრძოლის ლონისძიებათა ჩატარება მის მოსასპობად.

დიქროცელოზის შორისული მასპინძელი

არანაკლები მნიშვნელობა ფასციოლოზის შემდევ რქოსანი საქონლის დაავადების მხრივ აქვს ლანცეტისებრ ჭიათ.

ლანცეტისებრი ორბაგას შორისულ მასპინძელში განვითარების საფეხურების შესწავლა XIX საუკუნეში დაიწყო. ამ მხრივ პირველი შრომები ეკუთვნის ვილემოს-ზუმბეს Willemoes-Suhm 1874 წ., რომელიც ცდებს ატარებდა მდინარის მოლუსკებზე.

სკორცოვის მონაცემებით (1934 წ.) დამტკიცებულია, რომ ლანცეტისებრი ორბაგას შორისულ მასპინძლად (მოსკოვის ოლქისათვის) ითვლება ხელების ლოკოკინა *Helicella candidula* Kryn., სკრიაბინის მონაცემებით კი — *Fruticicola rubiginosa*.

საქართველოში დიკროცელოზი ფართოდაა გავრცელებული მუქულ-ორგანული რაიონებში; მაგალითად, პროფ. პ. ბურჯა ანაძის მონაცემებით, ახალციხისა და ახალქალაქის რაიონებში რქისანი საქონლის დიკროცელოზით დაავადება ფართოდ არის მოღებული [1].

დასავლეთ საქართველოში ეს დაავადება შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული და ზოგ ადგილის მაინც 60%, იღწევს (პ. ბურჯანაძის მონაცემები).

ლანცეტისებრი ორბაგას შორისულ მასპინძლების განვითარების საფეხურების დაღვენის მიზნით 1945 წლის აგვისტო-სექტემბერში ჩვენ მიერ მოწყობილი იყო ექსპედიცია დასავლეთ საქართველოს შემდეგ რაიონებში: გეგმიჭორის, ხობის, ცახაკის, ზუგდიდის, აბაშის, მახარაძის და ჩოხატაურის რ-ები. 1946 წლის ივლის-აგვისტოში კი აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის, გორის, მცხეთისა და გარდაბნის რაიონებში შეგროვილი იყო ხმელეთის ლოკონინების სხვადასხვა სახეობა.

ექსპედიციის დროს შეგროვილი მასალის დიდ ნაწილს ადგილზევე მიკროსკოპის ქვეშ ვსინჯავდით, ნაწილი კი სპეციალურ სათავსურებში ინახებოდა და ლაბორატორიაში ისინჯებოდა ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ.

ლაბორატორიულ პირობებში ცდები ტარდებოდა ხმელეთის ლოკონინების შემდეგ სახეობებზე: *Helix artolabiata*, *Helicella derbentina*, *Fruticocamphylaea narzanensis*.

დასახელებულ ლოკონინებს ხელოვნურად ვკვებავდით ლანცეტისებრი ორბაგას კვერცხით.

კვერცხიდან მირაციდის გამოჩეული ხდება ლოკონინის საყლაბავ მილში. ლოკონინების განკვეთა ხდებოდა დაავადებილან $1\frac{1}{2}$ —1, 2—3—10 სათისა, ორი თვისა და მის შემდეგაც ხუთ თვემდე. მირაციდი თითქმის ოვალური ფორმისაა, ზემო მხარეს სხეულის $\frac{2}{3}$ წამწამებითაა დაფარული; სულ ზემოთ კი სტილეტი აქვს.

მბრაციდი საკვებთან ერთად გადადის კუჭში, შემდეგ ლვიძლში. ის კარგავს წამწამებს, სტილეტს და იძლევა I-ლი თაობის სპოროცისტს. ლვიძლშივე ვითარდება მეორე რიგის სპოროცისტები, რომელთაგან ცერკარიები ვითარდება.

ცერკარიებს გრძელი კუდი აქვთ და შესამჩნევი ერთუჯრედოვანი ჯირკვალი. სისხლის ვენოზური მილის შემწეობით ცერკარიები მიტანილი იქნება მთავარ ვენაში (*Vena magna*), ხოლო აქედან ისინი გადადიან ფილტრში. აქცერკარიები გამოყოფენ სეკრეტს და ირგვლივ იყეობენ ცისტს. ამავე დროს ერთუჯრედოვანი ცისტოგენური ჯირკვლებიდან წარმოიქმნება „ნაკრები ცისტა“, რომელშიც არის რამდენიმე ასეული ინცისტირებული ცერკარია.

სუნთქვით მოქმედების შედეგად, უფრო მეტად — ნესტიან ამინდში, მოლუსკის მოძრაობის დროს, ცისტები თავსდებიან მცენარეებზე, ბალაზზე და ამ უკანასკნელის მიღებით ხდება რქიანი საქონლის დაავადება. შესაძლოა დიკროცელოზით დაავადდეს აღამიანიც. აქად. სკრიაბინს აღწერილი აქვს ზემოთ დასახელებული ჭით აღამიანის დაავადების 125 შემოხვევა.

ლაბორატორიულ და ბუნებრივ პირობებში ხმელეთის ლოკოკინუმის *Helicella derbentina*-ში, ჩვენ მიერ პოვნილია პირველი და მეორე რიგშიც ცვალის ცისტები.

საფილტვე ღრუს მიკროსკოპის ქვეშ განხილვისას ნაკრები ცისტები წრის მაგვარი ფორმისანი არიან და პრეპარატზე ყოველგვარი სითხის მიმატების გარეშე ვხედავთ ცისტებში მოძრავ ცერკარიებს.

ამგვარად, *Helicella derbentina*-ში ჩვენ მიერ ნაპოვნია ლანცეტისებრი ორბაგას განვითარების მატლური ფორმები და შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ დიკროცელოზის გამომშვევი პარაზიტის შორისულ მასპინძელს საქართველოში წარმოადგენს დასახელებული ხმელეთის მოლუსკი.

ამავე ღროს უნდა აღინიშნოს, რომ *Helicella candidula* საქართველოში არ გვხვდება. რაც შეეხება *Helicella derbentina*-ს, ის საქართველოში მასობრივადაა გავრცელებული. არის, მაგალითად, ადგილები, სადაც ერთ კვადრატულ მეტრზე 50—60 ეგზებმ. გვხვდებოდა.

დიკროცელოზის საჭინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებათა გამომუშავების დროს აუცილებლად საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული თვითონ *H. derbentina*-სთან ბრძოლის ღონისძიებანი, რაც გულისხმობს იგივეს, როგორც ტბორულას შემთხვევაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ძირითადი იქნება ქიმიური მეთოდით ბრძოლა.

კარამუსშორებრზე

პარამფისტომატოზი საქართველოში გავრცელებულია მცოხნავ ცხოველთა შორის. აღნიშნულ დაავადებას იწვევს ცნობილი ჰელმინთი *Paramphistomum cervi* (Zeder, 1790), რომელიც ფაშვის პარაზიტს წარმოადგენს და ფრთოდაა გავრცელებული მსოფლიოში. პროფ. პ. ბურჯანაძის მონაცემებით (ხელნაწერის სახით) პარამფისტომატოზით დაავადება საქართველოში მცოხნავ ცხოველთა შორის 10 %, აღწევს.

ჩვენში აღნიშნულ დაავადებას იწვევს ორი სახეობის ტრემატოდა: *P. cervi*, *P. Skryabinii* და *P. Popowi* 1937 წ. უკანასკნელი სახეობა ჯერჯერობით მხოლოდ საქართველოსთვის არის აღნიშნული.

P. cervi-ს ცერკარია ჩვენ მიერ ნახულია 1949—50 წლებში დუშეთისა და საგარეჯოს რაიონებიდან შესწავლილი მოლუსკების *Planorbis planorbis*-ის ღვიძლში. პირველი ადგილიდან აღნიშნული გვაქვს ამ დაავადების ოთხი შემთხვევა, მეორიდან კი ერთი. ცერკარია ჩვენ მიერვე იქნა გარკვეული და ცნობილია *Cercaria pigmentata* Sons. 1892 სახით.

C. pigmentata პირველად აღწერა სონსინომ, როდესაც ის აღმოაჩინა მოლუსკში *Physa alexandrina*-ში. ამჟამად უკვე შესწავლილია აღნიშნული პარაზიტის განვითარების ციკლი აკად. კ. ი. სკრიაბინის (1949) მიერ.

დამუშავებული ლიტერატურული წყაროების მიხედვით [1], პირველად ნეუმანმა (Neumann, 1896) გამოსთვევა წინასწარი აზრი იმის შესახებ, რომ სონსინოს მიერ ნახული *C. pigmentata* არის მცოხნავი ცხოველების ფაშვის ჰელმინთის *Paramphistomum cervi* Zeder (1790) მატლური ფორმა, ხოლო

ტაკანაშვილი (Takanasch 1928) შეისწავლა, რომ *C. pigmentata* ვარიაციების შორისულ მასპინძელში — *Planorbis compressa* var. *japonica*-ში. მანვე ისიც გამოარყია, რომ მირაცილიუმში ვითარდება 9 რედია, ხოლო თითოეულ რედიაზი — 20 ცერკარია.

C. pigmentata სხვადასხვა მკვლევრის მიერ ნახულია შემდეგ მოლუსკებში: 1) *Planorbis planorbis* სციდაცის მიერ აღნიშნულია ეკროპისათვის, 2) *Buliminus contortus* ბრუმატის (Brumat, 1924) მიერ — კუნძულ კორსიკისათვის, 3) *Buliminus contortus*, 4) *Physa alexandrina* და 5) *Buliminus forskali* (*Physa micropleura*) ეგვიპტისათვის ლოსის (Looss, 1896) მიერ.

სონსინომ (1928 წ.) აღწერა პარამფისტომატოზის ეპიზოოტია. სამხრეთ ამერიკაში მსხვილფეხა რქოსანი საქონლის და ცხვრების სიკვდილიანობას, ავტორის აზრით, იწვევს ახალგაზრდა პარაზიტები, რომლებსაც ის მრავლად ნახულობდა ოორმეტროზა ნაშლავში (ციტირებულია კ. ნ. სკრიაბინის მიხედვით).

აღნიშნული პარაზიტის უჯრო დეტალური შესწავლა და ბრძოლის ღონისძიებათა შედგენა საქართველოს პირობებისათვის გადაუდებელ ამოცანას შეადგენს, მით უმეტეს, როცა შესასწავლია პარაზიტის შორისული მასპინძლის გავრცელების მიკროარეალები.

ღსაკვრები

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კუმიტეტის 1949 წლის 18 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცნიერებების განვითარების სამწლიანი გეგმის (1949—1951 წ.)“ შესახებ, რომლითაც დასახულია მეცნიერებლობის ყოველმხრივი განვითარება, წარმატებით სრულდება.

2. ფასციოლოზი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

3. ფასციოლოზის შორისული მასპინძლის გავრცელების შესახებ საქართველოში დღემდე მხოლოდ ზოგიერთი ცნობა მოვაპოვებოდა. ჩვენი მონაცემებით ეს შორისული მასპინძელი — მცირე ტბორულა საქართველოში მასობრივად არის გავრცელებული და განსაკუთრებით ზოგიერთ რაიონში (დუშეთი, ხაშური, საგარეჯოს მტკნარ წყლებში). ამავე დროს მისი დასახლების სიმჭიდროვე 20—30 ეგზებლარს აღწევს ერთ კვადრატულ მეტრზე.

4. ფასციოლოზის მოსპობისათვის საჭიროა ბრძოლა მის გამავრცელებელთან — მცირე ტბორულასთან. ამისათვის კი საჭიროა: წყაროების, კუნტობიანი ადგილების სავსებით დაშრობა, სასმელი როფების გასუფთავება და აგრეთვე ბრძოლის ქიმიური მეთოდის გამოყენება.

5. დიკროცელოზი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული და ზოგიერთ რაიონებში ამ ჭიით რქოსანი საქონლის დაავადება 60 % აღწევს.

დიკროცელოზის გამავრცელებელი საქართველოში დღემდე არ იყო შესწავლილი. ჩვენი მონაცემებით ლანცეტისებრი ორბაგას შორისული მასპინძლი არის ხმელეთის ლოკოკინა *Helicella derbentina*, რომელიც მასობრივა-



დაა გავრცელებული, ზოგიერთ რაიონში მისი გავრცელების სიხაზღუმარებული კვალიატულ მეტრზე აღწევდა 50—60 ეგზემპლარს.

6. დიკროცელობის გადამტანთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებისას ძირითადად გამოყენებული უნდა იქნეს ქიმიური მეთოდი.

7. პარამფისტომატოზი გავრცელებულია საქართველოში მცობნავ ცხოველთა შორის. მის შორის ულ მასპინძელს წარმოადგენს მტკნარი წყლის მოლუსკი — *Planorbis planorbis*, რომელიც მასობრივად არის გავრცელებული საქართველოს მტკნარ წყლებში.

ლიტერატურა

1. П. Л. Бурджанадзе, Главнейшие тельминтозы сельско-хозяйственных животных ГССР. 1939 г.
2. В. Е. Быховский, Паразитические черви: Жизнь пресных вод СССР. Т. второй, 1949 г.
3. Т. А. Генециенская, Новые данные о механизме проникновения и миграции церкариев в ткани хозяина.
4. B. Dawes, Trematoda. 1946 г.
5. В. И. Жадин, Пресноводные моллюски СССР. Огиз, Ленснабтехиздат, 1933.
6. В. И. Жадин, Жизнь пресных вод, I том. Изд. Акад. Наук СССР. М.—Л. 1940.
7. ვ. კოკოშავაშვილი, ფასციოლობის გადამტანი მოლუსკის გავრცელების საკითხისათვის საქართველოში: წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941 წ.
8. ვ. კოკოშავაშვილი, მასალები *Limnaea truncatula* Müller-ის გავრცელების შესავლისათვის საქართველოში: წულუკიძის სახელმწიფო ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, 1946.
9. Г. В. Кокочашвили, Список кавказских моллюсков коллекции Кутаисского Государственного Педагогического Института им. А. Цулукидзе: Труды т. V, 1943.
10. Я. Д. Киршенблат, Жизненный цикл ланцетовидной двуустки: Природа № 6, 1939.
11. Б. Е. Курашвили, К изучению гельмитофауны штиц Грузии: Тр. зоолог института Акад. Наук ГССР. Т. IV, 1941.
12. Max Lüne, Trematoden. Brauers Süßwasserfauna Deutschlands, H. 17, 1909.
13. К. К. Попов, К биологии и распространению передатчика фасциолеза *Limnaea truncatula* Müll. на сев. Кавказе: Раб. краевой гидроб. ст. Т. IV вып. 1, 1933.
14. Акад. К. И. Скрябин, Трематоды животных и человека, т. III. Изд. Акад. Наук СССР. 1949.
15. Акад. К. И. Скрябин, Трематоды животных и человека, т. I. Изд. Акад. Наук СССР. 1947 г.

სტალინის სახელმობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტოთა ზოოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. III. 31).

ღ. კარაჩაძე და ზ. ჯაში

მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთირა ზომის ცენტრალური ენგრაფურის ენგრაფურის გასერვლისათვის

ნატოლი II¹

ნემსიყდაპიები, ერთდღიურები, ნახევრადხეშემფრთიანები,
რუსელანი და სხვ.

დამატება: ხოჭოები

ნაშრომის პირველ ნაწილში გამოქვეყნებული იყო მასალები აღმოსავლეთ
საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში გავრცელებული ხოჭოებისა და
ორფრთიანების შესახებ. უკვე ამ მონაცემების მიხედვით ნათელი გახდა, რომ
ეს წყალსატევები მდიდარია სახეობებით და მათ შორის ისეთებით, რომლე-
ბიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადამიანის ცხოვრებაში.

მომდევნო 1949 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით ჩატარებულმა
გამოკვლევებმა კიდევ უფრო დაგვარწმუნა ზემონათქვამში, რის შედეგადაც
საჭიროდ ვცანით სათანადო პრაქტიკული დასკვნების გამოტანა მცირე ზო-
მის წყალსატევებში გავრცელებული მწერების გამოყენების ან მათთან ბრძო-
ლის ღონისძიებების დასახვით.

ცდები და დაკვირვებები მიმდინარეობდა დაახლოებით იმავე წყალსა-
ტევებში და სრულიად იმავე წესით, როგორც ხოჭოებისა და ორფრთიანების
შესწავლის დროს (იხ. ნაწ. I).

ნემსიყლაპიების გამორკვევაში დახმარება გაგვიწია ე. შენგელიამ,
ერთდღიურებისაში კი—პროფ. ალ. სადოვსკიმ, რისთვისაც მათ მაღლობას
ვუხდით. ყველა გამორკვეული მასალის შემოწმება მოხდა სსრ კავშირის მეც-
ნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში, რისთვისაც მაღლობას ვუც-
ხადებთ ა. ნ. კირიჩენკოს (ლენინგრადი), ა. ნ. ვოლოვას (ლენინგრადი),
ს. გ. ლეპნიოვას (ლენინგრადი), თ. ა. ჩერნოვას (მოსკოვი) და სხვ.

ქვევით მოგვყავს მიღებული შედეგები.

¹ ნაწილი I იხ. პროფ. ლ. კალანდაშვილი და ასისტ. ზ. ჯაში — „მასალები აღმოსავ-
ლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ენტომოფაუნის შესწავლისათვის“, ნაწ. I
(როჭოები და ორფრთიანები): თბ. სახ. უნივერსიტ. მროვები, ტომი XXXVIII, 1950 წ.

რაზმი ნემსიყლაპიები (ODONATA)

ნემსიყლაპიების რაზმი მდიდარია სახეობებით. სსრ კავშირში დაახლოებით გავრცელებული უნდა იყოს 200-ზე მეტი სახეობა. მწერების ეს უძველესი რაზმი გარკვეულ როლს თამაშობს აღამიანის ცხოვრებაში იმით, რომ მისი მატლები ანადგურებენ სხვადასხვა მწერებისა და მათ შორის კოლოების მატლებსაც და ამავე დროს ისინი წარმოადგენენ თევზების საკვებს, თუმცა კი ნემსიყლაპიებს შეუძლიათ ზარალის მოტანა თევზების ლიფსიტების განადგურებითაც. ნემსიყლაპიების ზრდასრული ფორმები იკვებებიან ახლად გამოფრუნენილი კოლოებით.

ამიერკავკასიიდან ყველაზე კარგად შესწავლილია ნემსიყლაპიების სახეობები სომხეთში: ასე, მაგ., ნ. ნ. აკრამოვსკის [1] ნაშრომში „Стрекозы советской Армении“ მოყვანილია ნემსიყლაპიების 47 სახეობა. თუმცა აქვეუნდა ალინიშნოს, რომ თითქმის ყველა ეს სახეობა მას მოყვანილი აქვს საქართველოს სხვადასხვა ადგილებისათვის ძირითადად ა. ნ. ბარტენევის მონაცემების მიხედვით. ჩვენ მასალებში აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში აღმოჩნდა მწერთა ამ რაზმის შემდეგი წარმომადგენლები:

1. გვარი *Agrion* Fbr.

ა. ნ. ბარტენევის [2—10] და ნ. ნ. აკრამოვსკის [1] მიხედვით საქართველოში გავრცელებულია ამ გვარის სახეობა 1. *Agrion splendens* Haw. შემდეგი ქვესახეობებით:

ა) *Agrion splendens tschaldiricum* Bart. ნახულია ასპინძაში, ბათუმში.

ბ) *Agrion splendens cartvelicum* Bart. ნახულია კოჯორში, ალავერდში, თბილისა და მუხრანში.

ჩვენი მონაცემების მიხედვით ქ. გორის აღლოს მდ. ლიახვის ნაპირებთან დაჭაობებულ ადგილებში კი ნაპოვნი იყო მატლები (25. V. 1948 წ.), რომლებიც ყველაზე უფრო აღლო დგის სახეობასთან:

2. *Agrion pulchellum* Lind. ეს სახეობა საერთოდ ფრიად გავრცელებულია თითქმის მთელ ევროპაში (კორსიკამდე და სიცილიამდე) და წინა აზიაში ანატოლიიდან მუა აზიამდე.

მატლები საქმაო დიდი რაოდენობით იყო ნაპოვნი და, როგორც ჩანს, ხშირად გავრცელებულ სახეობას უნდა ეკუთვნოდნენ.

2. გვარი *Lestes* Leach.

ამ გვარის შემდეგი 4 სახეობა მოყვანილია ა. ნ. ბარტენევისა და ნ. ნ. აკრამოვსკის მიერ საქართველოს სხვადასხვა ადგილისათვის:

1. *Lestes barbata* Fbr. გავრცელებულია გორისა და მანგლისში, კოლხიდაში, კახეთში და სურამში.

2. *Lestes virens* Charp. ნაპოვნია ჭბილისში, გომში, ბაკურიანსა და კახეთში.

3. *Lestes dryas* Kirby. როგორც 6. 6. აკრამოვსკი აღნიშნავს, იდენტური სახეობაა *Lestes uncatus* Kirby-ს მიმართ, ნახულია ბაკურიანში. ცნობილია როგორც მაღალ ადგილებში გავრცელებული სახეობა.

4. *Lestes sponsa* Hansem. შეგროვილია ბაკურიანში, ახალქალაქის სხვადასხვა ადგილებიდან, აჭარიდან.

ჩვენი მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში ნაპოვნი იყო ამ გვარის შემდეგი ორი სახეობა:

I. *Lestes sponsa* Hansem. მატლები იღმოჩნდა გურჯაანში დაჭაობებულ ადგილებში და მცენარეებით ძლიერ მდიდარ წყალსატევებში (28. VI. 1948 წ.). და ბაკურიანში საკოჭაოს ტბებში (8. VII. 1948 წ.). საკმაოდ ხშირად გავრცელებული სახეობაა.

II. *Lestes uncatus* (L. dryas) Kirby. შეგროვებული იყო ქ. გორის მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირების დაჭაობებულ ადგილებიდან. წყალსატევები მდიდარი იყო მცენარეებით და თანაც საკმაოდ ჭუჭყიანი (23. V. 1949 წ.).

3. გვარი *Enallagma* Charp.

ა. 6. ბარტენევისა და 6. 6. აკრამოვსკის და ჩვენი მასალების მიხედვითაც საქართველოში გავრცელებულია ამ გვარის მხოლოდ ერთი სახეობა:

1. *Enallagma cyathigerum* Charp. აქამდე ეს სახეობა ბარტენევის მიერ აღნიშნული იყო გომში, მუხრანში, მცხეთაში, ზემო ავჭალაში, დილომში, თბილისში, ბორჯომში (რადე), მანგლისში, კოჯორში, კახეთში, ელდარზე და სხვ. დასავლეთ საქართველოში კი არ არის ნაპოვნი.

ჩვენ მიერ ამ სახეობის მატლები ნაპოვნი იყო ბაკურიანში (28. V. 1949 წ.) საკოჭაოს ტბებში, როგორც ნაპირებზე ისე შუა ადგილებში. როგორც ჩანს, საკმაოდ გავრცელებულ სახეობას ეკუთვნის. მატლები დიდი რაოდენობით იყო გავრცელებული.

4. გვარი *Aeschna* Fbr.

ამ გვარის შემდეგი 6 სახეობა არის აღნიშნული ა. 6. ბარტენევის [6—10], 6. 6. აკრამოვსკისა [1] და რადეს [18] მიერ საქართველოს სხვადასხვა ადგილის:

1. *Aeschna juncea* L. ცნობილია ბაკურიანიდან.
 2. *Aeschna serrata* Hag. ნაპოვნია ახალქალაქის რაიონში.
 3. *Aeschna cyanea* Müll. აღნიშნულია ბაკურიანისა და კოლხიდისათვის.
 4. *Aeschna mixta* Latr. შეგროვილია თბილისში, კახეთში.
 5. *Aeschna affinis* v. d. Lind. ნახულია კოლხიდაში, კახეთში, სამხედრო გზაზე და სხვ.
 6. *Aeschna isoscelens* Müll. მოვანილია თბილისისათვის.
- ჩვენს მასალებში *Aeschna*-ს გვარიდან აღმოჩნდა მხოლოდ 2 სახეობა;
- I. *Aeschna juncea* L. მატლები ნაპოვნი იყო ბაკურიანში 28. V. 1948 წ. ტბა „იაგო“-ში. ეკუთვნის მთიანი ადგილების სახეობას.



საქართველოში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მხოლოდ ბჟეზურისანულება
გვხვდება. ხშირადაა გავრცელებული.

II. *Aeschna* sp. სახეობის გამორკვევა ვერ მოხერხდა. მატლები ნაპოვნი
იყო ბაკურიანში 8. VII. 1949 წ. გუბის მღვრიე წყალში.

5. გვარი *Anax* Leach.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით (ა. ნ. ბარტენევი და ნ. ნ.
აკრამოვსკი და სხვ.) საქართველოში გავრცელებულია ამ გვარის 2 სახეობა:

1. *Anax parthenope* parthenope Selys. აღნიშნულია ობილისში, კოლ-
ხიდაში.

2. *Anax imperator* Leach. ნაპოვნია ობილისში, კოლხიდაში, სამხედრო
გზაზე.

აღნიშნული გვარის 1 სახეობა ჩვენს მასალებშიც აღმოჩნდა, მაგრამ
მისი სახეობამდე დაყვანა ვერ შევძელით. ამიტომ მოგვყავს როგორც *Anax* sp.
მატლები ნაპოვნი იყო ქ. გორში 22. IX. 1949 წ. დაჭაობებულ ადგილებში
მდ. ლიახვის მარჯვენა შესართავთან.

6. გვარი *Cordulia* Leach.

მხოლოდ ერთი სახეობაა ცნობილი საქართველოსათვის, კერძოდ *Cordu-*
lia aenea L.

ნაპოვნია ა. ნ. ბარტენევის [8] და ნ. ნ. აკრამოვსკის [1] მიხედ-
ვით ბაკურიანში. ჩვენს მასალებშიც ეს სახეობა აღმოჩნდა იმავე ბაკურიანი-
დან (8. VII. 1949 წ.) პატარა ტბაში. სახეობა აშკარად მთისაა.

7. გვარი *Libellula* L.

საქართველოსათვის ა. ნ. ბარტენევის [2—10] და ნ. ნ. აკრამოვ-
სკის [1] მიერ მოყვანილია ორი სახეობა:

1. *Libellula depressa* L. აღნიშნულია ობილისში, სურამში, ბორჯომში,
ასპინძაში, სამეგრელოში, კახეთში.

2. *Libellula quadrimaculata* L. ნაპოვნია ობილისში, ბაკურიანში, კოლ-
ხიდაში.

ჩვენი მასალების მიხედვით აღსანიშნავია მხოლოდ 1 სახეობა:

I. *Libellula depressa* L. მატლები გვხვდებოდა გურჯაანში — გუბის
წყალში, რომელიც მდიდარი იყო მცენარეებით (26. VII. 1948 წ.), და გორში —
მდ. ლიახვის ნაპირებზე დაჭაობებულ ადგილებში (23. V. 1949 წ.).

8. გვარი *Orthetrum* Newm.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით (ბარტენევი და სხვ.) საქარ-
თველოს სხვადასხვა ადგილისათვის აღსანიშნავია ამ გვარის 4 სახეობა:

1. *Orthetrum brunneum* Fonse. აღნიშნულია ქახეთში, მუხრანში, ობი-
ლისში, სურამში, კოლხიდაში.

2. *Orthetrum aniceps* (*Orthetrum translatum*) Schneid. ნაპოვნია კოლხიდაში, მუხრანში, კახეთში.

3. *Orthetrum cancellatum* L. შეგროვილია თბილისში.

4. *Orthetrum albistylum* albistylum Selys. ნაპოვნია კახეთში, კოლხიდაში.

ჩვენი მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში ამ გვარის შემდეგი სახეობები აღმოჩნდა:

I. *Orthetrum brunneum* Fonsc. მატლები გვეკვდებოდა წნორის წყალზე (მდგარ გუბეში), რომელიც წარმოშობილია დაჭაობებულ აფილზე და ბალხებითაა ძლიერ დაფარული (30. VI. 1948 წ.).

II. *Orthetrum sp.* სახეობის გამორჩევა არ მოხერხდა. ნაპოვნია იმავე წყალსატევებში, რომელშიც *Orthetrum brunneum* Fonsc.

9. გვარი *Sympetrum* Newm.

ა. 6. ბარტენევის (2–10) და 6. 6. აკრამოვსკის [1] მიხედვით საქართველოში უნდა გვხვდებოდეს *Sympetrum*-ის გვარის შემდეგი სახეობები:

1. *Sympetrum fonscolombi* Selys. აღნიშნულია თბილისში, მანგლისში, ალბულაში, კოლხიდაში, კახეთში.

2. *Sympetrum pedemontanum* Allioni ნაპოვნია მუხრანში და კახეთში.

3. *Sympetrum danae sulz* (*Sympetrum seoticum* Donov.) გვხვდება ბაკურიანში, სამხედრო გზაზე.

4. *Sympetrum vulgatum flavum* Bartenef. შეგროვილია მცხეთაში, თბილისა და მიდამოებში, მუხრანში, სამხედრო გზაზე და კოლხიდაში.

5. *Sympetrum striolatum striolatum* Charp. ნაპოვნია მუხრანში, თბილისში, ბაკურიანში, სურამში, კახეთში და კოლხიდის დაბლობში.

6. *Sympetrum sanguineum* Müll. შეგროვილია კახეთში, კოლხიდაში.

7. *Sympetrum meridionale* Selys. აღნიშნულია მუხრანში, თბილისში, მანგლისში, სურამში, კოლხიდის დაბლობებში.

როგორც გვიჩვენეს ჩვენმა დაკვირვებებმა, აღმოსავლეთ საქართველოში უფრო გავრცელებული აღმოჩნდა და ჩვენს მასალებში გვხვდებოდა ამ გვარის 2 სახეობა:

I. *Sympetrum striolatum* Charp. გვხვდებოდა წნორის-წყალზე დაჭაობებულ აღგილას, გუბეში (30. VI. 1948 წ.).

II. *Sympetrum sanguineum* Müll. მატლები შეგროვილი იყო ქ. გორის ახლოს, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დაჭაობებულ და მცენარეებით დაფარულ წყალსატევებში (23. V. 1949 წ.).

ამგვარად, ლიტერატურული წყაროების მიხედვით საქართველოსათვის აღნიშნულ ნემსიყლაპიების 21 გვარიდან აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში ჩვენ მიერ შეგროვილი იყო მხოლოდ 9 გვარის წარმომადგენერალი და, 42 სახეობის ნაცვლად, 13 სახეობა. ეს მონაცემები მაჩვენებელი



ლია იმისა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უნდა გაგრძელდეს, მცირეობისაც, რომ მცირე ზომის წყალსატევებში ნემსიყლაპიების უფრო მცირეობა არის გავრცელებული, ვიდრე სხვა ტიპის წყალსატევებსა და წყალსაცავებში.

ჩაზმი ერთდღისასი (EPHEMEROPTERA)

ეს ძლიერ ნაზი მწერები, როგორც სახელწოდება აჩვენებს, ზრდასრული ფორმის სახით ძალიან მოკლე ხანს ცხოვრობენ (რამდენიმე საათიდან — რამდენიმე დღემდე). ზოგ სახეობას ახასიათებს ერთად დიდი რაოდენობით გამოურენა. ამ დროს ეს ოთორი მწერები მასობრივად დაფრინავენ მდინარის გასწვრივ და მის ახლო-მახლო ადგილებში და მოსახლეობის ყურადღებას იცყრობენ. ასე, მაგალითად, 10. IX. 1949 წლს ერთდღიურების დიდი რაოდენობა განხდა თბილისში პლეხანოვის გამზირზე და მტკვრის სანაპიროს სხვა ქუჩებში და სალამოს მასობრივად გროვდებოდა ელექტრონის ნათურების ირგვლივ.

ერთდღიურებისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ მათი მატლები (ნიმფები) ჩვეულებრივ ცხოვრობენ არამაღაშე წყალსატევებში და აქ მათი განვითარება გრძელდება თითქმის 2—3 წლამდე. ამ დროს ისინი წარმოადგენენ თევზების ძლიერ კარგ საკვებ მასალას. ერთდღიურათა რაზმი შედარებით შეუსწავლელია: საჭართველოს პირობებში ამ რაზმის სისტემატური შესწავლა არავის უწარმოებია, მაგრამ მათი ცალკე სახეობები დადგენილი იყო დიდი ზომის წყალსატევების ფაუნის შესწავლის დროს (საქ. მეც. აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი, სტალინის სახელმისი თბილისის სახ. უნივერსიტეტის ხერხემლიანთა ზოოლოგის კათედრა). ჩვენ მიერ შეგროვილ მასალაში აღმოჩნდა ამ მწერთა ჯგუფის რამდენიმე სახეობა, შეგროვილი სხვადასხვა ადგილიდან, შედარებით დამდგარი ტიპის წყალსატევებიდან; მოგვყავს ქვევით:

1. *Cloeon dipterum* L.

ამ სახეობის მატლები (ნიმფები) გვხდებიან ტებებში, ჭაობებში და აგრეთვე მცირე ზომის წყალსატევებში, თუ აქ წყალი ოდნავ მაინც მიმდინარეობს. ჩვენ მიერ ამ სახეობის მატლები ნაპოვნი იყო წნორის-წყალზე ვენახების ახლოს, გამდინარე არხში ბალახებით ძლიერ დაფარული ნაპირებით (30. IX. 1948 წ.), ბაკურიანში „პატარა ტბას“ ნაპირებზე (28. V. 1948 წ.) და გურჯაანშიც (25. VI. 1949 წ.).

2. *Cloeon rufulum* Eahan.

მატლები (ნიმფები) ნაპოვნი იყო ბაკურიანის პატარა ტბაში, საკმაოდ დიდი რაოდენობით (28. V. 1948 წ.).

3. *Cloeon sp.*

ამ გაურკვეველი სახეობის მატლები (ნიმფები) აღმოჩნდა ბაკურიანში „პატარა ტბაში“ (8. VII. 1949 წ.).

4. *Baêtis* sp.

მატლები (ნიმფები) ჯერ გარკვეული არ არის. ისინი გვხვდებოდნენ ქ. გორის ახლოს მდ. ლიახვის ნაპირების აღგილებში (22. IX. 1949 წ.).

5. *Ordella macrura* Steph.

მატლები (ნიმფები) აღმოჩნდა ქ. გორის ახლოს მდ. ლიახვის ნაპირების წყალსატევებში (25. V. 1948 წ. და 23. VII. 1948 წ.).

ჩაზმი ნახევრალებებისა და მარტონის (HEMIPTERA)

ნახევრალებებისა და მარტონის რაზმის ნაწილი სამუდამოდ დაკავშირებულია წყალთან და აქ ვითარდება მისი ყველა ფორმა. ამავე დროს, გარდა ერთი ოჯახისა (Corixidae), ყველა ისინი მტაცებელი არიან და ამით გარკვეულ როლს ასრულებენ ადამიანის ცხოვრებაში. მათ შეუძლიათ მასობრივი გამრავლების დროს საქმიანდ დიდი ზარალი მიაყენონ თევზებს ლიფსიტების განადგურებით. მაგრამ ამავე დროს გარკვეულ როლს თამაშობენ კოლოების როდენობის შემცირების საქმეში, რადგანაც სპობენ მათ მატლებს.

1. გვარი *Corixa* (Vermicorixa) Geoffr.

1. *Corixa* (Vermicorixa) assimilis Fieb. ა. ნ. კირიჩენ კოს [14] მიხედვით ეს სახეობა მომდაშო ტიპის წყალსატევებში უნდა იყოს გავრცელებული; ამავე დროს ჰალოფილურია და დამახასიათებელია სამხრეთ უკრაინის, ყირიმის, ჩრდილო კავკასიისა და შუა აზიის ველანი ზოლისათვის.

ჩვენ მასალებში ამ სახეობის ზრდასრული ფორმები ნაპოვნი იყო: 24. V. 1948 წ. ქ. გორში „ნადარბაზევის“ ტბის ნაპირებზე (ეს ტბა მომდაშოა და დაფარულია წყლის მცენარეებით) და 25. V. 1948 წ. იმავე გორში მდ. ლიახვის დაჭაობებულ აღგილებში. 28. VI. 1948 წ. იგივე სახეობა აღმოჩნდა გურჯაანში დაჭაობებულ ტიპის წყალსატევებში, 8. VII. 1949 წ. კიბაკურიანში „პატარა ტბაში“, რომელიც შეიცავდა წმინდა და არამდაშე წყალს.

2. *Corixa* (Vermicorixa) lateralis Leach. ა. ნ. კირიჩენ კოს [14] მიხედვით იმავე მომდაშო ტბის წყალსატევების და ჰალოფილური სახეობაა. დამახასიათებელია სსრ კავშირის იმავე რაიონებისათვის. ჩვენი დაკირვებების მიხედვით ეს სახეობა მომდაშო ტიპის წყალსატევებში, როგორც წესი, არ გვხვდებოდა. მის ზრდასრულ ფორმებს ვპოულობდით:

ა) გურჯაანში კურორტ ახტალის წყალსატევებში — 28. VI. 1948 წ. და მინდორში, დაჭაობებულ აღგილებში — 26. VII. 1948 წ.

ბ) წნორის-წყალზე დროებით წყალსატევებში, არებში მღვრიე წყლით — 27. IX. 1948 წ.

გ) ბაკურიანში „პატარა ტბაში“, რომელშიც წყალი ძლიერ გამჭვირვალე, სუფთა და მცენარეულობით დაფარული იყო.



3. *Corixa (Vermicorixa) nigrolineata* Fieb. ზრდასრული ფორმები მოვალეობაში
მაოდ დიდი რაოდენობით შეგროვილი იყო გურჯაანში 28. VI. და 26. VII.
1948 წ. მინდორში დაჭაობებულ ადგილებში და ბაკურიანში „პატარა ტბაში“
8. VII. 1949 წ.

4. *Corixa punctata* Ill. ა. 6. კირიჩენკო [14] ამ სახეობას აღნიშნავს
სსრ კავშირის სამხრეთისა და აღმოსავლეთი მხარეებისათვის. ჩვენს მასალებში
იგი ცნობილია გორიდან და გვევდებოდა მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მოთავ-
სებულ წყალსატევებში — 20. VI. 1949 წ.

2. გვარი *Nepa* L.

სსრ კავშირში გავრცელებულ ამ გვარის ორი სახეობიდან (*N. cinerea* L.
და *N. hoffmani* Esaki) ჩვენ მიერ ნახული იყო აღმოსავლეთ საქართველოს
წყალსატევებში მხოლოდ ერთი სახეობა:

1. *Nepa cinerea* L. მატლები და ზრდასრული ფორმები გვხვდებოდნენ
ქ. გორში და მდ. ლიახვის დაჭაობებულ ადგილებში 25. V., 23. VII. 1948 წ.
და 23. V. 1949 წ.

3. გვარი *Notonecta* L.

ამ გვარის წარმომაღგენლები ცნობილი არიან როგორც აქტიური მტაცებ-
ლები და მათ საკმაოდ დიდი ზარალის მოტანა შეუძლიათ თევზმეურნეობისა-
თვის; მაგრამ იკვებებიან იგრეთვე კოლოფის მატლებითაც.

ა. 6. კირიჩენკოს [14] ცნობით *Notonecta*-ს მხოლოდ 4 სახეობა
უნდა გვხვდებოდეს სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილებში: კერძოდ *N. glauca* L.,
N. lutea Müll., *N. viridis mediterranea* Hutsch. და *N. obliqua* Gullen.

ჩვენს მასალებში იღმოჩნდა შემდეგი სახეობები:

1. *Notonecta glauca poissoni* Hurgerf. ზრდასრული ფორმები შეგრო-
ვილი იყო ბაკურიანში 28. V. 1949 წ. „იაგოს ტბა“-ში და ქ. გორის ახლოს
20. X. 1949 წ. ჩდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის მღვრიე წყლით და წყალ-
მცენირებით დაფარულ წყალსატევებში.

2. *Notonecta viridis mediterranea* Hutsch. ზრდასრული ფორმები დიდი
რაოდენობით აღმოჩნდა წნორის-წყალზე 28. VIII. 1948 წ. დამდგარ წყალ-
სატევებში და არხებში და ქ. გორში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირებზე მდე-
ბარე წყალსატევებში 23. V. და 20. VI. 1949 წ.

4. გვარი *Gerris* Fabr.

ა. 6. კირიჩენკოს [14] ამ გვარში შემავალ 15 სახეობიდან დასავლეთ
საქართველოსათვის და ყირიმისათვის მოჰყავს როგორც ენდემური სახეობა
Gerris gibbifer Schumm.

ჩვენი მასალების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის
წყალსატევებში ნაპოვნი იყო:



1. *Gerris lacustris* L. ყველაზე უფრო გავრცელებული სახურავია გერმანიაში გვხვდება თითქმის ყველგან. საბჭოთა კავშირში ნაპოვნი იყო ბაკურიანში 28. V. 1948 წ. „იაგოს ტბა“ ში და გურჯაანში 5. VI. 1949 წ., ხელოვნურ აუზში.

2. *Gerris costai* H-S. გვხვდებოდა იმავე ბაკურიანში „იაგოს ტბა“-ში 28. VI. 1949 წ.

3. *Gerris thoracicus* Schum. აღნიშნულია გურჯაანში 8. VI. 1949 წ. ხელოვნურ აუზში.

4. *Gerris* sp. მატოები ნაპოვნია გარდაბანში დროებით წყალსატევში 31. V. 1948 წ., თბილისში და აგრეთვე ქ. გორში 20. V. 1949 წ. და 8. VII. 1949 წ. ბაკურიანში „პატარა ტბა“-ში, მაგრამ სახეობის გამორკვევა ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის აღწერილია ა. ნ. კირიჩენ-კოს [17] მიერ გვარ *Plea*-ს სახეობა — *Plea atomaria* Pall. ეს გვარი შეიცავს მხოლოდ 2 სახეობას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთი მათგანი (იხ. შევით) საქართველოში იყო ნაპოვნი, ჩვენს მასალებში არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა.

ჩვენს მასალებში არ აღმოჩნდა აგრეთვე გვარი *Aphelochirus*, კერძოდ სახეობა *Aphelochirus breviceps* Horw., რომელიც ნაპოვნი იყო ა. ნ. კირიჩენ-კოს [16] მიერ თბილისში მდ. მტკვარში.

საბჭოთა კავშირში გავრცელებულ გვარ *Naucoris* Fabr. ერთად-ერთი წარმომადგენელი *Naucoris cimicoides* L. ნაპოვნი იყო ა. ნ. კირიჩენ-კოს [16] მიერ თბილისისა და ბაკურიანის წყალსატევებში. მაგრამ ჩვენს მასალებში არც ეს სახეობა იქნა აღმოჩნდილი. ეს სახეობა ძლიერ მტაცებელია და შეუძლია იმავე ხასიათის ზარალი მოიტანოს, როგორც *Notonecta*-ს გვარის სხვა წარმომადგენლებს, მაგრამ ისინი ანადგურებენ აგრეთვე კოლოების მატლებსაც.

რაზმი რეისელანი (TRICHOPTERA)

ცნობილია, რომ რუისელათა მატლები და ჭუპრები ცხოვრობენ სხვა-დასხვა მასალიდან გაეთებულ „სახლებში“. ეს „სახლები“ დაცვით ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ ზოგჯერ ისინი საკმაო რთული აგებულებისაა და გამოყენებულია მტაცებელი მატლების მიერ საჭერ ბადებადაც. რუისელათა მატლები და ნიმფები დიდი რაოდენობით გვხვდებიან წყალსატევებში და, როგორც წესი, წარმომადგენენ თევზების საკვებ მასალას. მაგრამ იშვიათ შემთხვევებში მათ შეუძლიათ ზარალის მოტანაც (მაგ. ბრინჯის დაზიანება).

მიუხედავად იმისა, რომ ეს რაზმი ძლიერ მდიდარია სახეობებით, საქართველოს პირობებში ის სუსტად არის შესწავლილი იმიტომ, რომ ამ ფრიად საინტერესო ჩაზრდის შესწავლა აქამდე არავის ჩაუტარებია.

რაღაც რუისელათათვის განსაკუთრებით კარგ პირობებს ქმნიან სხვადასხვა ტიპის მიმდინარე წყლები, განსაკუთრებით კი ცივი წყაროები, მთის ნაკადები და რუები, ამიტომ გასაგებია, რომ მცირე ზომის დამდგარ-



წყალსატევებში ამ მწერების მატლები მცირე რაოდენობით იქნებონ უფრო მეტად ვარდის გველებული. იმ დროს, როდესაც სსრ კავშირში ცნობილია ამ რაზეცის 600 სახეობაზე მეტი, ჩვენს მასალებში ზემოაღნიშნული მიზეზების გამო აღმოჩნდა მშოლოდ ორი სახეობა:

1. *Limnophilus rhombicus* L. ძლიერ გაერცელებული სახეობაა. მისი სახლი შედგება უხეშად ერთიმეორებზე დაწყობილ დეტრიტის ნაწილებისაგან. სახეობა დამახასიათებელია ტბებისათვის. ჩვენს მასალებში აღმოჩნდა გურჯაანში, კურორტ ახტალის ხელოვნურ აუზში 28. VI. 1948 წ.

2. *Limnophilus* sp. მატლები ნაპოვნი იყო 23. V. 1949 წ. ქ. გორის ახლოს მდ. მტკვრის მხარის ნაპირებზე, მაგრამ სახეობის გამორკვევა ვერ მოხერხდა.

ზოგი პრეპარატის ხასიათის მოსაზრება

აღმოსავლეთი საქართველო მდიდარია მცირე ზომის წყალსატევებით, რასაც ხელს უწყობს აგრეთვე სარწყავი სისტემის ზოგ შემთხვევაში მოუწეს-რიგებლობა. მისალებია მხედველობაში ის გარემოება, რომ მცირე ზომის წყალსატევები, იქნება ისინი ბუნებრივი თუ ხელოვნური ხასიათის, არის გამავრცელებელი ადამიანის ძლიერ საშიში მტრებისა (კოლები, მაწუხელები და სხვ.). ამის გამო უნდა ჯეროვანი ყურადღება. მიექცეს მათ ამოშრობას ან ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, რომ ამ მწერების აქ განვითარებისათვის არა ხელსაყრელი პირობები შეიქმნას. ამისათვის, განსაკუთრებით კოლოებთან ბრძოლის მიზნით, საჭიროა მასობრივად გამოყენებულ იქნეს თევზი გამბუზია, რომელიც ჩვენს პირობებში კარგად მრავლდება და ზამთარსაც კარგად იტანს. აშირომ საჭიროა, რომ ყოველ რაიონში იქნეს მოწყობილი ამ თევზების სამარაგო მუდმივი წყალსატევები. ამავე დროს გამბუზიები არა თუ კოლოს მატლებს და კუპრებს სპობენ, არამედ ისინი მინიმუმამდე დაიყვანენ ხოლმე სხვა მწერებსაც, რომელთა შორის მრავალი მტაცებელია და მაგნებლობის მომტანიცაა (წყლის ხოჭოებისა და ბალლინჯოების ზოგი სახეობა). მაგრამ მხედველობაში მისალებია ის გარემოება, რომ გამბუზიების გამოყენება არ შეიძლება ისეთ წყალსატევებში, სადაც მეთევზების მისდევნ, რადგანაც ისინი სჭამენ თევზების ქვირითსა და ანაღურებენ ლიფსიტებს. ამასთან ერთად სათევზე მეურნეობებში ყურადღება უნდა მიექცეს მტაცებელ მწერების მოსპობას, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან წყალსატევებში ნემსიკლაპიების მატლებისა, ბალლინჯოებისა და წყლის ხოჭოების მატლებისა და ზრდა-სრული ფორმების სახით და სხვ.

ამ ნაშრომის პირველ და მეორე ნაწილში მოყვანილი მონაცემები, ცხადია, ვერ ამოსწურავენ აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ენტომოფაუნის სახეობრივ შედეგნილობას. ამ მიმართებით საჭირო იქნება შემდეგშიც მუშაობის გაგრძელება და თანაც ამ მხრივ აუცილებელია დასავლეთ საქართველოს იმავე ტიპის წყალსატევების შესწავლაც. მიუხედავად ამისა, ზეიძლება ითქვას, რომ ჩვენი გამოკვლევების შედეგად მიღებული მონაცემები გამოყენებული უნდა იქნეს „საქართველოს ფაუნის“ სათანადო

ტომის შედეგის დროს, ზოგი პრაქტიკული დასკვნა კი შეიძლება მორტეტული იქნეს მხედველობაში წყალსატევების მავნე მწერთა ამა თუ იმ ჯგუფის ცარი-ნააღმდეგო ღონისძიებათა დამუშავების დროს.

ლაპარაკი

1. აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში ნებისყლა-პიების რაზმიდან უფრო გავრცელებული აღმოჩნდა 9 გვარის 13 სახეობა, იმ დროს როდესაც საერთოდ საქართველოსთვის აქამდე აღნიშნული იყო მისი 21 გვარი 42 სახეობით.

2. ერთდღიურების წარმომადგენლები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდებოდა მცირე ზომის წყალსატევებში, მაგრამ მომეტებულად ისეთებში, რომლებიც წყლის ოდნავი მოძრაობით მაინც ხასიათდებოდა. უფრო გავრცე-ლებულია და მეტი რაოდენობით გვხვდებოდა 5 სახეობა.

3. წყლის ნახევრალებშეშფრთიანებიდან განსაკუთრებით გავრცელებული აღმოჩნდა 4 გვარის 11 სახეობა და მათ შორის უმეტესობა დიდი რაოდენო-ბით გვხვდებოდა ყველა ტიპის მცირე ზომის წყალსატევში.

4. რუისელათა მატლები და ჭუპრები მცირე ზომის წყალსატევებშიც მოიპოვებოდა. მაგრამ აქ ისინი გაცილებით უფრო მცირე რაოდენობით გვხვდებოდნენ, ვიდრე სწრაფად გამდინარე წყალსატევებში (ნახული იყო სულ 2 სახეობა).

5. მცირე ზომის წყალსატევები აღმოსავლეთ საქართველოში საკმაოდ დიდ როლს თამაშობენ ადამიანის სენთა გადამტანი მწერებისა და მეოეგზე-ობის მავნე მწერების გავრცელებით. ამის მიხედვით მცირე ზომის წყალსატე-ვები მუდამ მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს და ისახებოდეს სათანადო ღონისძიებები მათ ამოსაშრობად ან მათში ისეთი პირობების შესაქმნელად, რომ მოისპოს ამ მავნე მწერების გამრავლება. ამასთანავე ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული ამ წყალსატევებში თვეზე — გამშუბია.

ლაპარაკები

რადგანაც ამ შრომის პირველი ნაწილის გამოქვეყნების შემდეგაც აღმოჩნდა ჩვენ მიერ შეგროვილ მასალაში წყლის ხოჭოების წარმომადგენლე-ბი, ამიტომ დამტებით მოგვყავს ის სახეობანი, რომლებიც პირველ ნაწილში, სადაც შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ხოჭოები და ორფრთიანები, არ იყო შეტანილი:

1. ოჯახი Dytiscidae

1. *Hyphydrus ovatus* L. ფ. ა. ზაიცევის [12] მიერ ნახულია მუხრანში, კოჯორში და სხვ. ჩვენს მასალებში აღმოჩნდა გორში 23. V. 1949 წ. და გურჯაანში 5. VI. 1949 წ. ხოჭოები გვხვდებოდნენ მინდვრის დაჭაობებულ ადგილებში.



2. *Agabus (Gaurodytes) bipustulatus* L. գ. օ. ֆասութիւն շնչառողներ
աղնո՛ւնուլու լըքերգամի, ყարաօանմու, տյլազմու, տյլուանմու, տօնլուսմու, թյերնոնմու, սյրամի, ծավորօանմու, օձատյշմանմու, մանցլուսմու և սեց. մըցարած, սպագուոդ գացրւուլու և իշենա խալսանցացնեն իշեռունենարկոցն սաեցօնա։

Իշենա մասալցեն մոնեցատ աղմոհենուն ծավորնունմու (8. VII. 1949 թ.) „პարարա ընամու“ մարդու և եռքունքն ոյզեցեց յրտածունեցնեն, ծյահածունեցն յիշանուանացն էնց գործունացն մարդու տաշունեցն։

3. *Rhantus conspersus* Masch. գ. օ. ֆասութիւն [12] սայսարտցունուսագուս մոնպացն սաեցուն Ռ. punctatus Gefffr. և Ռ. suturalis Lae. իշենա մասալցեն քո աղմոհնդա Ռ. conspersus Masch. եռքունքն նաձունու ցորեն (20. VI. 1949 թ.) մըցարուն մարչացն նաձունչու ժակառնեցն աջգունցն օդցուն ոյս և մըցենարցնեցն ու ացարունու. ոյզեցեցն մարդու մըցարուն ու տաշունմանցն էնց կողունքն մարդու և քաշարցն։

4. *Acilius canaliculatus* Nic. գ. օ. ֆասութիւն [12] աղնունացն, հոմ յե սաեցօնա մըցերյացգասսունու յնճու ցցեցացնունք մոնան աջգունցն. իշեն մոյր մուս մարդու նաձունու ծավորնունմու 8. VII. 1949 թ. „პարարա ընամու“ և մուս աելու մըցեցն ու ցանցեցն։

2. ռջաճո Հydrophilidae

1. *Ochthebius marinus meridionalis* Rey. եռքունքն շըցրուուն ոյտ ցորեն 23. V. 1949 թ. մըցարուն մարչացն նաձունչու ժակառնեցն աջգունցն.

2. *Helophorus aquaticus* L. ցուու հառցենուն եռքունքն շըցրուուն ոյտ ծավորնունմու 8. VII. 1949 թ. „პարարա ընամու“ և ացըւագու մուս աելու մըցեցն ու ցանցեցն.

3. *Helophorus brevipalpis* Bed. գ. օ. ֆասութիւն [13] մոնպացն սամերա-տուսագուն. իշենա մասալցեն մոնեցատ աղմոհնդա ցուրջանանմու 5. VI. 1949 թ. յելունցն այսն.

3. ռջաճո Gyrinidae

1. *Gyrinus distinctus* Aubé (Colymbus Er.). օմ գըմու, հոգուսաւ 1948 թ. շըցրուուն մասալցեն (օն. նավ. I) օմ ռջաճու օնաց յրտու խարմոմացցենելու առ աղմոհնդա, 1949 թ. շըցրուուն ոյտ աղնունցուն սաեցօնն եռքունքն ժուգու հառցենուն ցորեն (20. VI) մըցարուն մարչացն նաձունչու ժակառնեցն աջգունցն. յե սաեցօնա նաեւլուն գ. օ. ֆասութիւն [13] մօյր սոմեցեթն և խարմուցցն ռջաճո Gyrinidae-ս պահանչու ուժրու ցուրցւունեցն սաեցօնա.

ՀԱՅԱՀԵՐԱԿԱՆ ԼՈՒՂԱՑՄԱՆ

1. Н. Н. Акрамовский, Стрекозы советской Армении. Зоологический сборник, вып. 5. 1948 г.
2. А. Н. Бартенев: Известия Кавказского музея. VII.
3. А. Н. Бартенев: Ежегодник Зоолог. музея, XVII, 1912 г.

4. А. Н. Бартенев: Fauna России и сопредельных стран. Насекомые. Ч. 1. Катокрылые. 1915 г.
5. А. Н. Бартенев: Fauna России и сопредельных стран. Насекомые ложносетчатокрылые. 1919 г.
6. А. Н. Бартенев и А. Н. Попова: Русское энтомологическое обозрение, XXII. 1928 г.
7. А. Н. Бартенев: Русское энтомологическое обозрение, XXIII. 1929 г.
8. А. Н. Бартенев: Bulletin du Musée de Géorgie, V. 1929 г.
9. А. Н. Бартенев: Bulletin du Musée de Géorgie. VI. 1930 г.
10. A. N. Bartenev: Zoologische Jahrbücher, VIII, 5—6. 1930.
11. А. В. Богачев: Труды Азербайджанского Филиала Акад. Наук СССР, XX: Сер. зоол.
12. Ф. А. Зайцев, Плавунцы Кавказа: Раб. Сев.-Кавк. гидробиологической станции, т. II. 1927 г.
13. Ф. А. Зайцев, Водяные жуки бассейна реки Занга и некоторых других водоёмов Арм. ССР.: Труды Сев.-Кавк. гидробиол. станц., т. VIII. 1947 г.
14. В. И. Жадин, А. Н. Кириченко и др., Жизнь пресных вод, часть I. 1940 г.
15. ლ. კალაბრაძე და ზ. ჯაში, მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ენტომოფაუნის შესწავლისათვის, ნაწ. I, ხოჭოები და ორფრთივანები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრომები, ტმ. XXXVIII, 1950 წ.
16. А. Н. Кириченко, Полужесткокрылые Кавказского края, ч. I: Записки Кавказского Музея, серия А, № 6.
17. А. Н. Кириченко, Работы Северо-Кавказской гидробиолог. станции при Горском Сельхоз. Институте, т. III, вып. 1—3, под редакцией Тарнаградского.
18. Г. И. Радде, Museum caucasicum: Коллекции Кавказского Музея (зоол.). 1899 г.
19. Г. Г. Якобсон и В. Л. Бианки, Прямокрылые и ложносетчатокрылые Рос. имп. 1905 г.

სტალინის სახელმწიფო
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის გათედრა

(შემონდა რედაქციაში 1950. IV. 18).

Л. П. Каландадзе и З. И. Джаши

Материалы к изучению энтомофауны мелких водоемов Восточной Грузии

Ч. II, стрекозы, поденки, полужесткокрылые, ручейники и т. д.¹

Дополнение: жуки

(Краткое содержание)

I. Продолжая собирание материала по изучению энтомофауны мелких водоёмов Восточной Грузии, и в 1949 г. удалось установить в них наличие следующих видов:

Стрекозы — (*Odonata*) — 9 родов и 13 видов, а именно:

1. *Agrion pulchellum* Lind.
2. *Lestes sponsa* Hansem.
3. *Lestes uncatus* (L. dryas) Kirby.
4. *Enallagma cyathigerum* Charp.
5. *Aeshna juncea* L.
6. *Aeshna* sp.
7. *Anax* sp.
8. *Cordulia aenea* L.
9. *Libellula depressa* L.
10. *Orthetrum brunneum* Fonsc.
11. *Orthetrum* sp.
12. *Sympetrum striolatum* Charp.
13. *Sympetrum sanguineum* Müll.

Поденки — (*Ephemeroptera*) — 3 рода и 5 видов, в том числе:

1. *Cloeon dipterum* L.
2. *Cloeon rufulum* Eahan.
3. *Cloeon* sp.
4. *Baetis* sp.
5. *Ordella macrura* Steph.

Полужесткокрылые — (*Hemiptera*) — всего 4 рода и 11 видов:

1. *Corixa (Vermicorixa) assimilis* Fieb.
2. *Corixa (Vermicorixa) lateralis* Leach.
3. *Corixa (Vermicorixa) nigrolineata* Fieb.
4. *Corixa punctata* L.

¹ См. часть I, проф. Л. П. Каландадзе и канд. биол. наук З. И. Джаши:
Материалы к изучению энтомофауны мелких водоемов Восточной Грузии: Труды ТГУ,
т. 38, 1950.

5. *Nepa cinerea* L.
6. *Notonecta glauca* poissoni Hurgerf.
7. *Notonecta viridis* mediterranea Hutsch.
8. *Gerris lacustris* L.
9. *Gerris costai* H-S.
10. *Gerris thoracicus* Schumm.
11. *Gerris* sp.

Ручейники — (Trichoptera) — всего 2 вида; эту бедность видами можно объяснить тем, что большинство обследованных водоёмов было не проточно. Эти виды следующие:

1. *Limnophilus rhombicus* L.
2. *Limnophilus* sp.

II. На основании полученных данных (см. I и II ч.) намечен ряд мероприятий по борьбе с вредными видами насекомых, населяющих мелкие водоёмы (водные фазы комаров, слепней, водяные жуки, клопы и т. д.).

თ. მხებიძე

მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მხირე ზომის ცენტრალური განვითარების განვითარების მინისტრის

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მსოფლიოში ცნობილია წყლის ტკიპების (Hydrachnidae) ორიათასზე მეტი სახეობა, აქედან საბჭოთა კავშირისათვის აღნიშნულია მხოლოდ 433 სახეობა (მათ შორის 11 სახეობა კოსმოპოლიტია). ამავე დროს ტკიპების აღნიშნული ჯუფიდან საქართველოში მხოლოდ ერთი სახეობა არის ნახული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენში წყლის ტკიპების ფაუნა სრულიად შეუსწავლელია, მით უმეტეს სრულიად არ არის შესწავლილი ამ ცხოველების ბიოლოგია.

წყლის ტკიპების შესახებ ქართულ ენაზე ჯერ არც ერთი ლიტერატურული ცნობა არა გვაქვს. რუსულ ენაზე ვამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია პროფ. ი. ი. სოკოლოვის ვაპიტალური მონოგრაფიული შრომა: „Фауна СССР“, რომელიც, შეიძლება ითქვას, ძირითადად სისტემატიკური ხასიათისა და მცირეოდენ ცნობებს იძლევა ცალკეული სახეობის ბიოლოგიის საკითხების შესახებ.

წყლის ტკიპები გვხვდებიან ყველგან მთელ მსოფლიოში. არ არის ისეთი წყალსატევი (მუდმივი, დროებითი, ცივი, ცხელი, დამდგარი, გამდინარე, მაღლობის, დაბლობის, მლაშე და სხვ.), საღაც ისინი არ გვხვდებოდნენ. მთავარი მასა წყლის ტკიპებისა აღნიშნულია ტროპიკულ და ზომიერ სარტყელში. ვერტიკალური გავრცელების შესახებ ცნობები მცირეა. ყველაზე კარგად შესწავლილია შვეიცარიისა და საფრანგეთის ალბების გამდინარე და დამდგარი წყალსატევები. საბჭოთა კავშირში შესწავლილია ალტაის ალბური ტბები, რომლებიც ზღვის დონიდან 2200 — 2721 მეტრზე მდებარეობენ [1].

აღნიშნული ცხოველები ფრიად სხვადასხვავარ წყალსატევებში მოსახლეობენ. ამიტომ არის, რომ განსხვავებული ეკოლოგიური პირობები ამ ცხოველებში გავლენას ახდენენ მათ მორფოლოგიაზედაც. მაგ., წყლის ტკიპები, რომლებიც ცხოვრობენ დამდგარ წყალსატევებში, ხასიათდებიან: ამობურცული ფორმის სხეულით, გრძელი კიდურებით, რომლებიც საცურავი ბეჭვებით არიან აღჭურვილი მაშინ, როდესაც გამდინარე წყლის ფორმები შედარებით მცირე ზომისანი არიან; ზურგმუცლის მიმართულებით შებრტყელებული არიან, კიდურები მოკლე აქვთ და მათზე საცურავი ბეჭვები თითქმის არ გააჩნიათ. ტანზე ქიტინოვანი საფარი აქვთ განვითარებული.



წყლის ტკიბები სწრაფად მოძრავი ცხოველებია. წყალსატევშეზღუდვების შესამჩნევი ხდებიან განსაკუთრებული შეფერადების გამო (წითელი, ყვითელი, ლურჯი, მწვანე, ყავისფერი, ცისფერი, ჭრელი და სხვ.). თითქმის ყველა Hydrachnæ-ები მტაცებლები არიან, გარდა Limnicharae-თა, რომლებიც მხოლოდ მცენარეული საკვებით იკვებებიან. წყლის ტკიბების საკვებს წარმოადგენენ სხვადასხვა უძაბლესი კიბოსებრნი: Cladocera, Copepoda, Ostracoda და წვრილი მატლები Diptera-თა და Ephemeridae-თა. ძალიან გავრცელებულია ტკიბებში პარაზიტიზმიც; ისინი ხშირად მატლობის სტადიაში პარაზიტობენ სხვადასხვა სახის წყლის მწერებზე, როგორიცაა, კოლოს მატლები, წყლის ხოჭოები, ბალლინჯოები, ნემსიყლაპივები და სხვ. მათ მხრივ ტკიბების შესწავლა საინტერესოა, ვინაიდან ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ წყალსატევის ცოცხალ მოსახლეობაში, რაღაც ისინი, როგორც აულნიშნეთ, პირველ რიგში კვებით ურთერთობაში არიან მთელ რიგ წყლის ორგანიზმებთან. იმავე დროს თითონ წარმოადგენენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკვებს თევზებისათვის. წყლის ტკიბები როგორც თევზების საკვები ობიექტი მრავალჯერ არის აღნიშნული ლიტერატურაში. მაგ., არქტიკული ინსტიტუტის ექსპედიციის ხელისმგებელის ე. ვ. ბურმაკინის გამოყვლევების შედეგად ტბის სისტემის მდინარე კუის თევზის პელიადის კუჭიში 200 — 384 ცალი წყლის ტკიბები იქნა აღმოჩენილი. ასეთივე რაოდენობით ნაპოვნი იყო სიგებში და ქორწილებში. ანალოგიური მონაცემების მოყვანა შეიძლება სხვა ტბებიდანაც (შუა და ზემო კუიტო, მდ. კარელია) [1]. გარდა ამისა ი. ი. სოკოლოვი აღნიშნავს ერთ-ერთი მკვლევარის 1933 წლის ცნობას, რომელმაც 4 სხვადასხვა სახეობის თევზის (კალმახებიდან) კუჭის დამუშავების შემდეგ აღმოაჩინა წყლის ტკიბების 450 ეგზემპლარი, რომლებიც 17 სხვადასხვა სახეობით იყო წარმოდგენილი.

აღნიშნულის გამო წყლის ტკიბების ფაუნისა და მათი ბიოეკოლოგიური საკითხების შესწავლას ჩვენში დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

მუსაობის მეთოდება

1948 — 49 წ. წ. განმავლობაში მოწყობილი ექსპედიციის დროს მასალები შევაგროვეთ აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგი ადგილებიდან: ბაქურიანი — პატარა ტბა, „იაგორას ტბა“ და ტყის დაჭაობებული ადგილები; გორის რაიონი — ლიახვის მარჯვენა მხრის და მტკვრის მარცხენა მხრის დაჭაობებული ადგილები შესართავთან, ნადარბაზევის ტბა; დუშეთი — ბაზალეთის ტბა; გარდაბნის მუდმივი და დროებითი წყალსატევები; გურჯაანი — თხილის წყალი, „პაპას წყალი“ და არხის წყლის დაჭაობებული ადგილები, წითელი წყალი — ოცდამეტვიდე გამდინარე არხი, საწრეტი არხის დამდგარი გუბე; ვარდისუბნის (ლაგოდეხის რ.) დროებითი წყალსატევები.

მასალას ვიღებდით სპეციალური ჰიდრობიოლოგიური იარაღებით (პლანქტონის ბადე, საფხვეკი). პლანქტონის ბადით ვიჭრდით წყლის ტკიბების იმ ფორმებს; რომლებიც პელაგურ ცხოვერებს ეწევიან, ხოლო ისეთი ფორმები, რომლებიც ბენტოსთან არიან დაკავშირებული, შევროვებული იყო საფხვეკის საშუალებით. გადარჩეულ მასალას ფიქსაციას ვუკეთებდით კოენიკეს ხსნარში,

რომელიც 5 ნაწ. სუფთა გლიცერინის, 2 ნაწ. ძლიერი ძმრის მჟავას და 3 ნაწ. გამოხდილი წყლის ნარევს წარმოადგენს. კონიკებს ხსნარში მასალა ინახებოდა რამდენიმე კვირას (2—3). შემდევ გადაგქონდა სუფთა გლიცერინში. რადგანაც კონიკებს ხსნარი აუფერულებს მასალას, ამიტომ ფიქსაციამდე ვაწარმოებდით ფერების წინასწარ აღნიშვნას.

ბუნებაში ბიოლოგიური დაკვირვებების ჩასატარებლად წინასწარ შერჩეული იყო ზოგიერთ რაიონებში (გორი, ბაკურიანი, ლუმითი) სხვადასხვა ტიპის წყალსატევები, საღაც სეზონის მიხედვით (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა) გვიხდებოდა მასალის შეგროვება და დაკვირვებების ჩატარება.

შეგროვილი მასალის სისტემატიკური დამუშავება ჩავატარეთ უხერხემლოთა ზონლოგიის კათედრის ლაბორატორიაში და ქ. ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემბრიოლოგიის ლაბორატორიაში პროფ. ი. ი. სოკოლოვის ხელმძღვანელობით, რისვისაც მას მაღლობას გუცხადებ.

ცეკლაზევები. საიდანაც ნარმავდა მასალების შემარვება

ბაკურიანის ტბები

პატარა ტბა — მუდმივი, რომელიც ზაფხულობით არ შრება. წყალი სუფთა, ნაპირები დაფარულია წყლის მცენარეულობით (კალამი, ხავსი). წყლის $t = 14^\circ - 17^\circ$ ¹. უჭირავს 200 მ² ფართობი, მისი სიღრმე 1 მ აღწევს.

„ვაგონის ტბა“

მუდმივი მინდვრის ტბა, ნაწილობრივ მღვრიე, რომელსაც 30 მ² ფართობი უჭირავს, სიღრმე = $1/2$, მეტრს, წყლის $t = 13^\circ - 14^\circ$.

ტყის მუდმივი ჭიობი, რომელსაც 100 — 150 მ² ფართობი უჭირავს, სიღრმე 20 — 25 სმ უღრის. წყლის $t = 10^\circ - 11^\circ$.

გორის რაიონი

ნაღარბაზევის ტბა: 12 კვ. კილომეტრის ფართობი უჭირავს, სიღრმე = 6 — 7 მეტ., წყალი სუფთა. ტბის ნაპირები ჩრდ.-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით დაფარულია კალმით. წყლის $t = 20^\circ$. ზემარილიანი ტბა.

ლიახვის მარჯვენა შესართავის დაჭიობებული აღგილები: 300 — 400 კვ. მეტრის ფართობი უჭირავს, სიღრმე $1/2$ მ აღწევს. წყალი სუფთა, გამდინარეა და მდიდარია წყლის მცენარეებით. წყლის $t = 16^\circ - 19^\circ$.

ლუშეთის რაიონი

ბაზალეთის ტბა — მდებარეობს 879 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ტბის უდიდესი სიგრძე — 2090 მ, სიგანე — 1163 მ. საერთო ფართობი 1,24 კმ² (124 ჰა). ყველაზე ღრმა აღგილეთითაა, სიღრმე 7 მეტრს აღწევს.

¹ წყლის $t = 10$ ნაჩვენებია მასალის აღების მოენტში



წყალი ძალზედ სუფთა, ნაპირები კალმით დაფარული მშენებელის საც
 $t^{\circ} = 20^{\circ} - 21^{\circ}$.

გურჯაანი

თხილის, არხის და „პაპას წყლის“ დაჭაობებული ადგილები, რომლებსაც დაახლოებით 300 — 400 მ² ფართობი უჭირავს. წყალი სუფთა, ნაპირები დაფარულია მცენარეულობით. წყლის $t^{\circ} = 16^{\circ} - 20^{\circ}$.

წითელი წყალი — გუბე 10 მ² ფართობით, წყალი მღვრიე. $t^{\circ} = 28^{\circ}$.

წნორის წყალი (სიღნაღის რაიონი)

ოცდამეშვიდე გამდინარე არხი, წყლის $t^{\circ} = 14^{\circ}$.

„თარიმანის ენახის“ წყლის $t^{\circ} = 22^{\circ}$.

საწრეტი არხი და დამდგარი გუბე წყლის $t^{\circ} = 24^{\circ}$.

აღნიშნული ადგილები დაჭაობებულია, მათ დაახლოებით 200 — 300 მ² ფართობი. უჭირავს.

ლაგოდეხის რაიონი

ვარდისუბანი — ღროებითი წყალსატევი მშვიდობიანასა და ვარდისუბნის საზღვაოზე. წყალი ძალზე მღვრიე. $t^{\circ} = 20^{\circ} - 21^{\circ}$, უჭირავს 15 — 20 მ², სიღრმე = 25 მ.

ცელის გეივების სახეობრივი შეღენილობა

ოჯახი Limnocharidae

გ3. Limnochares Latreille

Limnochares aquatica (L.).

გავრცელება. ი. ი. სოკოლოვის [1] ცნობით საბჭირის შემდეგ ადგილებშია გავრცელებული: ლენინგრადის ოლქი, კარელია, სმოლენსკის, ივანოვის, მოსკოვის, სვერდლოვის და კორონეცის ოლქები, უკრაინა, უსურიის მხარე და კუნძული სახალინი.

გარდა ამისა აღნიშნულია დასავლეთ ევროპასა და ჩრდ. ამერიკაში.

ამ სახეობის საქართველოში გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოგვეპოვება. ჩვენ მიერ პირველად ნახულია შემდეგ ადგილებში: ბაკურიანი — პატარა ტბა 28. V. 48 წ., 9. VII. 49 წ., გორი — ლიახვის შესართავის მარჯვენა მხარეზე არსებული მუდმივი (ნაწილობრივ გამდინარე) ჭაობიანი ადგილები 10. V. 48 წ., 15. VI. 48 წ., 26. VI. 49 წ., 1. VII. 49 წ.-ს.

დუშეთი — ბაზალეთის ტბა 20. VI. 49 წ.

აღნიშნულ წყალსატევებში L. aquatica ყოველთვის მოპოვებული იყო სანაპირო ზონიდან. ჩვენ მიერ სპეციალურად იქნა ამოღებული სინჯები წყალსატევების ცენტრალური ადგილებიდან, როგორც პლანქტონის ბადით ასევე საფხევის საშუალებით, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში სინჯე ამ სახეობის ინდივიდები არ მოჰყოლია. ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ L. aquatica ლიტორალური ზონის ცხოველია. ამავე დროს ჩვენ მიერ შემჩ.

ნეულია, რომ თუ პლანქტონის ბადე წყლის მცენარეებს შორის ანტრიფლუსტრის ტევის ფსკერზე არ იქნებოდა გატარებული, ეს ცხოველები სინჯში არასოდეს არ იყო, მაშინ როდესაც საფხევით ამოტანილ სინჯში ისინი ხშირად გვხვდებოდნენ. ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ აღნიშნული სახეობა ფსკერთან დაკავშირებულ ცხოვრებას ეწევა. ამავე დროს ის შეიძლება ჩაითვალოს ოლი-ვოსაფრთხოფიტულ ცხოველად, რადგან ის უფრო ეტანება ისეთ წყალსატევებს, რომლებიც წმინდა წყალს შეიცავენ.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით [1, 2] *L. aquatica* მცენარეული საკვებით იკვებება, რაც ჩვენი დაკავირვებითაც მტკიცდება. წლის მანძილზე იტანს ტემპერატურის დიდ მერყეობას, რაც იქიდან ჩანს, რომ ცხოვრობს ისეთ წყალსატევებში, რომლებიც ადვილად თბება და ადვილად ცივდება (მცირე ზომის წყალსატევი ან სანაპირო ზოლი).

კობულაცია ჩვენ მიერ შემჩნეული იყო აღრე გაზაფხულზე. კვერცხებს სდებენ ჯგუფურად, მათი რიცხვი ზოგჯერ ათასსაც კი აღწევს. კვერცხები იდება ქვებზე, წყლის მცენარეების ტოტებზე ან ფოთლებზე. კვერცხები წითელი ან აგურის ფერისაა და ფორმით მრგვალი ან ივალურია.

ოჯახი *Eylaidae*

გვ. 1. *Eylais Latreille*

1. *Eylais rimosa Piersig.*

გვ. 1. ელემბ. ა. ი. სოკოლოვის [1] მიხედვით *E. rimosa* საბჭოთა კავშირში გხვდება შემდეგ ადგილებში: ლენინგრადის ოლქი, კარელია, ივანოვის, მოსკოვის, კალინინისა და სვერდლოვის ოლქები, უსურიის მხარე. გარდა ამისა აღნიშნულია დასავლეთ ევროპასა და ჩრ. აფრიკაში.

აღნიშნული სახეობის საქართველოში გავრცელების შესახებ არავითარი ლიტერატურული მონაცემები არ გვაქვს. ჩვენ მიერ პირველადაა ნახული: გორში — ლიახვისა და მტკერის დაჭაობებულ ადგილებში V. 1948 წ., VI. 1949 წ., გარდამნის მუდმივ და დროებით წყალსატევებში 5. VII. 48 წ.

Eylais rimosa, მართალია, გხვდება მუდმივ წყალსატევებში, მაგრამ ის კარგად ეგუება დროებითი წყალსატევების პირობებსაც. ცხოვრობს წყლის მცენარეულობით დაფარულ ადგილებში, მცენარეულ საფარს მოქლებულ ადგილებში თითქმის არ შეგვხვედრია. მოსახლეობს როგორც სუფთა, ისე მღვრივ წყალში.

E. rimosa ჩვენი დაკვირვებით მტაცებელ ცხოველს წარმოადგენს, ის ხშირად თავს ესხმის უმდაბლეს კიბოსებრებს. ამავე დროს მისი მატლი პარაზიტობს კოლოფების მატლებზე და წყლის ხოჭოებზე (დაკვირვება წარმოადგულია მდ. ლიახვის დაჭაობებულ ადგილებში).

2. *Eylais undulosa Koenike*

გვ. 1. ელემბ. ა. ი. სოკოლოვის [1] ცნობით გავრცელებულია შემდეგ ადგილებში: ლენინგრადის ოლქი, კარელია, ივანოვისა და სვერდლოვის ოლქები და დასავლეთი კიბოსებრი. საბჭოთა კავშირის გარდა ნახულია ესპანეთში, გერმანიაში და ინგლისში.



საქართველოში ჩვენ მიერ პირველადაა ნახული გორში — ჭრლიკების
მიღამოების დროებით წყალსატევებში 1. VIII. 49 წ.

3. Eylais (Proteylais) degenerata Koenike

გავრცელება. როგორც პროფ. სოკოლოვი [2,3] ამბობს, აღნიშნული სახეობა შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთის ფორმად, რომელსაც ფართო გაერცელების არეალი აქვს (ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები, მთელი აფრიკა, ინდოეთი, ჩინეთი და კუნძ. სუმატრა). საბჭოთა კავშირში მხოლოდ ტაჯიკეთში ნახული 1942—45 წ.წ. საქართველოსათვის ახალია. ჩვენ მიერ ნახულია შემდეგ ადგილებში: ბაკურიანი — პატარა ტბა 28. V. 48 წ., გურჯაანი — წითელი წყალი — გუბე 26. XII. 48 წ. გარდისუბანი 29. VII. 48 წ., 27. IX. 48 წ., გორი — გორისჭვრის დროებითი წყალსატევი 26. V. 49 წ., 1. VII. 49 წ.

ეს სახეობა ჩვენშიც ფართოდაა გავრცელებული; არ არის ისეთი დროებითი წყალსატევი, სადაც არ გვხვდებოდეს და თანაც დიდი რაოდენობით. მაგ., 1948 წ. ვარდისუბანში და ლაგოდებში ჩვენ მიერ იგი მრავლად იყო მოპოვებული (1949 წ. იმავე ადგილებში წყალსატევები აღარ შეგვხვედრია). კარგად ეგუებიან მაღალ ტემპერატურას და იშვიათად გვხვდებიან სუფთა წყალში (მეტი რაოდენობით გვხვდებიან მღვრე წყალსატევში). იკვებებიან კოპებოდებით და სხვა უმდაბლესი კიბრსებრებით.

ოჯახი Hydrachnidae

83. Hydrachna O. F. Müller

Hydrachna (Monohidrachna) skorikowi Piersig.

გავრცელება. აღნიშნული სახეობა ი. ი. სოკოლოვის [1] ცნობით საბჭოთა კავშირში ცნობილია შემდეგ ადგილებში: ლენინგრადის ოლქი, კარელია, ივანოვის, მოსკოვის, კალინინის ოლქები, უკრაინა, ჩელიაბინსკის ოლქი, სომხეთი, უნგრეთი, ლიტვა. გარდა ამისა ნახულია გერმანიაში და ინგლისში.

ამ სახეობის საბართველოში გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოვალეობა. ჩვენ მიერ პირველადაა ნახული გურჯაანში — თხილის წყლისა და „პაპას წყლის“ დაჭაობებულ ადგილებში (30. VI. 48 წ.).

ევროთერმული ფორმაა და მცირე რაოდენობით გვხვდება.

ოჯახი Diplodontidae

83. Hydrodroma C. L. Koch

H. (=Diplodontus) despiciens (O. Müller).

გავრცელება. კოსმოპოლიტია. საბჭოთა კავშირში შემდეგ ადგილებშია გავრცელებული: ლენინგრადი, კარელია, სმოლენსკი, მოსკოვი, ივანოვი, გორეკი, სვერდლოვი, ვორონეჟი, უკრაინა, კავკასია (ტებერდა) [4], უსურიის მხარე და ხაბაროვსკი. ამის გარდა გავრცებულია დასავლეთ ევროპაში, აზიაში, ჩრ. და სამხრეთ ამერიკაში და აფრიკაში.

აღნიშნული სახეობა ჩვენ მიერ ნახულია: დუშეთში — ბაზალეთმურტეჭუ
7. VI. 48 წ., ბაკურიანში — პატარა ტბა 28. V. 48 წ., 9. VII. 49 წ.

ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ ეს სახეობა ცხოვრობს მუდმივ წყალსა-
ტევში და გაურბის ორგანული ნივთიერებით მდიდარსა და მღვრივ წყლიან
წყალსატევებს. უმეტეს შემთხვევაში ეწევა პელაგურ (პლანქტონურ) ცხოვრე-
ბას. თავდაცვის მიზნით იგი ეშვება წყალსატევის ფსკერზე, საღაც ემიგრება
ქვეზე ან სხვა რაიმე სუბსტრატზე.

წყლის ტკიბებს შორის *H. despiciens*-ი ხასიათდება მტიცებლობის დიდი
უნარით. აგრეთვე ჩვენ მიერ შემჩნეულია, რომ ამ სახეობის მატლები დიდი
რაოდენობით პარაზიტობენ ბალლინჯოებზე — *Gerris lacustris* L. და ქოლოს-
მატლებზე. ამავე დროს ეს სახეობა გამოიყენება თევზების ზოგიერთი სახეობის
საკვებად, რაც ჩვენ მიერ შემჩნეულია ბაზალეთის ტბაზე.

ოჯახი *Hygrobatidae*

გვ. *Hygrobates* C. L. Koch

1. *Hygrobates (Rabdotoxobates)* Sokolovi S. Thor.

გავრცელება. საბჭოთა კავშირში მხოლოდ ლადოგის ტბაშია ნახული
(სოკოლოვი, 1).

საქართველოსათვის ახალია. ჩვენ მიერ ნახულია მხოლოდ გურჯაან-
ში — თხილის წყლის დაჭაობებულ აღგილებში 1 ♂. 29. VI. 48 წ.

2. *Hygrobates (s. str.) longipalpis* (Hermann)

გავრცელება. როგორც ი. ი. სოკოლოვი [1] აღნიშნავს, ეს სახეობა
საბჭოთა კავშირის შემდეგ აღგილებშია ნახული: ლენინგრადი, კარელია, მოს-
კოვი, კალინინი, სმოლენსკი, ივანოვი, სვერდლოვი, ვორონეჟი, უკრაინა,
დას. ციმბირი, იაპონია. გარდა ამისა ნახულია ჩრდ. ამერიკაში, დას, ევრო-
პაში, სირია-პალესტინაში და აღეთში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობა ფართოდ არის გავრცელებული
საბჭოთა კავშირის ფარგლებში და მრავალი ავტორის მიერ არის მოყვანილი
სხვადასხვა წყალსატევისათვის, საქართველოში მისი გავრცელების შესახებ
არავთარი ცნობები არ არის.

ჩვენ მიერ ნახულია გორში — ლიახვის მარჯვენა მხარის დაჭაობებულ
აღგილებში 25. VII. 48 წ.

ოჯახი *Pionidae*

გვ. *Piona* C. L. Koch

1. *Piona nodata* O. F. Müller.

გავრცელება. ი. ი. სოკოლოვის ცნობით *P. nodata* საბჭოთა კავ-
შირში აღნიშნულია შემდეგი აღგილებისათვის: არხანგელსკის, ლენინგრადის-
ოლქები, კარელია, მოსკოვის, კალინინის, ივანოვის ოლქები, უკრაინა, ციმბირი,
კუნძ. სახალინი და კავკასია (ძაუჯიკაუ) [5].

ამის გარდა გავრცელებულია ჩრდ. ამერიკაში, მონღოლეთში და უკრაინაში.

საქართველოსათვის ახალია. ჩვენ მიერ ნახულია გორში — მტკვრის მარჯვენა მხარის დაჭაობებულ აღილებში, გორიჯვრის მცირე ზომის დროებითი ტბა — 25.V. 49 წ.; გარდანის დროებითსა და მუდმივ წყალსატევებში 7.VII. 48 წ.. დამახასიათებელი სახეობაა დამდგარი წყალსატევისათვის: ცხოვრობს ოოგორც მღვრიე, ისე სუფთა წყალში.

33. *Acercus C. L. Koch*

Acercus latipes (O. F. Müller).

გავრცელება. საბჭოთა კავშირში ნახულია ლენინგრადში, უკრაინაში და უსურის მხარეში. [1]

საქართველოსათვის ახალია, ჩვენ მიერ 1948 წ. ნახულია მხოლოდ ბჟურიანში — პატარა ტბა და ტყის ჭაობიანი აღილები.

A. *latipes* ჩვენ მიერ ნახული იყო მხოლოდ გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებში. ზაფხულის ცხელ დღეებში არც ერთხელ არ ყოფილა მოპოვებული. სტენოთერმული სახეობაა (წყალსატევში $t = 14^\circ - 15^\circ$). ცხოვრობს ფსკერზე ქვიან ან მცენარეებით მდიდარ აღილებში. მღვრიე და ჭუჭიან წყალსატევში არ გვხვდება. იკვებება ცხოველური საკვებით.

ოჯახი *Arrhenuridae*

33. *Arrhenurus* Dugés

1. *Arrhenurus* (s. str.) *neumani* Piersig.

გავრცელება. ი. ი. სოკოლოვის შრომის მიხედვით ეს სახეობა გავრცელებულია ლენინგრადის ოლქი, კარელიაში, მოსკოვის, ივანოვის, გორკის, სვერდლოვის ოლქებში, უკრაინასა და დასავლეთ კიმბირში. გვხვდება დასავლეთ ევროპაშიც. საქართველოსათვის ახალია.

ჩვენ მიერ ნახულია გურჯაანში — პაპას წყაროს მუდმივი გამდინარე ჭაობი 30.VI. 48 წ., წყალი სუფთა და მდიდარი მცენარეულობით; ბაკურიანში — პატარა ტბა 17.VII. 49 წ.

2. *Arrhenurus* (s. str.) *pupillator* (O. Müller)

გავრცელება. ოოგორც ი. ი. სოკოლოვი [1] აღნიშნავს, ეს სახეობა საბჭოთა კავშირში. გავრცელებულია მოსკოვის, კალინინის, სვერდლოვის, იაროსლავის ოლქებში, უკრაინასა და ლიტვაში. გვხვდება აგრეთვე გერმანიაში, იტალიასა და უნგრეთში. ამ სახეობის საქართველოში გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ არის.

ჩვენ მიერ პირველადაა ნახული:

გორში — მტკვრის მარჯვენა მხრის დაჭაობებული აღილები — 26.V. 49 წ.

ბაკურიანში — ტყის ჭაობიანი აღილები — 18.VII. 49 წ., ცხოვრობს დამდგარ წყალსატევებში.

3. *Arrhenurus Megaluracarus mülleri* Koenike

გავრცელება. ი. ი. სოკოლოვის მიხედვით ნახულია მხოლოდ კუნძულ სახალინზე და საბჭოთა კავშირის ზღვების სანაპიროზე [1].

საქართველოსათვის ახალია. ჩვენ მიერ ნახულია გურჯაანში — თხილის წყლის დაჭიობებული ადგილები (29. VI. 48 წ.).

4. *Arrhenurus furcillatus* Viets

გავრცელება. აღნიშნული სახეობა *Viets*-ის [7] მიერ ნახულია ესპანეთში და 1930 წ. აღწერა მან როგორც ახალი სახეობა. ამის შემდეგ ეს სახეობა არსად არ არის ნახული სხვა ადგილებში. ჩვენ მიერ ნახულია 1 გ მხოლოდ გურჯაანში — თხილის წყლის დაჭიობებულ ადგილებში 29. VI. 48 წ. საბჭოთა კავშირისათვის ახალი სახეობაა.

ლასქენები

1. 1948 — 49 წ. წ. განმივლობაში მოეწყო ექსპედიციები აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების (მუდმივი, დროებითი) წყლის ტკიპების სახეობრივი შედგენილობის დასადგენად. ამავე დროს წარმოებდა ბუნებაში დაკვირვებანი მათი ბიოლოგიის ზოგი მომენტის შესწავლის მიზნით.

2. ჩვენ მიერ შეგროვილი მასელების სისტემატიკური დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევებში მოსახლეობს წყლის ტკიპების 14 სახეობა.

3. საქართველოსათვის ახალია და ჩვენ მიერ პირველადაა აღნიშნული შემდეგი სახეობანი: *Limnochares aquatica* (L.); *Eylais rimosa* Piersig; *Eylais undulosa* Koenike; *Eylais* (*Proteylais*) *degenerata* Koenike; *Hydrachna* (*Monohydrachna*) *skorikowi* Piersig; *Hygrobates* (*Rabdotoxides*) *sokolowi* S. Thor; *Hygrobates* (s. str.) *longipalpis* (Hermann); *Piona nodata* O. F. Müller; *Acercus latipes* (O. F. Müller); *Arrhenurus* (s. str.) *neumanii* Piersig; *Arrhenurus* (s. str.) *papillator* (O. Müller); *Arrhenurus* (*Megaluracarus*) *mülleri* Koenike.

4. საბჭოთა კავშირისათვის ახალია და ჩვენ მიერ პირველადაა ნახული 1 სახეობა: *Arrhenurus furcillatus* Viets.

5. დასახელებულ სახეობებიდან აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ტიპიურ ფორმებს წარმოადგენენ და მასობრივადაც არიან გავრცელებული: *Limnochares aquatica* *Hydrachna* (= *Diplodontus*) *despiciens* O. Müller; (L.) *Eylais* (*Proteylais*) *degenerata* Koenike, მაშინ როდესაც იმავე პირობებში ვიწრო გავრცელების არიან: *Hygrobates* (*Rabdotoxides*) *sokolowi* S. Thor; *Acercus latipes* (O. F. Müller); *Arrhenurus furcillatus* Viets; *Arrhenurus* (*Megaluracorus*) *mülleri* Koenike.



6. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ წყლის ტკიბჭებულებრივ მასობრივად გავრცელებული ფორმები მნიშვნელოვანია ერთის მხრივ როგორც ბუნებრივი მტრები კოლოს მატლებისა და მეორე მხრივ თითონ წარმოადგენენ საკვებ ობიექტს თევზებისათვის.

ლიტერატურა

1. И. И. Соколов. Hydracarina — водяные клещи (т. I. Hydrachnellaе). Фауна СССР, Паукообразные V. 1940 г.
2. И. И. Соколов. Водяные клещи (Hydracarina): Жизнь пресных вод СССР, т. I, 1940 г.
3. И. И. Соколов, Гидрахнеллы из Таджикистана. Сборник „Памяти Акад. С. А. Зернова“, 1948 г.
4. Д. А. Тарноградский, Водоемы курорта Теберды в малярийном отношении: Раб. Сев.-Кавк. гидр. ст. т. II. в. 2—3. 1928 г.
5. Н. Н. Фадеев, К сведениям о фауне озер Закавказья: Раб. Сев.-Кавк. гидробиол. ст. т. I, в 1. 1925 г.
6. В. В. Швитников, Наставление к собиранию паукообразных (Arachnoidea). 1931 г.
7. K. Viets, Zur Kenntnis der Hydracarinenaufa von Spanien: Arch. f. Hydrob., XXI 1930 г.

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უცერხემლოთა ზოოლოგის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1948. VI. 21)

Т. Мхеидзе

Материалы к изучению фауны клещей мелких водоемов Восточной Грузии

(Краткое содержание)

В продолжение 1948—49 г. г. нами изучался видовой состав водяных клещей мелких водоёмов (постоянных и временных) Восточной Грузии; в то же время проводились наблюдения в природных условиях с целью изучения некоторых био-экологических моментов клещей.

После проработки собранного нами материала, в мелких водоёмах Восточной Грузии оказалось 14 видов клещей: *Limnochares aquatica* (L.); *Eylais rimosa* Piersig; *Eylais undulosa* Koenike; *Eylais* (*Proteylais*) *degenerata* Koenike; *Hygrachna* (*monohydrachna*) *skorikowi* Piersig; *Hydrodroma*



(= *Diplodontus*) *despiciens* (O. Müller); *Hygrobates* (*Rabdotobates*) *sokolowi* S. Thor.; *Hygrobates* (s. str.) *longipalpis* (Hermann); *Piona nodata* O. F. Müller; *Acercus latipes* (O. F. Müller); *Arrhenurus* (s. str.) *neumani* Piersig; *Arrhenurus* (s. str.) *papillator* (O. Müller); *Arrhenurus* (*Megaluracarus*) *mülleri* Koenike; *Arrhenurus furcillatus* Viets.

Нами впервые для Грузии найдены следующие 12 видов: *Limnochares aquatica* (L.); *E. rimosa* Piersig, *E. undulosa* Koenike; *E. (Proteylais) degenerata* Koenike; *H. (Monohydrachna) skorikowi* Piersig; *H. (Rabdotobates) sokolowi* S. Thor; *H. (s. str.) longipalpis* (Hermann); *Piona nodata* O. F. Müller; *Acercus latipes* (O. F. Müller); *A. (s. str.) neumani* Piersig; *A. (s. str.) papillator* (O. Müller); *A. (Megaluracarus) mülleri* Koenike.

Кроме того впервые для Советского Союза нами описан 1 вид — *Arrhenurus furcillatus* Viets.

Из перечисленных выше видов типичными формами, массово распространенными в мелких водоёмах Восточной Грузии, являются: *L. aquatica*; *H. (Diplodontus) despiciens*; *E. (Proteylais) degenerata*, тогда как в тех же условиях менее распространены: *H. (Rabdotobates) Sokolowi*; *A. latipes*; *A. furcillatus*; *A. (Megaluracarus) mülleri*.

Массово распространенные формы водяных клещей Восточной Грузии имеют двоякое значение: с одной стороны они являются врагами личинок комаров, а с другой стороны пищей рыб.

ზ. შენგარება

ჯავახეთის კულტური სამსახურის მცხოვრები

ჯავახეთი მდებარეობს მცირე კავკასიონზე, რომლის ვაკე ზეგანს აკად. ნ. კეცხოველის მონაცემების მიხედვით დაახლოებით 650 კმ² უკირავს. ის ფულეკანური აგებულებისაა და საქართველოში ტბებით მდიდარ მხარეს წარმოადგენს. აქ ძირითადად მაღალი მთის ველებია გავრცელებული, სადაც აგრეთვე გვხვდება: ტყე, სუბალბების დაჯგუფებანი, აღმოსავლეთ კავკასიის ველები და სამხრეთ ანატოლიის ზეგანის ქსეროფიტული მცენარეულობა. ჯავახეთის ფლორაში მრავალი ენდემური სახეობის მცენარე გვხვდება, ასევე ბორეალური ელემენტები და სხვა.

აქაური კლიმატი კონტინენტურული და ცივია, გაზაფხული ატმოსფერული ნალექების დიდი რაოდენობით ხასიათდება, ხოლო ზამთარი მეტწილად გვალვანია. ნიადაგები ბ. ა. კლოპოტოვსკის მიხედვით აქ შვიდ ძირითად ტიპად და ოქეპსეტ ქვეტიპად არის წარმოდგენილი, მაგრამ ძირითადში მაინც შავმიწა ნიადაგები რჩება, რომლებიც დეგრადაციის სხვადასხვა სტადიაში იმყოფება.

ჯავახეთის მცენარეულობის ყველა ჩამოთვლილი ტიპი წარმოდგენილია შამქურნალო მცენარეებით, რომელთა რიცხვი ჩვენ მიერ 1937—1939 წლებში ჩატარებულ კვლევათა საფუძველზე 100 სხვადასხვა სახეობას აღმატება; აქ ერთიანდება როგორც მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული, ასევე ქართულ-ხალხურ მედიცინაში და აღილობრივი მცხოვრებლების მიერ ხმარებული. ჯავახეთის აღვილობრივი მცხოვრებნი სამკურნალო მიზნებისათვის ძირითადად მცენარეული წარმოშობის წამლებს იყენებენ, განსაკუთრებით ბალახებს და სოკოებს, იშვიათად: ხე-მცენარეებს, წყალმცენარეებს, წყლისმცენარეებს, მლიერებსა და ხავსებს. ჯავახელების მიერ სამკურნალო მიზნებისათვის ხე მცენარეთა იშვიათი გამოყენება საკვირველი არ არის, რადგან აქ ტყეებს მთელი ფართობის 1% უჭირავს (რაც გამოწვეულია ძირითადად ოურქების ბარბაროსული მოქმედებით; თურქთა მიერ მოყენებული ზიანის აღსადგენად საბჭოთა სახელმწიფოს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება უხდება ახლა). ისინი საშენ მასალას ბორჯომ-ბაკურიანის ხეობიდან ეზიდებიან, ხოლო საწვავად იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ წივას ხმარობენ. მათ მიერ წყალმცენარეების და წყლისმცენარეების იშვიათი გამოყენება მეტად საკვირველია, რადგან

როგორც პირველი, ისე მეორე ჯავახეთის ტებებში, გუბებში, მდიდარი მდიდარი და მათ სანაბიროებზე უხვადაა წარმოდგენილი.

მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეებიდან ჯავახეთისათვის აღსანიშნავია: ფარცმანდუკი (*Achillea millefolium* L.), ტილ-ჭირი (*Aconitum orientale* Mill.), ავშანთა სხვადასხვა სახეობები (*Artemisia* sp. div.), მათ შორის აბზინთაც (*Artemisia absinthium* L.), ჭანგა (*Agropyrum repens* (L.) P. B.), ბირკავა (*Agrimonia eupatoria* L.), ხახვის სხვადასხვა სახეობები (*Allium* sp. div.), მათ შორის (*Allium atroviolaceum* Boiss.), სხვადასხვა ნარექალი, გლერი (Astragalus sp. div., მათ შორის: *Astragalus bungeanus* Boiss., *Astragalus mucranatus* DC., *Astragalus xerophilus* Led. და სხვა), მექენებიანი არყი (*Betula verrucosa* Ehrh.) და მეორე სახეობა (*Betula pubescens* Ehrh.), ჩალაყვავილა (*Butomus umbellatus* L.), კვლიავი (*Carum carvi* L.) და კავკასიური კვლიავი (*Carum caucasicum* (M. B.) Boiss.); არის მესამე სახეობაც (*Carum meifolium* (M. B.) Boiss.), ხიჭიჭრა (*Capsella bursa pastoris* (L.) Med.), ისლანდიური მღიერი (*Cetraria islandica* Ach.), ვარდკაჭაჭა (Cichorium intybus L.), იბრეშუმი (*Cirsium europea* L.), ნაცარ-ჭათაძა (*Chenopodium glaucum* L.), ჭვავის რქა (*Claviceps purpurea* (Tries) Tulasne), ლება (*Datura stramonium* L.), მგლის ყურძენა (*Daphne glomerata* Lam.), ზეიტა (*Equisetum arvense* L.), სხვადასხვა რძიანები (*Euphorbia* sp. div.), მწარია ინუ ნაღველა (*Gentiana caucasica* M. B. და *Gentiana verna* L.), უხმობელა ინუ უკვდავა (*Helichrysum graveolens* M. B.), ლენცოფა (*Hyoscyamus niger* L.), კრაზანა (*Hypericum perforatum* L.), მზურა (*Juncus glandulosa* W.), ჭინჭრის დედა (*Lamium album* L.), სელი (*Linum usitatissimum* L.), ძძო (*Melilotus officinalis* Desr.), სხვადასხვა სახეობის პიტნა (*Mentha arvensis* L. და *Mentha silvestris* L.), ნეპეტა (*Nepeta betonicifolia* C. A. M.), ჯაღვარი (*Orchis sphaericus* M. B.), ფიჭვი (*Pinus hamata* Stev.), სხვადასხვა მრავალძარღვები (*Plantago major* L., *Plantago media* L. და *Plantago saxatilis* M. B.), სხვადასხვა პოლიგალები (*Polygala alpicola* Rupr. და *Polygala anatolica* Boiss. et Heldr.), დვალური (*Polygonum carneum* C. Koch.). წყლის მატიოტელა (*Polygonum hydropiper* L.), სხვადასხვა სახის ფურუსულები (*Primula* sp. div.), ხორცისფერი გვირილი (*Pyrethrum carneum* M. B.), ჩვეულებრივი გვირილი (*Pyrethrum vulgare* (L.) Boiss.), პანტა (*Pyrus communis* L.), მარწყვა ბალახი (*Potentilla reptans* L.), მაღალი მოის მუხა (*Quercus macranthera* F. et M.), დათხუნწია (*Rhamnus cathartica* L.), ახელოთა სხვადასხვა სახეობები (*Rosa dumetorum* Thuill., *Rosa pimpinellifolia* L.) და სხვა. ქოლო (*Rubus idaeus* L.), მჟავნა (*Rumex acetosa* L.), ლვალო (*Rumex crispus* L.), ტირიფი (*Salix caprea* L.), საგუგა (*Senecio platyphyllus* D. C.), ბაბუაშვერა (*Taraxacum vulgare* Lam.), ბეგერნდარა (*Thymus serpyllum* L.), ჭინჭარი (*Urtica dioica* L.), მთის მოცვი (*Vaccinium Myrtillus* L.), კატაბალახათა სხვადასხვა სახეობები (*Valeriana nitida* L.=*Valeriana officinalis* L., *Valeriana alpina* Adam., *Valeriana alpestris* Stev., *Valeriana Thrifl* და სხვა), შხამი (*Varatrum lobelianum* Bernh.), ქერიფქლათა

სხვადასხვა სახეობები (Verbasum pyramidatum M. B., Verbasum ~~scept~~
rum Schmalh. და სხვ.), ძაველი (Viburnum Opulus L.), იების სხვადასხვა
სხეობა (Viola sp. div.) და სხვა.

ქართულ-ხალხურ მედიცინაში გამოყენებული მცენარეებიდან ჯავახეთი-
სათვის აღსანიშნავია: ქართული მყრალი (Anthemis iberica M. B.), ბაბაწვერა
(Anemone albana Stev. და Anemone umbellata Willd.), ზიასწარი (Asplenium
septentrionale (L.) Hoffm.), ორჰილი (Bidens tripartitus L. v. pumila
Koth.), ღომა (Betonica grandiflora Steph.), წყლის ბურა (Caltha polypetala
(Hochst.) Boiss.), ბალი (Cerasus avium Moench.), ოხილი (Corylus avellana
L.), კორიდალისი (Corydalis conorrhiza Led.), ხამესფილუბი (Chamaesciadium
acaule (M. B.) Boiss.), გვირჩა, ჩაღუნა (Dryopteris oreades Fomin.), ერიგ-
რონი (Erigeron caucasicus Stev., Erigeron orientalis Boiss. და Erigeron
pulchellus DC.), ებილობიუბი (Epilobium palustre L., Epilobium nervosum
Boiss. et Buhse., Epilobium hirsutum L.), მამის ყვავილი, მწარია, ნალველა-
(Gentiana venia L. var. pontica Solt., Gentiana pyrenaica L., Gentiana sep-
temfida Pall. და Gentiana gelida MB.), წაგრძელებულფოლოვანი კრა-
ზანა (Hypericum oblongifolium Rupr.), მატიტელფოლოვანი კრაზანა (Hyper-
icum polygonifolium Rupr.), მზიური (Jnula glandulosa W.), ცხრატყავა
(Lonicera caucasica Pall.), კურდლის სამყურა (Lotus ciliatus C. Koch.),
მთრთოლავი ვერხვი (Populus tremula L.), შოთხვი, ზავშივი (Prunus Padus
L.), ხის ტაბელა, კილმურა (Polypodium vulgare L.), სხვადასხვა ბაიები
(Ranunculus sp. div.), ღევა (Rhododendron caucasicum Pall.), მოცხარი
(Ribes alpinum L. და Ribes Biebersteini Berl.), ფოლიო (Scabiosa caucasi-
ca M. B.), თავსისხლა (Sanguisorba officinalis L.), სკროფულარიები (Seroph-
ularia chrysanthra jaub. et sp., Serophularia orientalis L., Serophularia
rupestris M. B., Serophularia rutaefolia Boiss. და სხვ.), სამყურები (Trifo-
lium sp. div.) და სხვა. აქ შედის ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ გამო-
ყენებული საშუალებებიც. მაგრამ მათ შორის ყურადღების ღირსია შემდევი
მცენარეები: ნიგვზის ძირი (Geum urbanum L.). ბებლისი (Peplis alternifolia
M. B.), გვირილა (Pyrethrum balsamita (L.) W.), თალიქტრუმი (Thalictrum
minus L.) და სხვა.

ჯავახეთში სამრეწველო მნიშვნელობის ველურ სამყურნალო მცენარეთი
დამზადების პერსპექტივა ასეთია: ლემა (Datura stramonium L.)—1 ტონა,
რუდერალურად ყველგან, განსაკუთრებით ქვედა ზონებში. ჯაჭვარი (Orchis
sp. div.)—1 ტონა, სუბალპების ნესტიანებზე ყველგან. ლენცოფა (Hyoscyamus
niger L.)—1 ტონა, ყველგან რუდერალურად. ბეგონდარა (Thymus serpyllum
L.)—1 ტონა, ქსეროფიტულ ადგილებში ყველგან. ხორცისფერი გვირილა
(Pyrethrum carneum M. B.)—3 ტონა, ყველგან მთელს ჯავახეთში, განსა-
კუთრებით ტაბაწყურის მიდამოებში. ისკოლი (Rosa sp. div.)—2 ტონა, მთელს
ჯავახეთში გარდა ალპური ზონისა. სხვადასხვა სახეობის ღვალო (Rumex
sp. div.)—3 ტონა, სუბალპებში, ნესტიან მდელოებზე და საქონლის მინების,
ირგვლივ. ჭინჭარი (Urtica dioica L.)—2 ტონა, რუდერალურად ყველგან.



საგუგა (*Senecio platyphyllus* DC.)—2 ტონა, სუბალპების მაღალბალუსტროფიცია
დაჯვეუფებებსა და დეკიანებში ყველგან. მთის მოცვი (*Vaccinium Mirtillus*
L.)—1 ტონა, სუბალპებში ყველგან. კატაბალახა (*Valeriana nitida* non L.
(*Valeriana officinalis* L.)—1 ტონა, თითქმის ყველგან, მაგრამ განსაკუთრე-
ბით ხანჩალ-გველის ტბის მიდამოებში. შხამა (*Veratrum Lobelianum Bernh.*)—
5 ტონა, სუბალპების ნესტიან მდელოებზე ყველგან და სხვა.

ჯავახეთში, გარდა სამკურნალო მცენარეებისა, ველურად იზრდებიან:
კაუჩუკის შემცველი, ვიტამინებით მდიდარი, თაფლოვანი, საკვები მხალეულის
მომცემი, მთრიმლავ ნივთიერებათა შემცველი, საღებავის მომცემი, საქული-
ნარო საქმეში გამოსაყენებელი, სპირტებისა და გამავრილებელი წყლებისათვის
სიროფების დამზადების დროს საჭირო ნივთიერებებისა და ეთერზეთების
შემცველი, პარფიუმერიის საქმეში გამოსაღევი და სხვა მრავალი სასარგებლო
შცვენარე. გვხვდება: შხამიანი, მავნე და საღეჭორაციო მცენარეებიც.

ჯავახეთს, ამრიგად, შეუძლია საქართველოს ფარმაკოქიმიურ ქარხნებს
ჟოველტლიურად მიაწოდოს საშუალოდ 23 ტონა ნედლი სამკურნალო მცენა-
რეების მასა, რომლის გაღმოზიდვა ძნელი არა. ზოგიერთ ალგილობრივ სამ-
კურნალო საშუალებათა კლინიკური და ფარმაკოქიმიური შესწავლა უსტურებული
შურადლების ღირსია.

სტალინის სახელის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბოტანიკის კათედრა

(შემოგიზა რედაქციაში 1952. I. 18.)

ა. მისიანაშვილი

ორგანიზი მუნიციპალიტეტის ანაზოგის კურსები

მცენარის ორგანოთა მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური მცენარეთ-
რული ცვლილებები ხდება გარემოს ზეგავლენით. სხვადასხვა ორგანიზმი-
თავისი განვითარებისათვის სხვადასხვა პირობებს მოითხოვს, რაც ამ ორგა-
ნიზმის ბუნების თვისობრივ თავისებურებაში გამოიხატება. მცენარული ორ-
განიზმები შეცვლილ გარემო პირობების ზემოქმედების შედევად ცვალება-
დობას განიცდის და ხშირად ეს ცვალებადობა განსაკუთრებით იჩენს თავს მის
რომელიმე ორგანოში.

მცენარეთა სამეცნიში ცნობილია მრავალი მაგალითი მცენარის ორგა-
ნოთა სახეცვლილებისა, რაც ამა თუ იმ ორგანომ დროთა განმავლობაში
განიცადა გარემო პირობების გაფლენით, მასთან შეგუების პროცესში. გა-
რემო პირობების მოქმედების შედევად არის წარმოშობილი მიწისქვეშა ღე-
როს სახეცვლილება—ფესურა. ფესურის შესწავლა საინტერესო როგორც
მცენარული ორგანიზმის ბიოლოგიის შეცნობისათვის, ისე პრატიკული
თვალსაზრისით. ფესურას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარისათვის, მისი
გადაზისათრებისა და გამრავლებისათვის. ცნობილია, რომ ზოგიერთი მნიშვნე-
ლოვანი ტექნიკური მცენარე გარდა თესლისა ფესურითაც მრავლდება, ზო-
გიერთი მათგანი ფესურით გამრავლებისას მოსავალს უფრო ნააღრევად
იძლევა; მაგ., ახალზელანდიური სელი ფესურით გამრავლებით მოსავალს
ორი წლით უფრო ადრე იძლევა, ვინტერ თესლით გამრავლების დროს [5].

ცნობილია აგრეოვე, რომ სარეველა მცენარეების დიდი ნაწილი უმე-
ტესად ფესურით მრავლდება. ასეთ სარეველებთან ბრძოლის სწორი ღონის-
ძიების დასახვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ აგრძელიოლოგიურ თა-
ვისებურებათა შესწავლას [8, 13]. ამ მცენარეთა ფესურის აგებულების შეს-
წავლა, ვფიქრობთ, თავის წვლილს შეიტანს მათ მიმართ ბრძოლის სწორ
ღონისძიებათა დასახვაში.

ფესურა საყურადღებოა იმითაც, რომ ზოგჯერ მასში მეტად სასარ-
გებლო ნივთიერების დაგროვება ხდება, როგორიცაა ნახშირწყლები, ზეთები,
ალვალოიდები, სალებავი და სხვ. შემცველობის მიხედვით ფესურის გამო-
ყენებაც მრავალფეროვანია. როგორც აკად. მაქსიმოვი აღნიშნავს, „ურთულესი
პროცესების ასეთი მჭიდრო შეთანხმებულობა შესაძლებელია მხოლოდ მცე-
ნარის სხეულის რთული და დახვეწილი ორგანიზაციის სიუძველზე“ [3].
ვინაიდან ამა თუ იმ ნივთიერების ლოგალიზაციას და მის ცვალებადობას



შესაბამება იმ ორგანოს თავისებური აგებულება, სადაც მისი ღამილოვნები ხდება, საკიროა ამ ორგანოს აგებულებისა და მისი სტრუქტურის ცვალება-დობის შესწავლა.

ორგანიზმის, მისი ცალკეული ორგანოს ფუნქციონალური და ანატო-მიურ-მორფოლოგიური ცვალება-დობა შეიძლება გამომუღავნებულ იქნეს მცე-ნარეთა სხვადასხვა ტიპის შედარებითი ანალიზის საშუალებით. შედარებითი ანალიზი რომ უფრო სიმედო მასალას იძლეოდეს, ამისათვის ზოგიერთი იყენებს სხვადასხვა ბიოლოგიური ფორმების (სხვადასხვა ოჯახის, გვარის და ზოგჯერ კლასის) დაპირისპირებას. შეორენი კი უფრო მიზანშეწონილად ცნობენ შედარებისათვის კვლევის ობიექტებად აირჩიონ ფილოგენურულ ახლო მდგომი სახეობანი, ასეთ სახეობათა რიგებში დაადგინონ ურთიერთ-კავშირი როგორც ფუნქციონალურ და მორფოლოგიურ თავისებურებათა შორის ისე გარემო საცხოვრებელ პირობებთან. ჩვენი მუშაობის დროს ორივე გზა გმოვიყენეთ. შესწავლილი ობიექტები ეკუთვნიან როგორც ფი-ლოგენურულ საკმაოდ დაშორებულ ოჯახებს (კოჭახურისებრნი—რთულ-ყვავილოვანნი), ისე ერთმანეთთან ახლო მდგომ (ერთ ოჯახში შემავალ) სახეობებს. განხილული მცენარეები აღებულია განსხვავებულ საცხოვრებელ პირობებში. მცენარის ზრდის ბუნებრივ პირობებში ფესურის შინაგანი აგე-ბულების შესასწავლად გამოყენებულია "შედარებითი ანატომიური მეთოდი— საკვლევ მასალას ვიღებდით თბილისის, ბაკურიანის, ზესტაფონის რაიონე-ბიდან და ბორანიკური ინსტიტუტის თბილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულ ცოცხალ მცენარეთა განკოფილებიდან. ფიქსირებული მასალიდან ხელის სამართებლით მზადდებოდა ანათლების შოელი სერია. პრეპარატებიდან ვახ-დენდით ფესურის სტრუქტურის ამოხატვას სახატი პრიზმით შესაფერისი გადიდების შერჩევით. შესწავლილია ორლებნიანთა 25 ოჯახის 50 სახეობის ფესურა. ამ მცენარეთა სისტემატიკურ დახასიათებას ჩვენ არ ვიძლევთ, რადგან ლიტერატურაში იგი მოცემულია. ჩვენ არ შევეხებით აგრეთვე ამ მცენარეთა ფესურის შინაგან აგებულებას ცალ-ცალკე, იგი საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ჩვენს წინა შრომაში [4]. აღნიშნავთ მხოლოდ განხილულ ფესურათა აგებულების ზოგად, დამახასიათებელ ნიშნებს.

ფესურის შინაგანი აგებულების შესახებ მცენარეთა ანატომიის სა-ხელმძღვანელოებში მეტად მცირე და ზოგადი ცნობებია. ისიც უმეტესად ერთლებნიანებს ეხება [7, 10, 17]. ხოლო ორლებნიანი მცენარეების ზო-გიერთი წარმომადგენლის ფესურის აგებულება მასში დაგროვილ ნივთიე-რებათა შესწავლასთანა დაკავშირებული [18, 19].

ლიტერატურაში თითქმის არაფერია მოცემული ფესურის ახლად წორ-მოშობის, მისი გამსხვილებისა და მასში ქსოვილთა დიფერენცირების შე-სახებ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მონაცემები ამ საკითხების გაშუქებაში თავის წელილ შეიტანს.

ფესურის ახლად წარმოშობის საკითხში ჩვენ ვგულისხმობთ ფესურიდან არა ახალი ფესურის წარმოშობას, არამედ თესლიდან აღმოცენებულ მცე-ნარეში ფესურის ახლად წარმოშობას. ამ მიზნით დაკვირვება ვაწარმოეთ

მცენარის ზრდის ბუნებრივ პირობებში, სადაც ვეგეტაციურალ—ფესურ დან გამრავლებულ ეგზემპლართა გვერდით გვხვდება ოკითხათესვით ოცნებით აღმოცენებული ეგზემპლარებიც. დაკვირვების შედეგად ვფიქრობთ, რომ ფესურის ახლად წარმოშობის საყითხი შემდგენაირად შეიძლება დაისახოს: მრავალი მცენარის თესლის აგებულება გვიჩვენებს; რომ ჩანასახის აგებულებაში, თუ ჩანასახი ნითლად დიფერენცირებულია, გარკვევით არის როცემული მცენარის მთავარი ორგანოების ჩანასახი. ასეთ დიფერენცირებულ ფესლებში ფესურის ახლად წარმოშობის საწყისი უშუალოდ ჩანასახში იპ შეიძლება ვეძიოთ. დიფერენცირებული თესლებიდან ვითარდება ღრეული ფოთოლით და ფესვი. ამ შემთხვევაში ღრეულის და ფესვის შორის ასებული ნაწილი, რომელიც ლებნისქვეშა მუხლს ანუ ჰიპოკოტილეს წარმოადგენს, საწყისს აძლევს ფესურას. აქედან გამოზრდილი ფესური პორიზონტალურად ან დაბრილად ნიადაგში გზას იყაფავს ზრდის კონუსით. ფესურის ასეთი წარმოშობა ახასიათებს ტყის პიტნას¹, გარდენაფის, სურნელოვანი იას, ტყის იას და სხვ. დიფერენცირებული ჩანასახიანი თესლების გარდა გვხვდება ისეთი თესლებიც, რომელთა ჩანასახი გემულის სახითაა მოცემული. იგი ნაკლებ დიფერენცირებულია და ძნელია ჩანასახში ღრეულისა და ფესვის ნაწილის გარჩევა. ეს ნაწილები ანატომიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათ შორის არ არის საჩილვარი [14].

ჩვენი დაკვირვების მიხედვით ვფიქრობთ, რომ ზოგჯერ, როდესაც საქმე გვაქვს ნაკლებად დიფერენცირებულ ჩანასახთან, გემულის პერიფერიული ნაწილიდან შეიძლება გამოიზარდოს ფესურა. ამის გამო ჩვენ ხვდებით ისეთ ახალ აღმონაცენებს, რომელთა ღრეულის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს არა მთავარი ფესვი, არამედ ფესურა, რომელიც ნიადაგისაკენ გზას იყაფავს ზრდის კონუსით. მცენარის ეს ნაწილი იგებულებით ღრეული ტიპისაა, ისე როგორც ყველა ფესურა, და მორფოლოგიურადაც ფესურის ნიშნებით ხასიათდება. იგი დამუხლულია და მასზე მოცემულია რედუცირებული ფოთლები. ფესვებიც ხშირად მისი მუხლებიდან გამოიდინ. მუხლებიდან ხდება ფესურის განტოტებაც. ფესურის ასეთი წარმოშობა შემჩნეულია, მაგალითად, თეთრიძირაში. ამ სახით ფესურის წარმოშობა, ვფიქრობთ, არც ისე ხშირი უნდა ხდებოდეს. ეს საკითხი განსკუთრებულ დაკვირვებას მოითხოვს ლაბორატორიულ პირობებში. საჭიროა ამავე ღროს თესლის სტრუქტურის შესწავლაც. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. ფესურის წარმოშობის მესამე სახე არის უშუალოდ ღრეულიან მისი განვითარება. ეს ხდება უმეტესად მაშინ, როცა მცენარის ღრეული ბუნებრივიად გართხმულია ნიადაგზე, ინდა მას შეექმნება საამისო პირობა. ამ ღროს ღრეულის მუხლიდან გამოიზრდება ფესურა, რომელიც ნიადაგში ისევე გაიკაფავს გზას, როგორც სხვა შემთხვევაში, ასე ხდება, მაგ., ჩაღანდარში, ობბალოში, ბალის პიტნაში და სხვ. შეიძლება ცალკე გამოვყოთ ფესურის ისეთი წარმოშობა, როდესაც იგი გამოდის სამარაგო ფესვის ყელიდან. ასე ხდება, მაგ., მაჩიტას შემთხვევაში.

¹⁾ მცენარეთა ქართული სახელწოდება მოცემულია ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის [2] მიხედვით.



ამგვარად, ჩვენი დაკვირვების მიხედვით ფუიქრობთ, რომ ფესურის წარმოშობის შემდეგი მაგალითებია: ფესურის წარმოშობა პიპკურტილებან, გემულიდან, ლეროლან და სამარაგო ფესვის ყელიდან. რა თქმა უნდა სრულიად არ ვკულისხმობთ, რომ გარკვეულ მცენარეთა ჯგუფებს ან წარმომადგენლებს ახასიათებს მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე გზით ფესურის წარმოშობა; პირიქით, ფესურის წარმოშობის გზას განაპირობებს მცენარის შინაგანი ფიზიოლოგიური მდგომარეობისა და გარემოს პირობათა ურთიერთმოქმედების ეფექტი.


რაც შეეხება ფესურის ზრდას, მასში ქსოვილთა წარმოშობა და ღიფურენცირება ძირითადში იმავე წესით ხდება, როგორც ეს ამავე მცენარის ღეროსთვის არის დამხასიათებელი. ფესურის ზრდა სიგრძეზე უმავრესად ზრდის კონუსის საშუალებით ხორციელდება. ზოგიერთი ფესურების ზრდაში ნაწილობრივ ადგილი აქვს ჩამატებით ზრდას, მუხლში არსებული მერისტების ხარჯზე. ასეთია, მაგ., ომბალო, პიტნა და სხვ. ამ მერისტებმათა აგებულება ისეთივეა, როგორც ეს იღწევრილია საერთოდ ღეროსთვის. ფესურის გამსხვილება და ქსოვილთა დიფერენცირება მცენარეთა სხვადასხვა წარმომადგენლებში სხვადასხვაგვარად არის მოცემული: მაგრამ ძირითადში იმავე წესით ხდება, როგორც ეს მითითებული აქვს კოსტიჩევს [12] ორლებნიანთა ღეროს გამსხვილების ასახსნელად. სხვადასხვა მცენარის ფესურის სტრუქტურა შევისწავლეთ როგორც მის ახალგაზრდა ნაწილში, ისე უკვე სავსებით დიფერენცირებულ და სტრუქტურულად ჩამოყალიბებულშიც და მივეღით იმ დასკვნამდე, რომ აქაც შეიძლება გავარჩიოთ ფესურის ორი ტიპი: პირველი ტიპის იქნება ისეთი ფესურები, რომელთა ებროინალურ ნაწილში მოცემულია განცალკევებული პროკამბიალური ჯგუფები. აქ ყოველთვის გვექნება ფესურის კონებგანცალკევებული აგებულება, სადაც კონია შორის კამბიუმი არ ჩნდება. ასეთია, მაგ., თეთრი ღუმფარა, ყვითელი ღუმფარა და სხვ. ამ ტიპის ფესურაში არა გვექნება ქსილემისა და ფლოემის მთლიანი რგოლი. მეორე ტიპი ფესურებისა იქნება ისეთი, საზაც მთლიანი პროკამბიალური რგოლი კითარდება, რომელიც შემდეგ კამბიუმად გადაიქცევა. იმის მიხედვით, თუ შემდეგში დიფერენცირება როგორ წარიმართება, საბოლოოდ შეიძლება გვექნეს: 1) ისეთი ფესურები, სადაც ქსილემისა და ფლოემის მთლიანი რგოლი იქნება მოცემული; ასეთებია ენდრო, ჩატისთვალი, ჩალანდრი და სხვ.; 2) ისეთი, სადაც ცალკეული გამტარი კონები ერთმანეთთან გადამშულია მექანიკური უჯრედებით. ამგვარად იქნება ჭურჭელბოჭკვოვანი მთლიანი რგოლი; ასეთია ჭინჭრის ღელა, გობისცხვირა, მერკურიალის და სხვ.; 3) ფესურები განცალკევებული კონებით, საზაც კონებს შორის მოცემულია თხელგარსიანი პარენქიმა; ასეთია ღორონიუმი, ხბოშებლა და სხვ.

ფესურაში ქსოვილთა დიფერენცირება ძირითადად იმავე წესით ხდება, როგორც ეს საერთოდ ღეროში გვაქს, მაგრამ ფესურაში ეს პროცესი რაოდენობრივად და თვისობრივად მაინც განსხვავებულია; მას განსაზღვრავს ის გარემო პირობები, რომლებშიც მცენარეს უხდება განვითარება, რის შედეგადაც ამა თუ იმ მცენარისათვის დამხასიათებელი აღნაგობა გვექნება.

განხილულ ობიექტთა შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფესურაში წარმოდგენილ ქსოვილები განსხვავდება (ამავე მცენარის ვეგიტაციურ ორგანოებთან შედარებით) თვისობრივად და რაოდენობრივად, რაც ფილოგენეზის პროცესში ჩამოყალიბებული, გარემო პირობებთან შეეუბის შედეგია. ამ მხრივ ჩვენ შევეხებით იმ ქსოვილებს, რომლებშიც ეს სხვაობა მეტად არის გამოხატული. ასე მაგ. ეპიფერმისის თვისება, მზარდ ზედაპირთან შეეუბულობა, განსაკუთრებით თვალსაჩინოა ფესურაში. ღრეობი, თუ ღრეო სიმსხოში იზრდება, ეპიფერმისი მაღა შეიცვლება ხოლმე მეორადი მფარავი ქსოვილით — საფევით. განხილულ მცენარეთა დიდ ნაწილს ფესურა, რომელიც სიმსხოში ინტენსიურად იზრდება, ხანგრძლივად დაფარული აქვს ეპიფერმისით. ასეთ მზარდ ზედაპირთან ეპიფერმისის თანაპოვნიერება აისხნება რაღიალური სატიხრით ეპიფერმისის უჯრედების ისტენსიური დაყოფით (ნახ. 1—1). აქ ეპიფერმისის უჯრედების გარეთა გრძის ან არაეთარ ცვლილებას არ განიცდის ანდა მეტად სუსტია ეს ცვლილება, მაგ. გარეთა გარსის გასქელება ან კუტინისინება. ეპიფერმისის შეცვლას საფევით ფესურაშიც აქვს ადგილი, მაგრამ ღრეოსა და ფესვთან შედარებით ეს ქსოვილი აქ სუსტად არის მოცემული. უძეტესად იგი საწყისს ღებულობს ეპიფერმისიდან (ნახ. 1—2). თვისობრივად კიდევ უფრო თავისებურია ფესურაში მოცემული ქსოვილი — ენდოდერმა. ღრეობი ეს ქსოვილი უმეტესად თავის შემცველობით გამოიყოფა ხოლმე [9, 11], ფესვში კი განსაკუთრებულ დამახასიათებელ ნიშნად გარსის გასქელება აღინიშნება. [6, 7, 9, 10].

ჩვენ მიერ განხილულ ფესურაში ეს ქსოვილი სხვაგვარად არის წარმოდგენილი. მისი უჯრედები თავისეუფალია რაიმე თვალსაჩინო ფორმიანი ან მიკროქიმიური რეაქტორებით იღვილად გამოსამუღავნებელი ნივთიერებისაგან. მაშინაც კი, როდესაც ფესურაში დიდი რაოდენობით არის სახამებელი ზაგროვილი, მხოლოდ ერთი ობიექტი შეგვხდა, სადაც ენდოფერმის უჯრედებში მორიზლავი ნივთიერებაა მოცემული. ასეთი იყო მეცნიელის ფესურა. ფესურაში ენდოდერმის უჯრედებს არ ახასიათებს გარსის გასქელება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ქსოვილის ემბრიონული პოტენციალი, რის გამოც თვალსაჩინოა მასში უჯრედების ხშირი დაყოფა უმეტესად რაღიალური მიმართულებით (ნახ. 1—3, 4, 5, 6). ენდოდერმა ფესურის არსებობის მთელ მანძილზე ეგუება ცენტრალური ცილინდრის მზარდ ზედაპირს. ფესურაში ენდოდერმის ასეთი ემბრიონული ბუნება მეტად აახლოვებს მას პერიციკლთან, რომელიც ფესურაში ხშირად დაყოფის საკმაო აქტივობას ამჟღავნებს. ენდოდერმის დანიშნულებაზე, საერთოდ, სხვადასხვა შეხედულება არსებობს, მაგრამ მისი ფუნქცია დღესაც არ არის გარკვეული [9, 10]. ვფკრობთ, ფესურას, მის განსაკუთრებულ აგებულებასთან ერთად, შეიძლება ფუნქციაც თავისებური ჰქონდეს ანდა ეგუებოდეს ახალ ფუნქციას, როგორც ამას აღნიშნავთ რუდიმერტალური სტრუქტურის დროს [9]. ნათელია, რომ ეს ქსოვილი არ არის ისეთი, როგორიც ის ღრეოსა და ფესვშია. კამბაუმის მოქმედება სხვადასხვა მცენარის ფესურაში მრავალფეროვანია როგორც მოქმედების ინტენსივობით, ისე მის მიერ წარმოშობილა ელემენტების მიხედვით. კამბაუმის მიერ სხვადასხვა ღრეოს წარმო

შობილი ელემენტები ზოგჯერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგ. *Arenaria caucasica* W.-ში კამბიუმი მერქნისაკენ პერიოდულად ხან თხელგარსიან და ხან სქელგარსიან ელემენტებს წარმოშობს. ფესურის სიმსხოში ზრდა მხოლოდ კამბიუმის მოქმედების შედეგი არ არის. მერისტემული ქსოვილის გარდა ხშირად აქ გამსხვილებაში მონაჟილეობას ღებულობს სხვა ცოცხალი ქსოვილებიც.




ნახ. 1.

ფესურის სხვადასხვა ქსოვილის დაყოფის მაგალითები:

1. ფესურის ეპიდერმისის დაყოფა რადიალური მიმართულებით.
2. იგვე—ტარგენტალური მიმართულებით.
- 3, 4, 5, 6. სხვადასხვა მცენარის ფესურაში ენდოდერმის უჯრედების დაყოფა.
- 7, 8, 9. სხვადასხვა მცენარის ფესურაში ძირითადი ქსოვილის დაყოფა.

პარენქიმული ქსოვილი ფესურაში წარმოდგენილია პირველადი ქერქისა, გულგულისა და გულგულის სხივების სახით. ფესურის ყველა ნაწილში ხშირად თვალსაჩინოდ არის გამოხატული პარენქიმული ქსოვილის დაყოფის უნარი (ნახ. 1—7, 8, 9), რასაც გარკვეული წელილი შეაქვე ფესურის სიმსუნარი (ნახ. 1—7, 8, 9). რაც შეეხება მექანიკურ ქსოვილს, მართალია, ფესუროში ზრდის საქმეში. რაც შეეხება მექანიკურ ქსოვილს, მაგრამ მაინც გვხვდება ყველა მისი ნაირფეროვნებით. ყველაზე ხშირად და მეტი რაოდენობით იგი მოცემულია ქსილების ნაწილში. ფესურის ქერქში გხვდებით ტიპიურ ბოჭკოებს, რომლებიც ერთეულების ან ჯგუფების სახით არის მოცემული და ფლოემისათან ახლოს მდებარეობენ. ზოგჯერ ბოჭკოები უფრო გარდამავალი ფორმისაა და ტიპიურ პროზენქიმიას არ წარმოაღენებ (ნახ. 2—1, 2). ფესურაში შეიძლება შეგვხვდეს აგრეთვე გაქვავებული უჯრედების ერთეულები.

ან ჯგუფები როგორც პირველად ქრეში, ისე გულგულშიც (ნახ. 2—3). კოლენქიმა კი უმეტესად მოცემულია ფესურის პერიფერიაზე ან ჯგუფების სახით, ან მთელ ფესურაში ირგვლივ. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თეთრყვავილა ლაშეარას ფესურა, სადაც კოლენქიმა უხვად არის მოცემული ფესურის სხვადასხვა ნაწილში: ქრეში, პერიფერულარულ ზონაში და თვით კონაში, რომელშიც ჭროჭლებს შორის მოცემული უჯრედები კუთხეურ კოლენქიმას ქმნის (ნახ. 2—4, 5), რაც საერთოდ ჩვეუ-



ნახ. 2

ფესურის მექანიკური ქსოვილის სახეები.

1. ვარდკანაფას (*Eupatorium cannabinum* L.)
ბოჭკოვები განივ განაკვეთზე.
2. იგივე სიგრძოვ განაკვეთზე.
3. ფურისულას (*Primula macrocalyx* Bge)
გაქვავერული უჯრედები.
4. თეთრყვავილა ლაშეარაში (*Symphytum grandiflorum* D. C.)
კოლენქიმა განივ განაკვეთზე.
5. იგივე სიგრძოვ განაკვეთზე.
6. ყვითელ დუმფარას (*Nuphar luteum* Smith)
ფესურის იდიობლასტები განივ განაკვეთში.

ლებრივ მოვლენას არ წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, როგორც შეტაღ იშვიათი, ყვითელი დუმფარას ფესურაში არსებული მექანიკური იდიობლასტები (ნახ. 2—6). ეს უჯრედები დატოტვილია, გარსი გასქერებულია და ზოგჯერ სუსტად გახევებულიც. მსგავს უჯრედებს კომაროვი [10] და პოპლავსკია [16] მიუთითებს დუმფარას საყვავილე ყლორტში და მათ სამართლიანად მექანიკურ დანიშნულებას მიაწერენ. ბოროლინი [7] და პალალინი [15] კი მათ თვლიან შიდა ბუსურად მათი ფუნქციის აღნიშნავად. ეს უჯრედები წარმოადგენენ

ძირითადი ქსოვილის უჯრედების სახეცვლილებას. ჩვენი მაგალითების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფილოგრენებურ სისტემატიკურ ჯგუფებში სქელგარსიანი ელემენტები საერთო ჯამში თანდათან მატულობს უმაღლესი განვითარების ჯგუფებში. ძირითადად მის სიმრავლეს განაპირობებს ის გარებო, რომელშიც ამა თუ იმ მცენარეს უხდება განვითარება. რაც შეეხება გამტარ ქსოვილს იგი მცენარეში ერთ-ერთი როული ქსოვილია და სუსტად განვითარების დროსაც რამდენიმე კომპონენტს შეიცავს. ჩვენ მიერ განხილული მძიექტების ფესურაში ეს როული ქსოვილი წარმოდგენილია სამი სახით: 1) განცალკევებული გამტარი კონების სახით, 2) ჭურჭელბოჭკოვანი მთლიანი ოგოლის სახით, სადაც გამტარი კონებს შორის მოცემულია მექანიკური უჯრედები, 3) ფლოების მთლიანი და ქსილების მთლიანი ოგოლის სახით. ქსილება განვითარების დაბლა მდგომ სისტემატიკურ ჯგუფში წარმოდგენილია ან ტრაქეიდებით ან კიდევ გარდამავალი ტიპის გრძელი წყლის გამტარი ელემენტებით. ფლოება უტეტესად არა დიფერენცირებულია. უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ სისტემატიკურ ჯგუფებში ჭურჭლები მოქლენაზიანულია და უმეტესად ბადენაირი ან დაწერტლილი გასქელება ახასიათებს. საერთოდ, გამტარი ქსოვილი აქ უფრო მარტივია და კომპონენტთა მცირე რიცხვით ხასიათდება.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ფესურაში წარმოდგენილი ყველა ცოცხალი ქსოვილი ხასიათდება *ემბრიონული პოტენციალით, რაც საერთო ჯამში ფესურის გასქელებას ხელს უწყობს და რაც ვეგეტაციური გამრავლების მიზნით მეტად მნიშვნელოვანია.


როგორც აკად. ტ. დ. ლისენკო მიუთითებს, „სიცოცხლის პირობების წეცვა აძიულებს შეიცვალოს მცენარეული ორგანიზმის განვითარების ტიპი“ [1]; გარემო საცხოვრებელი პირობების გავლენა მკვეთრად მეღავნდება ფესურის ანაზომიურ აგებულებაზე, რის გამოც შესწავლილი მძიექტების გარემო საცხოვრებელი პირობების გავლენით შეიძლება გამოვყოთ ფესურის აგებულების რამდენიმე ტიპი: 1) წყლის და ჭარბტენიან პირობებში მყოფი მცენარის ფესურა, 2) ნაკლებ ტენიანი პირობების მცენარეთა ფესურა, 3) მშრალი ადგილსამყოფელის მცენარეთა ფესურები, რომლებიც თავის მხრივ კიდევ შეიძლება დანაწევრდეს.

წყლის და ჭარბტენიან პირობებში მშარიდი მცენარის ფესურების ტიპი ხასიათდება იმ პარენქიმის სიგარბით, რომლის უჯრედები ერთმანეთთან იმურნად ფხვიერად არიან განლაგებული, რომ დიდ საპარა სავალებს ქმნიან. აქ მთელი ფესურა წარმოდგენილია ერენქიმული ქსოვილით. ასეთ ფესურებში მარტივი გამტარი კონებია მოცემული. წყლის გამტარი ელემენტები როგორური ან სპირალური გასქელებით ხასიათდება. მექანიკური ქსოვილი ან სრულიად არ არის ანდა თითო-ორმოლა ბოჭკოს ტიპის უჯრედები იშვიათად შეიძლება ახლდეს კონას (სურ. 3—1).

ამ ტიპიდან აღსანიშნავია ყვითელი დუმფარას ფესურა, სადაც მექანიკური ტიპის იდიობლისტებია მოცემული. საერთოდ ამ ტიპის აგებულების დამახასიათებელია პარენქიმატიზაცია. მფარავი ქსოვილი აქ ეპილერ-

მისია. ფესურის ამ ტიპის წარმომადგენლებია: ყვითელი დუმფარა, უკანასკნელი დუმფარა, წყლის სამყურა და სხვ.

ფესურის აგებულების მეორე ტიპს წარმოადგენს ჭარბი ტენის პირობებში მცხოვრები მცენარეების ფესურა. მათი აგებულება გარღამიერია წყლისა და მშრალ ადგილსამყოფელოს მცენარეთა ფესურის აგებულებებს.




ნაჩ. 3.

1. წყლის სამყურა (Menyanthes trifoliata L.)
განივი განკვეთის დოლი.
2. იგივე—სქემა.
3. ტყის პირნის (Mentha longifolia L.) Huds.
ფესურის განივი განკვეთის დოლი.
4. იგივე—სქემა.

შორის. ეს ტიპი ფესურისა ხასიათდება მოზრდილი უჯრედშორისებით, მაგრამ აქ ძირითადი ქსოვილი ისეთ ტიპიურ აერენებისა სახეს არ დგბულობს, როგორც ეს პირველი ტიპის ფესურებისთვის არის დანახასიათებელი. მისგან განსხვავებით აქ მოცემული ძირითადი ქსოვილი ნაკლები სიფხვიერით ხა-

სიათლება. გამტარი სისტემა უკეთ არის წარმოდგენილი, გურულებულების უმეტესად ბადენაირი და დაწერტლილი გასქელების ჭურჭლებია. უძრავი სიანი ქსოვილი მეტად არის მოცემული (ნახ. 3—3). მფარავი ქსოვილი აქაც ეპილერისია. ასეთებია ტყის პიტნა, ბალის პიტნა და სხვ.



ნახ. 4.

1. მთის ბარისარა (*Betonica grandiflora* W.)
ფესურის განივი განაკვეთი.
- 2 იგივე—სქემა.
3. მზიურას (*Inula glandulosa* W.)
ფესურის განივი განაკვეთის დიტალი.
4. იგივე—სქემა.

მესამე და უფრო გავრცელებული ტიპი ფესურის აგებულებისა იქნება მშრალ ადგილსაშეუოფელოს მცენარის ფესურები, საღაც ძირითადი ქსოვილი მჭიდრო აგებულებისაა, საღაც არამცო საჰაერო სავალები, არამედ ზოგჯერ ჩვეულებრივი უჯრედშორისებიც კი მეტად მცირეა. აქ საქმე გვაქვს შედარე-

ზოთ კომპაქტურ აგებულებასთან. ამ ტიპის ფესურებში სქელგარსის გაცემული ცულ ქსვილს საქმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ლიტერატურაში ფესურის შესახებ ვხვდებით ზოგად დახასიათებას, სადაც ძირითადად აღნიშვნულია, რომ ფესურაში მეტად არის წარმოდგენილი თხელგარსიანი პარენქიმა [6, 7]. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეს შეხედულება ყველა ფესურზე ან გავრცელდება, რაღაც საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთებიც, სადაც არა ნაკლებად არის მოცემული სქელგარსიანი ელემენტები (ნაბ. 4—1, 2).

ასეთებია, მაგ.: მთის ბარისპირა, რზიურა, ენდრო, ვარდკანაფა და სხვ.

საბოლოოდ ხაზი უნდა გავჭიროს იმ გარემოებას, რომ სხვადასხვა პირობებში განვითარებული ფესურის სტრუქტურა მეტად განსხვავებულია, რაც ერთხელ კიდევ მივითოთ იმაზე, რომ ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურა მეტად პლასტიკურია და განპირობებულია იმ გარემოთი, რომელშიც ამ ცოცხალ ორგანიზმს უზღდება განვითარება.

ჩვენ მიერ განხილულ ორლებნიან მცენარეთა ფესურის აგებულების შესწავლის საფუძველზე შეიძლება გამოტანილი იქნეს შემდეგი დასკვნები:

1. ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე ფესურის ახლად წარმოშობის ოთხი გზა შეიძლება. დაისახოს: გებულიდან, პიპოკოტილედან, ლეროდან და სამარავო ფესვის ყელიდან.

2. ფესურის სიგრძეზე ზრდა ძირითადად ზრდის კონცენტრაციით ხდება, მაგრამ ზოგიერთ ფესურაში ზრდა ხდება ჩამატებითი მერის ტემის მონაწილეობითაც.

3. ფესურის გამსხვილება იმავე შესით ხდება, როგორც ეს კოსტიჩევს აქვს აღწერილი, ორლებნიან ბალაზოვან მცენარეთა ლეროში, რის შესაბაძისადაც აქ რომ ტაბა ავექნება: 1 ტაბა—ფესურათა ისეთი ჯგუფი, რომლებსაც პირველად პოლკამბიუმის ცალკეული ჯგუფები უვითარდება; მერე ტაბა—ისეთი ფესურები, რომლებსაც მთლიანი პროკამბიალური რგოლით უვითარდება, რომელიც შემდეგ კამბიუმის მთლიან რგოლად გადაიქცევა.

4. იმის შესაბამისად, თუ შემდეგი დიფერენცირება როგორ წარიმართება, ფესურაში ვარჩევთ: 1) კონებ-განცალკევებულ ფესურებს, 2) ფესურებს მერქნისა და ლაფნის მთლიანი რგოლით და 3) ისეთ ფესურებს, სადაც გამტაო კონებს შორის მოცემულია მექანიკური ქსოვილი.

5. კამბიუმის მოქმედება ფესურაში იმავე მცენარის ლეროსთან შედარებით პირველ ზანებში უფრო ინტენსიურია, მაგრამ საერთოდ მაინც ხანმოკლეა. ფესურის მთელი სიცოცხლის განმიერლობაში მისი მოქმედება ერთნაიონ არ არის დროთა განმავლობაში: ან სუსტდება მისი მოქმედება ან სრულიად ჩერდება.

6. ყველა ცოცხალი ქსოვილი ფესურაში დიდი პოტენციური ემბრიონალური თვისებით ხასიათდება, რაც ვეგეტაციური გამრავლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ფესურაში ენდოდერმის უჯრედების ინტენსიური დაყოფა, მისი ემბრიონალური უნარი მეტად იახლოებს ამ ქსოვილს პერი-

ციკლთან. ქერქის ასეთი უნარით შეიძლება აიხსნას ის გარემონტიზაციაზე განხილულ ფესურებს პირველადი ქერქი ხშირად შენარჩუნებული ცეკვული მომსახურება

7. ფესურაში მექანიკური ქსოვილი საერთოდ სუსტად არის წარმოდგენილი, მაგრამ იგი საყმაო მრავალფეროვნებით გვხვდება. მერქანშია ლიპარიფორმია. ფესურის ქერქში და გულგულში ბოჭკოები და გაქვავებული უჯრედებია მოცემული. გვხვდება იგრეთვე გარდამავალი ტიპის მექანიკური ელემენტები. ზოგიერთ ფესურაში მოცემულია კოლენქიმა და მექანიკური იღიობლასტები.

8. გამტარი ქსოვილი ფილოგენეზურად დაბალ საფეხურზე მდგომ მცენარეებში ნაკლებ დიფერენცირებულია; კურქლები გრძელია რგოლურიდა სპირალური გასქელებით. უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ მცენარეთა ფესურებში ჭურჭლები მოკლე ნაწილაკოვანია და მათი კედლების გასქელება უმეტესად ბადენაირი და დაწერტლილია.

9. სასიცოცხლო პირობების გავლენა შევეთრად მულავდება ფესურის ანატომიურ აგებულებაში. ამის მიხედვით ვარჩევთ: 1) წყლისა და ჭაობის ფესურებს, რომლებიც ხასიათდებიან დიდი საჰაერო ღრუიანი ერენქიმით; 2) ისეთი ფესურები, რომლებიც ტენიან პირობებში მოზარდ მცენარეებს უვითარდება; აქ ტიპიური ერენქიმა არ არის და მხოლოდ მოზრდილი უჯრედშორისებია მოცემული; 3) ნაკლებ ტენიან პირობებში მოზარდ მცენარეთა ფესურები, რომლებიც თავის მზრივ კიდევ შეიძლება დანაწევრდეს. მათთვის უფრო კომპაქტური აგებულებაა დამახასიათებელი.

10. ფესურის აგებულების შესწავლა ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურა მეტად პლასტიკურია და იგი განპირობებულია იმ გარემოთი, რომელშიც ამ ცოცხალ ორგანიზმს უხდება განვითარება. როგორც აკად. ტ. დ. ლისენკო აღნიშნავს, „სიცოცხლის პირობების შეცვლა აიძულებს შეიცვალოს მცენარეული ორგანიზმის განვითარების ტიპიც“ [1].

ლიტერატურა

- ტ. დ. ლისენკო, მდგომარეობა ბიოლოგიურ მცნიერებაში. მოხსენება და საბოლოო სიტყვა ვ. ი. ლენინის სახელობის სას. სამ. შეცნიერებათა აკადემიის სესიაზე, 1948.
- ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, 1949.
- ნ. ა. მაქსიმოვი, მცენარეთა ფიზიოლოგის მოკლე კურსი, 1946.
- ე. ი. მირიანაშვილი, ზოგიერთი ორლებნიანი მცენარის ფესურის შინაგანი აგებულება. დისერტაცია, 1949.
- ა. როლოვი, სუბტროპიკულ და ძვირფას მცენარეთა კულტურა, 1931.
- ვ. გ. ალექსანდროვ, ანтомия растений, 1937.
- И. П. Бородин, Курс анатомии растений, 1938.
- И. Ф. Владимиров, Молокан татарский (*Mulgedium tataricum* D. C.) и меры борьбы с ним, ДВАСХНИЛ им. В. И. Ленина, 1948.
- А. Дж. Имси и Л. Г. Мак-Даниельс, Введение в анатомию растений, 1935 г.
- В. А. Комаров, Практический курс анатомии растений, 1941.

11. Ф. Н. Крашенинников, Лекции по анатомии растений, 1937.
12. С. Костычев, Строение и утолщение стебля двудольных. Приложение к V тому журн. Русск. бот. об-ва за 1920.
13. С. Л. Кот, Агробиологические особенности сорняка гусиной лапки (*Potentilla anserina* L.); ДВАСХНИЛ, 1948.
14. В. А. Насонов, Анатомическое строение масличных семян, 1940.
15. В. И. Палладин, Анатомия растений, 1924.
16. Г. И. Поплавская, Экология растений, 1948.
17. В. Ф. Раздорский, Анатомия растений, 1949.
18. К. Е. Цхакая, Запасные вещества в подземных органах дикорастущих растений и их пищевая ценность. სტალინის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მცენარეთა ანატომიისა და
ფიზიოლოგიის კათედრა
19. М. С. Яковлев, К вопросу накопления дубильных веществ в бадане в разное время года: Журн. русск. ботан. об-ва № 2—3, 1931.

სტალინის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მცენარეთა ანატომიისა და
ფიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1951. II. 15)

Е. И. Мирианашвили

Анатомическое строение корневища двудольных растений

Р е з յ у м е

Для выявления признаков характерных для структуры корневища было изучено и сравнено между собой анатомическое строение корневищ 50 видов двудольных растений, относящихся к 24 разным семействам. Материал собирался в различных условиях их произрастания. Во время изучения внутренней структуры корневищ принималось во внимание также внешнее строение, возникновение и дальнейший рост корневища. Исследование производилось методом сравнительной анатомии.

На основании проведенной работы сделаны следующие общие выводы:

1. О новообразовании и последующем росте корневища очень мало литературных данных. На основании проведенной работы новообразование корневища возможно: из гемулы, из гипокотиля, из стебля и из корневой шейки.

2. Рост корневища в длину происходит, главным образом, посредством конуса нарастания. Однако, в некоторых случаях в корневище наблюдается вставочный рост.

3. Утолщение корневища должно происходить почти тем путем, как типичное утолщение надземного стебля двудольных травянистых растений, описанное у С. П. Костычева. На основании этого различаем два типа утолщения корневища: корневища, в которых появляются отдельные группы прокамбия, и корневища со сплошным прокамбимальным кольцом, которое превращается в сплошное же камбальное кольцо.

4. Соответственно с тем, как происходит дальнейшая дифференцировка, различаются:

- а) корневища с отдельными проводящими пучками,
- б) корневища со сплошными кольцами древесины и луба,
- в) корневища с механической тканью между проводящими пучками.

5. Деятельность камбия в корневищах отдельных растений довольно разнообразна.

Деятельность его в корневищах в первое время интенсивнее, чем в стебле, но эта деятельность кратковременна.

6. Все живые ткани в корневищах выявляют потенциальную эмбриональность, что имеет большое значение при вегетативном размножении. Эндодерма корневищ характеризуется эмбриональной природой, что сильно сближает ее с перициклом. Эмбриональной природой первичной коры можно объяснить то обстоятельство, что при утолщении корневища в большинстве случаев сохраняется первичная кора.

7. Механическая ткань в корневище развита сравнительно слабо, но в наших объектах она представлена довольно разнообразно. Механическая ткань древесины должна быть отнесена к либриформу; в коре и сердцевине корневища эта ткань часто напоминает лубяные волокна; здесь же встречаются каменистые клетки и различные переходные формы механических элементов. В корневищах некоторых растений мы находим коленхиму. Иногда встречаются идиобласти механического типа.

8. В растениях, стоящих на низкой ступени филогенетического развития, проводящая система дифференцирована слабо; сосуды длинные и характеризуются кольчатыми или спиральными утолщениями. В корневищах более высоко стоящих растений сосуды состоят из более коротких членников, утолщение их стенок чаще сетчатое и точечное.

9. Влияние условий произрастания на анатомическое строение корневища выражено ясно.

В связи с этим различаем:

- а) корневища водных и болотных растений, характеризующиеся аэренхимой с крупными воздухоносными полостями;
- б) корневища растений, произрастающих во влажных местах, у которых аэренхима не имеет типичного строения, воздухоносные полости — небольших размеров;
- в) корневища растений, произрастающих в менее влажных местах; в свою очередь они могут быть разбиты еще на отдельные подгруппы. Для них характерно более компактное строение.

10. Изучение анатомии корневища еще раз указывает на то, что структура живого организма пластична и обусловлена теми внешними условиями, в которых развивается организм. Как указывает акад. Т. Д. Лысенко, „Изменения условий жизни вынуждают изменяться сам тип развития растительных организмов“.

-3 3. ქონიანი

საუკარის უჯრედში ელექტროლიგის განაცილების
ღამოკიდებულება ჟანევა-ალეგანითი პრინციპისაგან

მიუხედავად იმისა, რომ უჯრედის განვლადობის შესახებ დაგროვილია ძალიან დიდი ექსპერიმენტული მასალა, ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ იმისა-ვინ, რომ ამ საკითხზე ვიქონიოთ ნათელი წარმოლენა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ არ არსებობს შეთანხმებული შეხელულება იმის შესახებ, თუ უჯრედის რომელ ნაშილს უნდა მიეწეროს განვლადობის უნარი ნახევრად გამტარ მემბრანას [1], თუ პროტოპლაზმას, როგორც მთლიანს. ნა-სონოვის და ოლეჭსანდ როვის და სხვა მკვლევართა გამოკვლევილანის დასკვნა უნდა იყოს გამოტანილი, რომ განვლადობა დამოკიდებულია პროტოპლაზმის სორბციული ოვისებებიდან, იმ თანანათესაობიდან, რომელიც უნდა არსებობდეს პროტოპლაზმას, როგორც არაშეყლოვან ფაზასა, და განვ-ლად ნაერთ შორის [2]. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოხსენებული დებუ-ლებიდან გამოვედით, არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ პროტოპლაზმის არაშეყლოვანი ფაზის მოსაზღვრე ზედაპირის განსაკუთრებულ თვისებებს, რითაც ის მკვეთრად განსხვავდება პროტოპლაზმის სხვა ნაწილებისაგან. ზე-დაპირულ მოვლენებს გარკვეული მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს განვლადო-ბის პროცესში. ამ მხრივ აღსანიშნავია ზედაპირის მექანიკური თვისებები, იღსორბციის მოვლენა, ხსნალობა, ზედაპირზე ქიმიური რეაქციის მსგლელო-ბის თავისებურება, ელექტრული მუხტების განლაგება და სხვა. ამგვარად, უნდა დავუშვათ, რომ შერჩევითი განვლადობის უნარი დამოკიდებული უნდა იყოს როგორც გამყოფი ზედაპირების — ნახევრად გამტარი მემბრანების — არ-სებობიდან, ისე პროტოპლაზმის, როგორ მთლიანის, სპეციფიკური თვისე-ბებიდან.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რა საშუალებებით შედის ესა თუ ის ნაერთი უჯრედში, ან გამოდის უჯრედიდან, ლიტერატურაში დაგროვილი ექსპერიმენტული მასალა გვაძლევს ჩვენ უფლებას დავსახოთ განვლადობის სამი გზა.

პირველი გზა ეს არის ის დამოკიდებულება, რომელიც უნდა არსებობ-დეს უჯრედის ელექტრული მუხტების ნიშნისაგან და მათი განლაგებისაგან. როდესაც ნაერთს, ან რადიკალს მუხტის ისეთი ნიშანი ახასიათებს, რომელიც უჯრედის ზედაპირის მუხტის ნიშნის საჭინააღმდეგოა, მაშინ ამ ნაერთის

განვლადობა გაადვილებულია. შერჩევითი იონური განვლადობა უნტბ-ათხსშეს იონთა ელოქტროსტატიკური მიზიდულობით ზედაპირისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში დამუხტული უნდა იყოს საწინააღმდეგო ნიშნით. ეს დებულება მართლდება ყველა პოლარულ ნაერთებზე იმისდა მიხედვით, თუ რა-სიდიდეს აღწევს მათი მოლეკულური მოცულობა. როდესაც პოლარული ნაერთების მოლეკულური მოცულობა იმდენად მცირეა, რომ ზედაპირის მუხტის ელექტრული ველი მათ ვერ წადება, განვლადობის სიჩქარე მომატებულია. რაც უფრო მეტ სიდიდეს აღწევს მოლეკულური მოცულობა, მით უფრო მეტი სიძლიერით იჩენს გავლენას ზედაპირის ელექტრული ველი და ნაკლები განვლადობის სიჩქარე აქვს რადიკალს, თუ მასი მუხტის ნიშანი ზედაპირის მუხტის მსგავსია. ამ გარემოებით, ალბათ, უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ უჯრედში კატიონებიდან ძირითადად წარმოდგენილია კალიუმი და არა ნატრიუმი. საჭმე ისაა, რომ ნატრიუმის იონი უფრო მეტად ჰიდრატირებულია და მასი მოცულობა კალიუმის იონზე გაცილებით უფრო მეტია, ამიტომ კალიუმის იონის განვლადობა რამდენჯერმე ჭარბობს ნატრიუმ-იონის განვლადობას. ეს საკითხი კარგად არის შესწავლილი ხელოვნურ მემბრანებზე მიხაელ ისის მიერ [1].

განვლადობის მეორე საშუალებას წარმოადგენს ნაერთთა ლიპოიდებში ხსნადობის უნარი. მთელ რიგ ისეთ ნაერთებს, რომელიც ლიპოიდებში იხსნებიან, აქვს უჯრედში განვლადობის უნარი. ეს უნარი გამომდინარეობს მხოლოდ ხსნადობისაგან და არ არის დამოკიდებული მოლეკულის მოცულობისაგან. პირიქით, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მოლეკულის სიდიდის მატებასთან ერთად განვლადობა მატულობს, თუ კი ნაერთის ელექტრული პოლარობა დიდ ოდენობას არ აღწევს. განვლადობის ეს საშუალება შესწავლილი იყო ოვერტონის მიერ უკვე გასული საუკუნის მიწურულში.

ოვერტონის მიერ დადგენილია კანონზომიერება, რომლის მიხედვით უჯრედში განვლადობის უნარი მატულობს ნახშირბალ-წყალბადის ჯაჭვის სიგრძისას და ჯაჭვებში მეთილის ეთილის და ფენილის ჯგუფების მატებასთან ერთად. განვლადობის უნარი სწრაფად ეცემა ჰიდროქსილის, ჭარბოქსილის, და ამინის ჯგუფების შევევანით ორგანულ ნაერთში. ამ ჯგუფების უარყოფითი გავლენა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოწვეული უნდა იყოს ნაერთში პოლარობის წარმოშობით.

მემბრანული თეორიის მომხრენი იმ აზრის არიან, რომ მემბრანა ლიპოიდური გარსს წარმოადგენს და განვლადობა ამ გარსში ხსნადობით უნდა იყოს გამოწვეული. მაგრამ ამის საწინააღმდეგო არის ის მოსაზრება, რომ როგორც პოლარულ ისე არაპოლარულ ნაერთთა განვლადობა შესაძლებელია განიმარტოს მათი ხსნადობის კოეფიციენტებით პროტოპლაზმაში.

განვლადობის მესამე პირობას ის დამოკიდებულება წარმოადგენს, რომელიც უნდა არსებობდეს განვლად ნივთიერებასა და უჯრედში მიმღინარე ბიოქიმიურ გარდაქმნებს შორის. ამ დამოკიდებულების არსებობის შედეგად ხერხდება უჯრედში გარკვეულ ნაერთთა დაგროვება ანდა უჯრედიდან მათი გამოყოფა.

ნაერთის უჯრედში დაგროვების ყველაზე უფრო მარტივ მაგალითს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როდესაც განვლადი ნაერთი უჯრედში ილე-

ქება ანდა ამსორბირდება უჯრედის სტრუქტურული ელექტროლიტების ზენტრალურად ამგვარ პასიურ დაგროვებას წარმოადგენს, მაგალითად, უჯრედის მიერ ზოგი-ერთი ვიტალური სალებავების აკუმულირება.

უჯრედში მთელი რიგი ნაერთების კონცენტრირება უნდა აიხსნას იმ მუშაობით, რომელსაც უჯრედი ასრულებს თავისი სპეციფიკური შემაღებელობის შესანარჩუნებლად. ასეთი აქტიური დაგროვებისათვის იხარჯება ენერგიის გარკვეული რაოდენობა, რის შედეგადაც ამა თუ იმ ნაერთის კონცენტრაცია უჯრედში მატულობს და ის უკვე არ იმყოფება ორმოდინამიკურ წონასწორობაში გარემო არესთან. წონასწორობა, რომელიც მყარდება უჯრედის შემადგენლობასა და გარემო არეს შორის, დამოკიდებულია ენერგიის ხარჯვაზე და მას სტაციონარული წონასწორობა ეწოდება.

ელექტროლიტების აქტიური დაგროვება შესწავლილი იყო ოსტერ-ჰაუტის მიერ ცდებით წყალმცენარეთა უჯრედებზე. მან გვიჩვენა, რომ წყალმცენარის უჯრედში კალიუმი ჭარბობს ნატრიუმზე. გარემო არეში კი ზღვის წყალში — პირუკუ დამოკიდებულება არსებობს. უჯრედში კალიუმის რაოდენობა თითქმის 40-ჯერ აღმატება მის შეცულობას ზღვის წყალში. შეიძლება დავუშვათ, რომ ნატრიუმის სიმცირე უჯრედის შიგნით გამოწეულია მისი ნაკლები განვლადობით აფსში. მაგრამ კალიუმის ზედმეტი რაოდენობით დაგროვება უჯრედის მიერ გაწეული მუშაობის შედეგი უნდა იყოს.

უფრო აქარა დამოკიდებულება ელექტროლიტების აქტიურ დაგროვებასა და ნივთიერების ცვლას შორის ნაწევნები იყო წყალმცენარეების უჯრედში ჰალოიდების დაგროვების მაგალითზე. წყალმცენარე ნიტელა გავრცელებულია მტკნარ წყალში, სადაც ქლორი უნიტენელო რაოდენობითაა წარმოლენებილი. მაგრამ ნიტელას უჯრედში ქლორი დაგროვილია გაცილებით უფრო მწერა რაოდენობით. როდესაც გარემო არეში ქლორის ჟენცენტრაცია გადიდება, ნიტელას უჯრედში ხდება ქლორის კიდევ მეტი რაოდენობით აკუმულირება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს პროცესი წარმოებს მხოლოდ სინათლეზე და უშუალოდ ფოტოსინთეზთან არის დაკავშირებული.

ჰალოიდის აქტიური დაგროვების მცორე მაგალითს წარმოადგენს ბრომიონის აკუმულირება კართოფილის ანათლებში. ეს პროცესი წარმოებს მხოლოდ უანგბადის მიწოდების პირობებში. როდესაც უანგბადის პარციალური წნევა მცირდება, პარალელურად კლებულობს ბრომის დაგროვება და პროცესი სრულიად წყდება ანაერობულ პირობებში. მაშასადამე, ბრომის აქტიური დაგროვებისათვის საკირო ენერგია იფარება უანგვითი პროცესებით.

ოსტერ-ჰაუტი ის მიერ აღმოჩენილი ამონიუმის აქტიური დაგროვების პროცესი შეიძლება აიხსნას იმ გავლენით, რომელსაც ახდენენ pH ამონიუმის ქლორიდის დისოციაციაზე. ამონიუმის იონი გროვდება უჯრედში იმ შემთხვევაში, თუ გარემო არეში pH საკმარისად დიდია. როგორც ირკვევა, უჯრედში შედის არა ამონიუმის იონი, არამედ არადისოციირებული NH_3 და NH_4OH . ამონიუმის ქლორიდის გარდაქმნა ამ ნაერთებში შესაძლებოლია იმ შემთხვევაში, თუ pH საკმარისად დიდია. მაგრამ NH_3 და NH_4OH უნდა იწვევდეს უჯრედის შიგნითა არის შეტუტიანებას. ეს არ ხდება იმიტომ, რომ უჯრედში

ნიციოერებათა ცვლის შედეგად მჟავა პროდუქტები იქმნებიან, რომელთაც
ანეიტრალებენ გარედან შესულ NH₃ და NH₄OH. მაშასაღამე, უჯრედში ამო-
ნაურის იონის დაგროვება ეს არის ნივთიერებათა ცვლის შედეგი.

ზემოხსენებული შექანიშით კალიუმის დაგროვება უჯრედში შეუძლე-
ბელია, რადგან კალიუმის ნაერთები ამონიუმისაგან განსხვავებით დისოციი-
რებულია, კალიუმი შედის უჯრედში მხოლოდ იონის სახით. ამ ელემენტის
დაგროვების პრინციპიალურად იხსლი მექანიზმი აღმოჩენილია კონვეისა
და ბორილის მიერ [4]. კალიუმის დაგროვებას საფუარის უჯრედში ზემო-
ხსენებული შევლევარები იკავშირებენ ნახშირწყლების ცვლასთან. ნახშირწყლე-
ბის გარდაქმნა უჯრედში იწყება ფოსფოროლიშით, რის შედეგადაც უჯრედში
გროვდება ნახშირწყლების ფოსფორმეტა ესთერები. ფოსფატის იონები გროვ-
დება უდრედში დიდმოლექულური მოცულობის ანიონების სახით. ამ ანიონებს
უჯრედილან გამოსხლის უნარი ეკარგებათ მოცულობის გადიდების გამო-
მართონ უნდა წყვილდებოდეს ისეთი კატიონი, რომლის მუცულობა საკმარი-
სად მცირეა. ასეთ კატიონად შეიძლება იყოს კალიუმი ან ამონიუმი და არა
ნატრიუმი. როგორც ცნობილია, ნატრიუმის განვლადობის სიჩქარე ძალიან
მცირეა. მაშასაღამე, დულილის დაშვებისას კალიუმი უნდა შედიოდეს უჯ-
რედში. დულილის დამთავრებისას, როდესაც ნახშირწყლის მარაგი გამოილევა
და ფოსფორის ნაერთები დაშლის იწყებენ, კალიუმი არაორგანულ ფოსფატ-
თან გაწყვილებული გამოდის უჯრედიდან. კალიუმის განვლადობა უპუშტევად
პროცეს წარმოადგენს. მისი მიმოქცევა, გროვდება ის უჯრედში კონცენტ-
რაციის გრადიენტის წინააღმდეგ, თუ გამოდის უჯრედიდან, დამოკიდებულია
ნახშირწყლების ცვლისაგან.

კალიუმის მიმოქცევის დამოკიდებულება ნახშირწყლის გარდაქმნასთან
აღმოჩენილ იქნა სხვა უჯრედებშიც. მაგალითად, კუნთის ქსოვილში ჩენ მიერ
დადგენილია, რომ დალლისას კუნთი ლარიბლება კალიუმით, ხოლო მოსვენე-
ბისას, შექმნილია პირობები გლიკოგენის რესინთეზისათვის, კალი-
უმი გარემო არა მიუხედავად, კალიუმი შეიდის გარემო არიდან კუნთის უჯრედში
ლებისადა მიუხედავად, კალიუმი შეიდის გარემო არიდან კუნთის უჯრედში
არა მაშინ, როდესაც ნახშირწყლებია. კალიუმი შეიდის მიმდინარეობს, არამედ რესინ-
თეზის პროცესთან დაკავშირებით. ეს გახსა- გამოწვეული უნდა იყოს
იმით, რომ გლიკოგენის რესინთეზი დაკავშირებულია ანგბადის მოხმარე-
ბასთან, რაც ხელს უწყობს კუნთის ქსოვილის შემთხვევაში კალიუმის აქუ-
მულიორებას.


დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც პულვერმა და ფერცარმა [6]
აღმოჩინეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ სპირტის დულილის პირველ
სტადიაში გარემო არიდან საფუარის უჯრედში შედის კალიუმი, ხოლო
უჯრედიდან გარეთ გამოდის მეტვათა ეკვივალენტური როდენობა. აღსანიშ-
ნავით აგრეთვე ის გარემოება, რომ ნატრიუმი ფერ შედის უჯრედში, თუ
გარემო არეში კალიუმის საკმარისი რაოდენობა არის. ნატრიუმი, როგორც
შემდეგში გამოირკვა, შედის მაშინ, თუ კალიუმის კონცენტრაცია იმ არეში,
საღამო დულილი წარმოებს, მცირეა. მაგრამ მაინც ნატრიუმის განვლადობა

ვერ აღწევს იმ რაოდენობას, რაც აღმოჩენილი იყო კალიუმის შემთხვევაში. ამავე დროს გარემო არეში უჯრედიდან მჟავათა გამოსვლა შემცირებულია.

წყალბალ-იონთა გაცვლა კალიუმს იონებზე საფუარის უჯრედში, ლიტერატურაში გაბატონებული აზრის მიხედვით, უნდა მოხდეს აუცილებლივ, რათა აცილებელ იქნეს უჯრედშიგნითა არის შემუავება [7]. იმ შემთხვევაში, როდერ საც უჯრედის გარეშე არეში არ არის კატიონი, რომელსაც განვლადობის უნარი აქვს, უჯრედი შეიძლება დაიღუპოს მასში დაგროვილი მევეებისაგან. ნატრიუმის უარყოფითი გავლენა საფუარის ცენველმოქმედებაზე სწორედ იმით უნდა აიხსნას, რომ მას ნაკლები განვლადობის უნარი ახასიათებს.

ზემოხსენებულის მიხედვით, გასაგები უნდა იყოს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ელექტროლიტების შემადგენლობის მხრივ უჯრედშიგნითა და გარეშე სივრცეებს შორის. უჯრედის შიგნით მეტი რაოდენობით უნდა იქნეს წარმოდგენილი ნაკლებად მოძრავი ანიონები (ცილის, ლიპოიდების, ორგანული ფოსფატების), ხოლო ნაკლები რაოდენობით — ისეთი მოძრავი ანიონები, როგორიცაა ორგანულ მჟავათა, ფოსფატის, კარბონატის, ქლორის ანიონები. უჯრედგარეშე არე უნდა ხასიათდებოდეს ნაკლებად მოძრავი კატიონებით. აქ ნატრიუმი უნდა სჭარბობდეს კალიუმს. უჯრედშიგნითა არეში დაგროვილი კატიონების რაოდენობა უშეუალო დამოკიდებულებაში უნდა იყოს ნივთიერებათა ცვლის შედეგად წარმოშობილ ორგანულ მჟავავათა რაოდენობისაგან. ამგვარად, უკანასხელ დროს მიღებული მონაცემების მიხედვით, ჩვენ იმ დასკვმამდე მიყდივართ, რომ ელექტროლიტების არათანაბარი განაწილება უჯრედშიგნითა და გარეშე არებს შორის გამოწვეული უნდა იყოს წინდა ფიზიკური და ქიმიური ხასიათის სტატისტიკური პირობების გარდა უჯრედში მიმღინარე ბიოქიმიური გარდაქმნებით.

კონვეის ლაბორატორიაში სპეციალური გამოკვლევები იყო ჩატარებული წყალბალ-იონთა წყაროს დასაღენად [8]. იმ შემთხვევაში, როდესაც დულილი დაუბრუფერირებელ არეში მიმღინარებდა, ორგანული მჟავას კონცენტრაცია გარემო არეში 40—50 მილიკვივალენტს აღწევდა. ორგანული მჟავას სახით იირითადად გროვდებოდა ქარვის მჟავა. იმ შემთხვევაში, როდესაც საფუარის სუსტენზია წინასწარ აერირებული იყო მრავალი საათის განმავლობაში, ქარვის მჟავას პროდუქტია მომდევნო დულილის შემდევ მინიმუმადე დაღიოდა. მაგრამ ამ პირობებშიც იქმნება მჟავა, რომელიც ცვლის თავის წყალბალის იონს გალიუმის იონზე. გარემო არის შემუავიანების ოდენობა არ ჩამოუვარდება იმას, რაც მიიღება ქარვის მჟავას შემთხვევაში. კონვეის აზრით აერირებულ საფუარებში წყალბალ-იონთა წყაროს უნდა წარმოადგენდეს ნახშირის მჟავა, რომელიც უნდა განიცდიდეს დისოციაციას შემდევი განტოლების მიხედვით.



ანიონი HCO_3^- რჩება უჯრედში და იწვევს კალიუმის გადანაცელებას გარედან შიგნით, ხოლო წყალბალის იონები განიდევნებიან უჯრედიდან გარეთ. ამით აიცილება უჯრედში შემუავიანების უარყოფითი ვაკლენა.



ზემოხსენებულის მიხედვით წყალბად-იონების დაგროვება გარეუფენის გამოიწვევა ან ქარის მეტათი ანდა ნახშირმეუათი, ე. ი. მეტათა დაგროვება დაკავშირებული უნდა იყოს ნახშირწყლების გარდაქმნასთან. თუ ეს ასე არის, მაშინ ნახშირწყლების გარდაქმნასთა ხასიათის შეცვლამ გავლენა უნდა მოახდინოს გარემო არის შემცავების სიდიდეზე. წყალბად-იონთა დაგროვებასა და უანგვა-ალდგენითს რეაქტივებს შორის გარკვეული დამოკიდებულება არსებობს. დაუძნევა ჩვენ უნდა წარმოუიდგინოთ, როგორც წყალბადის დაკარგვა-სუბსტრატი იყანება წყალბადის ჩამოშორების გზით. ეს ჩამოშორება მიმდინარეობს სპეციფიკური ფერმენტებისა და წყალბადის გადამტანების საშუალებით. საბოლოოდ წყალბადი კვაშირდება უანგვა-ალთან და იყანება წყლის სახით. მაგრამ თუ იმ არეში, საღაც ნახშირწყლების გარდაქმნა წარმოებს, შექმნილია ისეთი პირობები, რომ გააქტივებული წყალბადი კვაშირდება ისეთ აქცეპტრორთან, რომლის დაუძნევა იფარგლება ელექტრონების დაკარგვით, მაშინ წყალბადი გადადის იონის ფორმაში, ე. ი. წარმოიშობა მეტავა. ეს პირობები შეიქმნება მაშინ, თუ უჯრედში შეიცვალა უანგვა-ალდგენითი პირტენ-ციალი ანუ, როგორც ამბობენ, რედოქსიპორტენციალი. ამ დებულებიდან გამოვლით ჩვენ, როდესაც განვიზრახეთ გაგვერკვადა რედოქსიპორტენციალის გავლენა მეტათა დაგროვების ოდენობაზე სპირტის დუღილის დროს.

კონვეიის ცდებისაგან განსხვავებით მეტავლილი იყო არა პურის, არამედ ლულის საფუარებში: მხადვებოდა 10% , სუსტენშია კალიუმციტრატის ბუფერზე. ბუფერის pH უდრიდა 4.5 . ნარევი შეიცავდა 5% ლერწმის შაქარს. ლროის გარკვეული ინტერვალებში იღებოდა სინჯები ანალიზისათვის. დუღილის ფიქსირება ხდებოდა სინჯების მოთავსების რეტრი-ჟერატორში. ცალკე იყო დაყენებული ცდები, საღაც მაღულარ სითხეს ერთ-ბოდა მეთოლენის სილურჯე კონცენტრაციით $1:5000$.


უანგვა-ალდგენითი პირტენციალის ცვლილებაზე მსჯელობისათვის წარმოებდა დაუძნებული და ალდგენილი გლუტათიონის განსაზღვრა. დუღილის ინტენ-სივობა ისაზღვრებოდა მოხმარებული შაქრის რაოდენობით, ხოლო მეტათა დაგროვება — წყალბად-იონების კონცენტრაციის მატების მიხედვით. მიღებული შედეგები გამოქვეყნებული იყო 1950 წელს [10].

გამოირკვა, რომ წყალბად-იონთა კონცენტრაციის მატებასთან ერთად იმ არეში, საღაც დუღილი წარმოებდა, საფუარის უჯრედში შეიცვალა გლუტათიონის ლაუნგული და ალდგენილი ფორმების განაწილება. საფუარში დუღილის დაწყებისას გლუტათიონის დაუძნებული ფორმა საერთო გლუტათიონის 5% შეადგინს. ცდებში, საღაც დუღილის დაწყებამდე მეთილენის სილურ-ჯე იყო მომატებული, დაუძნებული ფორმა მატულობს და 30% აღწევს, როდესაც საფუარი სპირტის დუღილს აწარმოებს, გლუტათიონის დაუძნებული ფორმა თანდათან ცლებულობს და ბოლოს ნულამდე დადის, ე. ი. დუღილის დამთავრებისას გლუტათიონი მთლიანად აღდგენილი ფორმის სახით არის წარმოდგენილი.

გლუტათიონის დაუძნებული და ალდგენილ ფორმათა შორის წონასწორობის ცვლილება გამოწვეული უნდა იყოს რედოქსიპორტენციალის შემცირე-

ბით დუღილის პროცესში. გლუტათიონი ფუნქციონირობს როგორც წყალბადის არასუვეციფიკური გადამტანი. წყალბადი გადადის ო ერთი ენერგეტიკული დონიდან მეორეზე, საბოლოოდ სტაბილდება წყლის ძოლებულის სახით. სტაბილიზაციის პროდუქტის სახით შესაფეროს პირობებში შეიძლება წარმოიშვას ქარვის მჟავა.

დუღილის დროს, როდესაც ნახშირწყლების ინტენსიური ხარჯვა წარმოებს, გლუტათიონის დაუანგვა ვერ აწრებს მის პილრირებას. უახგა-ალდგენით უკუჩევევადი რეაქცია:



გაღახრილია მარჯვნით, ასეთ პირობებში სუბსტრატში გააქტივებულ წყალბადს ენიჭება უნარი დაკარგოს ელექტრონი და გადავიდეს იონურ ფორმაში. ეს პროცესი უნდა ხდებოდეს ისეთი ფერმენტული სისტემის წიაღში, რომლის ალდგენილი ფორმა ფუნქციონირობს როგორც მჟავა. აქედან ნათელი ხდება გლუტათიონის დაუანგული ფორმის შემცირების კავშირი წყალბად-იონების კონცენტრაციის მატებასთან.

როდესაც ჩვენ მაღლარ აჩეში მეთილენის სილურჯე დავუმატეთ, ამით გადიდდა რედოქსიპორტენციალი. საღებავს, როგორც გამოიკვა, დუღილის ინტენსივობაზე (თუ კი ის ჩვენ დახარჯული შაქრის რაოდენობით ვიანგარი-შებთ) გავლენა არ მოუხდენია. მაგრამ მეთილენის სილურჯემ გამოიწვია წყალბად-იონთა განაწილებაში დიდი ცვლილება. მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას წყალბად-იონთა კონცენტრაციამ უკარედგარებე სივრცეში არამცუა არ მოიმატა, არამედ შესამჩნევად დაიკლო კიდევაც. მეთილენის სილურჯის გავლენა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ ის ამ შემთხვევაში ბუფერის როლს თამაშობს და აკავებს მჟავას დაგროვებას, ატომური წყალბადის გადასვლას იონურ ფორმაში.

მუ მეთილენის სილურჯეს აქვს გავლენა წყალბად-იონთა დაგროვების მდენობაზე, მოსალოდნელი იყო, რომ მას გავლენა ექნებოდა კალიუმის დაგროვებაზედაც უჯრედის შიგნით. ეს საკითხი ჩვენ მიერ შესწავლილი იყო შუშანა დოლიძის დახმარებით.

წინასწარ საფუარი თავსდებოდა კალიუმ-ქლორიდის ხსნარში, რომელიც შეიცავდა ამ მარილს 50 მილიმოლის რაოდენობით. მეორე დღეს ნარევი ცენტ-რიფერილდებოდა. ცდაზე აიღებოდა საფუარის 150 გ ემატებოდა ქლორიდის ხსნარი 200 მლ რაოდენობით და 15 გ ლერწმის შაქარი. პარალელურ ცდებში დამატებით იღებოდა 0,25 გრამი მეთილენის სილურჯე. დუღილი წარმოებდა 25°-ზე. ქვემოთ ტაბულაში მოყვანილია სამი ცდის შედეგები.

წყალბად-იონთა და კალიუმის განაწილების ცვლილება სპირტის დღლილის პროცესში შეთან-
ლების სილურჯის თანდასწრებისას. წყალბადისა და კალიუმის (მგ/მლ) კონცენტრაციაზე გარეშე სივრცეში

ცდა II/III. 51.

ტაბულა № 1.

| ცდის ხანგრძლივობა წუთებში | მეთილენის სილურჯის გარეშე | | მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას | |
|------------------------------|------------------------------|------|--------------------------------------|------|
| | pH | K | pH | K |
| მაშინვე | 5,79 | 1,20 | 5,79 | 1,25 |
| 5' შაქრის მომატების შემდეგ . | 2,58 | 0,76 | 5,27 | 1,28 |
| 10' | 2,81 | 0,50 | 5,19 | 1,30 |
| 20' | 2,88 | 0,56 | 5,38 | 1,50 |
| 40' | 3,24 | 0,78 | 5,62 | 1,48 |
| 60' | 3,62 | 0,84 | 5,67 | 1,90 |
| 90' | 4,34 | 0,97 | 5,66 | 2,12 |
| 120' | 4,52 | 1,10 | 5,74 | 2,20 |

ცდა 24/IV. 51.

| ცდის ხანგრძლივობა წუთებში | მეთილენის სილურჯის გარეშე | | მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას | |
|------------------------------|------------------------------|------|--------------------------------------|------|
| | pH | K | pH | K |
| მაშინ 30 | 4,53 | 1,25 | 4,43 | 1,29 |
| 5' შაქრის მომატების შემდეგ . | 2,75 | 0,80 | 5,04 | 1,70 |
| 10' | 2,91 | 0,55 | 5,05 | 1,87 |
| 20' | 3,15 | 0,80 | 5,19 | 2,00 |
| 40' | 3,84 | 1,21 | 5,63 | 2,06 |
| 60' | 4,16 | 1,33 | 5,85 | 1,99 |
| 90' | 4,69 | 1,25 | 5,85 | 2,20 |
| 120' | 4,68 | 1,18 | 5,75 | 1,89 |

ცდა 27/IV. 51.

| ცდის ხანგრძლივობა წუთებში | მეთილენის სილურჯის გარეშე | | მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას | |
|------------------------------|------------------------------|------|--------------------------------------|------|
| | pH | K | pH | K |
| მაშინ 30 | 5,72 | 1,50 | 5,72 | 1,26 |
| 5' შაქრის მომატების შემდეგ . | 2,80 | 1,01 | 3,18 | 1,16 |
| 10' | 2,80 | 1,01 | 4,54 | 1,54 |
| 20' | 2,73 | 0,97 | 5,20 | 2,22 |
| 40' | 2,86 | 1,40 | 5,26 | 2,26 |
| 60' | 3,55 | 1,66 | 5,45 | 2,30 |
| 90' | 4,27 | 1,91 | 5,62 | 2,25 |
| 120' | 4,79 | 1,92 | 5,62 | 2,38 |

ჩვენ მიერ მიღებული შედეგებიდან, პირველად ყოვლისა, უკავშირზე უნდა იქნეს გამოტანილი, რომ როდესაც დუღილი წარმოებს მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას, წყალბად-იონების პროცესია მაქსიმალურად მცირდება. პარალელურად წყდება კალიუმის გადასვლა გარეშე არიდან საფუარის უჯრედში. დუღილის პირველი სტადიის დამთავრების შემდეგ კი მცველად მუღავნდება კალიუმის გადასვლა უკვე უჯრედიდან გარემო არეში და ამავე დროს გარემო არის წყალბად-იონთა კონცენტრაცია თითქმის უცვლელი რჩება. შესაძლებელია მეთილენის სილურჯის თანდასწრებისას ადგილი აქვს მეავათა წარმოშობას. მაგრამ ეს ისეთი რაოდენობით უნდა ხდებოდეს, რომ უჯრედში არსებული კალიუმის რეზერვები და ბუფერიანობა საკმარისი იყოს მათი დაკავშირებისათვის. მეთილენის სილურჯით წყალბად-იონთა დაგროვების შეკავების მექანიზმი იმაში მდგომარეობს, რომ უჯრედში უანგვა-ალდგენითი რეაქციების მსვლელობის დროს ამ საღებავის თანდასწრებისას არ შეიქმნება ისეთი ნაერთი, რომლის დისოციაცია იძლეოდეს წყალბადის ონებს. ატომური წყალბადის აქცეპტორად საბოლოოდ აცეტ-ალდეჰიდი გამოდის და წყალბად-იონთა ხარჯზე მატულობს სპირტის რაოდენობა. როდესაც დუღილი მეთილენის სილურჯის იმიატების გარეშე წარმოებს, რედოქტიპორტენციალი იმდენად მცირდება, რომ იქმნება ატომური წყალბადის ონიზაციის. შესაძლებლობა ელექტრონის ჩამოშორების გზით. ასეთ პირობებში სპირტის ხარჯზე გროვდება შეავათა ეკვივალენტური რაოდენობა.

მეთილენის სილურჯის მიმატების შედეგად გამოწვეული წყალბად-იონთა შემცირება თავის მხრით სპობს კალიუმის გადასვლის შესაძლებლობას გარემო არიდან უჯრედში. პირიქით, ამ პირობებში დუღილი იწვევს კალიუმის გადასვლის უკვე უჯრედიდან გარემო არეში. კალიუმის გამოსვლა უჯრედიდან უნდა აიხსნას უჯრედში ტუტე-მეავური წონასწორობის ცვლილებით, მეავას ეკვივალენტების შემცირების გამო.

კალიუმის მიმოქცევა ჩვენ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც უჯრედში მიმდინარე უანგვა-ალდგენითი რეაქციების შედეგი. როდესაც რედოქტიპორტენციალი უჯრედში შემცირებულია, წარმოიშობა წყალბადის ონები, რომლებიც უჯრედიდან გამოიღევებიან და მათ მაგრერ უჯრედში კალიუმი შედის. იმ შემთხვევაში, როდესაც უჯრედში რედოქტიპორტენციალი მომატებულია და წყალბად-იონების აქცეპტური რეაქციების ადგილი არ აქვს, უჯრედიდან უკვე კალიუმი გამოდის, რათა უჯრედში დაცული იქნეს ტუტე-მეავური წონასწორობა. მსგავსი შეხედულება ელექტროლიტების მიმოქცევის. შესახებ გამოთქმული აქვს კონვეიის თავის უკანასკნელ შრომაში [9]. მისი აზრით წყალბად-იონთა წყაროდ მიჩნეული უნდა იქნეს მეტალშემცველი კატალიზტორი, რომლის უანგვა-ალდგენას თან სდევს წყალბად-იონების წარმოშობა. წყალბადი, რომელიც შორდება სუბსტრატს, გადაიტანება კატალიზატორზე, სადაც წყალბადის ატომები ქმნიან ონებს, ხოლო ელექტრონები რჩებიან კატალიზატორზე.

დასკვნა

უკანასკნელ დროს დაგროვდა მრავალი ფაქტი იმის მტკიცებისათვის, რომ ელექტროლიტების მიმოქცევაში გარკვეული როლი ენიჭება უჯრედში მიმღინარე ბიოქიმიურ გარდაქმნებს.

ჩვენ ამ გამოკვლევაში მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა უჯრედის რედოქ- სიპორტენციალის გავლენა წყალბადის იონების დაგროვებაზე უჯრედგარეშე სივრცეში და კალიუმის გადატანაზე უჯრედის შიგნით.

ცდები დაყინებული იყო დუღის გარეცხილ საფუარზე. დადასტურდა, რომ სპირტის დუღილის შემთხვევაშიც წყალბადის იონები გამოდიან უჯრე- დილან და ერთდროულად კალიუმის ეკვივალენტური რაოდენობა გადადის უჯრედგარეშე ფაზიდან საფუარის უჯრედში.

იმ შემთხვევაში, როდესაც საფუარები წინასწარ დამუშავებულია მეთი- ლენის სილურჯით და ამით გადადებულია უჯრედშიგნითა რედოქსპორტენ- ციალი, მეთილენის სილურჯე ჰილინად იყვავებს წყალბად-იონების დაგ- როვებას და კალიუმი გადადის არა გარემოდან უჯრედში, არამედ, პირიქით, გამოდის უჯრედილან. ელექტროლიტების განაწილების ეს ცვლილება მეთი- ლენის სილურჯის თანდასწრებისას ხდება ისეთ პირობებში, როდესაც დუ- ღილის ინტენსივობა არ იცვლება, თუ მასზე მსჯელობა ვიქონიეთ მოხმარე- ბული შექრის რაოდენობის შემცირებით. ამგვარად, მეტავნდება ინტი- მური კაშირი ელექტროლიტების განვლადობასა და უჯრედშიგნითა რედოქ- სიპორტენციალს შორის.

დუღილის პროცესში წარმოებს ნახშირწყლების ინტენსიური ხარჯვა, ნახშირწყლების ცვლის ერთ-ერთი ძირითადი რეაქცია არის დეპიდრინება. წყალბადი საფუხურებით გადადის ერთი ენერგეტიკული დონიდან მეორეზე და ბოლოს სტაბილდება წყლის სახით. გლუტათიონი და წყალბადის სხვა გადამტანები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას ნახშირწყლების დაშლის რეაქციებში წყალბადის გადატანის საშუალებით მაღალი ენერგეტიკული დო- ნიდან დაბალზე. ინტენსიური დუღილის პირობებში იქმნება ატომური წყალ- ბადის დაეთნგის შესაძლებლობა ელექტროლიტის დაკარგვის გზით, რის შედეგა- დაც წარმოშობა წყალბადის დადებითი იონი, ეს პროცესი კავდება მეთილე- ნის სილურჯის დამატებით მაღალი არეში, რედოქსიპორტენციალის გადიდე- ბის გამო. საღებავის თანდასწრებისას წყალბადის იონები არ გროვდებიან და კალიუმი გადადის არა უჯრედში გარედან, არამედ გამოიდევნება უჯრედილან გარეთ. ზემოხსნებული წარმოდგენა მტკიცდება გლუტათიონის განაწილების ცვლილებით. ინტენსიური დუღილის პირობებში გლუტათიონი მთლიანად აღდგენილ ფორმაში გვევლინება. საღებავის თანდასწრებისას დაუანგული ფორმების რაოდენობა შესამჩნევ ოდენობას აღწევს.

ლიტერატურა

ც. 1952 წ. 30 გვ. 17

1. L. Michaelis, Contribution to the theory of permeability of membranes for electrolytes: J. gen. Physiol. 8, 33, 1925; 10, 685, 1927; 11, 147, 1927; 13, 55, 231 487, 1928.
2. Д. Насонов и В. Александров, Принцип диффузии и распределения в проблеме клеточной проницаемости: Усп. Совр. Биологии, 16, 577, 1943; 17, 1, 1944.
3. W. Ostehout, The accumulation of electrolytes: J. gen. Physiol., 14, 285 და 301, 1930.
4. E. Conway a. P. Boylk, A mechanism for the concentration of potassium by cells, with experimental verification for muscle: Nature, 144, 709, 1939.
5. ბ. ქომეთიანი, შ. გოგოლა ზვილი და შებნა დოლინა კალიუმის განაწილების კავშირი ალიკავენის ოესინოებთან კუნთის ქოვილში: საქ. სსრ. მეცნ. აკად. მომებე 5, 269, 1944.
6. R. Pulwer a. F. Verzar, Connection between carbohydrate and potassium metabolism in the yeast cell: Nature, 145, 828, 1940.
7. Я. А. Эпштейн, Распределение электролитов между клеткой и окружающей средой: Усп. Совр. биол., 27, 211, 1949; აგრძელებული მექანიზმი განვიხილავთ: Усп. совр. биол., 29, 273, 1950.
8. E. J. Conway a. T. G. Brady, Biological production of acid and alkali. I. Quantitative relations of succinic and carbonic acids to the potassium and hydrogen ion exchange in fermenting yeast: Biochem. J., 47, 360, 1950.
9. E. J. Conway, T. G. Brady a. E. Carton, Biological production of acid and alkali. 2. A redox theory for the process in yeast with application to the production of gastric acidity: Biochem. J., 47, 369, 1950.
10. ბ. ქომეთიანი და ქომეთიან ჯანდიერი, მუავათა დაგროვების შესახებ სპირტის დუღილის პროცესში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მომებე, 11, 225, 1950.

სტალინის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 1952. III. 26).

П. А. Кометиани

Влияние окислительно-восстановительного потенциала на распределение электролитов в дрожжевой клетке

(Из биохимической лаборатории кафедры физиологии человека и животных)

Исходя из того положения, что внутриклеточные биохимические превращения играют определенную роль в распределении электролитов, мы задались целью выяснить изменения в распределении ионов водорода и калия внутри и вне клетки, в зависимости от окислительно-восстановительного потенциала.



Опыты были поставлены с промытыми пивными дрожжами, ^{затем} подтверждено, что и при спиртовом брожении в начальной стадии происходит подкисление внеклеточной среды и обогащение внутриклеточной фазы калием.

В том случае, когда дрожжи предварительно были обработаны метиленовой синью и этим был повышен внутриклеточный редоксипотенциал, процесс подкисления внеклеточной фазы совершенно прекращался и калий переходил не в клетку, а наоборот, из клетки в внеклеточную фазу. При этом интенсивность брожения, сравнительно с контрольным опытом, где метиленовая синь не добавлялась, практически не менялась.

Одновременно с изменением распределения ионов водорода и калия было установлено изменение соотношения окисленного и восстановленного глютатиона. Оказалось, что в процессе брожения глютатион полностью восстанавливается. Но если брожение вести в присутствии метиленовой сини, окисленная форма глютатиона обнаруживается в заметном количестве.

Все эти факты нужно объяснить теми сдвигами в редоксипотенциалах, которые вызываются добавлением метиленовой сини. В отсутствии краски редоксипотенциал снижен настолько, что создаются условия перехода атомарного водорода в ионную форму путем потери электрона. В присутствии метиленовой сини водород, переходя с одного энергетического уровня на другой, связывается краской, которая непосредственно окисляется кислородом воздуха. Изменение распределения калия связано с характером обмена водорода.

Образование ионов водорода и соответственно снижение редоксипотенциала, вызывает переход калия из внеклеточной фазы в клетку. Если же образование ионов водорода внутри клетки задержано повышением редоксипотенциала, перераспределение калия или не наблюдается, или же происходит перемещение калия из клетки в внеклеточную фазу.

პ. ყავაშვილი

სამხრეთ-ოსეთის გადაღმთიანი ზონის ლანდშაფტის თავისებარება

მაღალმთიან ზონას უკავია სამხრეთ-ოსეთის ჩრდილო ნაწილი, იგი მდებარეობს კავკასიონის მაღალმთიანი ნაწილის სამხრეთ ფერდობზე და მოქცეულია 3.200—2.600 მ. სიმაღლის ზოლში. ზოგჯერ კი იგი უფრო უაბლა უშევბა 2.200 მ. სიმაღლემდე. ზონის ქვემთ საზღვრის დაბლა დაშვებას ჩვენ ხშირად ვამჩნევთ ძლიერი ქარების გავლენის მყოფ ფერდობებზე; ამ ქარებს თან მოაქვს თხემიდან და მაღალი აღგილებიდან თოვლი, რომლითაც იფარება უფრო დაბალი აღგილები. ამგვარ ფერდობებზე დაგროვილი თოვლი გაცილებით უფრო ხანგრძლივად დევს, ვიდრე თხემზე, რაც იწვევს ზონის ინვერსიას და რასაც თან მოჰყვება ის, რომ ალპური მდელოები უფრო დაბლა მდებარეობენ სუბალბურებზე.

რელიეფი

მაღალმთიანი ზონის რელიეფი ძალიან დანაწილებულია. მთავარი წყალგამყოფი წარმოდგენილია აქ რელიეფის ეროზიული ფორმებით, ამასთანავე იგი არ არის სწორხაზოვანი. ამისთანა ხასიათს კავკასიონი იძენს ჭანჭახის გადასავლის აღმოსავლეთით. ხერხებულ გადასავლის დასავლეთით მთავარი წყალგამყოფი გადის მთავარ ქედზე და თანხედენილია აქ ტექტონიკურ ელემენტთან; იგი აგებულია უძველესი კრისტალური ქანებით (გნეისები და გრანიტები), რომელიც შეცოცებულებია უფრო ახალგაზრდა მეზოზოულ ქანებზე. ჭანჭახის გადასავლის აღმოსავლეთით მთავარი ქედი გაჭრილია არდონის სათავეებით, რის გამოც მთავარი წყალგამყოფი გადაწეულია სამხრეთისაკენ. ამიტომ აქედან წყალგამყოფი მკვეთრად იცვლის სამხრეთ-აღმოსავლეთურ მიმართულებას სამხრეთ-დასავლეთურზე, გადის გარდიგარდმო შტოზე, ე. წ. კაბეტის ქედზე, რომელიც აერთებს მთავარ ქედს მის პარალელურად სამხრეთით მდებარე ქედთან. კაზი-ხოხის მწვერვალიდან (3.684 მ) წყალგამყოფი მცირეოდენ გადახრებით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ხოლო ზეკარის გადასავლის აღმოსავლეთით იგი მკვეთრად იცვლის მიმართულებას ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მწვ. ბახ-ფანდაკამდე (2.918 მ.), საიდანაც კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი მცირედ კლაკნილი ხაზით მიემართება საერთოდ აღმოსავლეთისაკენ გადასავალ კუთხზე (2.686 მ), მწვ. ხოხზე

(3.107 მ), როგოს გადასავალშე (2.991 მ), მწვ. რეს-ხოხშე (3.302 მ) უკანასკნელი დღის რეგრესიული ეროვნის გამო, მწვ. რეს-ხოხიდან წყალგანცურფი ინერს ჩრდილოეთისაკენ, ხოლო ზილგა-ხოხის მჭერვალიდან (3.853 მ) იგი კლაკნილი ხაზით მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯვარის გადასავლისაკენ.

მთავარი წყალგამყოფის პარალელურად მდებარე ქედი, რომელიც გაჭრილია მდ. დ. ლიახვის ხეობით, მიემართება მწვ. ბრუტ-საბძელიდან (3.670 მ) აღმოსავლეთით გერმუხისა (3.196 მ) და ჩაფარუხისა (3.142 მ) მწვერვალზე ბისაკენ.

კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის ასეთი კლაკნილი ხასიათი დამოკიდებულია შალალმთიან ზონაში სწრაფად მოშენებდ როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ ფერდობების მდინარეთა რეგრესიულ ეროვნიაზე; ამ რეგრესიის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა — მეზოზოურ ნალექ ქანთა რბილი ხასიათი. საბოლოოდ რელიეფი მეტად რთულ ხასიათს ღებულობს, უმაღლეს ნაწილში მრავალი მწვერვალი 3.500 მეტრის სიმაღლეს აღემატება, მაშინ როდესაც მდ. დ. ლიახვის კალაპოტი მდებარეობს ამავე ზონაში 2.000—1.100 მ. სიმაღლეზე აღსანიშნავია, რომ ბდ. არდონის სათავეები ისე ღრმად არ არიან ჩაჭრილი, როგორც ბდ. დ. ლიახვის სათავეები; ეს იმ გარემოებით უნდა ავხსნათ, რომ არდონის სათავეების ჩაჭრა ბრკოლდება კასარის გრანიტოვანი მასივის არსებობით, მდ. დ. ლიახვი კი თითქმის მტელ თავის სიგრძეზე მოედნება ნალექ ქანებში და მხოლოდ ჯავის სახტრეთით შედარებით ახლო წარსულში იგი ჩაიქრა იურულ ტუფო-პორფირიტულ წყებაში, რომელიც ქანთა გამძლეობის მხრივ ბევრად ჩამოუვარდება გრანიტებს.

რელიეფი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფლიშური ნალექების ლითოლოგიურ-ტექტონიკურ პირობებთან. იურულ-ცარცული ფლიშური წყება წარმოდგენილია თიხოვანი ფილაქენების, კარბონატულ ქვიშაქვეების, კირქვებისა და ტერგელების მორიგეობით. ეს ქანები სხვადასხვა წინააღმდეგობას უწევენ როგორც გამოფიტვის აგენტებს, ასევე ეროზიულ მოქმედებას. წყებას ახასიათებს ინტენსიური დანაოცება, დანაპრალიანება და ფიქლებრიობა.

გვერდითი ქედები, რომელთა მიმართულება თანხვდენილია ფლიშური წყების შრეთა გაწყლასთან, მონოკლინურებია, მათი სამხრეთი ფერდობები უფორ შვეული და კლდოვანია; ფლატეების სიმაღლე 300—500 კ. აღწევს. სამირეთ ფერდობების ძირში ხშირად ვაკედებით ნაშალ, ღორღლიან მასალას. ქედების ბონკელინური ხასიათი რთულდება ქერცლისებრი შენაოჭებით, ასეთია, მაგალითად, ერმანის ქედი, სადაც ქერცლისებრი რღვევები თხემებს დაკბილულ ხასიათს ანიჭებენ. ასეთ ქედებზე ზოგიერთი მწვერვალების შეფარდებით სიმაღლე იმ აღგილებში, სადაც უფრო გამძლე ქანები გვხვდება, 300—400 მ. აღწევს.

ფერდობების მკვეთრი დაქანება, ქანთა ნაპრალიანობა და ფიქლებრიობა მეტად ხელს უწევობს ზვავების წარმოშობას, რომელიც ფართოდ იჩქნენ თავს მაღალმთიანი ზონის ფარგლებში. სამხრეთ-ოსეთის დასავლეთ ნაწილში მოზვავებული მასალა ზოგჯერ მეწყერად გადაიქცევა ხოლმე. გამოფიტული

მასალის გადაადგილება ფერლობებზე წარმოებს უმთავრესად სიმძმიშვილები ზედაპირული ჩამონაცენის (წვიმები, მდინარეები) საშუალებით. თანამედროვე ყინულების როლი დენუდაციაში, მათი შეზღუდული გავრცელების გამო, მცირება.

სამხრეთ-ოსეთის ფარგლებში ამჟამად კავკასიონის თხემი მოკლებულია მთლიან გაინვარებას. ყინვართა ჯგუფები გვხვდება სპორალიულად: ჭანჭახის გადასავალთან — მდ. ჭანჭახის სათავეში, ყაზი-ხოხ-სოუ-ხოხის ჯგუფი — მდ. მდ. ლარულსა და ვეზურის სათავეებში, ხალაჭას და ზეგარის ჯგუფები მდ. ჯვარის სათავეში, ზილგა-ხოხის ჯგუფი მდ. სბა-ლონის სათავეში. ყინვართა ფართობი მცირდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაერთ. სამხრეთ-ოსეთში ყინვარებს სულ უკავიათ 10,8 კვ. კმ. (პოლოზერსკით), აქედან მდინარეთა აუზების მიხედვით ყინვართა ფართობი ნაწილდება შემდეგნაირად:

ამრიგად, მდ. რიონის აუზში სამხრეთ-ოსეთის ფარგლებში გვაქვს ყინვარების 11,73 კვ. კმ. (71%), ხოლო დიდი ლიახვის აუზში — 5,07 კვ. კმ. (29%); მდ. ქსნის აუზში კი — მუდმივი ყინვარები სულ არა გვხვდება.

სამხრეთ-ოსეთის ყინვარები ამჟამად წარმოდგენილია მცირე, დაკიდული და კარული ტიპის ყინვარებით, რომლებიც თითოეულ ჯგუფში უერთდებიან ერთმანეთს ფირნის ველების საშუალებით, მაგრამ წარსულში ამ ზონამ განიცალა მდლავრი გაინვარება, რაც მტკიცდება ყოფილი გაყინვარების მიერ დატოვებული კვალის საშუალებით („მკვდარი“ ქარები, ტროგები, მორენები). ფორმის მხრივ მრავალი მცირე ტროგი ერთფეროვანია. ტროგთა კალაპოტი, ოოვორც წესი, საფეხურისებრია, რაც ყინვართა უკანდახვის სტადიების შედეგია. სათავეში ტროგებს ახასიათებს ნაკლები დაქანება, ვიდრე ქვემო ნაწილებში. ზოგიერთ ტროგთა ხეობებში კარგადაა შენახული ქველ ტროგთა მხრები. ტროგები მოკლეა, მათი სიგრძე მერყეობს 0,5—4 კილომეტრამდე.

დიდი ყინვარის ნაშთს ვხვდებით მდ. დ. ლიახვის სათავეში, სოფ. ერმანის მიღამოებში; ამ ტროგს ჩრდილოეთიდან საზღვრავენ ქედ-ლონის და სიჩხ-ხოხის ვულკანები, ხოლო სამხრეთიდან — ვულკანი ფიდარ-ხოხი. კარგადაა შენახული ტროგის მარჯვენა ნაპირი, მარცხენა ნაპირი კი ღაფარულია ფიდარ-ხოხის ქვაყრილით. ტროგი შეჭრილია ვულკანურ ქანებში. ყოფილი გაყინვარების არანაკლებად თვალსაჩინო ნიშნებს ვხვდებით შუა ერმანის მღინარის ხეობაში, რის დიდი გვერდით მორენის სახით. მარცხენა მორენი ზორულავს შუა ერმანის ხეობას, რის გამოც მდინარის კალაპოტი გადანაცვლებულია ჩრდილოეთით. ამ მორენის თავზე მდებარეობს საკავშირო აკადემიის სამხრეთ-ოსეთის სამთო-საველე სტაციონარი, თავისი საცდელი მინდვრებით. მორენები ჩამოდიან ქვემო ერმანის მდინარემდე, მაგრამ თავის ქვემო ნაწილში ისინი ნაწილობრივად გადარეცხილია; მარცხენა მორენი ქვემო ნაწილში ამჟამად წარმოდგენილია მორცვიანი რელიეფით.

ერმანის სამთავე მდინარის სათავეებში გხვდებით თითო ცირკს, ტაქტიული ქვემო ნაწილებიდან იწყება დეკიო დაფარული, ციცაბო ფერდობები. ზურტები ბებში, ცირკების გარდა, გვხვდება სხვადასხვა ფართობის ყინვარული კარები; ამნაირივე კარებს გხვდებით ერმანის ქელის ტოტებზედაც. მაღლობ კომუნიტეტი თავზე, 2.500 მ. სიმაღლეზე კარის ქვეშ მდებარეობს ძალაშიდის ტბა, რომელიც ამჟამად თითქმის მთლიანად დაფარულია ბალახეულობით. პროფ. ნ. ა. ბუშის აზრით ეს ტბა ყინვარული წარმოშობისაა.

ზონაში, ფერდობების მკვეთრი დაქანების გამო, ხშირია ზამთარში თოვლის დიდი ზევები, რომელთაც თოვლის მასასთან ერთად თან ჩამოაქვთ ნაშალი მასალის დიდი რაოდენობა.

ზევების ჩამოწოლას, ოოვლის მასის დაგროვების გარდა, ხელს უწყობენ სინკლინური პროცესებიც; ასე, მაგალითად, ჰაერის თბილი მასების შემოჭრას თან სდევს თოვლის სწრაფი დნობა ზამთრის თვეებშიც კი. ჩვეულებრივად კი, ამ ზონაში თოვლის სწრაფი დნობა წარმოებს მხოლოდ წლის გარდა მაგალი პერიოდების განმავლობაში, სახელდობრ, შემოდგომაზე და გაზაფხულზე, როდესაც ჰაერის თბილი მასა განიცდის ოკლუზის კავკასიონის სამხრეთ ფერდობების გასწროვი; უკანასკნელი გარემოება მეტად საშიშია გაზაფხულზე, როდესაც თოვლის საბურეველი დიდია; მდგომარეობა განსაკუთრებით საშიშია იმ შემთხვევაში, როდესაც ოკლუზის უსწრებენ პროცესები, რომელიც იწვევენ ფხვერი თოვლის მოსვლას. თოვლის ზევების ჩამოწოლაში, აღბათ, ერთგვარი როლი ეკუთვნის აგრეთვე ფიონებსაც.

ყელის ზეგანი და აქელან გავრცელებული ლავების აღგილებით თავისი წარმოშობისა და თანამედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათით მაღალმთიანი ზონის მეტად თავისებურ და საინტერესო რაიონს წარმოადგენს.

ყელის ვულკანური ზეგანი მდებარეობს მდ. მდ. დ. ლიახვის, არაგვის და ქსნის სათავეთა შორის; მას უკავია, დახსლოვებით, 85 კვ. კმ. ფართობი, აქელან მხოლოდ $\frac{1}{3}$ -მდე შედის სამხრეთ-ოქეთის ფარგლებში.

ლავებმა ამოაგეს ყოფილი ხეობები და წარმოშვეს მაღალი ზეგანი. ზოგან ლავა გადაიღვარა მეზობელ თხემზედაც (დ. ლიახვის და უამურის ხეობებში).

ფ. ი. ლევინსონ-ლეესინგის, ი. გ. კუზნეცოვის და ვ. რეინგარტენის მიხედვით ლავის პირველი ამონთხევა მოხდა პლიოცენის დასაწყისში, ხოლო შემდეგ განახლდა რის-ვურმულ ინტერგლაციალურ ეპოქაში. უკანასკნელი ამონთხევა, ხსენებულ ავტორთა აზრით, ერთდროულია არაგვის ზემო ხეობის ვულკანთა ამონთხევასთან. ვურმული გაყინვარების მაქსიმალურ ფაზაში ვულკანური მოქმედება დროებით წყდება, ხოლო ყელის ვულკანები და ზეგანი ყინვარებით იმოსება.

ვურმული გაყინვარების მაქსიმალური ფაზის შემდეგ როგორც ყინვარის ცენტრთან, ისე ყელის ზეგანზე წარმოშვა რამდენიმე ახალი კონუსი: ყინვარის რაიონში ამოინთხა არშის, ჩხერის, ცდოს, გველეთის, არჩ-ქორთის, ბართ-ქორთისა და ქაბარჯინის ლვარები (ვ. რეინგარტენი), ხოლო ყელის



ზეგანზე წარმოიშვნენ მცირე ნეფის კალოს, ხორისარის, ყელის და ნარვან-ხოხის ვულკანური ცენტრები. ახალი ამონთხევა ყელის ზეგანზე მოხდა თანამედროვე ხანის წინ, როდესაც კვლავ ამოქმედდნენ მცირე ხორისარი და მცირე ნეფის კალოს ვულკანები.

ყელის ვულკანური ქანები მრავალფეროვანია. ზეგანის პეტროგრაფიული შედეგენილობა დეტალურად შესწავლილია აკად. ფ. ი. ლევინსონ-ლესინგის მიერ.

ზეგანზე უფრო გავრცელებულია ნაცრის ფერი ან მოწითალო ანდეზიტ-დაციტური ტიპის ლავები (ყელის ზეგანი, მცირე ნეფის კალოს და ხორისარის კონუსები). უფრო ნაკლებადაა გავრცელებული ანდეზიტ-ბაზალტური ლავები) ნარვან-ხოხის ნაწილი, უამურის ხეობა და სხვა). ლავების გარდა ყელის ზეგანზე გვხვდება აგრეთვე ვულკანური ფზივერი პროდუქტებიც (ფერფლი, პემჭა), მაგრამ ეს მასალა გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობით არის გავრცელებული; ყინვარების ეგზარაციისა და ზედაპირული ჩამონადენის გამო იგი საგრძნობლად გადარეცხილია.

ვულკანური მოქმედება დაიწყო ლიპარით-დაციტების მჟავე ლავების ამონთხევით, რასაც მოჰყვა უფრო ნაკლებად მჟავე დაციტების და, ბოლოს, ანდეზიტ-ბაზალტური ფუძე ლავების ამონთხევა.

ვურმის განმავლობაში ყელის ზეგანი განიცდიდა გაყინვარებას. ამ პერიოდის განმავლობაში ვულკანური მოქმედება, რასაკირველია, გამოიწვევდა განსახლევრულ ადგილებში ყინვარების გაღნობას, ხოლო ლავების გაცივების ზემდეგ აქ ისევ ვითარდებოდა ყინვარები. ყოფილ ყინვარების კვალს ზეგანზე და ხეობათა სათავეებში ვამჩნევთ მორენების სახით, რომელთა სიმაღლე 100 მეტრამდეა. ყინვარების უკანდახევის და მოდნობის შემდეგ ზეგანზე ჩნდება ტბები.

ზეგანის სამხრეთ ნაწილის ცველაზე ამილებულ წერტილს წარმოადგენს ნარვან-ხოხის კონუსი (3.250 მ.), რომლიდანაც ზეგანის ზედაპირი საფეხური-სებურად ეშვება ცველა მიმართულებით. ზედაპირის ამგვარი მოყვანილობა დაკავშირებულია ლავეთა მორიგეობასთან და მათი სიმკერივის სხვადასხვაობასთან. ნარვან-ხოხის კონუსის გარდა, ზეგანზე ამართულია მრავალი გაცილებით უფრო მცირე კონუსი. ზეგანის სამხრეთ ნაწილის (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში) საშუალო სიმაღლე 3.000 მეტრამდეა, ხოლო მისი უმდაბლესი ადგილები, დაკავშირებული ყელისა და უამურის ტბებით, მდგრადი 2.600—2.900 მ. სიმაღლეზე. ზეგანის ჩრდილო ნაწილი (ოლქის საზღვრების გარეშე) უფრო მაღალია და საშუალოდ აღწევს 3.200—3.300 მ. სიმაღლეს.

ვულკან ყელის ანუ, როგორც მას ოსები უწოდებენ, სირხ-ხოხის (წითელი მთის) ცენტრიდან ვურმულ გაყინვარებამდე გადმოინთხა ორი დიდი ღვარი: ერთი მდ. დიდი ლიახვის ძეველ ხეობაში, მეორე კი — მდ. ქსნის ხეობაში.

პროფ. ნ. ა. ბუშის აზრით, ღვარს დასაშუალებელი წინ დახვდა მოკლე, მაგრამ მაღალი, ფიქლებით აგებული, ე. წ. ხოძის ქედი, რომლის სიგანედური მიმართულება პარალელურია ნაკადის მიმართულებისა. ლავურმა ღვარმა გარს-



შემოურა ქედს და ორ ტოტად გაიყო. ხოძის ქედის დასავლეთ ზემოთ შემოურა ეს ორი ტოტი ისევ შეერთდა და წარმოშვა დიდი ღვარი, რომლის სისქე 400 მეტრამდეა, ხოლო აქედან იგი დაეშვა 1.600 მ. სიმაღლემდე და შეიცრა ტყის ზონაში იმ ადგილას, სადაც დღეს მდებარეობს შევლოხოვების სოფელი. ლავური ღვარის სიგრძე დაახლოვებით 15 კმ. უდრის, ხოლო მისი სიგანე 3 კილომეტრამდეა. ამ ღვარს, მისი ორივე კიდის გასწვრივ, გასდევენ მდ. მდ. ლიახვისა (პროფ. ნ. ა. ბუშით — მდ. ყადლასენ-დონი) და ერმანის ხეობები, რომლებიც ღვარის ბოლოსთან ერთმანეთს უერთდებიან.

ანდეზიტ-ლაციტებისა და ტრახი-დაციტებისაგან შემდგარი ღვარის ზედაპირი უსწორ-მასწოროა. მის ზედაპირზე ვხვდებით დიდ ქვაბურებს, რომელთა ჭრდლები დანაპრალებულ ლოდებს წარმოადგენს; გვხვდება ქე აგრეოვე დიდი ბორცვებიც, რომლებიც ლავის ამობურცვის შედეგს უნდა წარმოადგენნენ, რომლებმაც შემდეგ, დასკლომისა და გამოფიტვის გამო, ლოდნარის ხასიათი მიიღეს. იგივე ღვარის ზედაპირზე ზოჯვერ ვხვდებით მოსწორებულ ფართობებსაც, რომელიც წარმოადგენს ძველი, ამჟამად დამშრალი ტბების ფსკერს. ამგვარი, ყველაზე ფართო ტაფობი მდებარეობს დაახლოვებით 2.125 მ. სიმაღლეზე, გზაზე სოფ. ედისსა და შუა ერმანს შორის.

ზემო კაბუსტეს ხეობის პირდაპირ ლავური ღვარი აჩენს გარდიგარდმო მკვეთრ ბეჭებს; პროფ. ბუშის ახრით, შესაძლებელია ეს მეორე ღვარის ბოლო იყოს, რომელიც ფარავს მასზე უფრო აღრინდელ ღვარს.

ჯერ კიდევ გზიდან სოფ. ედისისაკენ შორიდანვე მოგზაურის ყურადღებას იძყრობს ხენებული ბეჭის აღმოსავლეთით ღვარის ზედაპირზე კოშკის-მაგვარი ნაეგბობანი; სინამდვილეში ეს ღვარის ამობურცული და შემდგა დახეთქილი ნაწილია, რომელიც ამჟამად დიდ ლოდნარად არის ქცეული. ლავის ამგვარი ამობურცვა, შესაძლებელია, გამოწვეულია ამაღლებით, რომელიც მას წინ დახვდა. ვულკანური პლატოს ნაწილი, მოქცეული ს. ს. გოლუათ-კაუსა, ხოძის და %. ერმანს შორის ცნობილია „ვა გუთე მასიგ“-ის ანუ „ვა გუთე მაშიგ“-ის სახელწოდებით. ხენებული ლოდნარი გამოყენებული იყო ციკლოპური, ციხე-სიმაგრის ასაშენებლად (პროფ. ლ. მელიქქეთ-ბეგი). ამრიგად, მდ. დ. ლიახვის ძველი კალაპორი მთლიანად ამოვსილია ვულკანური ღვარით, რომელიც დაკვირვებისათვის მისაშვლომია მხოლოდ მცირე მანძილზე იმ ადგილას, სადაც ღვარის ორი ტოტი ერთმანეთს უერთდება. სოფ. ხოძათან.

ამ დიდი ვულკანური ღვარის გარდა, ქეი-დონისა და ყელის ვულკანთა შორის სწორ ზედაპირს ფარავს კიდევ ერთი, ყველაზე ახალგაზრდა ღვარი.

ყელის ზეგანიდან მდ. ქსნის ზემო ხეობაში (ჟამურის ხეობა) აგრეოვე გადმოიღვარა ვულკანური დიდი ღვარი; ამჟამად მისი მთლიანობა დარღვეულია მდ. ქსნის და მის შემდინარეთა კანიონებით. ნაერასი დარჩენილი ნაწილების ბრტყელ ზედაპირზე მდებარეობენ ოსების სოფელები: გორგა, ზემო, შუა და ქვემო ბაგინი; ამ სოფელებიდან გორგას განსაკუთრებით ლამაზი მდებარეობა უკავია: იგი, ლავის სწორ ზედაპირზე აშენებული, კონცხივით



მოქცეულია ქსნისა და მის მარცხენა შემდინარის — გორგაი-ლონის ვიწოდებათა შორის და დაპყურებს ქსნის ხეობას.

კლიმატი

ზონის კლიმატური დახასიათება, მეტეოროლოგიური მონაცემების სიმცირის გამო, ძალიან ძნელია. ხსენებულ ზონაში მოქმედებს ამჟამად მხოლოდ სამი მეტსადგური: როკაში, ედისში და ერმანში (სამხრეთ-ოსეთის მთის მდელოების შესწავლის სტაციონარი), მაგრამ ამ სადგურების დაკვირვების პერიოდი მცირება.

კავკასიონის მაღალი ნაწილი წარმოადგენს იმ ბუნებრივ ზღუდეს, რომელიც იკავებს პაერის ჩრდილო, ცივ მასებს. ქედის მიერ დაკავებული არქტიკული მასა, გარკვეულ პირობებში, იწყებს მის შემოვლას და შემოიჭრება ამიერ-კავკასიაში შავი და კასპიის ზღვების მხარეებიდან.

კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში წლის განმავლობაში უფრო ხშირად იჭრება კონტინენტური პოლარული მასები, პაერის ცივ ღინებათა სახით.

არქტიკული მასების შემოჭრა შედარებით ოშვიათი მოვლენაა კავკასიონის ცენტრალური ნაწილისათვის. თბილი მასები კი იჭრებიან უმთავრესად წლის თბილი პერიოდის განმავლობაში, ხოლო ცივ პერიოდში მათ შემოსევას ვამჩნევთ მხოლოდ გამონაკლისის სახით.

არქტიკული მასების შემოჭრა ამიერ-კავკასიაში წარმოებს ორი მთავარი სინოპტიკური პირობის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში ზღვის არქტიკული პაერი მოძრაობს საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ფართო ციკლონის დასავლეთ პერიფერიაზე, რომელიც დასავლეთ რაიონებში ჯერ გვივლინება მძლავრი ჩრდილო ნაკადის სახით, ხოლო შავი ზღვის სანაპიროზე იცვლის მიმართულებას ჩრდილო-დასავლეთურზე, ე. ი. კავკასიონის გასწროვ. არქტიკული პაერის ვერტიკალური სიმძლავრე დასავლეთ ეერობაში აღწევს 5—6 კმ. ამ შემთხვევაში სხენებული პაერი ადვილად იჭრება როგორც ჩრდილო კავკასიაში, ისე ამიერ-კავკასიაში და კავკასიონის მაღალ ნაწილშიც. პაერის ნაკლები სიმძლავრის შემთხვევაში არქტიკული პაერი კავკასიონს უვლის ორივე ფერდობის გასწროვ.

გეორე შემთხვევაში, კონტინენტური არქტიკული პაერის მასები წარმოშობენ მძლავრ ანტიციკლონურ სისტემებს; ჩრდილოეთიდან მოძრავი პაერის მასას წინ ელობება კავკასიონის მაღალი ნაწილი. კონტინენტური არქტიკული მასის სიმძლავრე გაცილებით ნაკლებია ზღვის არქტიკული მასის სიმძლავრზე, და, ალბათ, 2 კმ. არ აღმატება; ამიტომ ეს მასა ამიერ-კავკასიაში იჭრება კავკასიონის მოვლის შემდეგ, ჩრდილო-დასავლეთიდან ან სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, იმისდა მიხედვით, თუ პაერის რომელი ცირკულაციაა გაბატონებული მოცემულ მომენტში.

ზონის კლიმატური დახასიათება ჩვენ მოგვავს პროფ. ნ. ა. ბუშის ცნობით, რომელსაც გამოყენებული იქვეს ერმანის მეტსადგურის 1933—1936 წ. წ. დაკვირვების მასალა.

ერმანის მეტსადგური მდებარეობს 2.200 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან.



ზონის ჰავა საერთოდ ზომიერად ცივია. ყინვიანი დღეები მუშაობით განმავლობაში გახვდება. რთვილი ხშირია ზაფხულის თვეებში, ხოლო დილოობით მინიმალური ტემპერატურა ამ სეზონის განმავლობაში ზოგჯერ — 5°—6° ოლწევს. 1939 წლის ცივსა და წვიმიან ზაფხულს განმავლობაში ყინვიან დღეთა რიცხვი 14 იყო. ჩვენი იქ ყოფნის დროს, 1940 წ. 11 აგვისტოს დილით ჰაერის ტემპერატურა — 3° უდრიდა. ერმანის მეტსაღვურის 4-წლიანი დაკვირვებების მიხედვით, ნიადაგი ს. ერმანში იყინება 20 სანტ. სილრმეზე 6 თვის, ხოლო 15 სანტ. სილრმეზე 7 თვის განმავლობაში. საშუალო წლიური ტემპერატურა, დაახლოვებით, მერყეობს 1—3° შორის.

პროფ. ნ. ა. ბუშის დაკვირვებანი მცენარეთა განვითარებაზე სხვადა-სხვა სიმაღლეზე ადასტურებენ, რომ 2.200 მ. სიმაღლეზე ზაფხულის ხანგრძლობა ერთ თვეს არ აღემატება (ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე), უფრო დიდ სიმაღლეზე ზაფხულის ხანგრძლიობა ერთ თვეზე ნაკლებია.

ზემოაღმატებულ ზონაში ზაფხული სულ არ არის: გაზაფხული უშუალოდ შემოღომაში გადადის, რაც მტკიცდება იმით, რომ გაზაფხულის მცენარეულობა შემოღომის მცენარეულობით იცვლება. სუბალპურ ზოლში განსაკუთრებით გვიან ვითარდება მარცვლოვანი მცენარეები. პროფ. ბუშის გამოკვლევით, მცენარეები ეგვებიან სიცივეს იმიტ, რომ სიმაღლეთა მიხედვით, მზის რაღიაცის გაძლიერებასთან ერთად, გალაბის შემადგენლობაში მატულობს შაქრის რაოდენობა. ასე, მაგალითად, 2.700 მ. სიმაღლეზე შაქრის რაოდენობა 12% აღწევს, მაშინ როდესაც 2.200 მ. სიმაღლეზე იგი მხოლოდ 4%.-მდეა. მეორე საშუალება არის ზამთარში მცენარეების მიერ ფოთლის სათავისა და ყუნწის შენარჩუნება, რომლებიც იცავენ კვირტს სიცივისაგან.

ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა 1.100 მმ. უდრის; ზონის დასავლეთ ნაწილში ატმოსფეროს ნალექთა რაოდენობა უნდა მატულობდეს.

ზემოღომით (სექტემბერ-ოქტომბერში), ჩეულებრივ, კარგი, მზიანი დარი დგას ხოლმე. ყველაზე მეტი ნალექიანი სეზონებია გაზაფხული და ზაფხული. 1939 წ. წვიმიან ზაფხულის მხოლოდ აგვისტოს განმავლობაში ნალექთა რაოდენობა 206 მმ. უდრიდა.

2.200 მ. სიმაღლეზე, თოვლი იწყებს მოსელას ნოემბერ-დეკემბერში; უფრო მაღალი ნაწილები და მწვერვალები იმოსებიან თოვლით გაပილებით უფრო ადრე. ზონის უმაღლეს ნაწილში თოვლის მოსელა ხშირია ზაფხულშიც (ივლისში და აგვისტოში).

2.200 მ. სიმაღლეზე მეტი თოვლი მოდის უტრო თებერვალში და მარტში. თოვლის საბურველის სისქე აქ აღწევს 2 მ. და ზოგჯერ უფრო მეტსაც.

კიდელობრივი

როგორც უკვე ზემოთ აღნიშნეთ, მაღალმთიან ზონაში ყინვართა რაოდენობა და მათ მიერ დაკავებული ფართობი (16,8 კვ. კმ.) დიდი არ არის; სამაგიროდ თოვლი მშვერვალებზე, ცირკებში და კარებში, ვულკანურ მაღალი ყელის ზეგანზე და ხეობათა სათავეში ძევს ივლისის პირველ ნახევრამდე,

ხოლო ზევეების ნაშთი და დაჩრდილულ აღგილებში ჩაწოლილი თოვლი ხშირად ძევს მოელი ზაფხულის განმავლობაში, ახალ თოვლის მოსვლამდე, რაც დიდ გავლენას ახდენს მდინარეთა საზრდოობაზე.

მდინარეები შერეული საზრდოობისა; მათ საზრდოობაში მონაწილეობას ლეპულობენ როგორც ყინვარული და სეზონური თოვლის მომდნარი წყლები, ისე წყაბი და მიწისქვეშა წყლები.

ფერდობთა და მდინარეთა კალაპოტების დიდი დაქანება ხელს უწყობს გაძლიერებულ ზედაპირულ ჩამონაქენს; ამიტომ სათავეშივე მდინარეები საკმაოდ უხვწყლიანებია. უეცარი თავსხმები იწვევენ მდინარეთა დონეების სწრაფ აწევას.

მიწისქვეშა წყლები. საზრდოობაში მიწისქვეშა წყლებს აგრეთვე დიდი როლი ეკუთვნის. წყაროების უხვი გამოსვლებს ვხვდებით მთელ ზონაში, მაგრამ განსაკუთრებით დიდია და უხვწყლიან წყაროებს ვხვდებით იმ ვულკანურ ღვარში, რომელიც მდებარეობს დიდი ლიახვის სათავეში და რომელიც თავდება ს. ახებათთან.

გულკანური ღვარის ზედაპირზე არც ერთი წყაროს გამოსავალი არა ვხვდება, სამაგიროდ უხვი წყაროების გამოსავლებია ღვარის კიდეების გასწვრივ. მიწისქვეშა წყლების წარმოშობა დამოკიდებულია თოვლის მომდნარი წყლებისა და წყიმის წყლის ჩაუნვაზე ღვარის ნაპრალებში, ხოლო ზედაპირზე მათი გამოსვლა, უმთავრესად, დაკავშირებულია ვულკანურ პლატოს ორ ღვართა შეხების აღგილთან, ვინაიდნ, გამოფიტვისაგან დაცული ქვედა ღვარი (უფრო ძველი) წყალგაუმტარია, ხოლო ზედა ღვარის ნაპრალებში მიწისქვეშა წყლის ცირკულაცია საკმაოდ თავისუფალია. წყაროს წყლები მტკნარია, მათი ტემპერატურა მცირეა და 5° არ აღემატება, ამასთანავე წყლის ტემპერატურა მუდმივია მთელი წლის განმავლობაში.

ს. ედისის ზევით წყაროები გამოდიან 0,5 კმ. მანძილზე და ჰქმნიან საკმაოდ მოზრდილ მდინარე კადა-დონს (წისქვილის წყალს). 1940 წ. 11 აგვისტოს ტოს ჩენ გავზომეთ ამ მდინარის ხარჯი, რომელიც ს. ედისის წისქვილების ზევით (სკოლასთან) უდრიდა 0,8 მ³/წ. წყაროთა ტემპერატურა მუდმივი იყო $9-11$ აგვისტოს და უდრიდა 5° , ხოლო დ. ლიახვის ტემპერატურა კი ამავე დროს 6° უდრიდა. მოსახლეობის გაღმოცემით, ხსენებული მდინარის რეიიმი დიდ წესიერებას იჩენს: წყლის მომატება იწყება აგვისტოს პირველი რიცხვიდან და წყალდიდობა გრძელდება ნოემბრის დასაწყისამდე, რომლის შემდეგ მდინარე გადადის წყალმცირობის პერიოდში. თუ ზაფხულის პერიოდის განმავლობაში მდინარე იმდენად დიდია, რომ შესართავთან პირველი მოპყავს აუმჯრიმე წისქვილი, დაცხრომის პერიოდში ის იმდენად მცირდება, რომ ძლიერს ერვა ერთ პატარა წისქვილს. ხსენებული რევიმი, აშკარაა, დამოკიდებულია უმთავრესად მომდნარი წყლების ცირკულაციაზე, რომლებიც უფრო მაღალი აღგილებიდან ნაპრალების საშუალებით აღწევენ ს. ედისს მხოლოდ აგვისტო-ოქტომბრის პერიოდის განმავლობაში. მრავალი წყარო ზამთრისა და გაზაფხულის განმავლობაში არ მოქმედებს, ვინაიდნ ამ დროისათვის მათი შესაზრდოებელი ჯერ კიდევ თოვლის სახითა დევს.



ამ მდინარის გამოყენება შეიძლება პატარა ჰიდროელსაც გამოუყოფილი იქნას. ედისისათვის, ვინაიდან მას საკმაო დაჭანება აქვს.

მერგელიანი წყება ნაკლებად წყალგამტარია, ამიტომ ზედაპირული ჩამონადენი აქ დიდია; ატმოსფერული ნალექები იქნება მხოლოდ მცირე სიღრმეზე, გამოფიტვის ზოლის ფარგლებში; ზედაპირთან ახლო მდებარე მიწის ქვეშა წყლები წარმოშობენ მრავალ წყაროებს. ზოგჯერ გამოზიდვის დიდ კონტასთა ძირში ვხვდებით უფრო დიდ დებიტიან წყაროებს, ჩვეულებრივ კი გამოზიდვის კონუსების ამგები ნაშალი მასალა იმდენად ნაკლებად წყალგამტარია, რომ მათ ზედაპირზე მოედინება ნაკადულები.

სხვნებული წყების მიწისქვეშა წყლები სუსტად მინერალიზებულია; სხვად მარილებიდან კარბობს კალციუმის და მაგნიუმის კარბონატები; სულფატებს დამორჩილებული მდგომარეობა უკავიათ.

მინერალური წყლები. მაღალმოიანი ზონა მდიდარია მინერალური წყლების გამოსავლებით, რომლებიც ოლქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს.

მაღალმოიანი ზონის გეოქიმიური კომპლექსი შედგება ფლიშური ნალექებისაგან, რომლებიც წარმოდგენილი არიან ფიქლებით, ქვიშაქვებით და კარბონატული წყებებით. მინერალური წყლების გამოვლინებას აქ ხელშწყობს ქანთა ძლიერი ტექნიკური აშლილობა.

ეფუზივური ქანების გავრცელების აღგილებში (ლიახვისა და ქსნის სათავეები) მინერალური წყლები თავისებურ ხასიათს იძენენ.

ზონაში თავს იყრის სამხრეთ-ოსეთის მინერალური წყლების უმრავლესობა. მინერალური წყლები წარმოდგენილია კირ-ნახშირმჟავა, კირ-ტუტენახშირმჟავა და ტუტე-ნახშირმჟავა წყლების ტიპებით. წყლები ცივია და ხასიათებიან თავისუფალი ნახშირეანგის სიუხვით ($90\% \text{ - } \text{მდე}$). კირიანი წყლები, ჩვეულებრივ, ფლიშურ ქანებთან არიან დაკავშირებული, ხოლო ტუტენახშირმჟავა წყლები კი — ახალგაზრდა ეფუზიურ ქანებთან. თითქმის ყველა წყლები შეიცავენ რკინას, რომელიც ზედაპირზე იუანგება და კოლოიდური რკინის ჟანგის ჰიდრატის სახით ყვითელ-მოწითალო ფერად ღებავს წყაროთაგარშემ ქანებს.

მინერალური წყლების რაოდენობა მაღალმოიან ზონაში იმდენად დიდია, რომ თითქმის ყოველ სოფელში ვხვდებით მინერალურ წყაროს; მოსახლეობა იმდენად შეჩვეულია მათ ხმარებას, რომ იშვიათად ხმარობს დასალევად ჩვეულებრივს, მტკნარ წყაროს წყალს, თუმცა ამ უკანასკნელთა გამოსვლები საკმაო და მათი წყლის ხარისხიც კარგია.

მდინარეები. სამხრეთ-ოსეთის მთავარი არტერიის — მდ. ლიახვის სათავე შედგება მდ. მდ. ყადლასენ-ღონისა და ზერო კაბუსტეს მდინარეთა შეერთებით სოფ. გოლუათასთან (დაახლოებით 2.400 მ. სიმძლეზე). ორივე მდინარე გამოელინება ყადლასენის (3.832 მ.) და ლალზ-წითის (3.693 მ.) პატარა ყინვარებიდან. მდ. ყადლასენ-ღონის გარდიგარდმ ხეობა-აგებულია ფიქლებით. ხოლო მდ. ზერო კაბუსტეს ასიმეტრიული ხეობა-ჩიჭრილია ფიქლებისა და ე. შ. ახტბათის ანდეზიტური ლვარის საზღვარზე.

სოფ. გალუათიდან მდ. დ. ლიახვი აგრეთვე გასდევს ამ ვულკანური ლვარის ჩრდილო-დასავლეთ კიდეს; სოფ. ხოძიან დ. ლიახვს მარცხნიდან ერთვის. კაბუსტეს მდინარე, რომლის მიმართულება თანხვდენილია მდ. ლიახვის ძეველი კალაპოტისა, რომელიც ამჟამად ამოვსილია ანდეზიტური ლავით (იხ. ზევით).

სოფ. ხოძიან დ. ლიახვი იცელის მიმართულებას სიგანელურზე, რომელ-საც ინარჩუნებს თავის მარჯვენა შემდინარე — ჯომაგ-დონამდე. სოფ. აზუბა-თამდე დ. ლიახვის ვიწრო ხეობა გასდევს ახუბათის ვულკანური ლვარის ჩრდილო კიდეს, აქ მდ. დ. ლიახვის გასწროვი ხეობა ქანთა გაწოლის პარა-ლულურია და მხოლოდ ქვედა როკის და ჯომაგ-დონის შესართავს შორის ოდნავ. ირიბ მიმართულებას დებულობს, ქანთა გაწოლის მიმართ. რელიეფ წარმომშობი ქანები დახრილია ჩრდილოეთისაკენ, რის გამოც ხეობის ნაპირების ხასიათი სხვადასხვაა; მარჯვენა ნაპირი ძალიან შეეულია, მაგრამ, ქანთა და ფიქლებრიო-ბის ზედაპირის დახრილობის გამო ნაპირის ფერდობის მიმართ, აქ ძალიან არის განვითარებული ქვის ზვავები და ქვაყრილები. მარჯვენა ნაპირზე ამგვარ მოვლენებს თითქმის არა ვხვდებით, უნიაილან ქანები დახრილი არიან ფერდობის შეაგულისაკენ, რის გამოც განიცდიან ნაკლებ გამოფიტვას.

ზემო წელში დ. ლიახვის ხეობა ღრმაა, ხოლო ცალჭე მაღლობები ხეო-ბის ძირიდან აღმართული არიან 1.000—1.500 მ. სიმაღლეზე.

შერეს გარდა, დ. ლიახვს გასდევს არმლენიმე ძველი ტერასი. კარგადა ჩანს I ტერასი, მერედან 1—2 მ. სიმაღლეზე. მდ. სბა-დონის შესართავთან მკაფიოდ არის გამოხატული II ტერასი, 4 მ. სიმაღლეზე და აგრეთვე შენდეგი, III ტერასი, 15 მ. სიმაღლეზე, რომელზედაც მდებარეობს სოფ. ხანიკატ-კაუ; სენებული-ტერასის დიდ ნარიყთა შორის დიდი რაოდენობით ვაჟულობით აგრეთვე ვულკა-ნური ქანების დამრგვალებულ ნატეხებსაც. მდ. სბა-დონსა და რუკი-დონს შო-რის ქვედებით IV და V ტერასების ნაშთებს; პირველი მდებარეობენ 20—30 მ. სიმაღლეზე, ხოლო მეორენი — 50 მ. სიმაღლეზე. მეტად მკაფიოდ არის გამო-ხატული VI ტერასი დ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე, მდ. რუკი-დონის შესარ-თავთან, 100 მ. სიმაღლეზე, რომელზედაც მდებარეობს საგუმავო კოშკის ნაგრევები: ამ ტერასის ალუვიური ნარიყის სისქე 10 მეტრამდე.

მდინარიდან 150—180 მ. სიმაღლეზე ო. ს. გიალოვი აღნიშნავს ქვიშა-ქვისა და ყელის პლატოს ვულკანური ქანების ნარიყებს, რომლებიც, აღბათ, წარმოადგენენ უფრო მაღალი (VII) ტერასის ნაშთს; ჩვენ საცემოდ მიგვაჩნია-ამ სიმაღლეზე ყელის პლატოდან წამოღებული ნარიყის არსებობა.

ბოლოს, რუკი-დონსა და ჯამაგ-დონს შორის, დ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე აღსანიშნავია მცირე მანძილზე, 220—250 მ. სიმაღლეზე მდინარის დონიდან, კარგად შეცემენტებული ფლიშური ქანების ნარიყალი, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენდეს VII—VIII ტერასის ნაშთს.

სოფ. ახუბათის შემდეგ დ. ლიახვის ხეობის ძირი საკმაოდ განიერია და, დაბალი ტერასების ჩათვლით, ხშირად მისი სიგანე 100—200 მეტრამდე მერყეობს. დ. ლიახვის მარჯვენა შემდინარეები ჩამოედინებიან კავკასიონიდან და მიემართებიან ლიახვისკენ თითქმის სწორი კუთხით; მათ შორის აღსანიშ-



ნავია შემდეგი შემდინარეები: ყადლასენ-დონი, ჭელიათა, სბა-ლომირა-შემდინარეები და ჯომაგ-დონი.

ამ მდინარეთა აუზები, უკანასკნელის გარდა, მცირეა, წყალგამყოფი თხე-მები მდებარეობენ მათ ხეობათა ძირებიდან 800—1000 მ. სიმაღლეზე. ამ წვეტიანი თხემებიდან ლიახვის შემდინარეთა ხეობებისაკენ მოემართებიან მოკლე, დიდი დაქანების მქონე ხევები.

ყველა ამ მდინარეთთვეს მეტად დამახასიათებელია შათი ხეობების ფორმა; ამ მხრივ ტიპიურია მდ. რუკი-ლონის განიერი და ბრტყელძირიანი ხეობა, რომელშიც ამავად ლრმად არის ჩაჭრილი მდ. რუკი-ლონი; უკანასკნელი მოედინება ძეველი ხეობის მარცხენა კიდესთან, რადგან მისი მარცხენაპირი აგებულია ძირითადი ქანებით.

ძეველი ხეობის ფსკერი, როგორც აღვნიშნეთ, ბრტყელია; მას აქვს საკმაო დაქანება მდინარის დენის მიმართულებით; განსხვავება სიმაღლეში რუკი-ლონის თანამედროვე დონისა და ძეველ ხეობას შორის შესართავთან 25—30 მეტრს აღწევს, ხოლო სათავისაკენ ეს სხვაობა თანდათან მცირდება. ძეველი ხეობის ფერდობები ციცაბოა (45° — 60°).

როგორც ი. გ. კუზნეც ცოკი, ისე ო. ს. ვიალოვი ამ ძეველი ხეობების წარმოშობას მდინარეულ აკუმულაციას მიაწერენ. ი. გ. კუზნეც ცოკი ფიქრობს, რომ ფხვიერი ნაფენების ასეთი დიდი, დაგროვება შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ხეობის შეგუბების შედეგად, რაც, თითქოს, უნდა გამოწვეული ყოფილიყო ჯომაგ-ლონის ყინვარის არსებობით, რომელიც ჩამოდიოდა მდინარის შესართავამდე.

ო. ს. ვიალოვი ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი ტერასების წარმოშობისათვის საჭირო არ არის ამგვარი დაშვება; მას უფრო აინტერესებს მეორე საკითხი, სახელდობრ, ტერასების ზედაპირის დიდი დაქანება; იგი გამოსთვევამს აზრს, რომ ეს დაქანება არ არის პირვანდელი, არამედ გამოწვეულია ახალი ტექტონიკური მოძრაობებით; ამის დასამტკიცებლად მას მოკყაფს მხოლოდ ერთი ფაქტი: მდ. სომის-ლონის სათავეში, რომელიც მოედინება დასავლეთი-დან აღმოსავლეთისაკენ, ტერასების ზედაპირი დაქანებულია არა მდინარის დენის მიმართულებით, არამედ სამხრეთისაკენ; თუმცა ავტორი აქვე დასტუნს, რომ ეს საბუთი არ არის საკმარისი ახალ ტექტონიკურ მოძრაობათა არსებობის დასაშვებად.

ჩვენის აზრით, ჭელიათას, სბა-ლონის და რუკი-ლონის ხეობები წარმოადგენენ ტიპიურ ტროგებს, რომელებშიც ჩანამედროვე მდინარეების V-მაგვარი ხეობები.

ხეობათა როგორც გარეგნული ფორმა, აგრეთვე ამ ხეობების დიდი დაქანება გვაფიქრებინებს, რომ მათი წარმოშობა ყინვარულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული. ძნელი წარმოსაღენია, რომ დიდი დაქანების მქონე ყოფილ მდინარეს ეწარმოებინა ისეთი ძლიერი აკუმულაცია, როგორც ეს ამ ხეობათა მდინარეებისათვის არის დამახასიათებელი; ამის გარდა, თუ კი ვხვდებით თანამედროვე ყინვარებს ზილგა-ხოხისა და ყადლასენის მწვერვალებთან, ხოლო ყოფილ გაყინვარების ნიშნებს ჯომაგ-ლონის და ბრიტატის ხეობებში,

აგრეთვე მორენებს სოფ. ერმანთან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაყიძნებარების მაქსიმალურ სტადიაში დ. ლიახვის მარცხენა. შემდინარების — ყადლასენ-დონის, ჭელიათას, სპა-დონის და რუკი-დონის ხეობები არ უნდა წარმოადგენდნენ გამონაკლისს, არამედ ისინიც ყინვარებით იყვნენ დაფარული; ამ ყინვართა ბოლოები მდ. დ. ლიახვის ხეობას აღწევდნენ. შესაძლოა, რომ რუკი-დონის და ჯომაგ-დონის ყინვარები ერთმანეთს უერთდებოდნენ კიდევაც, როთაც შეიძლება ავხსნათ მდ. დ. ლიახვის განიერი, ლრმა და ციცაბო გვერდების მქონე ხეობა ამ ორ შემდინარეთა შორის მანძილზე.

მდ. დ. ლიახვის მარჯვენა შემდინარე ჯომაგ-დონი შეღება სამი ტოტი-საგან — მდ. მდ. მაგ-დონის, ჯომაგ-დონის და სომის-დონისაგან. მაგ-დონი იწყება კუთხის ანუ ჯომაგის გადასავალთან ახლოს; ჯომაგ-დონის სათავე წარმოადგენს რამდენიმე შენაკადს, რომლებიც ჩამოედინებიან წყალგამყოფი-დან მ. ბახ-ფანდაქსა და მ. საუ-ხოს შორის. სომის-დონს სათავეში ასახ-დოებენ ბრუტ-საბძელის ჩრდილო ფერდობის ყინვარი და, ბრუტ-საბძელსა და საუ-ხოს შორის წვეტიანი ქედიდან ჩამომდინარე, პატარა მდინარეები.

სომის-დონის ხეობა წარმოადგენს ტიპიურ ტროგს, რომლის ფსკერი ამჟამად გადარეცხილია, ხოლო მდინარე ჩიკრილია ძირითად ქანებში. მდინარის კალაპოტიდან მორენები გვხვდებიან 550 მ. სიმაღლეზე; მორენებით მოფენილია მდ. ჯომაგ-დონსა და სომის-დონს შორის მდებარე წყალგამყოფიც.

სომის-დონის ხეობაში შემდეგ ჯომაგ-დონი მოედინება ვიწრო, ღრმა ხეობაში, რომლის სიგანე ზოგიერთ ადგილებში 15 მ. უდრის. ხონის ფარგლებში დ. ლიახვის ყველაზე დიდი მარცხენა შემდინარეა მდ. ბრიტატი, თავის მარჯვენა შემდინარეთ — მდ. ერმანით. პროფ. ნ. ა. ბუში ბრიტატის სთვლის ერმანის შემდინარედ, რაც, ჩვენის აზრით, არ არის სწორი, ვინაიდან მდ. ბრიტატის ხეობა უფრო ძველია ერმანის ხეობაზე.

მდ. ბრიტატის სათავე წარმოადგენს ტროგს; ერმანის შესართავიდან მდინარე იცვლის თითქმის მერიდიანალურ მიმართულებას ჩრდილო-დასავლეთურზე, რაც გამოწვეულია ვულკანური ღვარის არსებობით. ერმანის შესართავიდან მდ. ბრიტატის ხეობის ხასიათი მკვეთრად იცვლება, იგი მოედინება მეტად ლაბაზი, ღრმა, ვიწრო და ტყით მოსილ ხეობაში. მდ. ერმან-დონი შესართავთან აჩენს 4—5 მ. სიმაღლის ჩანჩქერს, ეს გარემოება და აგრეთვე საერთოდ ამ ხეობის ხასიათი მომასწვევებელია მისი ახალგაზრდობისა, რის გამოც ჩვენ მას ბრიტატის შემდინარედა ვთვლით.

მდინარეთა ბადის სიხშირე ზონაში განსაკუთრებით დიდია მის დასავლეთ ნაწილში; აქ მდინარეები ჭანჭახი, ღარულა და ჯეჯორა ეკუთვნიან მდ. რიონის აუზს, ხოლო მდ. ფაწა — დ. ლიახვისას. ამ მდინარეთა სათავეებს ყინვარები ასახრდოებენ. მეტ წილად, ეს მდინარეები და მათი შემდინარეები თავის ზემო წელში მოედინებიან გასწვრივ, ხოლო შემდეგ კი გამკვეთ ხეობებში. სათავეში მდინარეებს აქვთ დიდი ვარდნა, ხშირია ჩანჩქერები, და ჭორომები. გამკვეთი ღრმა და ვიწრო ხეობების სიგანე ზოგჯერ რამდენიმე ათეული მეტრით იზომება. მდინარეები აწარმოებენ ინტენსიურ ეროზიას და დენუდაციას; ზოგიერთ ადგილებში მდინარის მიერ წარმოებული გვერდითი

ეროვნია იწვევს ფერდობის ცოცვას და მის დაზეავებას. ზეობა უსლულეს მშენების არის დაკავშირებული ტექტონიკისთვის, ასე მაგ., რღვევის ზოლში მდინარეთა ხეობების ჩაჭრა წარმოებს შეცოცების გასწვრივ; მდინარის ხეობა გამომუშავებულია შეცოცვის შესუსტებულ ნაწილში, რომლის ორივე მხარეს მოსახლეობრე ქანები უფრო გამძლენი არიან.

გეოლოგ ნ. კან დელაკის აზრით, მდ. ქვედრულის ზეპო წელი რღვევის ზოლს მისდევდა და ერთვოდა მდ. ღარულას. მდ. ჯეჯორამ რეგრესიული ეროვნის გზით მოიტაცა იგი გვაუის ტერასის გამომუშავების შემდეგ; ამ მოტაცებაში მნიშვნელოვანი როლი ექვთვნის აგრეთვე ქვედრულის ხეობის მარცხნიან ნაპირზე განვითარებულ ზეავებს, რომლებმაც შექმნეს ადგილობრივი მაღალი ეროზის გაზისი, ხოლო მდ. ჯეჯორის მარცხნა შემდინარებ ამ დროს გადაჭვეთა ის წყალგამყოფი, რომელიც მდებარეობს ქვედრულას სათავეებსა და მის შუა წელს შორის.

მდ. ფაწას სათავე იწყება იმ შენაკადებით, რომლებიც გამოედინებიან ზეკარისა და ბრუტ-საბეჭელის ყინვარებიდან; სათავეში მდ. ფაწა ცნობილია კევსელთას სახელწოდებით. მისი ღრმა ხეობა ჩაჭრილია ფლიმურ წყებაში და ზეგმართება ლიდი დაქანებით სამხრეთ დასაელეთისაკენ სოფ. სოხტამდე. სოხტის ქვემოთ მდინარე მოვდინება საშუალო სიმაღლის მთის ზონაში, პორფირიტული წყებისაგან შემდგარ, ტყით დაფარულ, ვიწრო და მეტად ლამაზ ხეობაში.

მცენარეული საფარი

მაღალმთიანი ზონის მცენარეულობის ძარითად ტიპს წარმოადგენს ალპური და სუბალბური ველები.

ალპურ ველებს უკავიათ ზონის ყველაზე მაღალი ადგილები. მრავალ აღგილას ალპური მცენარეულობა თოვლის ზოლშიც არის აქრილი. ალპურ ველებს ახასიათებთ არა მარტო დაბალბალახიანობა (10—30 სმ.), არამედ თავისებური ფლორისტული შედეგნილობაც. მთავარი დამკორდებელი მცენარეა დაბალი ისლის სახეები *Carex Huetiana* Boiss., *C. tristis* M. B., *C. pyrenaica* Wahlenb., *C. capillaris* L.

სხვა მარცვლოვნებს და დანარჩენ დამკორდებელთ შედარებით მცირე მნიშვნელობა ენიჭებათ. ხშირად ალპურ ფიტო-ცენოზში საკმაო აღგილი უკავია მლიერებს (*Cetraria islandica* (L.) Ach. და მისი ფორმები), ხოლო ხავსებიდან უფრო გავრცელებულია *Rhytidium rugosum* (Ehrh.) Kingb.

სუბალბურ ველებს ახასიათებს მაღალბალახოვნობა (60—80 სმ). მარცვლოვნებ მცენარეთა შორის დამახასიათებულია *Bromus variegatus* M. B., *Trisetum flavescens* P. B., *Avena versicolor* Vill., *Briza elatior* Silth. et Sm., *B. media* L., რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ალპურ მარცვლოვნებისაგან. იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს ალპური ველებიდან სუბალბური შეჭრა და მეორე სართულის შექმნა ისეთი მცენარეების მიერ, როგორიცაა: *Gentiana verna* L. var. *angulosa* Wahlenb., *Campanula tridentata* Schreb., *Aster alpinus* L.



ალპურ და სუბალპურ მცენარეთა გავრცელების ვერტიკალური სახ-ლვარი ცვალებადია. სუბალპური ველები სამხრეთ ფერდობზე ძალიან მაღლა არიან აწრილი, მაგალითად, ბახ-ფანდაკის სამხრეთ ფერდობზე (მდ. ჯომაგის სათავეში) სუბალპური ველები კრცელდებიან უმაღლეს მწვერვალიდე 2.900 მ. სიმაღლემდე. მეორე მხრივ, ალპური ველები ზოგჯერ ჩამოიკრებიან ხოლმე სუბალპურ ველებზე უფრო დაბლა; ასე, მაგ., პატარა ლიახვის აუზში, მდ. ფორნისის სათავეში, ალპური ველების ქვედა საზღვარი ზოგიერთ ადგილებში გაცილებით უფრო დაბლა სუბალპურ ველის ზემო საზღვარზე; აქ ალპური ტიპის ველი მდებარეობს მოვაკებულ ქარიან აღგილზე 2.200 მ. სიმაღლეზე.

მთანი ზონის მეორადი ველები, წარმოშობილი ტყის გაჩეხვის შედეგას, უერთდებიან სუბალპურ ველებს, მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან საკმაოდ განსხვავდებიან. ეს განსხვავება მით უფრო მეტია, რაც უფრო ახელგაზრდაა მეორადი ველი. მათზე ვხვდებით ტყის ბალახების ზოგიერთ სახეებს და ტყის ხავსებს.

Rododendron caucasicus Pall. იშვიათად გვხვდება; ასე, მაგ., იგი გავრცელებულია ჩამქრალი გულკანის კეიდონის მხოლოდ ჩრდილო ფერდობზე და რის დასავლეთ შტოზე; დეგა აქ მცირე სიმაღლისაა და, ალბათ, ახალი წარმოშობისაა; მის ქვეშ ცოტაა ჩრდილის მოყვარე მცენარე, თვით დეკა კი პატარ-პატარა კორომებს ჰქმნის. მცირეთოვლიან ზამთარში დეკა იყინება; ამ გარემოებით უნდა ავხსნათ, რომ სამხრეთ ფერდობებზე დეკას სულ არა წევდებით, ვინაიდან ამ ფერდობზე ოოვლის საბურველი უფრო გვიან ჩნდება, მცირე სისქისაა და აღრე ღნება, ხოლო ყინვები კი, საერთოდ, აღრე იჩენენ თავს და გვიან თავდებიან. მოსახლეობის გადმოციმით, მთა ფასრაბის სამხრეთ ფერდობზე ოდესოაც იყო ფიჭვნარის ტყე; ამ ფიჭვნარის ერთადერთი მოწმეა ფიჭვის დიდი გვერდისა, მომხმარი წვერით, რომელიც მდებარეობს სოფ. შუა ერმანის ნათესების ზეგით. ფიჭვნარის მოსპობის შემდეგ წარმოიშვა არყნარი (*Betula pendula*). ამ არყნარის პატარა კორომები, ხატის ტყეების სახით, გვევდება ანდეზიტური ღვარის ოთხ ადგილას: ერთი — ზემო და შუა ერმანის მორის, მეორე და მესამე — სოფ. შუა ერმანთან და მეოთხე — მდ. ქვემო ერმანის შესართავის პირდაპირ.

ერმანის ქვევით ანდეზიტური ღვარის ზედაპირზე აგრეთვე იყო ტყე-ლვარის სახერეთი ნაწილი (ჩარცხენა მხარე) დაკავებული იყო წიფლის (*Fagus orientalis*) ტყით, ხოლო ღვარის მარჯვენა (ჩრდილო) მხარეზე ხარობდა ფიჭვნარი. ამ ფიჭვნარის პატარა კორომები დღემდე დარჩენილია ხატის ტყეების სახით ქვემო კაბუსტეს ხევის პირდაპირ და სოფ. ედისში (1880 მ.). ფიჭვის ტყის განაღგურების შემდეგ აქ აღმოცენდა ახალგაზრდა ფიჭვნარი და აქა-იქ გვხვდება ღვია — *Iuniperus depressa*. უწინ ფიჭვნარის ქვემო საზღვარი, ალბათ, მდ. ჯომაგის შესართავამდე აღწევდა.

ვულკანური ღვარის ქვემო ნაწილში, მის მარცხენა (სამხრეთ) გვერდის გასწვრივ. უწინ ნაძვნარი (*Picea orientalis*) ხარობდა, რომლის ნაშთი ამჟამად დარჩენილია პატარა კორომებისა და ცალკე ეგზემბლარების სახით.



ახუძათის ვულკანური ღვარის ქვემოთ ნაძვნარით მოსილია მდ. დუშეთიშვილი ხეობის მარცხენა, ჩრდილო ექსპოზიციის, ფერდობი.

მაღალმთიან ზონაში ტყეები იმდენადა გააჩენილი, რომ თანამედროვე ტყეებზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ტყის ნაცვლად იქ ბუჩქნარილია შერჩენილი.

1.800 მ. ზევით ხარობს: *Acer trautvetteri*, *Sorbus aucaparia*, *Padus racemosa*. ბუჩქნარებიდან მეტად დამახასიათებელია: *Corylus avellana*, აგრეთვე ასკილი — *Rosa oxyodon*, *Rosa leucantha* და სხვა. სხვა ბუჩქებიდან ხარობს: *Viburnum lantana* და *V. opulus*, *Sorbus Buschiana*, *S. subtomentosa*, *Rhododendron flavum*. ბალახებიდან აღსანიშნავია *Paeonia Vittmaniana*, *Eringium giganteum*.

თავისებურია ყელის ზეგანის ფლორა. დღემდე ზეგანზე მომეტებულად ნიადაგსაფარისა და ველების წარმოშობის მხოლოდ დასაწყისს სტადიას ეხედებით. გარეგნულად ვულკანური ქვაყრილი სხვადასხვა ფერისაა, რაც დამოკიდებულია არა მარტო ქანის შედგენილობაზე, არამედ მღიერების ფერზე, რომლებიც ვრცელდებიან ქვათა ზედაპირზე: ჭარბობს წითელი, ნაცრისა და მოყვითალო (*Xanthoria-sagana*) ფერები. ქვის ზვავებზე ეხვდებით იშვიათ ალპურ მცენარეებს: *Ranunculus Lojkae Somm. et Lev.*, *R. crassifolius Rupr.*, *Veronica schistoca E. Busch.*, *Dentaria microphylla Willd.*, *D. bipinnata C. A. M.*, *Thlaspi pumilum Lab.*, *Euthomia rotundifolia C. A. M.* და სხვ.

არამც თუ ვულკანური წარმოშობის ფერდობები, არამედ ყელის ზეგანზე ფილაქნიანი ფერდობების დაკორდება 50%, არ აღემატება.

ამის მიუხედავად იქ საკმარისია მშვენიერი საძოვრები, რომელზედაც აძირებენ ქსნის ხეობის ცხვრის ფარებს.

კულტურული მცენარეებიდან მაღალმთიან ზონაში მოსახლეობას მოჰყავს: ქერი და, ნაკლებად, ჭვავი; ბოსტნეული კულტურებიდან — კართოფილი, ნიორი და ხახვი. ამჟამად ყველა კომეურნეობებში დარგულია მიჩურინისეული ხილის ჯიშები და აგრეთვე ბოსტნეული კულტურები; განსაკუთრებით კარგად ხარობს კომბოსტო, რომელსაც აქამდე სულ არა სთესავდნენ.

ადგილობრივი ველური ხილიდან ხარობს: მოცვი და სელშავი (ბრუნიკა).

საკავშირო აკადემიის სამსრეთ-ოსეთის მთის ველების შემსწავლელი სტაციონარი, პროფ. ნ. ა. ბუშის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას აწარმოებს როგორც ბუნებრივ ფლორის შესწავლის მხრივ, ისე პრაქტიკულ ღონისძიებებს ამჟავებს ველების სარეველა მცენარეებისაგან გაწმენდისა და ველების გაუმჯობესების დარგში.

სტაციონარმა გამოიმუშავა წესი სარეველა შხამისა *Veratrum Lobelia-num* (ცერემიკა) და *Nardus stricta*-ს (ნელიუ) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისა. ამავე დროს, სტაციონარი აწარმოებს დაკავირვებას სიცივის გამძლებრივის სიმაღლეზე; ამ მხრივ კიდეც მიღებულია კარგი, შედეგები. სტაციონარმა ჩატარა იდები ბალყარული კარტოფილისა და კომბოსტოს მოყვანაზე, რაც აგრეთვე კარგი შედეგით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ცდები

კუნძულის ჩრდ.-ქლდ. მხარის
ცენტრალური ლაგუნულის


სკემა

შემონილია ქ. ყავრის შემდეგ მიერ.
1950წ.


საქართველო
გეოლოგიური მუზეუმი




მაღარმთიანი მთა-ხეობათა ღანტეფერი გარემიგარებელი ხეობებითა და თანამედროვე ყანვარებით: ხეობებში ნიულნარი უ შერეული მყენებით და წყალგამყოფებრივი სუმაღებრი მღელოუბისა და ეს კიანების ლომინილებით.



მ. ჩხალოს ტექტონიკური ხეობის ღანტეფერი. ტექტონიკური გენებისის მინერალური ნიულების გამოსვლებით; ხეობის მატებულის კალთაზე ვერტიკალური ღანტეფერური მღელოუბის განვითარებით. მიერ სვრითა და ღანტეფერური ჰინდბის ინკენსიონი მარტენია კალთაზე.



გვარდითა სიკვდინური ქედების მაღარმთიანი ტბიური ღანტეფები, სუბალპური მღელოუბისა და არპერი ღანტეფერის ფრაგმენებით.



მ. კოლონისა და მ. სავარის გასწორივ ხეობათა ღანტეფერი, ფართოფოთოვანი მყენებით და ფურური შერანების ქედით გამოვლინებით.





ჩატარებულია კოლმეურნეთა ძალების საშუალებით, მათივე ნაკვეთებზე. ამ ზაფხულიდან სტაციონარი აპირებს თავის ნაკვეთზე მოაწყოს ყვავილარი აღგილობრივი დეკორაციული მცენარეებიდან, რომლებზედაც შემდეგში იწარმოებს მუშაობა ლამაზი ეგზემპლარების გამოყვანაზე და მათ დანერგვაზე უფრო დაბალ ზონებში.

ნიაღაგები

სამხრეთ-ოსეთის მაღალმთიანი ზონის ფარგლებში უმთავრესად გავრცელებულია ალპური და სუბალპური ნიაღაგები. ყელის ზეგანი და აქედან გავრცელებული ღვარები მოკლებულია ნიაღაგსაფარს. მხოლოდ ჩაღაბლებულ აღგილებში, სადაც აღგილი აქვს წვრილი ნაწილაკების დაგროვებას, ვითარდება მაღალმთიანი თხელი და ძალიან ხირხატიანი ტორფიანი ნიაღავი; ეს ნიაღავი განსხვავდება ფიქლებზე განვითარებული ნიაღაგისაგან, როგორც თავისი ხირხატიანობით, გრეთვე სიმჟავის მეტი პროცენტით, ვინაიდან ვულკანური ქანები სულ არ შეიცავენ CaCO₃-ს. დღესაც ყელის პლატიზე ვმჩნევთ ნიაღაგის წარმოშობისა და გამდელოების მხოლოდ დასაჭყისს სტადიას. ყელის ტბის პირას განვითარებულია თიხნარი ალპური ნიაღაგები, რომლებსაც დაჭაობების ნიშნები ახასიათებთ.

ზონის უმაღლეს ნაწილში განვითარებულია ალპური მდელოების ნაკლებად ჰუმუსიანი ნიაღაგები, ქვაყრილობითა და ქანთა გაშიშვლების კომპლექსში. ამ ნიაღაგების კარბონატობა დაკავშირებულია მერგელიანი ფიქლების კარბონატულ ხასიათთან. ალპური მდელოების ნიაღაგებისათვის დამახსიათებელია ფრეთვე ხირხატიანობა და მცირე სისქე.

უფრო დიდი ფართობი უკავია მთა-მდელოებს მუქი ფერის თიხნარ-ჰუმუსოვან ნიაღაგებს, რომლებიც გავრცელებულია ალპური ნიაღაგების უფრო დაბლი, სუბალპურ ზონაში; ამ ნიაღაგების ზედა ფერა ხასიათდება ჰუმუსის და აზოტის დიდი რომელობით, რომლებიც სილრმისაკენ სწრაფად მცირდება, დეკიანების ქვეშ განვითარებულია გატორიფებული ნიაღაგები. წყაროთა გამოსულს აღგილებში გხვდებით დაჭაობებულ ნიაღაგებს, ხოლო ჭაობების ჩრდვლივ ჭაობიან მდელის ნიაღაგებს.

შემთხვევაში
11/7—1941 წ.

სტალინის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
პადრონ-კლიმატოლოგიის კატედრა
ჭა ხაქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

(შემოვიდა რედაქციაში 1951. X. 15).

გადაეცა ჭარმოქას 7/ I 1952 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/X 1952 წ. ტირაჟი 550.
ზე C6041. ქაღალდი $70 \times 108 \frac{1}{16} = 10,188$. ქაღ. ფურცელი. სასტამბო თაბაზი 14,214. საალ-
რიცხვო საგამომცემლო 10,03. გამომცემლობის შეკვეთა № 1. სტამბის შეკვეთა № 2.
ფასი 10 მან.

სტალინის საჩ. თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ჭ., 1



ფარ 10 886.

ეროვნული
ბიблиოთეკა